

Gender-biased Sex Selection



Enhancing Gender Equality in Georgia



გენდერული ნიშნით სქესის

შერჩევასა სანაერთვედლოში

კონტექსტი, მთავარებულებები და შედეგები

er-biased Sex
selection in Geor

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქარტველოში

კონტექსტი, მთავარებულებები და შედეგები



Enhancing Gender Equality in Georgia



ავტორი: კრისტოფ ზ. გილმოტო

კრისტოფ ზ. გილმოტო არის უფროსი მკვლევარი დემოგრაფიის საკითხებში მოსახლეობისა და განვითარების ცენტრის განვითარების კვლევის ინსტიტუტში (IRD/CEPED, პარიზი, საფრანგეთი). ის ასევე ასწავლის *Université Paris Descartes* და *École des hautes études en sciences sociales*-ში (EHESS, პარიზი, საფრანგეთი). გასული ათწლეულის განმავლობაში მისი კვლევის ფოკუსია გენდერული ნიშნით სქმის შერჩევის ფენომენი ამიასა და აღმოსავლეთ ევროპაში (ინდოეთი, ჩინეთი, ვიეტნამი, ინდონეზია, საქართველო, ალბანეთი, სომხეთი). კრისტოფ ზ. გილმოტო არის გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) 2012 წლის ანგარიშის ავტორი გენდერული ნიშნით სქმის შერჩევის თემაზე; მისი თანაავტორობით (ჯონ ბონგაარტსთან ერთად) მომზადდა 2015 წლის შეფასებითი მონაცემები მსოფლიოში გამჭრალი ქალების შესახებ.

კვლევა განხორციელდა გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის (UNFPA) მხარდაჭერით, გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები განხილული უნდა იქნას როგორც ავტორის შეხედულებები და არა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) და შვედეთის მთავრობის მოსაზრებები.

დამატებითი ინფორმაცია ამ ანგარიშის შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისში:

საქართველო, თბილისი, 0179, ერისთავის ქ. 9
ტელეფონი: (995 32) 225 11 26 (152)
ფაქსი: (995 32) 225 02 71/72
www.georgiaunfpa.ge
facebook.com/unfpageorgia

ანგარიში დაბეჭდილია შპს „ვესტას“ მიერ (საქართველო, თბილისი)

Contents

| | |
|--|----|
| მადლიერების გამოხატვა | 9 |
| ზოგადი მიმოხილვა | 10 |
| შესავალი | 13 |
| 1. სქესის პრენატალური შერჩევა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები | 15 |
| 1.1 ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსი დღევანდელ დღეს: საერთაშორისო მდგომარეობა | 15 |
| 1.1.1 ბიოლოგიური ფაქტორები სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციასთან მიმართებაში | 16 |
| 1.1.2 გავლენა სქესთა თანაფარდობაზე | 16 |
| 1.2 დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის გაზრდა 1980–იანი წლებიდან | 17 |
| 1.3 სქესის შერჩევის მიზეზები | 19 |
| 2. კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია | 21 |
| 2.1 მიზნები | 21 |
| 2.2 ანალიზში გამოყენებული რაოდენობრივი წყაროები | 22 |
| 2.2.1 მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიკრომონაცემები | 22 |
| 2.2.2 დაბადების რეგისტრაციის სტატისტიკა | 24 |
| 2.2.3 მონაცემთა სხვა წყაროები | 29 |
| 2.3 ხარისხობრივი კვლევა | 30 |
| 2.3.1 ადგილები, სადაც ჩატარდა კვლევა | 30 |
| 2.3.2 მონაწილეები და კვლევის საშუალებები | 31 |
| 2.3.3 ანალიზი | 32 |
| 3. გენდერული დისკრიმინაცია და მისი კონტექსტი | 33 |
| 3.1 სამედიცინო მომსახურება და ინფრასტრუქტურები | 33 |
| 3.2 დემოგრაფიული ცვლილება | 35 |
| 3.2.1 აღწარმოებაზე დაბალი შობადობა | 35 |
| 3.2.2 მიგრაცია | 37 |
| 3.2.3 აბორტი | 38 |
| 3.3 ოჯახი, გენდერი და საზოგადოება | 40 |
| 3.3.1 ოჯახი როგორც ბუფერული ინსტიტუტი დაუცველობის ჟამს | 40 |
| 3.3.2 გენდერული უთანასწორობა | 40 |
| 3.3.3 ქალები ოჯახსა და საზოგადოებაში | 42 |
| 3.3.4 საოჯახო და სანათესავო სტრუქტურები | 43 |
| 3.4 დასკვნა | 45 |

| | | |
|-------|--|----|
| 4. | ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭების შეფასება | 46 |
| 4.1 | ტენდენციურობის ფაქტორი სიკვდილიანობაში და გაცხადებული უპირატესობის მინიჭება | 46 |
| 4.2 | ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭება და ფერტილობასთან დაკავშირებული ქცევა | 48 |
| 4.2.1 | ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭება ოჯახის შემადგენლობის მიხედვით | 49 |
| 4.2.2 | განსხვავებები ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭებაში | 51 |
| 4.2.3 | დასკვნა | 52 |
| 5. | დაბადებისას სქესებს შორის დარღვეული ბალანსი 1980–იანი წლებიდან დღემდე | 54 |
| 5.1 | 1991 წლიდან მამრობითი სქესის ბავშვების შობადობის მატება | 54 |
| 5.1.1 | დაბადებისას სქესთა სხვადასხვა თანაფარდობის შეფასება | 54 |
| 5.1.2 | მამრობითი სქესის ბავშვთა მაღალი შობადობის ტენდენცია გასული ოცდაათი წლის პერიოდში | 55 |
| 5.1.3 | მაჩვენებლის დაანგარიშებასთან დაკავშირებული ორი საკითხი | 58 |
| 5.2 | განსხვავებები ბიჭების შობადობაში საქართველოში | 59 |
| 5.2.1 | დაბადების რიგითობა და გენდერული შემადგენლობა | 59 |
| 5.2.2 | განსხვავებები ბიჭების მაღალ შობადობაში საქართველოში | 62 |
| 5.3 | დასკვნა | 67 |
| 6. | სოციალური ნორმები და პრენატალური გენდერული დისკრიმინაცია | 69 |
| 6.1 | ცოდნა პრენატალური გენდერული დისკრიმინაციის შესახებ | 69 |
| 6.2 | ვაჟების მნიშვნელობა | 72 |
| 6.3 | ოჯახების მოლოდინი და პატრილოკალური თანაცხოვრება | 75 |
| 6.4 | მემკვიდრეობა | 77 |
| 6.5 | დასკვნა | 78 |
| 7. | არსებული ხედვა და მომავლის სცენარი | 80 |
| 7.1 | ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის დარღვეული ბალანსის შესახებ ცოდნა | 80 |
| 7.1.1 | სქესის შერჩევის სტატისტიკური და სხვა მტკიცებულებები | 80 |
| 7.1.2 | საზოგადოების ცოდნა სქესის შერჩევის არსებობის შესახებ | 81 |
| 7.1.3 | შედეგები | 82 |
| 7.2 | მამრობითი სქესის ბავშვების მაღალი შობადობის და სქესთა შორის დისბალანსის მომავალი მაჩვენებლები | 83 |
| 7.2.1 | მეთოდოლოგია და დემოგრაფიული გათვლები | 83 |
| 7.2.2 | დემოგრაფიული პროგნოზები და შედეგები | 84 |
| 8. | დასკვნები და რეკომენდაციები | 89 |
| 8.1 | დასკვნები | 89 |
| 8.2 | რეკომენდაციები | 91 |
| | გამოყენებული ლიტერატურა | 94 |

ცხრილები

| | |
|--|----|
| ცხრილი 1: ბავშვების დაბადებისას სქესთა თანაფარდობა სხვადასხვა ქვეყანაში, 2008–2014 წწ. | 17 |
| ცხრილი 2: დაბადებული ბავშვების წლიური რიცხოვნობა სსსდ-ისა და სსიცი-ის სისტემების მიხედვით, 1990–2003 წწ. | 25 |
| ცხრილი 3: საქართველოში სხვადასხვა დემოგრაფიული კვლევიდან შერჩეული მონაცემები დაბადების შესახებ | 29 |
| ცხრილი 4: დაწყებით სკოლაში ჩარიცხული ბავშვების რიცხოვნობა 2013–2014 წლებში | 30 |
| ცხრილი 5: ჩვილთა და ბავშთა სიკვდილიანობა სქესის მიხედვით, კვლევა, საქართველო, 2000 – 2010 | 47 |
| ცხრილი 6: შობადობის პროგრესიაში განსხვავებები გენდერული შემადგენლობის შესაბამისად, კონკრეტული მოსახლეობის ქვეჯგუფებისათვის, 1992 –2002 | 51 |
| ცხრილი 7: დაბადებისას სქესთა თანაფარდობა შვილოსნობის მიხედვით, 2005–2013 | 62 |
| ცხრილი 8: დაბადებისას სქესთა თანაფარდობა სოფლად და ქალაქებში, 2005–2013 | 63 |
| ცხრილი 9: დაბადებისას სქესთა თანაფარდობა მხარეებში სხვადასხვა წყაროს თანახმად, 1991–2013 | 63 |
| ცხრილი 10: დაბადებისას სქესთა თანაფარდობა კონკრეტული სოციალური და კულტურული მახასიათებლების მიხედვით, 1992–2002 წლებში | 65 |
| ცხრილი 11: დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობა განათლების და ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით, 1992–2002 წწ | 67 |

ნახატები

| | |
|--|----|
| ნახ. 1: დემოგრაფიული ჩანაწერების მოძრაობა საქართველოში და სსიცი-სა და სსსდ-ს სისტემების ინტეგრირება | 27 |
| ნახ. 2: საქართველოში სამოქალაქო რეგისტრაციის მოქმედი სისტემა, რომელიც ემყარება სამედიცინო ჩანაწერებს | 28 |
| ნახ. 3: შობადობის დონეები საქართველოში, 1970–2013 წწ. | 36 |
| ნახ. 4: მეორე შვილის ყოლის ალბათობა (PPR) პირველი შვილის დაბადების შემდეგ | 49 |
| ნახ. 5: შვილის ყოლის ალბათობა (PPR) მეორე შვილის დაბადების შემდეგ | 50 |
| ნახ. 6: კიდევ ერთი შვილის ყოლის ალბათობა (PPR) მესამე ან რიგით უფრო მეტი შვილის ყოლის შემდეგ | 50 |
| ნახ. 7: საქართველოში დაბადებისას სქესთა თანაფარდობა სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 1985–2013 | 56 |
| ნახ. 8: დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობა სხვადასხვა კვლევის მიხედვით, საქართველო, 1986–2007 წლები 1986–2007 | 57 |
| ნახ. 9: დაბადებისას სქესთა პირობითი თანაფარდობა საქართველოში შვილოსნობის და გენდერული შემადგენლობის მიხედვით, 1989–2001 | 60 |
| ნახ. 10: დაბადებისას სქესთა თანაფარდობა მხარეების მიხედვით. დაბადების რეგისტრირებული მონაცემები, 2005–2013 | 64 |
| ნახ. 11: 2014 წლის თებერვალ–მარტში ჯგუფური განხილვებისა და ინდივიდუალური ინტერვიუების განმავლობაში ნახმარი სიტყვების სიხშირე | 69 |
| ნახ. 12: საქართველოში გამქრალი ქალების და გოგონების (20 წლის ასაკის ქვემოთ) პროგნოზირებული რიცხვი, დაბადებისას სქესთა მაღალი თანაფარდობის სცენარი, 2010–2050 | 85 |
| ნახ. 13: საქართველოს მოსახლეობის სქესთა თანაფარდობა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ორი სცენარის მიხედვით, 2010–2050 scenarios, 2010–2050 | 86 |
| ნახ. 14: 15 წლამდე ასაკის საქართველოს მოსახლეობის სქესთა თანაფარდობის პროგნოზირებული მაჩვენებელი ორი სცენარის მიხედვით, 2010–2050 | 86 |
| ნახ. 15: საქართველოს 20–39 წლის ასაკის მოსახლეობის სქესთა თანაფარდობა სამი სცენარის მიხედვით | 87 |

მადლიერების გამოხატვა

წარმოდგენილი ანგარიში ემყარება სამუშაოს, რომელიც განხორციელდა როგორც საქართველოში, ასევე საფრანგეთში. საფრანგეთში დამებმარა ჩემი კოლეგების ჟერალდინ დუტეს, ვალენტინ ბეკეტის, ლორა რამის, ლორენ ტულმონის, ნორა დუდვიკის და გაეროს მოსახლეობის ფონდიდან და მსოფლიო ბანკიდან სხვა კოლეგების ცოდნა და სასარგებლო წინადადებები. მე ასევე მადლობელი ვარ ქართულ საზოგადოებაში აბორტებთან დაკავშირებულ საკითხებში ანა ჯავახიშვილის მიერ გაწეული დახმარებისთვის და ტექსტის რედაქტირებაში სარა კორიგანის დახმარებისთვის. ირინა ბადურაშვილის და დორის სტამპის წყალობით პირველად დაინტერესდი საქართველოში არსებული სიტუაციით.

საქართველოში მე ვსარგებლობდი თბილისში გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლობის სრული მხარდაჭერით. უწინარეს ყოვლისა, მადლობას ვუხდით დოქ. ლელა ბაქრაძეს საქართველოში არსებული მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზის განსახორციელებლად მოწვევისთვის და მისი სრული მხარდაჭერისთვის მთელი კვლევის მანძილზე. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს კოლეგებს გაეროს მოსახლეობის ფონდიდან მარიკას, ნინოსა და მირიანს, ვინც დამეხმარა თბილისში ყოფნისას და ორგანიზებას უწევდა ჩემს შეხვედრებს სამთავრობო პარტნიორებთან იენისში, ასევე პროფესიონალებსა და მეცნიერებს არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. აღნიშნული პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა თანამშრომლობამ მსოფლიო ბანკის ჯგუფთან, რომელმაც დაგეგმა და უძღვებოდა სამხრეთ კავკასიაში ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭებისა და სქესის შერჩევის ხარისხობრივ კვლევებს.

თბილისში ყოფნისას პატივი მქონდა, გამეცნო მარიამ ჯაში, რომელიც, როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, სქესის შერჩევის საკითხის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო ბოლო ორი წლის განმავლობაში. მინდა მადლობა გადავუხადო მას ამ პროექტის მხარდაჭერისთვის. ჩემთვის ფრიად სასარგებლო იყო შეხვედრა საქართველოს პარლამენტის წევრ გუგული მალრაძესთან. რაც შეეხება ჩემი სამუშაოს რაოდენობრივ ნაწილს, დიდი დახმარება გამიწიეს ჩემმა კოლეგებმა პაატა შავიშვილმა, შორენა წიკლაურმა და ნატალია კოპალეიშვილმა „საქსტატის“ მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის განყოფილებიდან, რომლებმაც გამიზიარეს მათ ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემები სქესთა შორის არსებულ

დისბალანსთან დაკავშირებით და მოთმინებით პასუხობდნენ ჩემს დაუსრულებელ ტექნიკურ შეკითხვებს. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო მერაბ ფაჩულიასა და ბადრი ქუთელიას GOR-BI-დან ნაყოფიერი (და გულწრფელი) საუბრისთვის საქართველოში მათ მიერ განხორციელებულ ხარისხობრივ კვლევებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო გენდერული ტენდენციურობის ხარისხობრივ მონაცემებს.

მე შესაძლებლობა მქონდა, ბევრ კოლეგას გავსაუბრობოდი თბილისში, რომლებმაც გამაცნეს ქართული საზოგადოება და მისი წყობა. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით გაწეული სამსახურისთვის ლადო კახნიაშვილს ISSA-დან, თამარ საბედაშვილს გაეროს ქალთა ორგანიზაციიდან, ნატო შავლაყაძეს „ძალადობის წინააღმდეგ საქართველოს ქსელიდან“ და ნანი სუმბაძეს CIPDD-დან. ამ სასარგებლო დისკუსიებმა შესაძლებლობა მომცა, უკეთ გამეცნობიერებინა ოჯახზე, სოლიდარობასა და გენდერულ როლებზე ქართული თვალთახედვის დამახასიათებელი რამდენიმე ასპექტი. როდესაც ჩამოვედი, რეჟი გენტმა რადიო “France International“-დან შესანიშნავად აღმიწერა ქვეყანაში არსებული ვითარება. ექიმმა გოგი ცერცვაძემ ინვიტრო განაყოფიერების კლინიკიდან, ლელა სტურუამ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან, ნინო ბერიძემ და ლიკა მიქაბერიძემ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან ასევე დაუფასებელი ინფორმაცია მომაწოდეს ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემებისა და სტატისტიკის შესახებ. მე ასევე პატივი მქონდა, გამეცნო პროფ. ვია წულაძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომელსაც არსებითი მნიშვნელობის როლი მიუძღვის საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის შეფასებაში.

წარმოდგენილ ანალიზში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ასევე ჩემმა კოლეგამ ირინა ბადურაშვილმა, რომელიც დამთანხმდა საქართველოში დაბადების რეგისტრაციის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე და თავისი ცოდნისა და მონაცემების გაზიარებაზე საქართველოს უახლესი დემოგრაფიული ისტორიის იმ წლების შესახებ, რომლებიც ნაკლებად არის ასახული დოკუმენტურად. რამდენიმე თავი წარმოდგენილ ანგარიშში მომზადებულია მის დაწვრილებით ანალიზზე დაყრდნობით. დაბოლოს, მინდა აღვნიშნო დეა ცარციძის მხარდაჭერა, რომელმაც ხარისხობრივ მონაცემთა ანალიზი შეიმუშავა.

ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიშის მომზადება განაპირობა მზარდმა შემფოთებამ აღმოსავლეთი ევროპის რიგ ქვეყნებში დაბადებისას სქესთა შორის შესაძლო დისბალანსთან დაკავშირებით, რომელიც შედეგად მოჰყვა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2011 წლის სააგენტოთაშორის განცხადებას (OCHR-ი და სხვები, 2011 წ.) და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში სქესის პრენატალური შერჩევის შესახებ ანგარიშს, რომელიც იმავე წელს მომზადდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისთვის. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია მოუწოდებდა სახელმწიფოთა მთავრობებსა და საერთაშორისო სააგენტოებს, მოეხდინათ ძალების მობილიზაცია სქესის ნიშნით ბავშვთა შერჩევის წინააღმდეგ საბრძოლველად ამის დამადასტურებელი ფაქტების მიზანმიმართული კვლევებისა და პოლიტიკური რეაგირების მეშვეობით (ევროსაბჭო, 2011 წ.). წარმოდგენილი ანგარიში საქართველოში არსებული მდგომარეობის პირველი მიზანმიმართული კვლევაა და იგი მიზნად ისახავს დაბადებისას სქესთა შორის შესაძლო დისბალანსის დამადასტურებელი ფაქტების სიღრმისეული განხილვის უზრუნველყოფას. იგი ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს, დაწყებული უკვე არსებული სოციალურ-ეკონომიკური და ანთროპოლოგიური კვლევებით და დამთავრებული უკანასკნელი სტატისტიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. კერძოდ, იგი იყენებს მონაცემებს, რომლებიც შეგროვდა საქართველოში 2014 წლის დასაწყისში წარმოებული მთელი რიგი ხარისხობრივი კვლევების შედეგად, და ასევე თავდაპირველ მიკრომონაცემებს საქართველოს სტატისტიკის სამსახურიდან.

საერთაშორისო მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა ეხმარება სქესის პრენატალური შერჩევის საკითხის გაშუქებას გლობალურ პერსპექტივაში. ბოლო 25 წლის განმავლობაში აზიისა და აღმოსავლეთი ევროპის ბევრ ქვეყაში აღინიშნება მამრობითი სქესის ბავშვთა წილის მატება, რაც ძირითადად გამოწვეულია სქესის შერჩევის მიზნით გაკეთებული აბორტების მზარდი რაოდენობით. ამის ყველაზე თვალსაჩინო დასტურია დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის ზრდა 105-დან 110-120-მდე (მამრობითი სქესის ბავშვების რაოდენობა მდედრობითი სქესის 100 ბავშვზე). ამ ქვეყნებიდან მიღებული მონაცემები იმის მანიშნებელია, რომ სქესის ნიშნით შერჩევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე რამდენიმე ფაქტორი არსებობს. კერძოდ, ეს წინაპირობები მოიცავს ოჯახების მიერ ვაჟებისთვის აშკარა უპირატესობის

მინიჭებას, ასევე სქესის შერჩევის თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას და შობადობის დაბალი დონით განპირობებულ ზეწოლას.

დოკუმენტურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა მსგავსია იმ ქვეყნებში არსებული სიტუაციისა, სადაც დამკვიდრებულია სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკა. საქართველოში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის (SRB) მაღალი მაჩვენებელი 1990-იანი წლებიდან შეინიშნება. ქართულ საზოგადოებაში ფარული უპირატესობა ყოველთვის ვაჟებს ენიჭებოდა, რაც ძირითადად განპირობებულია მამაკაცი მემკვიდრის საჭიროებით. ვაჟიშვილის ყოლის დაუინებელი სურვილი მჭიდროდ უკავშირდება ქვეყანაში გაბატონებულ პატრილინეარულ სისტემას, ვაჟების როლს ხანდაზმულთა მოვლა-პატრონობაში და გვარის გაგრძელების მოთხოვნას. სიღრმისეული დემოგრაფიული ანალიზი აჩვენებს, რომ პატრილოკალური თანაცხოვრება, მართლაც, ქვეყნის ოჯახური სისტემის ტიპურ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. შობადობის მდგომარეობის დამატებითი ანალიზი, რომელიც ეფუძნება მოსახლეობის აღწერის კლასიფიცირებულ მონაცემებს, ასევე აჩვენებს, რომ ვაჟიშვილის არყოლა მნიშვნელოვნად ზრდის შემდგომ შობადობას. მაგალითად, ჩვენ ვხედავთ, რომ მოსახლეობის მესამედი მესამე შვილს მხოლოდ ვაჟის შექმნის სურვილით აჩენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული ოჯახები რეპროდუქციულ სტრატეგიებს ვაჟიშვილის შექმნის მიზნით არეგულირებენ. აღნიშნული ფაქტი ალბათ უკეთ ადასტურებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ საზოგადოებაში ვაჟიშვილის ყოლას, ვიდრე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვაჟიშვილის ფარული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას წყვილები ახერხებდნენ შობადობის მოქნილი რეჟიმის მეშვეობით, როდესაც შვილებს ვაჟის შექმნამდე აჩენდნენ. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შობადობის დონე ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა (1.5 ბავშვი ერთ ქალზე). ამას, თავის მხრივ, შედეგად მოჰყვა ისიც, რომ სულ უფრო მეტმა წყვილმა დაიწყო შობადობის კონტროლის საშუალებების და მათ შორის აბორტის გამოყენება, რომელიც არასასურველი ბავშვის მოცილების ყველაზე გავრცელებული მეთოდი იყო ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან. გარდამავალი პერიოდის დაწყებამ დააჩქარა კლინიკებისა და საავადმყოფოების მოდერნიზების პროცესი და 1991 წლიდან თანამედროვე ტექნიკის საზღვარგარეთიდან

შემოტანამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქვეყანაში რეპროდუქციული მომსახურების ხარისხი. კერძოდ, სქესის პრენატალური დიაგნოსტიკა ჩვეულებრივ პროცედურად იქცა, რომელსაც კერძო სამედიცინო დაწესებულებები ორსულ დედებს სთავაზობდნენ. ქვეყნის ისტორიაში პირველად ულტრაბგერითი გამოკვლევისა და აბორტის ხელმისაწვდომობამ შესაძლებელი გახადა სქესის პრენატალური შერჩევა და საქართველოში წყვილებს თავიანთი ოჯახების ზომის შემცირებისა და გენდერული შემადგენლობის შერჩევის შესაძლებლობა მისცა.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია სქესთა შორის დისბალანსთან დაკავშირებულ დემოგრაფიულ მონაცემთა მიზანმიმართული მიმოხილვა. ეს მოითხოვს სტატისტიკურ წყაროთა ხასიათისა და ხარისხის წინასწარ განხილვას, განსაკუთრებით იმ სანდო წყაროთა შეზღუდული რაოდენობის გათვალისწინებით, რომლებიც ხელმისაწვდომია სქესთა შორის დისბალანსის კვლევისთვის. ერთადერთი ამომწურავი წყარო მოსახლეობის აღწერის 12 წლის წინანდელი მონაცემებია, რომლებიც ნათელს ჰყვენს 2002 წლამდე პერიოდს. დაბადების აქტების რეგისტრაციის სისტემა საგრძობლად გაუარესდა 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან და ეს მონაცემები ხელმისაწვდომი და საკმაოდ კარგი ხარისხის მხოლოდ 2005 წლიდან გახდა. ცალკეული დემოგრაფიული კვლევები ეფუძნება მეტისმეტად მცირე ზომის შერჩევის ნიმუშებს იმისათვის, რომ სარწმუნო წყაროდ მივიჩნიოთ მამრობითი სქესის ბავშვთა მაღალი შობადობის შესაფასებლად. სანდო დემოგრაფიული აქტების ჩანაწერთა არარსებობა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, რომლის გამოც დაბადებისას სქესთა შორის არსებული დისბალანსის შესახებ ზუსტი ინფორმაცია დაგვიანებით მიიღება.

დემოგრაფიულ წყაროთა შეკრებისა და განხილვის შედეგად აშკარად შეინიშნება დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დარღვევის ზრდა 1990-იანი წლების დასაწყისიდან. აღნიშნული ზრდა ზუსტად ემთხვევა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდს და შობადობის დონის მომდევნო ვარდნასა და სქესის პრენატალური შერჩევის თანამედროვე საშუალებათა გამოჩენას. ბევრი წყვილი მიმართავდა შერჩევის მეთოდით შობადობის შემცირების პრაქტიკას იმ მიზნით, რომ შემცირებინა მშობიარობების რაოდენობა ვაჟის გაჩენის შესაძლებლობისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი თანდათანობით გაიზარდა 1990 წელს დაფიქსირებული ბიოლოგიური დონიდან და 21-ე საუკუნის დასაწყისში შეადგინა მამრობითი სქესის 112-114 ბავშვი მდედრობითი სქესის 100 ბავშვზე.

დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი რამდენიმე წლის განმავლობაში უცვლელი რჩებოდა, მაგრამ შემდგომში, როგორც ჩანს, კლება დაიწყო. ბოლო მონაცემთა მიხედვით, ამჟამად იგი 110-ზე დაბალია (მამრობითი სქესის 110 ბავშვი მდედრობითი სქესის 100 ბავშვზე). მოცემული დონე გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე აზერბაიჯანსა და სომხეთში, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, გაგრძელდება აღნიშნული კლების ტენდენცია თუ არა.

სქესთა შორის არსებული დისბალანსის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი მახასიათებელი მისი კავშირი შვილოსნობათა რაოდენობასთან. პირველი და მეორე შვილის შემთხვევაში სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი სულ ოდნავ აღემატება ნორმალურ დონეს. შემდგომი შობადობა კი დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დარღვევით ხასიათდება, რაც ხშირად 140-ს აღწევს (140 ვაჟი ყოველ 100 გოგონაზე). ჩვეულებრივ, ორჯერ ზედიზედ გოგონას გაჩენის შემდეგ მშობლებს სურთ მესამე შვილის გაჩენა და სქესის შერჩევის მეთოდს მიმართავენ. ბოლო მონაცემთა თანახმად, პირველი და მეორე ბავშვის დაბადება ასევე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დაბადებისას სქესთა შორის საერთო დისბალანსს. სქესთა თანაფარდობის დამატებითმა ანალიზმა ასევე გამოაშკარავა რამდენიმე განსხვავება სოციალური კლასების, რეგიონების, ეთნიკური ჯგუფების მიხედვით და ასევე ქალაქად და სოფლად. თბილისსა და განათლების უფრო მაღალი დონის მქონე რეგიონებს ეს პრობლემა ნაკლებად ეხება, ვიდრე სოფლად და დამკვიდრებული ტრადიციების მქონე რეგიონებში, სადაც ოჯახის შემადგენლობაში ვაჟიშვილის ყოლა კრიტიკულ ელემენტს წარმოადგენს. მამრობითი სქესის ბავშვთა მაღალი შობადობა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ფაქტთან, რომ დღეს ვაჟებს უფრო დიდ უპირატესობას ანიჭებენ, ვიდრე ადრე. ამასთანავე, ქვეყანაში არ არსებობს მოსახლეობის ისეთი ჯგუფი, რომელიც პრენატალური გენდერული დისკრიმინაციისგან სრულიად თავისუფალი იქნებოდა.

2014 წელს ჩატარებული დიდი მოცულობის ხარისხობრივი კვლევები ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭებასთან დაკავშირებული დამოკიდებულებებისა და ქცევის შესახებ ინფორმაციის პირველი ყოვლისმომცველი წყარო გახდა. კვლევები გვიჩვენებს, რომ საქართველოს მოქალაქეები ნაკლებად ინფორმირებულები არიან დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის არსებობისა და მისი მასშტაბის შესახებ. ამასთანავე, კვლევები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართული საზოგადოების დიდ სეგმენტებში კვლავაც

იგრძნობა ვაჟების ყოლის მოთხოვნილება. ამ კვლევებში მონაწილე პირები ასევე განმარტავენ, თუ როგორ ცდილობენ ოჯახები ვაჟიშვილის ყოლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ოჯახის ზომის ზედმეტად გაზრდის გარეშე. როგორც მოსალოდნელია, შერჩევითი აბორტი გოგონების გაჩენის შემდეგ ძირითადი საშუალებაა ბიოლოგიური შემთხვევითობის გამოსარიცხად. ვაჟების მაღალ შობადობაზე სქესის შერჩევის რომელიმე სხვა ძველი თუ თანამედროვე მეთოდი რამდენადმე სერიოზულ ზეგავლენას არ ახდენს. თუმცა აღნიშნული ვითარება შესაძლოა შეიცვალოს, როდესაც ახალი ტექნოლოგიები გახდება ხელმისაწვდომი. სქესისადმი აღნიშნულ მიდგომას ხშირად ქართული (ან კავკასიური) მენტალიტეტის ნაწილად მიიჩნევენ. დამკვიდრებული წეს-ჩვეულებები და პატრიარქალური ნორმები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს წყვილებზე, გააჩინონ ვაჟი. თუმცა, ოჯახური ტრადიციების გარდა, ვაჟიშვილის მოთხოვნილება დღეს გამყარებულია იმ ფაქტითაც, რომ ოჯახს უდიდესი როლი ენიჭება: გარდამავალ პერიოდში ოჯახის ინსტიტუტი მნიშვნელოვანი ბუფერის როლს ასრულებდა, რომელმაც შესაძლებელი გახადა რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციასთან გამკლავება. ბევრი ოჯახისთვის ვაჟიშვილის არყოლა შესაძლოა წარმოადგენდეს მნიშვნელოვან ფაქტორს, რაც მათ უფრო დაუცველს ხდის ისეთი სახის სოციალურ-ეკონომიკური რყევების წინაშე, რომლებიც ქვეყანაში მრავალმა ოჯახმა განიცადა გასული 20 წლის განმავლობაში.

გარდა იმისა, რომ სქესის პრენატალური შერჩევა წარმოადგენს გენდერული დისკრიმინაციის რადიკალურ სტრატეგიას, მომავალში იგი ასევე გამოიწვევს მოსახლეობის დისბალანსს. ბოლო ათი წლის მანძილზე დაფიქსირებული ტენდენცია შესაძლოა სამომავლო გათვლისთვის იყოს გამოყენებული, რაც ნათელს მოჰფენს ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის ამჟამინდელი დისბალანსის გრძელვადიან შედეგს. ამისათვის ერთმანეთს შედარდა განსხვავებული დემოგრაფიული სცენარის ვარიანტები (დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსით ან მის გარეშე) და მათი შედეგები 2050 წლამდე. დემოგრაფიული სიმულაციების მეშვეობით ხდება დაბადებისას სქესთა შორის დარღვეული თანაფარდობის მომავალში მზარდი შედეგების შეფასება და ეს სიმულაციები მიუთითებს, კერძოდ, „გამქრალი გოგონების“ და „გამქრალი ზრდასრული ქალების“ მზარდ რიცხოვნობაზე. მართალია, ყველა შესაძლო დემოგრაფიული ცვლილების გათვალისწინება რთულია, მაგრამ დაბადებისას სქესთა

თანაფარდობის სცენარების შედეგად მიიღება საკმაოდ განსხვავებული შედეგები ზრდასრულ მოსახლეობაში სქესთა შორის დისბალანსის თვალსაზრისით - სქესთა თანაფარდობაში ახალგაზრდა მამაკაცთა პოტენციური ჭარბი წილით, რისი დაძლევაც მხოლოდ საერთაშორისო მიგრაციის ხარჯზე იქნება შესაძლებელი.

წინამდებარე ანგარიში გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საკითხთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოებაში დისკუსიის დაწყების საშუალებას წარმოადგენს. იგი საქართველოში სქესის შერჩევის პრაქტიკის არსებობასთან დაკავშირებული ხანგრძლივი დავის პირველი მიზანმიმართული კვლევაა, რომლის შედეგადაც შესაძლებელი იქნება ქვეყანაში ამ ფენომენის მასშტაბისა და მისი სახესხვაობების სათანადო შეფასება. დიდია იმის ალბათობა, რომ ცვლილების უმთავრესი წყარო იქნება კულტურული მიდგომების შეცვლა, რასაც შედეგად მოჰყვება ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭების ტენდენციის კლება. რაც უფრო სწრაფად მოხდება აღნიშნული ტრანსფორმაციები გენდერულ დამოკიდებულებებში, მით უფრო მცირე იქნება დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის საერთო შედეგები საქართველოს დემოგრაფიული სტრუქტურებისთვის მომავალში.

ანგარიშის დასკვნით ნაწილში მოყვანილია მთელი რიგი რეკომენდაციებისა, სადაც რამდენიმე საკითხზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული. ეს საკითხებია: ქვეყნის მასშტაბით ვაჟების მაღალი შობადობის ტენდენციის დემოგრაფიული მონიტორინგის საჭიროება, ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭების ცვალებადი კონტექსტის გასაგებად მეტი კვლევების განხორციელება, წინამდებარე კვლევის შედეგების ფართო საზოგადოებაში გავრცელება არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით და ქვეყანაში გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავების მიზნით მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების დაწყების აუცილებლობა.

შესავალი

წარმოდგენილი ანგარიში იკვლევს დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის არსებობას საქართველოში და ამის მთავარ მიზეზებსა და შედეგებს. აღნიშნული კვლევა განხორციელდა მრავალი სხვადასხვა წყაროს საფუძველზე და დაიწყო 2014 წლის ივნისში თბილისში ჩემი ვიზიტის დროს გამართული დისკუსიებით, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო გადაწყვეტილებების მიმღებმა მრავალმა პირმა: ჯანდაცვისა და გენდერული საკითხების სპეციალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, სტატისტიკოსებმა და სოციალოგებმა. ამავე დროს, ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, გავცნობოდით დოკუმენტურ წყაროებსა და არსებულ სამეცნიერო კვლევებს. მაგრამ თავდაპირველი დასკვნების უმეტესობა გაკეთდა იმ პირველადი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც უბრუნველყო „საქსტატმა“ და დიდი მოცულობის ხარისხობრივმა კვლევამ, რომელიც 2014 წელს განხორციელდა საქართველოში მსოფლიო ბანკისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლობის მხარდაჭერით.

ანგარიში დაყოფილია თავებად, რომლებსაც აქ მოკლედ მიმოვიხილავთ. იგი იწყება თავით, რომელშიც აღწერილია დაბადებისას სქესთა თანაფარდობაში არსებული განსხვავებების გამოსაკვლევად გამოყენებული ძირითადი საშუალებები. იგი ასევე განიხილავს მიმდინარე გლობალურ მდგომარეობას, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორების არსებობაზე და ასევე ზოგიერთ ტიპურ ნიშანზე. ამ თავის დასკვნით ნაწილში მიმოხილულია ის მთავარი ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია სქესის პრენატალურ შერჩევასთან ქვეყნებში, სადაც ეს მოვლენა აღინიშნება, და წარმოდგენილია ძირითადი განმარტებითი ბაზა, რომელიც ფართოდ გამოიყენება ჩვენს მიერ განხორციელებულ ანალიზში. მეორე თავში დაწვრილებით არის აღწერილი როგორც ჩვენი კვლევის ამოცანები, ასევე ჩვენი მეთოდოლოგიები. მასში წარმოდგენილია ჩვენს მიერ გამოყენებული წყაროები, მათ შორის დემოგრაფიული სტატისტიკა, რომელსაც ვეყრდნობოდით საქართველოში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ამჟამად არსებული მაჩვენებლის და მასთან დაკავშირებული სოციალური და დემოგრაფიული განსხვავებების შესაფასებლად. აღნიშნულ თავში უფრო ვრცლად არის განხილული დაბადების რეგისტრაციის ხარისხის საკითხი.

მესამე თავში თავმოყრილია კონტექსტთან დაკავშირებული ელემენტები იმ ძირითადი პირობების გამოკვეთის მიზნით, რომლებიც სავარაუდოდ საფუძველად დაედო საქართველოში მამრობითი სქესის ბავშვებისათვის უპირატესობის მინიჭებას და პრენატალური მიკერძობის ჩამოყალიბებას. განხილულია როგორც სოციალურ-დემოგრაფიული ცვლილებები, ასევე ადგილობრივ გენდერულ სისტემასთან დაკავშირებული კულტურული ფაქტორებიც. მეოთხე თავში ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით უფრო დაწვრილებით არის შესწავლილი ქვეყანაში ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭების მნიშვნელოვანი ფენომენი. საქართველოში ოჯახური სისტემების მთავარი მახასიათებლების ანალიზთან ერთად მოყვანილია 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებიდან მოპოვებული შედეგები, რომლებიც აჩვენებს, თუ რაოდენ დიდ ზეგავლენას ახდენს გენდერული ფაქტორი წყვილთა რეპროდუქციულ სტრატეგიაზე საქართველოში.

მეხუთე თავში მოცემულია საქართველოში 1990-იანი წლებიდან მამრობითი სქესის ბავშვების მაღალი შობადობის ტენდენციის უფრო მიზანმიმართული ანალიზი. აქ გამოყენებული გვაქვს მოსახლეობის აღწერის, კვლევისა და რეგისტრაციის ერთობლივი მონაცემები და ვცდილობთ ამ მონაცემებით ასახული ზოგიერთი წინააღმდეგობრივი ტენდენციის შეჯერებას. სქესთა შორის დარღვეული ბალანსის ძალზე მაღალი მაჩვენებლის არსებობის დადგენის შემდეგ გამოვყოფთ მის მთავარ მახასიათებლებს და ყურადღებას ვამახვილებთ ეთნიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და რეგიონულ განსხვავებებზე. შვილოსნობათა რაოდენობის მიხედვით სქესთა შორის დარღვეული ბალანსის მონაცემები ქართულ ოჯახებში მოქმედი მექანიზმების შესახებ უფრო ბუსტ წარმოდგენას ქმნის. შემდეგი, მეექვსე თავი, მთლიანად ეფუძნება 2014 წლის დასაწყისში განხორციელებულ ხარისხობრივ კვლევებს, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყანაში ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭების ძირითად სოციალურ და კულტურულ ასპექტებს. და იმ ფონზე, როდესაც სქესის შერჩევის მიზნით აბორტების პრაქტიკა იშვიათად წარმოადგენს თავისუფალი განხილვის საგანს, ცალკეული ინტერვიუები და ჯგუფური განხილვები უბრუნველყოფს საუკეთესო მასალას იმ ლოგიკის გასაგებად, რომელიც სინამდვილეში საფუძველად უდევს ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭებას და სქესის შერჩევას.

მეშვიდე თავში განხილულია არსებული ვითარების ზოგიერთი სამომავლო შედეგი. ეს თავი იწყება ნაწილით, რომელშიც საუბარია ხანგრძლივ, თითქმის 20 წლის, დუმილზე ამ ფენომენის გარშემო

საქართველოში, რომლის შედეგია ამჟამინდელი მდგომარეობის დამახასიათებელი ცნობიერებისა და მზაობის დაბალი დონე. ამ თავის მომდევნო ნაწილში წარმოდგენილია დოკუმენტური მონაცემები ქალთა ნაკლებობის გარდაუვალი დემოგრაფიული შედეგების შესახებ. მიგრაციასა და დაბალ შობადობას შორის ურთიერთქმედება ხელს უწყობს კომპლექსური სცენარის განვითარებას, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება აღმოსავლეთი ან სამხრეთი აზიის ქვეყნებზე დაყრდნობით პროგნოზირებული სცენარისგან.

ბოლო თავში ყურადღება გამახვილებულია ჩვენს მიერ განხორციელებული ანალიზის ზოგიერთ პრინციპულ შედეგზე. სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩვენ ასევე ჩამოვყალიბეთ რამდენიმე რეკომენდაცია სამომავლო მოქმედებისთვის.

1. სქესის პრენატალური შერჩევა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები

მოსახლეობის სქესის მიხედვით გადანაწილება იშვიათად იწვევს დიდ შეშფოთებას და ძირითადად ითვლება, რომ მას სოციალური განსხვავებულობის ბიოლოგიური ფენომენი მართავს. ერთი მხრივ, უფრო მეტი ბიჭი იბადება, ვიდრე გოგონა. მიუხედავად მსოფლიოში არსებული განსხვავებებისა, ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობა (SRB მაჩვენებელი - დაბადებულ ვაჟთა რაოდენობა 100 დაბადებულ გოგონაზე) დაახლოებით შეადგენს მამრობითი სქესის 105 დაბადებულ ბავშვს მდედრობითი სქესის 100 დაბადებულ ბავშვზე და მერყეობს მხოლოდ 103-106 ვიწრო დიაპაზონში. ისეთ განსხვავებულ ქვეყნებში, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ბრაზილია, საფრანგეთი, რუსეთის ფედერაცია და იაპონია, 2011-12 წლებში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი 104.7- 105.8 ფარგლებში მერყეობდა. მეორე მხრივ, ქალები დაბადებიდან გადარჩენის უკეთესი პირობებით სარგებლობენ. იმ ქვეყნების გამოკლებით, სადაც დედათა სიკვდილიანობა მაღალია, მამაკაცთა სიკვდილიანობის კოეფიციენტები სისტემატურად უფრო მაღალია, ვიდრე ქალთა. ამ ორი პროცესის ერთობლიობას შედეგად მოჰყვება სქესთა თანაფარდობის თანდათანობით კლება და ეს მაჩვენებელი 105-დან 100-ზე დაბალ დონეებამდე ეცემა უფროსი ასაკის ჯგუფებში. სქესთა თანაფარდობა იცვლება ხანდაზმულობის ასაკში სიკვდილიანობის ზრდასთან ერთად და ხანდაზმულთა შორის ძირითადად ქალების წილი დომინირებს. გასული საუკუნის შემდეგ ადამიანის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის სწრაფმა პროგრესირებამ გამოიწვია მოსახლეობაში ქალთა საერთო წილის თანდათანობით მატება სწორედ ქალთა გადარჩენისუნარიანობის გამო. მართლაც, ზემოთ ნახსენები ხუთი ქვეყნის მოსახლეობაში უმეტესობა ქალები არიან. ჩინეთსა და ინდოეთში დემოგრაფიული დისბალანსი რომ არ იყოს დაფიქსირებული, მსოფლიოს მოსახლეობა უპირატესად ქალებისგან იქნებოდა შემდგარი.

სქესის ნიშნით მოსახლეობის გადანაწილებაზე ძალიან მცირე რაოდენობის არაბიოლოგიური ფაქტორები მოქმედებს. ჩვენ უკვე ვახსენეთ, რომ სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მზარდი ფაქტორი გავლენას ახდენს ზრდასრულ ქალთა წილის მატებაზე. აღმოსავლეთი ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მნიშვნელოვანი უთანაბრობა არსებობდა სიკვდილიანობის მაჩვენებელში და

დისბალანსი ძალიან სწრაფად იზრდებოდა. ამ მხრივ რუსეთის ფედერაცია კარგი მაგალითია: სქესთა საერთო თანაფარდობამ მიაღწია 86 მამაკაცს 100 ქალზე, 50-ზე დაბალი მაჩვენებლით 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობაში.¹ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს სქესობრივი ნიშნით მოსახლეობის გადანაწილება, არის მიგრაცია, ვინაიდან სხვადასხვა მიგრაციულ ნაკადში ხშირად მამაკაცები ან ქალები დომინირებენ, მაგრამ ამგვარი დისპროპორცია შემოიფარგლება სპეციფიკური ადგილებით ან ასაკობრივი ჯგუფებით, რომლებზეც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს გეოგრაფიული მობილურობის ფაქტორი.

სქესთა თანაფარდობა იშვიათად ყოფილა სიღრმისეული დემოგრაფიული ანალიზის საგანი, მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა, როდესაც 1990-იან წლებში ნობელის პრემიის ლაურეატმა ამარტია სენმა დაგმო ქალთა ჭარბი სიკვდილიანობა და, შესაბამისად, „გამქრალ ქალთა“ რიცხოვნობა ბევრ აზიურ ქვეყანაში (სენი, 1990 წ.). რამდენიმე წლის შემდეგ დემოგრაფებმა დაიწყეს იმის შემჩნევა, რომ ჭარბი სიკვდილიანობის გარდა, ქალები ჯერ კიდევ დაბადებამდე განიცდიდნენ დისკრიმინაციას ბევრად უფრო ვერაგული ფორმით, რასაც ადგილი ჰქონდა სამხრეთი და აღმოსავლეთი აზიის რამდენიმე ქვეყანაში. დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის ზრდა სრულიად ახალი მოვლენა იყო მოსახლეობაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ფაქტობრივად ეს ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ამ ფაქტის გამოვლენასა და დადასტურებას აზიაში წლები დასჭირდა. ბევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოში, დაბადებისას სქესთა თანაფარდობაში დისპროპორცია კვლავაც საკამათო საკითხად რჩება და ხშირად ამას სანდო მონაცემებისა და დოკუმენტური მაჩვენებლების არარსებობას მიაწერენ. მაგრამ ვიდრე სხვა საკითხზე გადავალთ, მიზანშეწონილია, უფრო დაწვრილებითი განვიხილოთ სქესთა შორის დისბალანსის საკითხი.

1.1 ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსი დღევანდელ დღეს: საერთაშორისო მდგომარეობა

სქესთა თანაფარდობის და სქესთა დისბალანსის ანალიზი მოითხოვს ზოგიერთი კონცეფციისა და პროცესის ცოდნას, რომლებიც თავიდანვე უნდა

¹ რუსეთში სქესის მიხედვით სიკვდილიანობის შესახებ იხ. გჟონკა და სხვები (2005 წ.).

იქნეს განხილული.² როგორც წინა ქვეთავში აღვნიშნეთ, არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოსახლეობის სქესის მიხედვით განაწილებაზე, ჩასახვიდან სიკვდილამდე. ზოგიერთი ფაქტორი მკაცრად ბიოლოგიური ხასიათისაა, მაშინ, როდესაც სხვებს სოციალური და ეკონომიკური გარემო განაპირობებს.

1.1.1 ბიოლოგიური ფაქტორები სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციასთან მიმართებაში

ბიოლოგიური ფაქტორები გენდერული ნიშნით დისკრიმინაციასთან საერთოდ არ არის დაკავშირებული, მაგრამ ისინი მოქმედებს დაბადებისას სქესთა თანაფარდობაზე. მაგალითად, ვაჟების შობადობის მაჩვენებელი ჩვეულებრივ უახლოვდება 105 დაბადებულ ვაჟს 100 დაბადებულ გოგონაზე. ეს მაჩვენებელი ვარირებს 103-დან 106-მდე, ქვეყნების მიხედვით. ყველა ხელმისაწვდომი შეფასება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სქესთა ბუნებრივი თანაფარდობა მხოლოდ შეზღუდულ მერყეობას განიცდის. ამასთან, თუ გოგონების მიმართ პირდაპირ დისკრიმინაციას არა აქვს ადგილი, ბიჭებში სიკვდილიანობის დონე ყოველთვის უფრო მაღალია და მამაკაცთა თავდაპირველად მაღალი წილი ასაკთან ერთად კლებულობს. მიგრაცია და, ზოგიერთ იშვიათ შემთხვევებში, აღწერისას დაურეგისტრირებლობით გამოწვეული სქესთა შორის სხვაობა გავლენას ახდენს მოსახლეობის სქესობრივი ნიშნით განაწილებაზე, რასაც ზოგჯერ შედეგად მოჰყვება სქესთა თანაფარდობის დაფიქსირებული მაჩვენებლების კომპლექსური სურათის ჩამოყალიბება.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა ფაქტორმა, რომელიც უშუალოდ დისკრიმინაციულ პრაქტიკასთან არის დაკავშირებული, შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობაში მამაკაცთა წილის მკვეთრი ზრდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სიკვდილიანობის მაჩვენებელში ქალთა წილი სჭარბობს და არსებობს ბევრი ქვეყანა, სადაც, ბიოლოგიური მოდელის საწინააღმდეგოდ, ბიჭები უფრო დიდი გადარჩენისუნარიანობით ხასიათდებიან, ვიდრე გოგონები (შახნაზარიანი, 1988 წ.; ვალდრონი, 1998 წ.; გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2011 წ.). ჭარბი სიკვდილიანობა შეიძლება გამოწვეული იყოს მდებარეობითი სქესის ჩვილების მოკვდინებით ან ნაკლებად შესამჩნევი

ფორმით მდებარეობითი სქესის ჩვილებისა და ბავშვების მიმართ გულგრილობით, რაც ვლინდება მოვლისა თუ კვების დროს მათ დისკრიმინაციაში. ამას ეწოდება დისკრიმინაციის “ტრადიციული” ფორმები. მაგრამ დისკრიმინაციული პრაქტიკა სწრაფად ვითარდებოდა ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე და დღეს ძირითადად წარმოდგენილია არდაბადებული გოგონების მიმართ პრენატალური დისკრიმინაციის სახით. დისკრიმინაციის ამ ფორმის მთავარი საშუალებაა აბორტი, როდესაც მშობლებს საშუალება აქვთ, წინასწარ განსაზღვრონ თავიანთი ბავშვის სქესი. ეს უკანასკნელი ცვლილება მოხდა 1980-იან წლებში სქესის პრენატალური დიაგნოსტიკის (ამნიოცენტეზისა და ულტრაბგერითი ექოგრაფიის მეშვეობით) განვითარების შედეგად, რამაც შესაძლებელი გახდა ბავშვის სქესის დადგენა ორსულობის მე-12-მე-14 კვირებში. აბორტთან ერთად, პრენატალურ დიაგნოსტიკას შეიძლება შედეგად მოჰყვეს სქესის შერჩევის მიზნით აბორტების პრაქტიკის დამკვიდრება, როდესაც მშობლებს სურთ ბავშვის დაბადების თავიდან აცილება ნაყოფის სქესის საფუძველზე. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ აზიაში მილიონობით ოჯახმა ისარგებლა ტექნიკური პროგრესის ამ მიღწევებით არასასურველი მდებარეობითი სქესის ნაყოფის მოსაცილებლად.

დღეს უკვე გაჩნდა ისეთი ახალი მეთოდები, როგორცაა ემბრიონის სისხლის ანალიზი, რომელიც შესაძლებელს ხდის ნაყოფის სქესის წინასწარ დადგენას ორსულობის რვა კვირაზე ნაკლებ ვადაში. უფრო მეტი მაღალტექნოლოგიური მეთოდები ეფუძნება ბავშვის ჩასახვამდე სქესის შერჩევას. ასეთ მეთოდებს განეკუთვნება წინასაიმპლანტაციო გენეტიკური დიაგნოსტიკა (PGD). მაგრამ ეს ძვირადღირებული პროცედურებია, რომლებიც მსოფლიოში უშვილობის სამკურნალო სულ რამდენიმე კლინიკაში ტარდება.

1.1.2 გავლენა სქესთა თანაფარდობაზე

შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ პრენატალური დისკრიმინაციული ქცევა ზეგავლენას ახდენს ბავშვების დაბადებისას სქესთა თანაფარდობაზე. მაგალითად, თუ ვივარაუდებთ, რომ ამა თუ იმ კონკრეტული მოსახლეობის 2% უარს ამბობს გოგონების გაჩენაზე და უნდა მხოლოდ ბიჭების გაჩენა სქესის შერჩევის გზით, შედეგად მივიღებთ იმას, რომ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დარღვევა გაიზრდება და 100 დაბადებულ გოგონაზე 105-დან 109-მდე დაბადებული ბიჭი იქნება. ეს სიმულაცია აჩვენებს, რომ სულ რამდენიმე წყვილია საკმარისი იმისათვის, რომ საგრძნობი ზეგავლენა იქონიოს ამ დემოგრაფიულ ინდიკატორზე და

² მოცემული ქვეთავი ემყარება გლობალური მასშტაბით სქესის შერჩევასთან დაკავშირებულ კვლევას, რომელიც ბოლო წლებში განხორციელდა (UNFPA, 2012 წ.). იხ. ასევე ატანა და გილმოტო (2007 წ.).

მოსახლეობა იმ კატეგორიაში გადაიყვანოს, რომელშიც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი ძალზე მაღალია.

დაბადებული ბიჭების ჭარბ რიცხოვნობაში ხშირად აღინიშნება განსხვავებები ოჯახების, რეგიონებისა და ეთნიკური ჯგუფების მიხედვით. განსხვავებათა ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა დაბადების რიგითობა ანუ შვილოსნობათა რაოდენობა. სქესთა თანაფარდობა ხშირად ნორმალურია პირველი ერთი ან ორი დაბადებული ბავშვის შემთხვევაში, მაგრამ სწრაფად იზრდება შემდგომში დაბადებული ბავშვების შემთხვევაში. ზოგიერთ მშობელს, რომელსაც ერთი ან ორი ბავშვის დაბადების შემდეგ ვაჟიშვილი არ გაუჩნდა, სქესის შერჩევა აშკარად აძლევს პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას.

დაბადებისას სქესთა თანაფარდობაში რეგიონების მიხედვით სხვაობა ასევე საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. ამასთან, ხშირად აღინიშნება უმნიშვნელო სხვაობები სოფელსა და ქალაქს შორის, ისევე, როგორც რელიგიურ, ეთნიკურ ან სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებს შორის. რიგ შემთხვევებში ამის მიზეზია ზოგადი განსხვავებები ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭებაში, მაგრამ შეიძლება გამოწვეული იყოს ტექნოლოგიების ან სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორების ხელმისაწვდომობით.

1.2 დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის გაზრდა 1980-იანი წლებიდან

მამრობითი სქესის ბავშვების მაღალი შობადობის შესახებ უკანასკნელი პერიოდის მონაცემები ასახავს მსოფლიო მასშტაბით არსებულ მდგომარეობას. ცხრილი 1-ში წარმოდგენილია რამდენიმე ქვეყანა, სადაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დარღვევის მაღალი დონე ფიქსირდება. ცხრილის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსი მხოლოდ აზიურ ქვეყნებში არ აღინიშნება. სქესის პრენატალური შერჩევა უფრო გლობალური მოვლენა აღმოჩნდა, ვიდრე ამას ჩვეულებრივ აღიარებდნენ.

ცხრილი 1: ბავშვების დაბადებისას სქესთა თანაფარდობა სხვადასხვა ქვეყანაში, 2008-2014 წწ.

| ქვეყანა/ რეგიონი | დაბადებისას სქესთა თანაფარ- დობა | პერიოდი | მონაცემთა წყარო |
|---|---|---------|----------------------------|
| აღმოსავლეთი აზია | | | |
| ჩინეთი | 115.9 | 2014 | წლიური შეფასება |
| სამხრეთი კორეა | 105.3 | 2013 | დაბადებისას რეგისტრაცია |
| ვიეტნამი | 112.2 | 2010 | წლიური დემოგრაფიული კვლევა |
| სამხრეთი აზია | | | |
| ინდოეთი | 110.0 | 2011-13 | შერჩევითი რეგისტრაცია |
| სამხრეთ კავკასია | | | |
| აზერბაიჯანი | 115.6 | 2013 | დაბადებისას რეგისტრაცია |
| სომხეთი | 114.0 | 2012-13 | დაბადებისას რეგისტრაცია |
| საქართველო | 111.8 | 2008-12 | დაბადებისას რეგისტრაცია |
| სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა | | | |
| კოსოვო | 110.4 | 2011-13 | დაბადებისას რეგისტრაცია |
| ჩრდილო-დასავლეთი მაკედონია | 110.4 | 2009-13 | დაბადებისას რეგისტრაცია |
| ჩერნოგორია | 109.0 | 2009-13 | დაბადებისას რეგისტრაცია |
| მონაცემები მოპოვებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურებისგან | | | |

თუმცა ბიჭების შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჩინეთშია დაფიქსირებული, რაც განპირობებულია წმინდა დემოგრაფიული სიდიდით

და პრენატალური დისკრიმინაციით. ჩინეთში ბიჭების დაბადების პროპორციის ზრდა 1980-იანი წლების ბოლოს დაიწყო და საუკუნის დასაწყისში 105-დან 120-მდე მიაღწია 100 დაბადებულ გოგონაზე. ასეთ მატებას ხშირად უკავშირებდნენ ოჯახის დაგვეგმვის მკაცრ პოლიტიკას, რომელიც ჩინეთის ბევრ რეგიონში ოჯახებს ერთზე მეტი შვილის გაჩენის შესაძლებლობას არ აძლევს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩინეთში ბავშვების დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი ოდნავ დაეცა და დღეს 100 დაბადებულ გოგონაზე დაახლოებით 118 დაბადებული ბიჭი მოდის. ეს კვლავაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. სხვა რეგიონებში კი, მათ შორის სხვა ტერიტორიებზე, სადაც ჩინური მოსახლეობის წილი დომინირებს (როგორცაა ტაივანი, სინგაპური ან ჰონკონგი), ეს მაჩვენებელი პირიქით, საშუალოზე დაბალია.

მეორე ქვეყანა, სადაც სქესთა თანაფარდობა დარღვეულია, არის ინდოეთი. სქესის პრენატალური შერჩევა პირველად 1980-იან წლებში შემოიღეს, მაგრამ ბიჭების მაღალი შობადობის მაჩვენებელი აქ გაცილებით უფრო ნელა იზრდებოდა, ვიდრე სხვაგან. ეს მაჩვენებელი დღესაც შეადგენს 110-ს, რაც ბევრად ჩამოუვარდება ცხრილი 1-ში ჩამოთვლილი რამდენიმე ქვეყნის მაჩვენებლებს. მაგრამ ინდოეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ორი მიზეზის გამოა. პირველი, აქ დაბადებული ბავშვების რიცხოვნობა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მაჩვენებელს აღემატება და, შესაბამისად, დაბადებული ბიჭების წილიც ჭარბობს. მეორე, ინდოეთში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი ფარავს მნიშვნელოვან რეგიონულ განსხვავებებს: ბევრ რეგიონში სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ჩინეთში.

ვიეტნამში ბიჭების შობადობის ზრდა ბოლო წლებში დაიწყო (მხოლოდ 2003 წლის შემდეგ) და საკმაოდ სწრაფად, ვინაიდან რამდენიმე წლის შემდეგ 112-ს მიაღწია. ცოტა ხნის წინ ბავშვების დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი ასევე გაუარესდა ნეპალში და სავარაუდოდ პაკისტანშიც მაღალია. ყველაზე სიმბოლურ მაგალითად სამხრეთ კორეა რჩება. აქ სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი 113-მდე გაიზარდა 1990-იანი წლების დასაწყისში, მუსტადისევე, როგორც ჩინეთში. სქესთა თანაფარდობასთან დაკავშირებული სტატისტიკა ამ ორ ქვეყანაში თითქმის იდენტური იყო ათწლეულის განმავლობაში. მაგრამ 1990-იანი წლების შუა პერიოდში სამხრეთ კორეაში სქესის შერჩევის მიზნით აბორტების სიხშირე დასტაბილურდა და მოგვიანებით კლება დაიწყო. ანგარიშის მომზადების პერიოდში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი 106-ზე დაბალი იყო. ასეთი სწრაფი ვარდნა სოციალური მდგომარეობის

ცვლილების, მზარდი გენდერული თანასწორობისა და სამხრეთ კორეის მთავრობის მიერ გატარებული სწრაფი პოლიტიკური რეაგირების ღონისძიებათა ერთობლიობამ გამოიწვია. მაგრამ, სამწუხაროდ, ის ფაქტი, რომ პოლიტიკურმა ინიციატივებმა ხელი შეუწყო სამხრეთ კორეაში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის კლებას, კვლავაც არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული.

წინამდებარე ანგარიშისთვის ყველაზე საყურადღებო იყო აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში არსებული მდგომარეობა. ანგარიშის მიზნებისთვის ეს რეგიონი მოიცავს ყველა ყოფილ სოციალისტურ ქვეყანას, ბალტიისპირეთიდან კავკასიამდე. ბევრი მათგანი ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაწილს შეადგენდა ან დამოუკიდებელი სოციალისტური ქვეყნები იყო, როგორც ალბანეთი და ყოფილი იუგოსლავია. ცხრილი 1-ში მოცემული მონაცემებიდან დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალი მაჩვენებლის მქონე ორი კონკრეტული კლასტერი იკვეთება: სამხრეთი კავკასია და დასავლეთი ბალკანეთი. 110-მდე მაჩვენებლები ფიქსირდება სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში და შესაბამისად რიგ ქვეყნებსა თუ რეგიონებს ალბანეთის გარშემო. ალბანეთის მსგავსად, კოსოვო და დასავლეთი მაკედონია ძირითადად დასახლებულია ეთნიკური ალბანელებით. ჩრდილოელი მეზობელი, ჩერნოგორია, ძირითადად სლავებით არის დასახლებული.³ მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური მონაცემები ამ ქვეყნებზე ხშირად არ არის სრულყოფილი, სქესთა შორის დისბალანსი დადასტურებულია მოსახლეობის აღწერის მაჩვენებლებით და სხვა შერჩევითი კვლევის შეფასებებით.

სამხრეთი კავკასიის რეგიონი წარმოადგენს მეორე კლასტერს, რომელშიც დაბადებული ბიჭების ჭარბმა რიცხოვნობამ მოკლე პერიოდში დამოუკიდებლობის შემდეგ ისეთ მაღალ მაჩვენებელს მიაღწია, როგორცაა 115. კერძოდ, ასეთი მდგომარეობა ფიქსირდება აზერბაიჯანსა და სომხეთში, სადაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის წლიური შეფასებები მკაფიოდ მიუთითებს ზრდაზე 1990-იანი წლების პერიოდში, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დასტაბილურდა, თუ ოდნავ არ დაეცა. ამასთანავე, დაბადებული ბიჭების რიცხოვნობის მატება შესამჩნევია მთიანი ყარაბაღის სადავო ტერიტორიაზეც კი. საქართველოშიც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დაფიქსირებული დონე ტიპურია სამხრეთი კავკასიის რეგიონის ქვეყნებისთვის.

3 იხ. მესლე, ვალინი და ბადურაშვილი (2007 წ.) და ბრენერდი (2010 წ.). სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის შესახებ ინფორმაციისთვის იხ. გილმოტო (2010 წ.). ყველაზე ბოლოდროინდელი მიმოხილვისთვის იხ. გილმოტო და ლუტე (2013 წ.).

1.3 სქესის შერჩევის მიზეზები

ქვეყნების უმეტესობაში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალი მაჩვენებლის დადასტურებას დიდი დრო მიაქვს და ბევრი დემოგრაფი და სხვა სოციოლოგები ამტკიცებდნენ, რომ დაბადებული ვაჟების წილის მატება სინამდვილეში არ არსებობდა ან რომ იგი დისკრიმინაციული ქცევით იყო გამოწვეული. ამგვარი ხელოვნურად გაზრდილი სქესთა თანაფარდობის დასაბუთებისთვის შემდეგი არგუმენტები მოჰყავდათ: მონაცემთა უკმარისობა, ნაკლები მონაცემები, დაბადებისას სქესთა უფრო მაღალი ბიოლოგიური თანაფარდობა, ებიდეციების შედეგები, ნაყოფის სიკვდილიანობის შედეგები, გოგონების არასრული რეგისტრაცია, სქესის ნიშნით განსხვავება ასაკის არასწორად მითითების შემთხვევებში, ჩვილთა მოკვდინებით გამოწვეული უხერხულობა, უცხოური პრობაგანდა და სტრესისა და ადგილობრივი პირობების ზეგავლენა ვაჟების მაღალ შობადობაზე. როგორც ჩამონათვალი გვიჩვენებს, არსებობს მრავალი არგუმენტი, რომელიც შეიძლება მოვიყვანოთ იმისათვის, რომ ეჭვქვეშ დავაყენოთ სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკის არსებობა. ამ მიზეზით აიხსნება ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევებში ათ წელზე მეტი დრო დასჭირდა დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის რეალურად არსებობის დამტკიცებას. გამართლებული ეჭვის გარდა, რომელიც არასრული სტატისტიკური მონაცემების გამო წარმოიშვება, სქესის შერჩევის პრაქტიკის უარყოფის ფარული მიზეზი ხშირად დაკავშირებულია არდაბადებული გოგონების მიმართ დისკრიმინაციის გააზრებით გამოწვეულ სირცხვილის გრძობასთან. ვინაიდან სქესის შერჩევის საკითხი დაკავშირებულია გენდერთან და ინტიმურ სფეროსთან, ის შეიძლება ძალზე სენსიტიური და პოლიტიზებული იყოს.

აღნიშნულმა სირთულეებმა ასევე ზეგავლენა იქონია დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელში დაფიქსირებული ზრდის განმარტების მცდელობაზე. სქესის შერჩევას ყოველთვის უდგებოდნენ როგორც იმის დასტურს, რომ რაღაც “არასასურველი ხდება” კონკრეტულ ადგილობრივ კონტექსტებში და არ ცდილობდნენ მისი, როგორც გლობალური ფენომენის, გაგებას. თითოეულ ქვეყანაში ჩნდებოდა ისეთი ადგილობრივი განმარტებები, როგორცაა მზითვის გაძვირება ინდოეთში, ოჯახის დაგვეგვის მკაცრი რეგულაციები ჩინეთში ან კონფუციონიზმის ტრადიციები სამხრეთ კორეაში. კულტურული თვალსაზრისით სქესის შერჩევა უფრო არაპირდაპირი სახით ბრალდება ასევე პატრიარქატს, ოჯახურ ტრადიციებსა და რელიგიურ ცრურწმენებს ან ეკონომიკური პირობების გაუარესებას თუ საბაზრო ეკონომიკას.

ჩვენ უფრო ანალიტიკურ მიდგომას გამოვიყენებთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ იგივე არგუმენტები მოქმედებს ყველა იმ კონტექსტში, სადაც დაბადებული ბიჭების წილი მოულოდნელად გაიზარდა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სქესის შერჩევა, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს ადაპტირებულ ქცევას შთამომავლობის სქესის თანაფარდობით მანიპულირებისთვის. და მეორე, იგი წარმოადგენს რაციონალურ სტრატეგიას, რომელიც პასუხობს მემკვიდრეობით მიღებულ კულტურულ შეზღუდვებს, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და სპეციფიკურ დემოგრაფიულ გარემოებებს. სქესის შერჩევა არქაული პრაქტიკა კი არ არის, არამედ თანამედროვე რეპროდუქციული ქცევაა გენდერული მიზნების მისაღწევად. სქესის შერჩევის პრაქტიკის თითქმის ერთდროულად განვითარება ისეთი განსხვავებული პოლიტიკური სისტემების, რელიგიური ტრადიციებისა და ეკონომიკური პირობების მქონე ქვეყნებში, როგორცაა ინდოეთი, სამხრეთ კორეა ან ალბანეთი, მოითხოვს ყურადღების გამახვილებას საერთო სოციალურ და დემოგრაფიულ მახასიათებლებზე, რათა შესაძლებელი იყოს ბოლო წლებში მამრობითი სქესის ბავშვების წილში დაფიქსირებული ზრდის ახსნა. ჩვენს მიერ გამოყენებულია სამსაფეხურიანი სქემა,⁴ რომელშიც შესაძლებელია სქესის შერჩევისთვის სამი სპეციალური წინაპირობის გამოყოფა:

1. სქესის შერჩევა შესაძლებელი უნდა იყოს. იგი მოითხოვს მატერიალურად ხელმისაწვდომი და ეფექტიანი ტექნოლოგიების არსებობას იმისათვის, რომ სქესის მიხედვით ბავშვების ბიოლოგიური გადასაწილება შეიცვალოს.
2. სქესის შერჩევა მომგებიანი უნდა იყოს. მშობლები სქესის შერჩევის პრაქტიკას მიმართავენ მხოლოდ მაშინ, როდესაც გარკვეულ სარგებელს ელიან ვაჟებისა და არა გოგონების გაჩენის შედეგად.
3. სქესის შერჩევა აუცილებელი უნდა იყოს. ოჯახებს აღარ აქვთ ვაჟის დაბადების უზრუნველყოფის შესაძლებლობა განმეორებითი ორსულობების შედეგად, როგორც ეს წარსულში ხდებოდა.

აღნიშნული სამი პირობა მარტივი სქემის მეშვეობით შეიძლება გამოიხატებოდეს. მშობლებს უნდა ჰქონდეთ იმის შესაძლებლობა, რომ მიმართონ სქესის შერჩევის პრაქტიკას, მზად უნდა იყვნენ ამის გასაკეთებლად მოსალოდნელი სარგებლის

⁴ სქემა აღებულია ძველად ევროპაში შობადობის დონის კლების ასახვად ანსლი კოულის მიერ შემუშავებული მოდელიდან (1973 წ.). ამ სქემის უფრო დეტალურად გასაცნობად იხ. გილმოტო (2009 წ.).

მიღების მიზნით და იძულებულები უნდა იყვნენ ამგვარად მოიქცნენ სხვა არჩევანის არარსებობის გამო. პირველი წინაპირობა შეესაბამება ძალზე მარტივ მიწოდების ფაქტორს, ვინაიდან ხელშემწყობი ტექნოლოგიის ხელმისაწვდომობა აუცილებელი კომპონენტია სქესის შერჩევის განსახორციელებლად. ამას მოჰყვება ბევრი დამოუკიდებელი პირობა, როგორცაა ხელმისაწვდომი მეთოდების ეფექტიანობა, მათი ღირებულება და მათზე წვდომა და ასევე სამართლებრივი გარემო. მეთოდები სოციალურად მისაღებიც უნდა იყოს, ვინაიდან ზოგიერთმა მეთოდმა, როგორცაა ჩვილების მოკვდინება ან აბორტი, შეიძლება წინააღმდეგობა გამოიწვიოს ეთიკური მოსაზრებების გამო.

მეორე წინაპირობა შეესაბამება მოთხოვნის ფაქტორს (კროლი 2000 წ.; მილერი 2001 წ.). ამა თუ იმ სქესის ბავშვების დაბადება, ადგილობრივი კონტექსტების თანახმად, სხვადასხვა სოციალური, კულტურული, სულიერი ან ეკონომიკური სარგებლის მატარებელია. ჩვეულებრივ, ეს უკავშირდება პრაქტიკულ მოსაზრებებს, როგორცაა ვაჟიშვილის მიერ მშობლების ოჯახის მოვლა-პატრონობა და დაცვა. ეს თანაცხოვრების სისტემაა, როდესაც მშობლები თავიანთ დაქორწინებულ ვაჟიშვილებთან ახლოს რჩებიან. გარდაამისა, ვაჟიშვილები მუშაობენ ოჯახის მფლობელობაში არსებულ მიწაზე ან ჩართულნი არიან საოჯახო ბიზნესში, შემოსავლების ნაწილს მშობლებს უყოფენ და მათ მემკვიდრეობით გადაეცემათ ოჯახის საკუთრება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხვაგან ცხოვრობენ, ვაჟები მაინც განაგრძობენ მშობლების დახმარებას გადარიცხვების მეშვეობით. მატერიალური სარგებლის გარდა, ვაჟიშვილები ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მშობლების გარდაცვალების შემდეგაც, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს მათთვის პატივის მიგებაში სპეციალური რიტუალების ან გვარის გაგრძელების მეშვეობით. ქალიშვილები კი თხოვდებიან, ჩვეულებრივ საცხოვრებლად “სხვა” ოჯახში გადადიან და ქორწინების შემდეგ ქმრის ოჯახს უვლიან.

მესამე წინაპირობა გამომდინარეობს შობადობის სტრატეგიაზე შობადობის დონის კლებით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენიდან. ადამიანები მიმართავენ სქესის შერჩევის პრაქტიკას იმის გამო, რომ მათ კიდევ ერთი გოგონის გაჩენა აღარ სურთ, რისი უზრუნველყოფა მხოლოდ კონტრაცეფციული საშუალებებით შეუძლებელია. შობადობის დაბალი დონე ნიშნავს, რომ მშობლებს აღარ შეუძლიათ იმავე რაოდენობის შვილების რჩენა, როგორც ეს წინა თაობებს შეეძლოთ, და იძულებულნი ხდებიან, თავიდან აიცილონ

ზედმეტი ბავშვის გაჩენა. ეს მოქმედებს როგორც “შებლუდვის ფაქტორი” და აიძულებს მშობლებს, შეარჩიონ ოჯახის მათთვის სასურველი გენდერული შემადგენლობა. თუ სქესის შერჩევის პრაქტიკას არ მიმართეს, იმ მშობლების 24 პროცენტი, რომლებსაც ორი შვილი უკვე ჰყავთ, ვაჟის გარეშე დარჩება. ეს წილი 34 პროცენტამდე იზრდება, როდესაც შობადობა 1.5 ბავშვის მაჩვენებლამდე ეცემა. საქართველოში ეს შობადობის ყველაზე დაბალი დაფიქსირებული დონე იყო მიმდინარე საუკუნის დასაწყისში. წარსულში იმ ქალთა წილი, რომელთაც ვაჟი არ ჰყავდათ, უმნიშვნელო იყო, ვინაიდან ვაჟის შესაძენად მათ განმეორებითი ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შესაძლებლობა გააჩნდათ.⁵

ამ სამი პირობის არსებობა აუცილებელია სქესის პრენატალური შერჩევისთვის. მაგალითად, დასავლეთი ევროპის ქვეყნების უმეტესობაში ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭების პრაქტიკა თითქმის არ არსებობს და სქესის შერჩევა აბრსაა მოკლებული. საპარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში მაღალი შობადობა და ახალი ტექნოლოგიების შეზღუდული ხელმისაწვდომობა ანალოგიურად გამოირიცხავს სქესის პრენატალური შერჩევის აქტიურ პრაქტიკას. თუმცა, როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიაში ამ სამივე პირობის თანხვედრა მოხდა. ქვემოთ უფრო დეტალურად გამოვიკვლევთ, მოქმედებს თუ არა საქართველოში ეს სხვადასხვა ფაქტორი და თუ მოქმედებს, როგორ.

⁵ ერთი ვაჟის დაბადების უზრუნველსაყოფად, საშუალოდ, ორი ორსულობა უნდა მოხდეს.

2. კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია

ანგარიშის ამ ნაწილში მოკლედ გვაქვს წარმოდგენილი კვლევაში დასმული ძირითადი საკითხები. მომდევნო ნაწილებში აღწერილია სქესთა შორის დისბალანსის დემოგრაფიული ანალიზისთვის ხელმისაწვდომი მონაცემები და ის მეთოდოლოგია, რომელიც გამოყენებულია სქესის შერჩევასთან დაკავშირებული მიზნებისა და დამოკიდებულებების ხარისხობრივი კვლევისთვის. ყველაზე დაწვრილებით ინფორმაციის შემცველი ნაწილი ეთმობა დაბადების რეგისტრაციის მაჩვენებლებს და ემყარება ირინა ბადურაშვილის მიერ მომზადებულ ფონური პირობების ანალიზს.

2.1 მიზნები

კვლევაში დასმული პირველი საკითხია საქართველოში დაბადებისას სქესთა შორის დარღვეული თანაფარდობა. საქართველოსთან დაკავშირებით არსებული არაერთგვაროვანი დემოგრაფიული წყაროების გათვალისწინებით დავრწმუნდებით იმაში, რომ ეს მარტივი საკითხი არ არის. საქართველო არის ქვეყანა, სადაც დემოგრაფიულ მონაცემთა საინფორმაციო სისტემამ კომუნისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 1990-იანი წლების დასაწყისში სტატისტიკის ძველმა მეთოდებმა გზა დაუთმო უფრო მოქნილ და გამჭვირვალე სისტემას. მიუხედავად ამისა, რეგისტრაციის ხარისხი და მონაცემთა შეგროვება-დამუშავება შესაძლოა დაბარალდა იმ ცვლილებების შედეგად, რომლებიც ქვეყნის სტატისტიკურმა ორგანიზაციებმა განიცადეს. სამწუხაროდ, სტატისტიკის სფეროში ეს მეტ-ნაკლები ცვლილებების პერიოდი ემთხვევა იმ წლებს, როდესაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი გაიზარდა. ამის შედეგად თითქმის არ გავაჩნია სანდო მონაცემები საქართველოში დაბადებული ბიჭების წილში წლიური ცვლილების დოკუმენტურად აღრიცხვისთვის. საქართველოში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის ზრდისა და მისი სიდიდის დოკუმენტურად აღრიცხვის პირველი მცდელობები ძირითადად განხორციელდება ირინი შეფასების მეთოდებზე დაყრდნობით. ჩვენ დავჭირდება ამ დისკრიმინაციული პრაქტიკის არასტატისტიკური დადასტურება, რაც ჯგუფური დისკუსიებისა და სიღრმისეული ინტერვიუების შინაარსის გაანალიზებით მიიღწევა.

კვლევაში წამოჭრილი მეორე საკითხი პირველიდან გამომდინარეობს. დაბადებული ბიჭების ჭარბი

რიცხოვნობის დადასტურების შემდეგ აუცილებელია იმის გაგება, თუ როდის და სად წარმოიშვა ეს ტენდენცია საქართველოში და როგორ განვითარდა იგი დროთა განმავლობაში. ტენდენციებისა და რეგიონული განსხვავებების უბრალოდ აღწერის გარდა, სასურველია ასევე ქვეყანაში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის უფრო მაღალი მაჩვენებლის ყველა შესაძლო კორელატის დადგენა, როგორც არის შვილოსნობათა რაოდენობა, ოჯახის შემადგენლობა სქესის მიხედვით, მშობლების ასაკი, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, ეთნიკური წარმომავლობა და ა.შ. ეს დაგვეხმარება „სქესის შერჩევით“ დამახასიათებელი თვისებების განსაზღვრაში და საქართველოში პრენატალური სქესობრივი დისკრიმინაციის ძირითადი მახასიათებლების უკეთ გაგებაში.

კვლევაში დასმული მესამე საკითხი უკავშირდება საქართველოში სქესის შერჩევისა და ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭების საერთო კონტექსტს. ზოგიერთი კონტექსტუალური ელემენტი, როგორცაა სწრაფი დემოგრაფიული ცვლილება და შობადობის დონის კლება, კარგად არის დოკუმენტირებული, მაგრამ სხვა ფაქტორები ნაკლებადაა ცნობილი. განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოში სამედიცინო ტექნოლოგიის ხელმისაწვდომობას და ასევე ქართულ ოჯახებში ვაჟისთვის მნიშვნელობასთან დაკავშირებულ უფრო ფართო საკითხს. ამასთან, ხარისხობრივი კვლევა უზრუნველყოფს სქესთა შორის იმ დისბალანსის გამომწვევი მექანიზმების ერთადერთ მტკიცე დამადასტურებელ საბუთს, რომელიც დაბადებისას სქესთა თანაფარდობით იზომება. უწინარეს ყოვლისა, ვეყრდნობით ხარისხობრივი კვლევის შედეგებს და ამ კვლევაში აღწერილ ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭებისა და სქესის შერჩევის აქტიური პრაქტიკის ძირითად მოტივაციებზე. ოჯახსა და გენდერულ სისტემაზე ლიტერატურიდან მოპოვებული დამატებითი მასალები შესაძლოა ასევე დაგვეხმაროს გენდერული დამოკიდებულებების გარკვევაში. რიგ შემთხვევებში სტატისტიკური მონაცემები შეიძლება დადასტურებდეს ხარისხობრივი და დოკუმენტური ანალიზის შედეგებს.

კვლევის საბოლოო მიზანი დაკავშირებულია სქესის პრენატალური შერჩევის შედეგებთან, როგორც გენდერული თანასწორობის, ასევე მომავალში დემოგრაფიული დისბალანსის თვალსაზრისით. კერძოდ, წინასწარი ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით მოვახდენთ მომავალში ზრდასრულ მოსახლეობაზე დაბადებისას სქესთა შორის არსებული დისბალანსის ზეგავლენის პროგნოზირებას.

2.2 ანალიზში გამოყენებული რაოდენობრივი წყაროები

ქვემოთ განვიხილავთ წყაროებს, რომლებიც მიუთითებს საქართველოში დროის სხვადასხვა პერიოდში ვაჟების მალალ შობადობას. წინამდებარე ქვეთავი სტატისტიკურ მასალებს ეძღვნება, ხოლო მომდევნო ქვეთავში ხარისხობრივი წყაროებია განხილული. ვაჟების მალალ შობადობაში განსხვავებების სანდო კვლევისთვის მთავარ სტატისტიკურ წყაროს ყოველთვის სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემა წარმოადგენდა. მოსალოდნელია, რომ მან უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ყველა ნაწილში დაბადებული ბავშვების რაოდენობის ამომწურავი დათვლა და ასევე დამატებითი მონაცემები შვილოსნობათა რაოდენობის ან დედის ასაკის შესახებ. მაგრამ ბევრ ქვეყანაში დაბადების რეგისტრაცია შესაძლოა არასრული ან ნაკლები იყოს არასრული რეგისტრაციის ან სტატისტიკის ადგილობრივი სამსახურების ცუდად ფუნქციონირების გამო. უკიდურეს შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც ქვეყანაში ომია, სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემა შეიძლება საერთოდ არ ფუნქციონირებდეს. სამოქალაქო რეგისტრაციის არარსებობა ყოველთვის სერიოზულ შემთხვევებელ ფაქტორს წარმოადგენს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის გამოკვლევისთვის.

დაბადებისას სქესთა თანაფარდობის გამოსაკვლევად სხვა წყაროებიც არსებობს. ძირითადი ალტერნატიული წყაროა მოსახლეობის აღწერა. მოსახლეობის გადანაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით, რომელიც გამოითვლება აღწერის ცხრილების საფუძველზე, უზრუნველყოფს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ირიბ გამომვას სხვადასხვა კოჰორტების დაბადების დროს. მაგალითად, 0-დან 4 წლამდე ასაკის მოსახლეობა დაიბადა აღწერის ჩატარებამდე ხუთი წლის განმავლობაში და მის სქესობრივ შემადგენლობაზე პირდაპირ გავლენას ახდენს დაბადებისას სქესთა შორის დარღვეული ბალანსი ამ ხუთი წლის განმავლობაში. მაგრამ თავად დაფიქსირებულ სქესთა თანაფარდობაზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს ბევრი სხვა ფაქტორი, როგორცაა სიკვდილიანობა. ამიტომ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის შეფასებისთვის აუცილებელია ასაკობრივი ჯგუფების სქესთა თანაფარდობის აღწერისას დაფიქსირებული მაჩვენებლების კორექტირება სიკვდილიანობის სქესის მიხედვით დიფერენცირების გზით. აქ გამოყენებული გვაქვს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის სტანდარტული ცხრილი.

თეორიულად არსებობს ორი სხვა დაკავშირებული ფაქტორი, რომლებმაც შესაძლოა ასევე გავლენა იქონიოს სქესთა თანაფარდობის დარღვევაზე. ესენია მიგრაცია და დაურეგისტრირებლად დარჩენა. ახალგაზრდებსა და ზრდასრულ მოსახლეობაში სასწავლად ან სამუშაოს შოვნის მიზნით მიგრაცია გავლენას ახდენს მოსახლეობის სქესის მიხედვით გადანაწილებაზე. როგორც შრომითმა, ასევე იძულებითმა მიგრაციამ (ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები) დიდი როლი ითამაშა საქართველოში. ეს გამგზავრებები (ან ჩამოსვლები) იშვიათადაა დაბალანსებული სქესთა მიხედვით შემადგენლობის მხრივ და ამის შედეგად ზეგავლენას ახდენს სქესთა თანაფარდობაზე; მაშასადამე, უფრო მეტი საერთაშორისო ემიგრანტი მამაკაცი შეიძლება იყოს მიგრაციის ადგილას და მიგრაცია ასევე ზეგავლენას ახდენს წარმოშობის თემებზე. ამგვარად, მიგრაციამ 15 წლის ასაკიდან შეიძლება გამოიწვიოს სქესთა თანაფარდობის დონეების დარღვევა და ამიტომ სასურველია ყურადღების გამახვილება არასრულწლოვან მოსახლეობაზე, რომლის შემადგენლობაზეც მიგრაცია ნაკლებად მოქმედებს. ანალოგიურად, აღწერისას მოსახლეობის დათვლის ხარისხი შეიძლება სქესის მიხედვით განსხვავდებოდეს. მაგალითად, ცნობილია, რომ მამაკაცი მიგრანტები ხშირად დაურეგისტრირებელი რჩებიან მათი მომთაბარე ცხოვრების წესის გამო. ეს კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენს იმისათვის, რომ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის შეფასება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდა მოსახლეობის საფუძველზე, რომელიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაურეგისტრირებული დარჩეს მოსახლეობის აღწერის დროს.

სქესის მიხედვით მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის არარსებობის კომპენსაციისთვის შესაძლებელია სხვა კვლევებისა და სტატისტიკური მონაცემების გამოყენებაც. ქვეთავის ბოლოს მოკლედ განვიხილავთ ასეთ წყაროებს.

2.2.1 მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიკრომონაცემები

საქართველომ წარმატებით ჩაატარა მოსახლეობის აღწერა 2002 წელს, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ბოლო აღწერის შემდეგ, რომელიც 1989 წელს განხორციელდა. აღწერებს შორის უჩვეული 13 წლიანი ინტერვალი ნაწილობრივ განპირობებულია იმ სირთულეებით, რომელთა წინაშე ქვეყანა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დადგა. თუმცა მოსახლეობის ახალი აღწერის ჩატარებას კვლავ 10

წელზე მეტი დასჭირდა. მოსახლეობის 2014 წლის ნოემბრის აღწერის დაწვრილებითი შედეგები, როგორც მოსალოდნელია, 2015 წლის ბოლომდე არ იქნება ხელმისაწვდომი და წარმოდგენილ ანგარიშში მათი გამოყენება ვერ მოხერხდება.

დემოგრაფიულ ინფორმაციაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების გათვალისწინებით გადაწყვეტეთ, სრულად გამოგვეყენებინა მოსახლეობის 2002 წლის აღწერის არსებული შედეგები. მართალია, აღწერის შედეგები უკვე გამოქვეყნებული იყო, მაგრამ სქესთა შორის დისბალანსი არც ერთი სოციოლოგის მიერ აღნიშნული არ ყოფილა. თუმცა ასაკისა და სქესის მიხედვით გადანაწილების უფრო საფუძვლიანი შესწავლა საკმარის საფუძველს იძლეოდა იმის სავარაუდოდ, რომ ქვეყანაში დაბადებისას სქესთა შორის მნიშვნელოვანი დისბალანსი არსებობდა. ბავშვებში სქესთა შორის არანორმალურად მაღალი თანაფარდობისა და 1990-იანი წლების ბოლოს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალი დონის ერთობლიობა საკმარისი უნდა ყოფილიყო დემოგრაფებს შორის დებატების გასაჩაღებლად 2002 წელს დაფიქსირებული უჩვეულო დემოგრაფიული მახასიათებლის გამომწვევი ფაქტორების ირგვლივ. მოსახლეობის 2002 წლის აღწერა ფაქტობრივად ცხადყოფს იმას, რაც 1990-იან წლებში მოხდა, და არაჩვეულებრივად კარგი ხარისხის ინფორმაციას უზრუნველყოფს.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ინფორმაცია შეიცავს ცვლადების ორ კრებულს, რომლებსაც შესაბამისად საფუძლად უდევს ინდივიდუალური კითხვარი და შინამეურნეობათა კვლევის კითხვარი. პირველი კრებული უზრუნველყოფს მთლიანად მოსახლეობის მახასიათებელთა აღწერას. იგი მოიცავს ჩვეულებრივ დემოგრაფიულ ცვლადებს, როგორცაა ასაკი, სქესი და მიგრაციის სტატუსი, და სოციალურ-ეკონომიკური ცვლადების უფრო დიდ კრებულს, როგორცაა განათლება, ეთნიკური წარმომავლობა და საქმიანობა. სამწუხაროდ, იგი არ შეიცავს შეკითხვას წარსულში დაბადებული ბავშვების სქესის შესახებ, რომელიც ჩვენი განხილვისთვის გამოგვადგებოდა. საყოფაცხოვრებო ნაწილი მოიცავს ვრცელ ინფორმაციას საცხოვრისის მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ. „საქსტატმა“ მოგვცა საშუალება, გავცნობოდით მოსახლეობის აღწერის დაუმუშავებელ მონაცემებს, რომლებსაც შეიცავს მონაცემთა კრებულების მართვის ძალზე რთული სისტემა Access. ჩვენთვის უცნობი მიზეზით შემდგომში რამდენიმე ცვლადის კოდირება მოხდა ორმაგ ფორმატში, რამაც შედარებით გაართულა სტანდარტული სტატისტიკური მონაცემთა კრებულის მომზადების პროცესი. ზოგიერთი

ნაკლებად მნიშვნელოვანი ცვლადის კოდირება არ მოხდა ამისათვის საჭირო ოპერაციების სირთულის გათვალისწინებით. თუმცა აქ გამოყენებული საბოლოო მონაცემთა კრებულის მთავარი უპირატესობა იმაშია, რომ იგი ხელმისაწვდომს ხდის 2002 წელს საქართველოს მოსახლეობის ამომწურავ გამოკითხვას, რომელიც ექვემდებარება ყველა ტიპის ცხრილების შედგენასა და სტატისტიკურ ანალიზს.

მუშაობის პროცესში რამდენიმე ახალი ცვლადი შეიქმნა. კერძოდ, ჩვენს მიერ ოჯახების შესახებ პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე შემუშავდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ახალი მაჩვენებელი (SES ინდიკატორი). ამისათვის საცხოვრისის პირობებთან (ელექტროენერჯია, გათბობა, საკანალიზაციო სისტემა, წყლის გამათბობელი და სხვა) დაკავშირებული ათი ცვლადის კომბინირება მოვახდინეთ. ეს ცვლადები პირდაპირ არის დაკავშირებული საცხოვრებელი პირობების ხარისხთან და ირიბად - ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობასთან. ოჯახის დონის ცვლადების საფუძველზე განვასორციელეთ ფაქტორული ანალიზი.⁶ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ინდიკატორს გამოვიყენებთ ანალიზში ოჯახების რანჟირებისთვის მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით და სოციალურ-ეკონომიკური კვინტილების გამოყენებისთვის. საქმიანობასა და შემოსავლებზე დაფუძნებული სათანადო ინფორმაციის არარსებობის გამო ვერ მოხერხდა მსგავსი ინდიკატორის გამოთვლა ოჯახში მცხოვრები ზრდასრული წევრების ინდივიდუალური მახასიათებლების საფუძველზე.

საოჯახო სტრუქტურების რეკონსტრუირებისთვის დაგვჭირდა ინდივიდუალურ დონეზე ცვლადების უფრო რთული ანალიზი. ჩვენს მიერ გამოკვლეული იქნა, მოქმედებს თუ არა შთამომავლობის შემადგენლობა შემდგომ შობადობაზე ან სქესის შერჩევასთან დაკავშირებულ ქცევაზე და აღნიშნული ანალიზი ოჯახის რეკონსტრუირების საფუძველზე განხორციელდა. თითოეულ ოჯახში შეგვიძლია გამოვავლინოთ დედები და მათი შვილები და შესაბამისად მოვახდინოთ მათი რანჟირება ასაკის მიხედვით. როდესაც ოჯახის უფროსი დედა ან მისი მეუღლეა, ოჯახის კონფიგურაციის ინტერპრეტირება მარტივია: ბავშვები იდენტიფიცირებულნი არიან

6 აქ გამოყენებული ფაქტორული ანალიზის მეთოდი მრავალჯერადი შესაბამისობის ანალიზია, რომელიც კატეგორიული ცვლადების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სინთეზური ინდიკატორის სახით ჩვენს მიერ გამოყენებულია პირველი ფაქტორი. ეს პირველი ფაქტორი თავდაპირველი ათი ცვლადის ვარიანტების 81 პროცენტს შეადგენს და გამოიყენება როგორც ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი.

მარტივად როგორც „ოჯახის უფროსის შვილები“ და ისინი ქმნიან ღვიძლი ძმებისა და დების ცალკე ჯგუფს. თუმცა მოსახლეობის 2002 წლის აღწერის დროს ბევრი ბავშვი ფაქტობრივად ოჯახის უფროსის “შვილიშვილი” იყო. ასეთ შემთხვევებში ჩვენ ჯერ პოტენციურ დედას ვადგენთ (ჩვეულებრივ, ეს ოჯახის უფროსის რძალია) და უკვე ამის შემდეგ გადავდივართ “შვილიშვილებზე”, რომლებიც ღვიძლი დედამიშვილების ერთიან ჯგუფს შეადგენენ. როდესაც მცირეწლოვან ბავშვებს მშობლები არ ჰყავთ ან ისინი ბავშვისთვის შორეული ნათესავები არიან, ღვიძლი დედამიშვილების ჯგუფის რეკონსტრუირება შეუძლებელია და ამიტომ ამგვარი ბავშვი მოსახლეობა (რომლის წილი 15 წლამდე ასაკის ბავშვთა საერთო რაოდენობაში 4 პროცენტს შეადგენს) გათვალისწინებული არ არის. ცხადია, უფროს ბავშვებთან დაკავშირებით მდგომარეობა უფრო რთულია მიგრაციისა და დაქორწინებული შვილების ოჯახიდან წასვლის გამო.

ღვიძლი დედამიშვილების ჯგუფების რეკონსტრუირების შემდეგ შესაძლებელია მათი რანჟირება ასაკისა და ოჯახის წინა შემადგენლობის მიხედვით (მაგალითად, ბავშვები, რომელთაც უფროსი ძმა ჰყავთ, და ბავშვები, რომელთაც უფროსი ძმა არ ჰყავთ). ბავშვების რიგითობა თითქმის შვილოსნობათა რაოდენობის ეკვივალენტურია და შეიძლება გამოყენებული იქნეს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის (SRB) მაჩვენებლის შეფასებისთვის. კერძოდ,⁷ ჩვენს მიერ გამოკვლეული იქნება გენდერული მიკერძობების ორი მაჩვენებელი:

1. შვილოსნობათა რაოდენობის პროგრესიის კოეფიციენტი (PPR კოეფიციენტი): ეს მაჩვენებელი მოიცავს დამატებითი ბავშვის გაჩენის ალბათობას შვილოსნობათა რაოდენობის მიხედვით. პროგრესიის კოეფიციენტები შეგვიძლია გამოვყოთ ოჯახის მიმდინარე შემადგენლობის მიხედვით (აღრე დაბადებული ბავშვების რაოდენობა და სქესი) და გამოვიყენოთ გენდერული პრეფერენციების ინდიკატორად. კვლევის შეზღუდული ვადის გამო, ხანგრძლივობის შესაბამისად, კიდევ ერთი ბავშვის გაჩენის ალბათობის შეფასებისთვის ჩვენ კაპლან-მაიერის მეთოდს ვიყენებთ.
2. ბავშვების დაბადებისას სქესთა თანაფარდობის კოეფიციენტი: ეს ძირითადი

მაჩვენებელი აჩვენებს, როგორ მოქმედებს ღვიძლი დედამიშვილების რიგითობა (შვილოსნობათა რაოდენობის ეკვივალენტურია) და ოჯახის წინა შემადგენლობა ბავშვების სქესზე.

PPR და SRB მაჩვენებლების გამოთვლა შესაძლებელია ჩვენი მიკრომონაცემების საფუძველზე სხვადასხვა რეგიონებისთვის, პერიოდებისთვის, დედის მახასიათებლების (ასაკი, განათლება) და ოჯახის მახასიათებლებისთვის (სიდიდე, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა).

2.2.2 დაბადების რეგისტრაციის სტატისტიკა

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სისტემა 1991 წლამდე ეფუძნებოდა დემოგრაფიული მონიტორინგის საბჭოთა სისტემას. აღნიშნული სისტემა დამაკმაყოფილებლად ფუნქციონირებდა და მისი მეშვეობით წარმოებდა სიკვდილიანობის, შობადობისა და ქორწინების შესახებ მონაცემთა შეგროვება, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ მხოლოდ ძირითადი ინფორმაცია ქვეყნდებოდა. ბიუროკრატიული მიზნებისთვის მოქალაქეებს ხშირად ესაჭიროებოდათ გარდაცვალების, დაბადების ან ქორწინების მოწმობები და დემოგრაფიული ფაქტების დარეგისტრირება მარტივად ხდებოდა. იმავდროულად, აღნიშნული მოწმობების გარეშე ცხოვრება რთული იყო.⁸ ამასთანავე, 1959 წლიდან ათ წელიწადში ერთხელ ხორციელდებოდა მოსახლეობის აღწერა და შემდგომში ხდებოდა მოსახლეობის რაოდენობის ამსახველი ციფრების ყოველწლიურად განახლება ყოველწლიური დემოგრაფიული სტატისტიკის გამოყენებით, რომელიც ემყარებოდა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და მიგრაციის სტატისტიკურ მონაცემებს.

1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დემოგრაფიული სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო ძირითადი სტრუქტურები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში დაფუძნდა, ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო, იმ სტრუქტურების გამოკლებით, რომლებიც გარე მიგრაციასთან იყო დაკავშირებული. თუმცა, ყოფილი სსრკ-ის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველო სერიოზულ სირთულეებს გადააწყდა მოსახლეობის ოფიციალური სტატისტიკის ხარისხთან დაკავშირებით. აღნიშნული გაუარესება ძირითადად გამოწვეული იყო სამი სხვადასხვა ტიპის საზიანო ფაქტორით: მიგრაციული ნაკადებით,

7 ძირითადი განსხვავება აღწერაზე დაფუძნებით ბავშვთა რანჟირებასა და დაბადების თანმიმდევრობას შორის მდგომარეობს იმაში, რომ პირველი მოიცავს სიკვდილიანობის ეფექტს (ბავშვთა რანჟირება ხდება მხოლოდ ცოცხალ ბავშვთა საფუძველზე). ამგვარად, იგი შესაძლოა უკეთ ასახავდეს ოჯახის ფორმირების პროცესს, ვიდრე უფრო ამომწურავი დაბადების ისტორია.

8 წინამდებარე ქვეთავში გამოყენებულია მონაცემები ირინა ბაღრაშვილის მიერ მომზადებული ანგარიშიდან (2014 წ.).

კონფლიქტებითა და ომებით და სარეგისტრაციო სისტემის მოშლით. აქ ყურადღებას გავამახვილებთ საქართველოში დაბადებისა და სიკვდილის რეგისტრაციის სისტემის მზარდ არასანდოობაზე.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის საბჭოთა სისტემას გააჩნდა რამდენიმე ბიუროკრატიული შეზღუდვა, რომლებიც რეგისტრაციის სისტემას უზრუნველყოფდა, მაგრამ მას ასევე გააჩნდა უპირატესობები მოქალაქეებისთვის. პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი მნიშვნელოვნად შესუსტდა და ამან პირდაპირ იმოქმედა დემოგრაფიული სტატისტიკის ხარისხსა და სრულყოფილებაზე. ადრე ყოველდღიურ მონაცემთა რეგისტრაციის სისტემა ფუნქციონირებდა ადგილობრივი სარეგისტრაციო სამსახურების (მმაჩის ბიუროების)⁹ მიერ შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით. სარეგისტრაციო სისტემის მუშაობა მნიშვნელოვნად გაუარესდა 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მოწმობების გაცემა მაძიებლებზე ფასიანი გახდა. მოწმობებისათვის დაწესებული გადასახადის ოდენობა 7 ლარი (4 აშშ დოლარამდე) იყო, რაც იმ დროს ბევრი ქართველის თვიურ პენსიას უტოლდებოდა. ამ ახალმა ღონისძიებამ დამანგრეველი შედეგი იქონია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციაზე და ზეგავლენა მოახდინა საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ამსახველი სტატისტიკის სანდოობაზე რამდენიმე წლის განმავლობაში. სავარაუდოდ, დაბადების რეგისტრაციამ უფრო ნაკლებად განიცადა ზემოქმედება, ვიდრე სიკვდილის რეგისტრაციამ, მაგრამ მასაც მიაღდა ზიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სტრუქტურების თანდათანობით გაუარესებისა და ბავშვის შესანახად მშობლებისთვის განკუთვნილი შემწეობის გაქრობის გამო. 1998 წელს აღნიშნული გადახდის სისტემის გაუქმების დაწყების შემდეგაც კი ადამიანებს უწევდათ ექიმებისთვის თანხის გადახდა სამედიცინო მოწმობისთვის, რომელსაც დაბადების რეგისტრაციის საფუძვლად იყენებდნენ. მოგვიანებით ჩატარებულმა კვლევებმა ნათელყო, რომ დაბადების რეგისტრაციის სისტემის ხარისხის გაუარესება გამოიწვია როგორც გადასახდელების შემოღებამ, ასევე დაბადების რეგისტრაციისთვის სტიმულების არარსებობამ.¹⁰

9 მმაჩი ნიშნავს მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩანაწერებს (სამოქალაქო რეგისტრ.).
10 კერძოდ, იხ. 1998 წლის სისრულისა და ხარისხის კვლევა (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრი, 2002 წ.), რეპროდუქციული ჯანმრთელობის 1999 წლის კვლევა და ჩვილთა და ბავშვთა სიკვდილიანობის 2000 წლის კვლევა (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრი, 2002 წ.).

შედეგად დაბადების არასრული ან დაგვიანებული რეგისტრაცია ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. 1990-იანი წლებში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის გაუარესებასთან დაკავშირებით შექმნილი სავალალო მდგომარეობის ილუსტრირება შესაძლებელია ორი განსხვავებული წყაროს ერთმანეთთან შედარებით. ცხრილი 2-ში წარმოდგენილია დაბადებული ბავშვების რიცხოვნობა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის (სსსდ)¹¹ შეფასების მიხედვით, რომელიც ემყარება მმაჩის ბიუროთა ჩანაწერებს, და ასევე ჯანდაცვის სამინისტროს დამოუკიდებელი შეფასების მიხედვით, რომელიც მომზადდა სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრის (სსიცი) მიერ ჯანდაცვის დაწესებულებებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე. ცხრილში მოყვანილია სსსდ-ისა და სსიცი-ის განსხვავებული მაჩვენებლები 1990-2003 წლების პერიოდში დაბადებულთა რიცხოვნობის შესახებ.

ცხრილი 2: დაბადებული ბავშვების წლიური რიცხოვნობა სსსდ-ისა და სსიცი-ის სისტემების მიხედვით, 1990-2003 წწ.

| დაბადების წელი | სსსდ | სსიცი |
|----------------|-------|-------|
| 1990 | 92815 | 91648 |
| 1991 | 89091 | 82737 |
| 1992 | 72631 | 69445 |
| 1993 | 61594 | 56985 |
| 1994 | 57311 | 53453 |
| 1995 | 56341 | 55284 |
| 1996 | 53669 | 54146 |
| 1997 | 52020 | 52287 |
| 1998 | 46841 | 49588 |
| 1999 | 40778 | 46827 |
| 2000 | 40392 | 46765 |
| 2001 | 40416 | 46006 |
| 2002 | 38033 | 45033 |
| 2003 | 36313 | 46194 |

იხ. ტექსტი განმარტებებისთვის
წყაროები: 2004 წელს სსსდ-დან მოპოვებული მონაცემები; წულაძე და სხვები, 2002 წ.

ცხრილი 2 გვიჩვენებს, რომ სტატისტიკის სამსახურიდან მიღებული მაჩვენებლები უფრო მაღალია ჯანდაცვის სამინისტროს მაჩვენებლებზე,

11 იმ დროს „საქსტატის“ ოფიციალური დასახელება

მაგრამ 1996 წლიდან მდგომარეობა საწინააღმდეგოდ შეიცვალა. ამ ორი წყაროს მონაცემებს შორის სხვაობა ხშირად 20 პროცენტზე მეტია. მიუხედავად იმისა, რომ სსიკ-ის მონაცემებს ზოგადად სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, აშკარაა, რომ ოფიციალური სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მაჩვენებლებში, რომლებიც მიღებულია მმპის ბიუროთა მონაცემებზე დაყრდნობით, დაბადებული ბავშვების რიცხოვნობა ძალზე არასრულად არის წარმოდგენილი.

2.2.2.1 1990-იანი წლების მონაცემთა კორექტირება

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგებმა დაადასტურა 1990-იანი წლების ოფიციალური დემოგრაფიული სტატისტიკის არასანდოობის ფაქტი. ამიტომ სსსდ-მ გადაწყვიტა 1989-დან 2002 წლამდე სამოქალაქო მდგომარეობის წლიური შეფასების მაჩვენებელთა განახლება. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია და მან საქართველოსთვის ახალი, უფრო სარწმუნო სტატისტიკური მონაცემები შეადგინა 1990-2002 წლებისთვის, რომლებიც მოგვიანებით გამოაქვეყნა სტატისტიკურ მიმოხილვაში „საქართველოს მოსახლეობა“ (სსსდ, 2003ა.). შემდგომში თავდაპირველად შემუშავებული ყველა სტატისტიკური ცხრილი, რომელსაც სსსდ ყოველწლიურად ადგენდა მმპის ბიუროების მიერ წარმოებული სამოქალაქო მდგომარეობის ჩანაწერების საფუძველზე, ჩანაცვლდა ამ ახალი შეფასებითი ცხრილებით. „საქსტატის“ თანამშრომლებთან 2004 წლის ივნისში გასაუბრების შედეგად გაიჩვენა, რომ თავდაპირველად შედგენილ სტატისტიკურ მონაცემთა არც დოკუმენტური და არც ციფრული ჩანაწერები შენარჩუნებული არ არის. ჩვენთვის უცნობია, რა პროცედურის გამოყენებით ხდებოდა სამოქალაქო მდგომარეობის აქტების გადახედვა, მაგრამ ერთ დოკუმენტში აღწერილია მეთოდოლოგია (სსსდ, 2003ბ), რომელიც მოკლედ არის მიმოხილული მომდევნო აბზაცში:

დაწყებული 1996 წლიდან, როდესაც საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით ცოცხლად შობილთა მაჩვენებლები ჩამოუვარდებოდა ჯანდაცვის სამინისტროს მაჩვენებლებს, უკანასკნელი უფრო სანდო მაჩვენებლებად იყო მიჩნეული და შემდგომი შეფასებისთვის გამოიყენებოდა. თუმცა სსსდ-ის ადრინდელი სტატისტიკური მონაცემები, 2005 წლამდე პერიოდიდან, შენახული იყო. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შედგენილი მონაცემები გამოყენებული იქნა 1996 და 1997 წლებისთვის. 1998-2002 წლების პერიოდისთვის შეფასების სხვა სტრატეგია იქნა შემუშავებული

რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობის 1999 წლის კვლევის საფუძველზე, რომელშიც მოცემულია ჯანდაცვის დაწესებულებებში დაბადებულ ბავშვთა რიცხოვნობა. შესაბამისად, მოხდა სახლში დაბადებულ ბავშვთა რიცხოვნობის კორექტირება. კიდევ ერთი პროცედურა იქნა შემოღებული, რომელიც უზრუნველყოფს დაბადებული ბავშვების სქესის მიხედვით სტატისტიკის შემუშავებას და იგი ჩვენი კვლევის მთავარ ინტერესს წარმოადგენს. ვინაიდან დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელმა ზრდა დაიწყო 1990-იანი წლების დასაწყისში და 1995 წელს მიაღწია 112-ს, მოგვიანებით კი 119-ს, სქესთა თანაფარდობის უჩვეულოდ მაღალი დონე სტატისტიკურ ცდომილებად ჩაითვალა. 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით ერთ წლამდე მოსახლეობის სქესთა თანაფარდობის გათვალისწინებით ვარაუდობდნენ, რომ სქესთა თანაფარდობის რეალური მაჩვენებელი საქართველოში 110-ს უახლოვდებოდა. შესაბამისად, 1996-2002 წლების მთელი პერიოდის განმავლობაში ითვლებოდა, რომ სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი შეადგენდა 111 მამაკაცს 100 ქალზე. ამ ხელოვნურად გამოყვანილი ციფრის გამოყენებით მოხდა დაბადებული ბავშვების რიცხვის გადანაწილება მამაკაცებსა და ქალებზე. სქესთა თანაფარდობის უჩვეულოდ მაღალმა დონემ სულ რამდენიმე სტატისტიკოსი შეაშფოთა.

2.2.2.2 დაბადების რეგისტრაცია 2002 წლის შემდეგ

არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით 2002 წელს საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ახალი სარეგისტრაციო სისტემის შექმნა, რომელიც ყურადღებას გაამახვილებდა სამედიცინო დაწესებულებებზე. სამედიცინო დაწესებულებებს მოეთხოვათ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისთვის ოჯახებისთვის გასაცემი გარდაცვალების ან დაბადების ცალკეული სამედიცინო მოწმობების ორ ეგზემპლარად შედგენა და ასლების გადაგზავნა სსსდ-ში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რეგიონული ცენტრების მეშვეობით. 2003 წლის იანვარში ეს ახალი სისტემა მთელ ქვეყანაში იქნა შემოღებული და 2009 წლამდე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ხდებოდა დაბადებისა და სიკვდილის შესახებ ორი სხვადასხვა წყაროს (სარეგისტრაციო სამსახური და სამედიცინო დაწესებულებები) დამუშავება. ნახ. 1-ზე წარმოდგენილია ჩანაწერების ნაკადი ორ სისტემაში. სტატისტიკოსებმა გადაამოწმეს ორი წყაროდან ჩანაწერების შესაბამისობა იმისათვის, რომ დაბადებულთა და გარდაცვლილთა საერთო რაოდენობა დაედგინათ.



ნახ. 1: დემოგრაფიული ჩანაწერების მოძრაობა საქართველოში და სსივ-სა და სსსდ-ს სისტემების ინტეგრირება

წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვები, 2003 წ.

ახალი სისტემა 2002 წელს ექსპერიმენტის სახით იქნა შემოღებული საბილოტე რეგიონებში და შემდგომი დახვეწის შემდეგ, 2003 წელს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამოქმედდა. 2003 წელს ბევრად უკეთესი შედეგები იქნა მიღებული, ვინაიდან ახალი სისტემის მეშვეობით 21 პროცენტით მეტი დაბადებული ბავშვი დარეგისტრირდა, ვიდრე წინა სისტემის პირობებში (და 11 პროცენტით მეტი გარდაცვალების შემთხვევა). 2003 წელს 46,194 დაბადებული ბავშვი იქნა დარეგისტრირებული (ძველი სისტემის მიხედვით კი 36,313).¹² მასასადაამე, 2003 წლის ცვლილებამ შთამბეჭდავი შედეგი იქონია სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციაზე საქართველოში და შეიძლება ჩაითვალოს, რომ ახალი სისტემა ხარისხობრივად ბევრად უკეთესია, ვიდრე მონაცემთა შეგროვების წინა სისტემა, რომელიც ემყარებოდა მხოლოდ და მხოლოდ სარეგისტრაციო ბიუროების ან სამედიცინო ჩანაწერებს. ამგვარად, 2003 წლიდან დღემდე ოფიციალური სტატისტიკა ემყარება

ახალ სარეგისტრაციო სისტემას. 2004 წელს სისტემის შემდგომი სრულყოფა მოხდა ორივე წყაროს სისტემატური ორმაგი გადამოწმების შედეგად, რაც გამოტოვებული დაბადების აქტებისა და ასევე ორმაგი დათვლის შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით გაკეთდა. 2004-2009 წლებისთვის ახალი ოფიციალური სტატისტიკა ეფუძნება ამ ორმაგი გადამოწმების სისტემას და შეიძლება მეტ-ნაკლებად სრულყოფილად ჩაითვალოს.

2004 წელს ვარდების რევოლუციის შემდეგ მთავრობამ გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგასახელმწიფოაპარატის მთლიანად რეორგანიზაციისთვის და განახორციელა ეფექტიანი ზომები სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემის გასაძლიერებლად. 2006 წელს შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი სააგენტო — საქართველოს სამოქალაქო რეესტრი (მოგვიანებით სახელი შეეცვალა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტო დაერქვა), რომელსაც 80 რეგიონული სამსახური გააჩნდა. მათ დევალათ ყველა სამოქალაქო საბუთის და მათ შორის დაბადების მოწმობების გაცემა. 2006 წლიდან ეს ახალი სააგენტო უგზავნის „საქსტატს“ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დარეგისტრირებული ფაქტების კომპიუტერიზებულ მონაცემთა ბაზას და საქართველოსთვის 2010 წლამდე ოფიციალური დემოგრაფიული სტატისტიკის გამოთვლისას ეს მონაცემები გამოყენებული, ჯანმრთელობის ცენტრებიდან მიღებულ ინფორმაციასთან შეჯერების შემდეგ. 2010 წლიდან მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური მონაცემები ემყარება მხოლოდ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ „საქსტატისთვის“ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დარეგისტრირებული ფაქტების გამოგზავნილ ელექტრონულ მონაცემთა ბაზას. მოქმედი სისტემა ასახულია ნახ. 2-ზე.

2011 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით ელექტრონული სამედიცინო ცნობების გაცემის ონლაინ სისტემის შემოღების შემდეგ სამედიცინო დაწესებულებები ვალდებული არიან, დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ ყველა ცნობა გადასცენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მომხდარიდან ხუთი დღის ვადაში. შემდეგ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს რეგიონული სამსახურები გაცემენ სამოქალაქო მოწმობებს მოქალაქეებზე. ასევე მიღებულია ზომები სახლის პირობებში დაბადების/გარდაცვალების

¹² აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი იგივე იყო როგორც ახალ, ასევე ძველ სისტემაზე დაყრდნობით (112.6 დაბადებული ვაჟი 100 დაბადებულ ქალზე).



ნახ. 2: საქართველოში სამოქალაქო რეგისტრაციის მოქმედი სისტემა, რომელიც ემყარება სამედიცინო ჩანაწერებს

წყარო: სამოქალაქო რეგისტრის სააგენტო, თარიღის გარეშე, გვ. 6

ფაქტების რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად. სამოქალაქო რეგისტრაციის მოქმედი ეროვნული სისტემა საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ყველა ფაქტის აღრიცხვას უზრუნველყოფს.

2.2.2.3 შედეგები დაბადებისას სქესთა თანაფარდობის შეფასებისთვის

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ყველა ფაქტი 1990-2002 წლების პერიოდისთვის 2003 წელს ხელახლა შეფასდა და პირველადი მონაცემების ოფიციალური ჩანაწერები შენახული არ არის. შეფასების თანახმად, 1996-2002 წლებისთვის დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი იყო 111, მაგრამ ეს მაჩვენებელი არ არის გამყარებული დაბადების რეგისტრაციის პირველადი მონაცემებით. წინა ნამუშევრებში ბადურაშვილმა აჩვენა, რომ საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგისტრაციის სისტემა 1991 წლის შემდეგ ნაკლებად ახდენდა გეგავლენას სქესის მიხედვით არასრული რეგისტრაციის მონაცემებზე. ამასთანავე, სხვა წყაროები, როგორცაა 1999 და 2005 წლების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევები ადასტურებს 1990-იანი წლებიდან დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის ზრდას (Meslé და სხვები, 2007 წ.; Duthé და სხვები, 2010 წ.).

ამიტომ შესაძლებელი იქნება დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის ალტერნატიული შეფასების უზრუნველყოფა 1996-2003 წლების გაურკვეველი პერიოდისთვის, როგორც ბადურაშვილის მიერ არის შემოთავაზებული ბავშვის დაბადების დარეგისტრირებული ფაქტების წლიურ მონაცემებზე დაყრდნობით,

რომლებიც მოპოვებულია საქართველოს სტატისტიკის სამსახურიდან ამ პერიოდის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში მმაჩის ბიუროთა მიერ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ფაქტების არასრული აღრიცხვის გამო ეს მონაცემები არასრულია, მათ მიერ დაფიქსირებული დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დონე შესაძლოა უფრო სარწმუნო იყოს და უკეთ ასახავდეს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის რეალურ მერყეობას საქართველოში ამ

რამდენიმე წლის განმავლობაში. დაწყებული 2003 წლიდან ეს მონაცემები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორმაგ გადამოწმებას დაექვემდებარა. მაგრამ 2004 წლისთვის ჩვენ გვაქვს დამოუკიდებელი მონაცემები ორი წყაროდან, რომლებიც გადამოწმებისთვის გამოიყენება. 2004 წლის შემდეგ რეგისტრაციის სისტემამ საბოლოო ცვლილებები განიცადა და დაბადების რეგისტრაციის ოფიციალური მონაცემები უფრო სანდო გახდა.¹³

ხელმისაწვდომ მონაცემებთან დაკავშირებით რამდენიმე განმარტება უნდა გაკეთდეს. პირველი, 1993 წლისთვის მონაცემები საერთოდ არ მოიპოვება, ვინაიდან პირველადი მონაცემების ყველა ფაილი განადგურდა საბჭოური პერიოდის კომპიუტერებიდან ახალ კომპიუტერულ ტექნიკაზე გადასვლისას. მეორე, წლიური მონაცემები შემოიფარგლებოდა ძირითადი ცხრილებით, როგორცაა ცოცხლადშობილი ბავშვების რიცხოვნობა სქესის მიხედვით, რომლებიც შემდგომ კლასიფიცირებული იყო ადმინისტრაციული ერთეულების (მხარეების) და ქალაქის-სოფლის მიხედვით (1995 წლიდან). ბადურაშვილმა მოახერხა ამ ცხრილების უმეტესობის აღდგენა ადგილობრივი პუბლიკაციებისა და ჩანაწერების მეშვეობით, რომლებსაც სიკვდილიანობაზე მისი სამუშაოსთვის ინახავდა. „საქსტატისთვის“ მნიშვნელოვანი იქნება, სამოქალაქო რეგისტრის სააგენტოსთან თანამშრომლობის გზით, წარსულში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ფაქტების შესახებ

¹³ 2005 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში ამ უკანასკნელ პერიოდში სათანადოდ დარეგისტრირდა დაბადებული ბავშვების მხოლოდ 92%. მათი წილი კიდევ უფრო დაბალი იყო ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში (როგორცაა ქვემო ქართლი), მაგრამ ბიჭებსა და გოგონებს შორის შესაძენი სხვაობა არ ყოფილა.

ყველანაირი ინფორმაციის მოძიება, ვინაიდან რამდენიმე ხნის წინ საქართველოში გაცემული სამოქალაქო საბუთების ყველა ბეჭდური ასლის ელექტრონული ვარიანტი დამზადდა.

2.2.3 მონაცემთა სხვა წყაროები

ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე კვლევა განხორციელდა. ხშირად მათი მეშვეობით ხდება იმ არასრულყოფილი ცოდნის შევსება, რომელსაც მოსახლეობის აღწერისა და რეგისტრაციის სტატისტიკა უზრუნველყოფს დემოგრაფიული ქცევის და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევებს (RHS), რომლებიც 1999, 2005 და 2010 წლებში ჩატარდა, არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ისინი უზრუნველყოფენ საქართველოში მცხოვრებ წყვილებში დემოგრაფიული და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მდგომარეობის ცვლილების ერთადერთ დაწვრილებით აღწერას. ამ ჩამონათვალს შეეგიძლია დავუმატოთ მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS), რომელიც 2005 წელს განხორციელდა იმავე მოდელით, რომლითაც „იუნისეფის“ ინიციატივით მსოფლიოში ყველა მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა განხორციელდა.

აღნიშნული ოთხი კვლევა უზრუნველყოფს ბევრ სასარგებლო ინფორმაციას რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ბავშვების მდგომარეობაზე, დაწყებული კონტრაცეფციასთან დაკავშირებული ქცევით და დამთავრებული ბავშვების მოვლით. მიუხედავად ამისა, როგორც განხილვა გვიჩვენებს, ამგვარი კვლევების გამოყენებული შერჩევის ნიმუშების ზომა მეტისმეტად მცირე იყო. კერძოდ, დაბადებული ბავშვების აღრიცხული რიცხოვნობა და ბავშვი მოსახლეობის სიდიდე საკმარისი არ არის სქესთა შორის დისბალანსის საიმედო შეფასების უზრუნველსაყოფად.

ცხრილი 3: საქართველოში სხვადასხვა დემოგრაფიული კვლევიდან შერჩეული მონაცემები დაბადების შესახებ

| დაბადებული ბავშვების კოჰორტები | RHS- 1999 | RHS- 2005 | RHS- 2010 | MICS- 2005 |
|--------------------------------|-----------|-----------|-----------|------------|
| 1985-1989 | 2907 | 1346 | | 3588 |
| 1990-1994 | 3094 | 2188 | 1196 | 3443 |
| 1995-1999 | 2499 | 2105 | 1730 | 2786 |
| 2000-2004 | | 1888 | 1845 | 2238 |
| 2005-2010 | | | 2170 | |

წყარო: გამოთვლილია ცალკეული კვლევების საფუძველზე

ცხრილი 3-ში წარმოდგენილია დაბადების შერჩეული მონაცემები, რომლებიც შეიძლება მიღებული იქნეს ამ სხვადასხვა კვლევიდან. დაბადების კოჰორტები ხუთწლიან პერიოდებს მოიცავს (წლიური მაჩვენებლები ასეულებშია გამოსახული). როგორც ცხრილი გვიჩვენებს, ყოველ ხუთწლიან პერიოდში დაბადებული ბავშვების რიცხოვნობა შეადგენს 2,000-2,500-ს. მიუხედავად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის - 110-ის - სანდოობის ინტერვალი 101-დან 120-მდეა, როდესაც 2000-ზე მეტ დაბადებულ ბავშვზე (საშუალო ხუთწლიანი შერჩევის ნიმუშის სიდიდე) იანგარიშება. ვინაიდან სანდოობის ინტერვალი საკმაოდ დიდია, დაბადებისას სქესთა თანაფარდობის რეალური დონის შეფასება ამგვარ წყაროებზე დაყრდნობით რთულია და ასევე სარისკოა ტენდენციების ერთი შეხედვით ინტერპრეტირება. მიუხედავად ამისა, ქვემოთ, ჩვენს დემოგრაფიულ ანალიზში, ამ მაჩვენებლებს დაბადების რეგისტრაციის შეფასებებს შევადარებთ.

ბოლო წყარო, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სქესის შერჩევის პრაქტიკის არსებობისა და მასშტაბის შეფასებისთვის, უკავშირდება სასკოლო სტატისტიკას. ამგვარი სტატისტიკური მონაცემები განსახილველი პერიოდისთვის საქართველოში ხელმისაწვდომი არ არის, მაგრამ „საქსტატმა“ ზოგიერთი ბოლო პერიოდის მონაცემები მოგვაწოდა. ეს ციფრები უკავშირდება დაწყებით სკოლებში ბოლო სასკოლო წელს (2013-2014 წ.წ.) ჩარიცხულ ბავშვთა რიცხოვნობას. აღნიშნული წყაროს უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი თითქმის ამომწურავია, ვინაიდან საქართველოში ბავშვები სკოლაში სწავლას იწყებენ 6 წლიდან. ჩვენ სკოლის მოწაფეთა დიდი ნაწილის კლასიფიკაცია მოვახდინეთ მათი ასაკისა და სქესის (და კლასის) მიხედვით და ისინი ძალიან ახლოს არიან შესაბამისი

დაბადების კოორტების მონაცემებთან. ცხრილი 4 ასახავს ამ მოსახლეობის სიდიდესა და წლის საბოლოო მაჩვენებლებს.

ცხრილი 4: დაწყებით სკოლაში ჩარიცხული ბავშვების რიცხოვნობა 2013-2014 წლებში

| დაბადების წელი | ბავშვების რაოდენობა | სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი |
|----------------|---------------------|---------------------------------|
| 2007 | 44387 | 109.4 |
| 2006 | 46833 | 112.8 |
| 2005 | 46105 | 114.0 |
| 2004 | 45627 | 117.0 |
| 2003 | 44007 | 114.0 |
| 2002 | 44310 | 114.0 |

წყარო: „საქსტატის“ მიერ უზრუნველყოფილი ციფრები

2.3 ხარისხობრივი კვლევა

ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭება და სქესის შერჩევის პრაქტიკა სულ რამდენიმე ხნის წინ დადგა დღის წესრიგში სამხრეთ კავკასიის რეგიონში. მაშინ, როდესაც სტატისტიკურ მონაცემთა წყაროები ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი იყო მიმდინარე მდგომარეობის ანალიზისთვის, არსებობდა ასევე გენდერული სისტემებისა და სქესის შერჩევასთან დაკავშირებული ქცევის დოკუმენტური დასტურის უკიდურესი აუცილებლობა. ფაქტობრივად, გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ 2012 წელს სომხეთში და 2013 წელს ალბანეთში დაფინანსებული კვლევების (UNFPA 2012b, 2013b) განხორციელებამდე აღმოსავლეთი ევროპის არც ერთ ქვეყანაში სიღრმისეული სავსე კვლევა არ ჩატარებულა. პირველად ამ კვლევების შედეგად ყურადღება მიექცა ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელთა განცხადებებს, რომლებიც ადასტურებდა სქესის შერჩევის პრაქტიკის არსებობას და ამას სომეხი და ალბანელი ოჯახების გენდერულ ნორმებს უკავშირებდა. მაგრამ 2014 წლამდე საქართველოში არ არსებობდა იმგვარი წყარო, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ქვეყანაში სქესის შერჩევის პროცესის დოკუმენტირებას, უფრო ზოგადად კი იმ დამოკიდებულებებისა და ქცევების განსაზღვრას, რომლებიც შესაძლოა საფუძვლად დაედო სქესის შერჩევის პრაქტიკის ჩამოყალიბებას. დისკრიმინაციული პრაქტიკისთვის საერთო სოციალური და გენდერული კონტექსტის გაუაზრებლობა ფაქტობრივად მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ჩვენი ანალიზისთვის.

პირველად მდგომარეობა 2014 წელს შეიცვალა, როდესაც მსოფლიო ბანკმა სამხრეთი კავკასიის სამი ქვეყნის კვლევით ინსტიტუტებს (საქართველოში კვლევა გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლობის თანადაფინანსებით განხორციელდა; მეთოდოლოგიის შემუშავებას მსოფლიო ბანკი ხელმძღვანელობდა) შეუკვეთა რეგიონულ დონეზე ვრცელი ხარისხობრივი კვლევის განხორციელება. აზერბაიჯანსა და საქართველოში ეს პირველი ასეთი ტიპის პროექტი იყო და წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულია საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევის მოდელი თითქმის იდენტური იყო სამივე ქვეყანაში. საქართველოში ხარისხობრივი კვლევა 2014 წლის პირველ თვეებში წარმატებით ჩატარა მსხვილმა კვლევითმა ინსტიტუტმა GOR-BI-მ, რომელიც სპეციალიზებულია სოციალური და ეკონომიკური კვლევების წარმოებაში.

2.3.1 ადგილები, სადაც ჩატარდა კვლევა

კვლევა ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით ოთხ სხვადასხვა თემში, რაც მიზნად ისახავდა არაერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და კულტურული დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. იგი ასევე გამიზნული იყო სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე, დაწყებული ექსპერტებითა და ადგილობრივი ლიდერებით და დამთავრებული რიგითი მოქალაქეებით.

პირველი ადგილი, სადაც კვლევა ჩატარდა, თბილისი იყო. დედაქალაქი და მისი რეგიონი ქვეყნის მოსახლეობის 25 პროცენტს მოიცავს და დღეს მილიონზე მეტ მოსახლეს იტევს. შედეგად ეკონომიკური თვალსაზრისით იგი ძალიან განსხვავდება ქვეყნის დანარჩენი ნაწილებისგან. მასზე ასევე ზეგავლენას ახდენს ურბანული ტრადიციები, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით სხვაგან არსად გვხვდება და სათავეს იღებს მე-19 საუკუნეში, როდესაც ქალაქის მოსახლეობამ პირველად მიაღწია 100,000-ს. თუმცა მისი შემამოფოთებელი დემოგრაფიული ზრდა საუკუნის განმავლობაში შეფერხდა 1991 წლის გარდამავალი პერიოდის შემდეგ. მონაცემების შეგროვება წარმოებდა შედარებით შეძლებულ რაიონში, რომელშიც სოფლიდან ჩამოსული მიგრანტების მზარდი ზეგავლენა შეინიშნებოდა.

კვლევის მეორე ადგილია სოფელი დუშეთის რაიონში, რომელიც მცხეთა-მთიანეთის მხარეს მიეკუთვნება, მაგრამ თბილისთან ახლოს მდებარეობს. იგი მოიცავს მთიან ნაწილს, სადაც სოფლის მეურნეობა დომინირებს და მას ასევე

გააჩნია სახარბიელო ადგილმდებარეობა, საიდანაც მარტივად არის შესაძლებელი ჩასვლა დედაქალაქში დასაქმების მიზნით ან ქალაქის დაწესებულებებში მისასვლელად. მეორე სოფელი შერჩეული იყო სოფლად კვლევის ადგილად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. იგი ახლოს მდებარეობს ბათუმთან, რომელიც საქართველოს მესამე უმსხვილეს დინამიკურად განვითარებად ქალაქს წარმოადგენს. ითვლება, რომ აჭარის ეს სოფელი, რომელიც დაბლობზე მდებარეობს, უფრო მეტადაა განვითარებული, ვიდრე ქვეყნის სოფლების უმეტესობა. ამ სოფლის მოსახლეობა, ისევე, როგორც ყველგან აჭარაში, შერეულია და მუსლიმები, რომლებიც მოსახლეობის მნიშვნელოვან წილს შეადგენენ, მართლმადიდებლების გვერდით ცხოვრობენ.

მეოთხე ადგილი, სადაც ინტერვიუები ჩატარდა, იყო საშუალო ზომის ქალაქი ზუგდიდი. ეს დასავლეთ საქართველოში მდებარე სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ცენტრია. აქ ძირითადად მეგრულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა ცხოვრობს, რომელმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა განიცადა როგორც 1993 წლის სამოქალაქო ომის, ასევე აფხაზეთიდან დევნილთა ნაკადების შედეგად. ლტოლვილები კვლავაც მოსახლეობის მოზრდილ ნაწილს შეადგენენ.

ეს ოთხივე ადგილი საქართველოს სოფლისა და ქალაქის საკმაოდ წარმომადგენლობითი ნიმუშებია, ვინაიდან მოიცავს უმცირესობებს, სოფელსა და მაღალმთიან რეგიონებს და ასევე ტიპურ ქალაქებს.

2.3.2 მონაწილეები და კვლევის საშუალებები

კვლევას საფუძვლად დაედო სხვადასხვა სახის ინტერვიუები და დისკუსიები. პირველი რიგის ინტერვიუს მიეკუთვნება ინტერვიუ ექსპერტებთან როგორც თბილისიდან (“ეროვნული ექსპერტები”), ასევე კვლევის თითოეული სხვა ადგილიდან (“ადგილობრივი ექსპერტები”). შერჩევის ეს ნიმუში ეროვნულ დონეზე მოიცავს პოლიტიკურ ლიდერებს (მინისტრის მოადგილის ჩათვლით) და სპეციალისტებს დემოგრაფიულ საკითხებში, ხოლო ადგილობრივ დონეზე - ადგილობრივ ლიდერებსა და პროფესიონალებს, როგორებიც არიან ჯანდაცვის სისტემის თანამშრომლები, სასულიერო პირები და ადვოკატები. მათთან ჩასატარებელი ინტერვიუ შედგება მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეკითხვებისგან, რომლებიც ეხება გენდერულ და ოჯახურ ურთიერთობებს და ასევე სქესის შერჩევისა და შესაძლო შედეგების კონკრეტულ საკითხს. ექსპერტებთან ინტერვიუს მიზანია სქესის

შერჩევის საკითხებთან დაკავშირებით ამ ელიტური ჯგუფების ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა და ასევე სოციალური საკითხების მიმართ მათი დამოკიდებულებისა და აზრის შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

კვლევის მეორე ინსტრუმენტი ითვალისწინებდა კვლევის ჩასატარებელ თითოეულ ადგილას ექვსი ადამიანის ცხოვრების შესახებ ისტორიების შეგროვებას. მონაწილეების შერჩევა ხდებოდა ასაკობრივი ჯგუფებისა და ოჯახური მდგომარეობის გარემოებათა გათვალისწინებით. ცხოვრებისეული ისტორიების შეგროვება იმავე ნიმუშით წარმოებდა, როგორც ინტერვიუს ჩამორთმევა, მაგრამ ინტერვიუ გაცილებით უფრო მოქნილი ფორმაა, რომელსაც კონკრეტული სოციალური ტრაექტორიებისა და თითოეული გამოკითხულის ცხოვრების ისტორიის გათვალისწინების მიზნით იყენებენ. ინტერვიუ გვეხმარება ადამიანების ცხოვრებაში ოჯახური ურთიერთობების დინამიკის (ქორწინება და დაშორება, თანაცხოვრება, რეპროდუქცია, სოლიდარობა და ა.შ.) განსაზღვრაში.

კვლევის ყველაზე მდიდარი ნაწილი ეფუძნება დისკუსიებს ფოკუსჯგუფებში, რომლებიც კვლევის ჩატარების თითოეულ ადგილას იმართებოდა. თითოეულ ადგილას ექვსი ამგვარი დისკუსია ჩატარდა; თითოეულ დისკუსიაში მონაწილეობდა ერთი და იგივე დემოგრაფიული პროფილის (სქესი, ასაკი და ოჯახური მდგომარეობა) მქონე 7-10 ადამიანი. აღნიშნული დისკუსიები ფოკუსჯგუფებში მიზნად ისახავდა ოჯახური ცხოვრების სხვადასხვა ფაზის მიმართ სოციალური დამოკიდებულებების გამოკვლევას. მათი სტრუქტურა მორგებული იყო თითოეული ფოკუსჯგუფის დემოგრაფიულ შემადგენლობას და ამიტომ ისინი საუკეთესო სახით ასახავენ იმ გენდერულ ნორმებს, რომლებიც დომინირებს თითოეულ თემში.

კვლევის თითოეულ ინსტრუმენტს გააჩნია თავისი უპირატესობები და შეზღუდვები. თუმცა ერთობლიობაში გამოყენებისას ისინი უზრუნველყოფენ საქართველოს მოსახლეობის დიდ სემენტებში გენდერული დამოკიდებულებებისა და ქცევების გამოკვლევის ეფექტიან საშუალებას. ეს კვლევა, როგორც ასეთი, უნიკალურ მონაცემთა ბაზას წარმოადგენს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ოჯახური და გენდერული ურთიერთობების შესახებ ლიტერატურა შედარებით შეზღუდული მოცულობით არის ხელმისაწვდომი.

2.3.3 ანალიზი

ყველა ინტერვიუ ჩაიწერა, გაიშიფრა ქართულად და ითარგმნა ინგლისურ ენაზე. მათ დაერთო მონაცემთა ცხრილები თემებისა და ცალკეულ პირთა სოციალური მახასიათებლების შესახებ. წინამდებარე ანგარიშში განხორციელებულ ანალიზში მონაცემთა ანონიმურობა სათანადოდაა დაცული, მაგრამ ხელმისაწვდომია სტანდარტული გეოგრაფიული და დემოგრაფიული დესკრიპტორები ცალკეული პირების ან მითითებული ჯგუფების იდენტიფიცირებისათვის.

ინგლისურ ენაზე შესრულებული ასლების კოდირება მოხდა ქართულად არსებული ორიგინალური ვერსიის დახმარებით. ჩვენს მიერ გამოყენებულია როგორც ცალკეულ პირთა ორიგინალური დესკრიპტორები, ასევე ინტერვიუს ჩატარების პირობები და, ამასთანავე, რიგი მთავარი თემებისა, რომლებიც ინტერვიუს საფუძველზე წამოიჭრა. აღნიშნული კოდები გამოყენებულია ინფორმაციის კლასიფიკაციისთვის, მოძიებისა და დამუშავებისთვის ხარისხობრივი ანალიზის პროგრამის გამოყენებით.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო მისი ფოკუსირება სქესის შერჩევაზე, იმ საკითხზე, რომელიც ხშირად უცნობია როგორც საზოგადოებისთვის, ასევე ადგილობრივი ექსპერტებისთვის. კვლევის შედეგად წამოჭრილმა რამდენიმე თემამ, როგორცაა დისკრიმინაციული ქცევა გოგონების მიმართ, შერჩევითი აბორტები და მამაკაცთა წილის სიჭარბე, მონაწილეებში გამოიწვია გარკვეული უნდობლობა და დაბნეულობა. ამ ფაქტმა დაადასტურა საქართველოში აღნიშნულისაკითხების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე და, ამავე დროს, იგი გავლენას ახდენდა დისკუსიების შინაარსზე. ზოგჯერ სენსიტიური საკითხების შესახებ საუბარს თან ახლდა გარკვეული უხერხულობა როგორც ინტერვიუერთა, ასევე გამოკითხულთა მხრიდანაც. აბორტებთან დაკავშირებით ძლიერი მორალური სტიგმა აღმოჩნდა ის ხელის შემშლელი ფაქტორი, რომლის გამოც უფრო გულწრფელი საუბარი რეპროდუქციული სტრატეგიების შესახებ შეიძლებოდა არ შემდგარიყო. ჩანაწერების ზოგიერთი ნაწილი, განსაკუთრებით კი ის ნაწილები, რომლებიც ეხება დემოგრაფიულ დისბალანსს მომავალში და შესაძლო საპასუხო პოლიტიკურ ღონისძიებებს, წარმოდგენილ ანგარიშში ნაკლებად არის გამოყენებული; ვინაიდან მონაწილეთა უმეტესობა ამ საკითხებს არ იცნობდა, ისინი არ გამოხატავდნენ შეშფოთებას დაბადებისას სქესთა შორის არსებული დისბალანსის ნებისმიერ შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით.¹⁴

¹⁴ ქართული მართმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარის მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებების გათვალისწინებით ბევრ მონაწილეს ეგონა, მაგალითად, რომ აბორტების აკრძალვა შერჩევითი აბორტების პრობლემის ბუნებრივი გადაწყვეტა იყო. თუმცა სქესის შერჩევის მიზნით გაკეთებული აბორტები საქართველოში აბორტების საერთო რაოდენობაში ძალიან უმნიშვნელო წილს შეადგენს.

3. გენდერული დისკრიმინაცია და მისი კონტექსტი

ამ თავში განვიხილავთ საქართველოში სოციალური ცვლილების იმ ასპექტებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დემოგრაფიულ ქცევაზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ის, თუ როგორ გაიხსნა საქართველო 1991 წლის შემდეგ ახალი შესაძლებლობებისთვის წინა რეჟიმის მიერ შემოღებული სოციალური სტრუქტურებისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმების მკვეთრი გაუარესების ფონზე. ეკონომიკურ აღმავლობას ადასტურებს ცვლილება საქართველოს მთლიან ეროვნულ შემოსავალში, რომელიც ამ პერიოდში დაფიქსირდა. საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი საბჭოთა რესპუბლიკა იყო. მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და 1992 წელს მკვეთრი ეკონომიკური ვარდნის შემდეგ მთლიანი შიდა პროდუქტი სულ რაღაც ოთხ წელიწადში ერთ მესამედამდე შემცირდა: 1994 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია და 2.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. მშპ-ის საშუალო მაჩვენებელი იმ დროს შეადგენდა 517 აშშ დოლარს ერთ სულ მოსახლეზე. მას შემდეგ საშუალო მშპ სტაბილურად იზრდებოდა და უმეტეს წლებში ეს ზრდა დაახლოებით 5 პროცენტს შეადგენდა. 2000 წლის შემდეგ სტაბილურად გრძელდებოდა თანდათანობითი ეკონომიკური აღორძინება, 2009 წლის კრიზისის თუარ გავითვალისწინებთ. ეს უკანასკნელი გამოწვეული იყო გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენით ექსპორტსა და მიგრანტების გადარიცხვებზე, რასაც დაემატა რუსეთთან კონფლიქტის შედეგები. პოლიტიკური ცვლილებები საქართველოში არანაკლებ დრამატული იყო: სამოქალაქო ომი და კონფლიქტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, 2003 წლის ვარდების რევოლუცია და ხანმოკლე ომი რუსეთთან 2008 წელს.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და ამით გამოწვეული ვალარიების შემდეგ ვაკვასიის რეგიონში მომხდარი პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების შესახებ უკვე ბევრი დაიწერა (დუდვიკი და სხვები, 2003 წ.) და ამ ანგარიშში შემდგომ გამოკვლევას აღარ საჭიროებს. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმ სფეროებზე, რომლებიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს გენდერულ დისკრიმინაციაზე. ეს სფეროებია მოსახლეობის დინამიკა, გენდერული საკითხები, ოჯახური მდგომარეობა და ცვლილებები ჯანდაცვის სისტემებში. ამიტომ ანგარიში დაყოფილია რამდენიმე ცალკეულ თავად, რომლებიც ფოკუსირებას ახდენს საქართველოში სოციალური ცვლილების ზოგიერთ ასპექტზე, რომლებსაც მოგვიანებით გამოვიყენებთ დაბადებისას სქესთა

თანაფარდობის მაჩვენებლის ანალიზში.

3.1 სამედიცინო მომსახურება და ინფრასტრუქტურები

საბჭოთა პერიოდში საქართველოს მთავრობა პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებდა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას. დაინერგა ცენტრალიზებული და მთლიანად სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებული სისტემა, რომელიც ჯანდაცვის უფასო მომსახურებას სთავაზობდა მოსახლეობას. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოური სემაშკოს (ცენტრალიზებული და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული) სისტემის წყალობით, რაც გრძელდებოდა 1970-იან წლებში სტაგნაციის დაწყებამდე. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ ორივე სქესისთვის, რომელიც 1960 წელს 73 წლამდე გაიზარდა, მას შემდეგ კლება დაიწყო და 1991 წლისთვის 71 წლამდე შემცირდა. აღნიშნულმა გაუარესებამ არ იმოქმედა ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობაზე, რომელიც სტაბილურად განაგრძობდა კლებას და 1990 წელს დაფიქსირდა 21 შემთხვევა 1000 ახალშობილზე. ჯანდაცვის საბჭოთა სისტემა ეფექტიანი აღმოჩნდა სიკვდილიანობის პრევენციისა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, მაგრამ ქრონიკულ დაავადებებს ვერ უმკლავდებოდა და მისთვის ხელმიუწვდომელი იყო თანამედროვე აღჭურვილობა ან მიღწევები. მაშინ, როდესაც სამედიცინო მომსახურება ოფიციალურად უფასო იყო, იგი სულ უფრო დამოკიდებული ხდებოდა არაოფიციალურ გადასახადებზე და სისტემა მთლიანად მოიცვა ფართოდ გავრცელებულმა კორუფციამ.

მაგრამ 1991 წლის შემდეგ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. რამდენიმე წელიწადში ბავშვთა სიკვდილიანობა საქართველოში თითქმის 50 პროცენტით გაიზარდა, რაც ნაწილობრივ არსებული სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების მომსახურების მკვეთრი გაუარესებით იყო გამოწვეული. 1998 წლისთვის ბავშვთა სიკვდილიანობა დაუბრუნდა 1990 წლის დონეს და მას შემდეგ თანდათანობით კლების ტენდენცია აღიგინა და 2013 წელს 11 სიკვდილის შემთხვევა დაფიქსირდა 1000 დაბადებულ ბავშვზე.¹⁵ ანალოგიურად, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებელმა 2000 წლიდან

15 ამ ქვეთავში ვეყრდნობი მაჩვენებლებს ყოველწლიური დემოგრაფიული ჟურნალიდან, რომელიც გ. წულაძის და მისი თანამშრომლების მიერ იქნა მომზადებული. ზოგიერთი წყარო გვთავაზობს განსხვავებულ ციფრებს და 1970-1990 წლებში სტაგნაციის ნაკლებად დრამატულ სურათს ასახავს (ჭოჭანიძე და ლეფვერი, 2014 წ.).

გაუმჯობესება დაიწყო, თუმცა მთლიანობაში წინსვლა ისეთი სწრაფი არ არის, როგორც ამის ან ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ამჟამად იგი 75 წლით განისაზღვრება და ქალთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა მთელი რვა წლით უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცებისა. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ამჟამად თითქმის უტოლდება სომხეთში დაფიქსირებულ მაჩვენებელს და დაახლოებით ხუთი წლით მეტია, ვიდრე რუსეთსა და აზერბაიჯანში.

ცენტრალური დაგეგმვის სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში საქართველოს ჯანდაცვის სისტემამ რამდენიმე რეფორმა განიცადა, რომლებსაც აქ მხოლოდ მოკლედ განვიხილავთ. თავდაპირველად ჯანდაცვის სისტემა კომბინირებულ სისტემად გადაიქცა: სახელმწიფო სისტემა უპირატეს მნიშვნელობას ინარჩუნებდა და მოიცავდა პირველადი დახმარების ცენტრებს, მაგრამ პაციენტებს მოეთხოვებოდათ სამედიცინო ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურება, რაც ძირითადად აუცილებელი მედიკამენტების შეძენასთან იყო დაკავშირებული. რამდენიმე წლის შემდეგ მედიკამენტების ინდუსტრიაში პრივატიზაციის ნიშნები გაჩნდა და ზოგიერთმა ექიმმა კერძო პრაქტიკა დაიწყო (შეხტერი, 2011 წ.). აღნიშნულმა ტენდენციამ პიკს მიაღწია ვარდების რევოლუციის შემდეგ, როდესაც ახალმა რეჟიმმა უფრო რადიკალური მიდგომა შემოიღო და 2007 წელს სრული პრივატიზაცია გამოაცხადა. ადგილობრივი პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრები დაიხურა, ხოლო საავადმყოფოები და კლინიკები კერძო საკუთრებაში გადავიდა. მოქალაქეებს შეუძლიათ შეიძინონ კერძო სამედიცინო დაზღვევა თავისთვის და თავიანთი ოჯახებისთვის. ფარმაცევტულ ფირმებთან ერთად სადაზღვევო კომპანიები მთავარი მოთამაშეები გახდნენ საქართველოში და სწორედ მათ გახსნეს დიდი რაოდენობით ახალი ჯანდაცვის დაწესებულებები ქვეყანაში. სახელმწიფო ფარავს მხოლოდ უღარიბესი ოჯახების ხარჯებს ვაუჩერების სისტემის მეშვეობით, მაგრამ ბევრი მათგანი კვლავაც სოციალურად დაუცველია. სამედიცინო მომსახურების საფასური მნიშვნელოვნად გაიზარდა და ნაღდი ფულით ანგარიშსწორების წილი 70 პროცენტზე ოდნავ დაბალია, რაც დღესდღეობით თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე რუსეთში. ექიმების რაოდენობა საქართველოში კვლავაც მაღალი რჩება, მაგრამ საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობა შემცირდა სამამდე 1000 პაციენტზე, რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში. ძირითადი რეფორმა მხოლოდ 2013 წელს განხორციელდა, როდესაც საყოველთაო

ჯანდაცვის პროგრამა იქნა შემოღებული.

რაც შეეხება ახალ რეპროდუქციულ ტექნოლოგიებს, ჩვენ მხოლოდ ირიბი ინფორმაცია გავაჩნია საქართველოში 1990-იანი წლებიდან მათი თანდათანობით გავრცელების შესახებ. 1991 წელს ნამდვილად დიდ მიღწევას ჰქონდა ადგილი, ვინაიდან შესაძლებელი გახდა უცხოეთიდან ძველი საბჭოური ულტრაბგერითი ექოგრაფების ნაცვლად ახალი აღჭურვილობის შემოტანა. მაგრამ პერიოდი, როდესაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი გაიზარდა, რაც დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიწყო, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ, საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ იმ დროს ხელმისაწვდომი ტექნიკური საშუალებები პრენატალური დიაგნოზის დასმის შესაძლებლობას უზრუნველყოფდა. ხელმისაწვდომი აღჭურვილობის სისტემატური რეგისტრაციის არარსებობის პირობებში ჩვენ თითქმის არ ვფლობთ ინფორმაციას 1991 წლიდან იმპორტირებული თანამედროვე ულტრაბგერითი აღჭურვილობის მოცულობისა და ხასიათის შესახებ და შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მზარდმა მოთხოვნამ დააჩქარა ტექნოლოგიური ჩანაცვლების პროცესი. რეპროდუქციული ჯანმრთელობის 2010 წლის კვლევის მონაცემთა თანახმად, ულტრაბგერითი გამოკვლევა ორსულობის დროს უკიდურესად გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენდა საქართველოში. 97 პროცენტზე მეტმა ქალმა აღნიშნა, რომ ჩაუტარებია ულტრაბგერითი გამოკვლევა 2005-2010 წლების პერიოდში. ულტრაბგერითი გამოკვლევის გამოყენების უფრო დაბალი მაჩვენებლებია დაფიქსირებული რაჭა-სვანეთში და ასევე შედარებით დაბალი განათლების დონის მქონე ქალებში. მაგრამ მათი წილი კვლავაც 90 პროცენტამდე რჩება. საინტერესოა, რომ პირველი ულტრაბგერითი გამოკვლევა ქალების 77-მა პროცენტმა ორსულობის პირველ ტრიმესტრში ჩაიტარა. თუმცა ეს ბოლო პერიოდის მონაცემებია, რადგანაც ხუთი წლის წინ მათი წილი მხოლოდ 44 პროცენტს შეადგენდა.

დღეს კერძო კლინიკები და საავადმყოფოები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ რეპროდუქციული მომსახურების მიწოდებაში და ქალაქის სამედიცინო დაწესებულებებში მრავლად არის უახლესი ულტრაბგერითი აღჭურვილობა. ულტრაბგერითი ტესტის ღირებულება სულ 20 ლარია (11 აშშ დოლარი). ამასთან, საქართველო გახდა ისეთი ქვეყანა, რომელიც მოსახლეობას სთავაზობს მაღალტექნოლოგიურ რეპროდუქციულ მომსახურებას და დიდი რაოდენობით იზიდავს საერთაშორისო კლიენტებს. IVF და მასთან დაკავშირებული მომსახურება, როგორცაა

კვერცხუჯრედის დონაცია, ემბრიონის გადაცემა და სუროგაცია ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია უშვილობის მკურნალობის სხვადასხვა კლინიკაში (რომლებიც ძირითადად თბილისში მდებარეობს) კონკურენტულ ფასად. მაგრამ სქესის შერჩევა შეიძლება განხორციელდეს წინასაიმპლანტაციო გენეტიკური დიაგნოსტიკის მეშვეობითაც. ინტერნეტის საშუალებით მარტივად არის შესაძლებელი ასეთი კლინიკების პოვნა თბილისში. თუმცა არ არის ნათელი, მართლაც სთავაზობენ თუ არა პაციენტებს ეს კლინიკები სქესის წინასაიმპლანტაციო შერჩევასთან დაკავშირებულ მომსახურებას. IVF და სუროგაციის მომსახურება უცხოელებისთვის კი ქვეყანაში ფართოდ არის რეკლამირებული.

3.2 დემოგრაფიული ცვლილება

1990-იან წლებამდე საქართველოში დემოგრაფიული ზრდის ზომიერი ტემპი ფიქსირდებოდა, რომელიც წელიწადში 0.5-1 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა, რაც მისი შედარებითი ზრდის ამსახველი იყო ეკონომიკური განვითარებისა და დემოგრაფიული ძვრის თვალსაზრისით. საქართველოს მოსახლეობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი 3.5 მილიონიდან 1990 წლისთვის 5.4 მილიონამდე გაიზარდა (დე იურე მოსახლეობა). მან ასევე მნიშვნელოვანი ურბანიზაცია განიცადა 1970-იანი წლების განმავლობაში. მაშინ, როდესაც ქვეყანაში საშუალო დემოგრაფიული ზრდა უფრო სწრაფი იყო, ვიდრე რუსეთში, მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა სამხრეთი კავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნებში დაფიქსირებულ დონეს. აღნიშნული ზომიერი დემოგრაფიული ზრდა მხოლოდ ნაწილობრივ იყო გამოწვეული სიკვდილიანობის სტაგნაციით, რომელიც აღინიშნებოდა საბჭოთა წყობილების ბოლო ათწლეულების განმავლობაში (ჰოპმანი და ლეფევი, 2014 წ.). მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა შობადობის დონის მდგრადი კლება, რომელიც საქართველოში ბევრად უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე რეგიონის სხვა ადგილებში. 1970-იანი წლების შუა პერიოდისთვის საქართველოში ქალები საშუალოდ უკვე 2.5-ზე ნაკლებ ბავშვს აჩენდნენ. აღნიშნულმა კლებამ 1980-იანი წლების ბოლოს შობადობის მაჩვენებლები თანდათანობით 2.1 ბავშვი/ქალზე დაიყვანა, რაც სამხრეთი კავკასიის რეგიონში ყველაზე დაბალი დაფიქსირებული დონე იყო (სმიტი, 2011 წ.).

1990-იანი წლები კვლავ ძლიერი ცვლილების პერიოდი გახდა საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ


სიკვდილიანობა ოდნავ გაიზარდა, ამან მხოლოდ უმნიშვნელო გავლენა მოახდინა ქვეყანაში საერთო დემოგრაფიულ ტენდენციაზე. მოსახლეობაზე ძირითადად გავლენას ახდენდა შობადობის მაჩვენებლების სწრაფი ვარდნა 1990 წლის შემდეგ და მოსახლეობის მნიშვნელოვანი დანაკარგები საერთაშორისო მიგრაციის გამო. ამის შედეგად 1991 წლის შემდეგ ზრდა შეჩერდა და წლების განმავლობაში კიდევ უფრო შემცირდა. დღეს დე იურე მოსახლეობა, შეფასების თანახმად, 4.5 მილიონს შეადგენს (2014 წ.). აღნიშნული ციფრი მალე დადასტურდება მოსახლეობის აღწერის შედეგებით. ამის საპირისპიროდ, დე ფაქტო მოსახლეობა, საერთაშორისო მიგრანტების გარეშე, 3.8 მილიონამდე შემცირდა. მოსახლეობის რიცხოვნობის ასეთ განსაკუთრებულ კლებას თან სდევდა ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის - რომელიც დღეს საერთო მოსახლეობის 53 პროცენტს შეადგენს - უმნიშვნელო შემცირება.

3.2.1 აღწარმოებზე დაბალი შობადობა

შობადობის დონის მკვეთრად დაცემა გამოწვეული იყო 1990-დან 1993 წლამდე დაბადებული ბავშვების რაოდენობის 30 პროცენტზე მეტად შემცირებით. როგორც ნახ. 3-ზეა ნაჩვენები, დადამავალი ტენდენცია ჯერ კიდევ 1991 წლამდე აღინიშნებოდა, მაგრამ წინა ორი ათწლეულის მანძილზე შობადობა სულ 0.5 ბავშვით შემცირდა. მომდევნო ორ წელიწადში შობადობა 2.1-დან 1.5 ბავშვამდე დაეცა. ათი წლის განმავლობაში შობადობის დონე ნელ-ნელა კლებულობდა და ყველა დროს ყველაზე დაბალ ნიშნულს, ანუ 1.4 ბავშვს ქალზე, 2005 წელს მიაღწია. აბსოლუტურ გამოსახულებაში ეს ვარდნა შესაძლოა უფრო დაბალი იყო, ვიდრე სამხრეთი კავკასიის სხვა ქვეყნებში, მაგრამ ამ პერიოდში საქართველო შობადობის ყველაზე დაბალი დაფიქსირებული დონის მქონე ქვეყნად რჩებოდა. ჩვენ უკვე განვიხილეთ დაბალი შობადობის შესაძლო ზეგავლენა სქესის შერჩევაზე, მაგრამ ახლა შესაძლებლობა გვაქვს, შევაფასოთ ამ ყველაზე დაბალი შობადობის დონის ზეგავლენა გენდერთან დაკავშირებულ რეპროდუქციულ შედეგებზე. ვინაიდან შობადობის დონე 2005 წელს 1.4 ბავშვს შეადგენდა, ხოლო დაბადებისას სქესთა ნორმალური თანაფარდობა 105-ს, წყვილების 36 პროცენტს ვაჟი არ გაუჩნდებოდა, სქესის ხელოვნური პრენატალური შერჩევისთვის რომ არ მიემართა.

შემდგომში შობადობის დონემ ოდნავ მოიმატა და ამ ცოტა ხნის წინ კვლავ დაუბრუნდა 1.7-ს. მან ასევე განიცადა მკვეთრი ზრდა 2009 წელს და თითქმის 1.9 ბავშვი ქალზე შეადგინა. 2009 წელს დაფიქსირებული ზრდა მნიშვნელოვანწილად განაპირობა 2008 წელს

პატრიარქის მიმართვამ, რომელმაც მოუწოდა მშობლებს, რომ უფრო მეტი ბავშვი გაეჩინათ და ყოველი მესამე და მომდევნო ბავშვის მონათვლას დაჰპირდა. მაგრამ შობადობის ამგვარი ზრდა ხანმოკლე აღმოჩნდა და შობადობის დონე კვლავ შემცირდა 1.7 ბავშვამდე ქალზე. მიუხედავად იმისა, რომ „საქსტატს“ შესაძლოა საქართველოში შობადობის დონე რეალურზე ოდნავ დაბალ დონეზე აქვს დაფიქსირებული (ვარაუდი, რომელსაც ნათელს მოჰყვანს მხოლოდ მოსახლეობის ახალი აღწერის შედეგები), ბავშვების საშუალო რაოდენობა ერთ ქალზე გაანგარიშებით ნამდვილად ჩამოუვარდება აღწარმოების დონეს (2.1) და ამას ქვეყნისთვის გრძელვადიანი შედეგები ექნება.



ნახ. 3: შობადობის დონეები საქართველოში, 1970–2013 წწ.

შობადობა უდავოდ შემცირდა პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის აღრევის გამო, რაც მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლას. საქართველოში წყვილები მოულოდნელად უმუშევრობის, სამედიცინო დაზღვევის არარსებობისა და ბავშვებზე ზრუნვის სისტემის მკვეთრად გაუარესების პრობლემის წინაშე დადგნენ. ბევრმა მათგანმა არჩია, გადაედო ბავშვის გაჩენა და ამან მნიშვნელოვნად იმოქმედა ოჯახის შექმნაზე; ქორწინების მაჩვენებელი უფრო სწრაფად კლებულობდა, ვიდრე შობადობის მაჩვენებელი და 1991 წელს 38,000-დან მომდევნო წელს 27,000 დაეცა, ხოლო 2003 წელს 12,000 შეადგინა. ამჟამად წელიწადში 31,000-მდე ქორწინების რეგისტრირება ხდება, თუმცა ეს დონე მაინც უფრო დაბალია, ვიდრე 1991 წელს. აღნიშნული კლება შესაძლოა ნაწილობრივ განპირობებული იყო დაურეგისტრირებელი ჯვრისწერით; დაურეგისტრირებელ ქორწინებაში დაბადებული ბავშვების წილი სწრაფად მატულობდა და დღეს წლიური რაოდენობის დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს. ვინაიდან ადამიანებმა გადადეს თავიანთი კავშირის ოფიციალურად რეგისტრაცია, ქორწინე-

ბის საშუალო ასაკმა მამაკაცებშიც და ქალებშიც თანდათანობით მოიმატა (დაახლოებით ორი წლით). დღეს ქორწინების ასაკი მამაკაცებისთვის 30 წელი და მეტია (პირველი ქორწინება 29.5 წლის ასაკში). ვინაიდან დაქორწინების უფრო დაბალი მაჩვენებლები, ქორწინების უფრო მაღალი ასაკი და შობადობის უფრო დაბალი მაჩვენებლები უკვე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფიქსირდება, არასახარბიელო პირობების გამო ბავშვის გაჩენის დროებით გადადების ალბათობა შეგვიძლია გამოვიცხოთ. აღწარმოებაზე დაბალი შობადობა დღეს უკვე საქართველოს დემოგრაფიული პროფილის კარგად დამკვიდრებული მახასიათებელია და 2011 წელს 3 და

მეტი დაბადებული ბავშვის წილმა დაბადებული ბავშვების საერთო რიცხოვნობაში მხოლოდ 15% პროცენტი შეადგინა.

რეპროდუქციულ გადაწყვეტილებებზე გავლენის გარდა, დაბალ შობადობას საქართველოში გრძელვადიანი შედეგები ექნება მოსახლეობასთან დაკავშირებულ ტენდენციებზეც. როგორც ვნახეთ, ქვეყნის მთლიანი მოსახლეობა უკვე შემცირდა გასული ორი

ათწლეულის განმავლობაში და ეს ტენდენცია მომავალში კიდევ გაგრძელდება. სტანდარტული დემოგრაფიული პროგნოზების მიხედვით, მომდევნო ოთხი ათწლეულის განმავლობაში მოსახლეობა კიდევ შემცირდება ერთი მილიონით (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2013 წ.). დაბალი შობადობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სწრაფი ცვლილება. უფრო ახალგაზრდა მოსახლეობა უკვე შემცირებულია შობადობის დონის თანდათანობით კლების გამო. მეორე მხრივ, ზრდასრული (15-64 წლამდე ასაკის) მოსახლეობა ბოლო ოცი წლის განმავლობაში ფარდობით გამოსახულებაში გაიზარდა, მაგრამ შობადობის დაბალი დონისა და მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების გამო ხანგრძლივი კლების ტენდენცია დაიწყება. მომდევნო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ხანდაზმული მოსახლეობა განაგრძობს მდგრად და სწრაფ ზრდას. 65+ ასაკის მოსახლეობის წილი შეიცვალა და 1990 წელს არსებული 10 პროცენტიდან დღეს უკვე 15 პროცენტზე მეტი შეადგინა და საუკუნის

მეორე ნახევრის დასაწყისში შეიძლება 25 პროცენტს მიუახლოვდეს. ეს დადებითად არ იმოქმედებს დამოკიდებულების კოეფიციენტზე, რომელიც 2010 წლის შემდეგ რეგულარულად იზრდება სამუშაო ძალის შემცირების გამო. მონაწილეობის დონის და შრომის პროდუქტიულობის მნიშვნელოვნად ამაღლების შესაძლებლობები შეზღუდულია და შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებების დასაბალანსებლად. ჩვენს თემასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა მომავალში გაზრდის ბეჭოლას ზრდასრულ შვილებზე, რომლებიც იძულებულნი იქნებიან, არჩინონ თავიანთი მოხუცებული მშობლები.

3.2.2 მიგრაცია

როგორც წინა ქვეთავში აღვნიშნეთ, აღწარმოებაზე დაბალი შობადობის დონე მოსახლეობის დინამიკაში მთავარ გადაწყვეტ ფაქტორად რჩებოდა ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში. კერძოდ, სწორედ ეს არის მოსახლეობის სიდიდის საერთო კლებისა და საშუალო ასაკის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ძირეული მიზეზი. მაგრამ მოსახლეობის ცვლილების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საერთაშორისო მიგრაცია, ვინაიდან საქართველოში დაბადებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს და მუშაობს საზღვარგარეთ. საერთაშორისო მიგრაცია ჩვეულებრივ ბუფერის როლს თამაშობს შრომის ბაზარზე, რაც ადამიანებს (და მათ ოჯახებს) სხვა ქვეყნებში სამუშაოს შოვნის შესაძლებლობას აძლევს ქვეყანაში გაზრდილი უმუშევრობის შემთხვევაში.

საქართველოში 1991 წლიდან ოდნავ უფრო რთული მდგომარეობაა იმის გამო, რომ ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანა დატოვა. რუსების, ბერძენებისა და უკრაინელების რაოდენობა, მაგალითად, 1990-იან წლებში 80 პროცენტით შემცირდა, ხოლო სომეხთა რაოდენობა თითქმის განახევრდა. მოსახლეობის მთლიანი წილი 18 პროცენტიდან 8 პროცენტამდე შემცირდა 1989 და 2002 წლებს შორის პერიოდში.¹⁶ მოსახლეობის აღწერებს შორის პერიოდში საქართველო ერთმა მილიონმა ადამიანმა დატოვა. კვლევისთვის უფრო საინტერესოა ის როლი, რომელსაც ეთნიკურად ქართველი და სხვა მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაცია თამაშობს. ითვლება, რომ ეთნიკური ქართველები

საზღვარგარეთ მიგრაციის დაახლოებით 30 პროცენტს შეადგენენ. თავდაპირველად ისინი ჩადიოდნენ რუსეთსა და თურქეთში, მაგრამ ასევე რიგ ევროპულ ქვეყნებში (როგორცაა გერმანია, საბერძნეთი, იტალია, კვიპროსი და ა.შ.) და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ქართველ მოქალაქეთა რუსეთში ემიგრირება მიზანშეწონილი აღარ არის ამ ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბულობის გამო, რა მიზეზითაც ბევრი ქართველი რუსეთიდან დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის წილად ქართველ ემიგრანტთა ნახევარზე მეტი მოდის.

ეს მიგრაციული ნაკადები ძალიან განსხვავდებოდა უნარ-ჩვევებისა და გენდერული შემადგენლობის მიხედვით. ჩრდილოეთით, რუსეთში, მიგრაციაში სჭარბობდა მამაკაცების წილი, რომლებიც მუშაობდნენ ქარხნებში, მშენებლობისა და ვაჭრობის სფეროში; დასავლეთის ქვეყნებში მიგრაციაში კი ძლიერი იყო ქალთა კომპონენტი, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ მომსახურების, კერძოდ კი მოვლის სფეროში. საზღვარგარეთ სწავლა და ოჯახის გაერთიანება ემიგრაციის კიდევ ორ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენენ. მიგრაციისადმი უფრო ეკონომიკური მიდგომა მიუთითებს მიგრანტების მიერ განხორციელებული გადარიცხვების მზარდ ოდენობაზე. კერძო გადარიცხვებმა (მსოფლიო ბანკის დათვლების თანახმად) თითქმის 2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2013 წელს და მათ წილად ქვეყნის მშპ-ის 12 პროცენტზე მეტი მოდიოდა (15 წლის წინ - 8 პროცენტი). მართალია, ეს სომხეთის მაჩვენებელზე დაბალია, მაგრამ საერთაშორისო მიგრანტებისგან მიღებული შემოსავლები მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკაში. 2009 წლიდან მიგრანტების მზარდი რაოდენობა ევროპულ ქვეყნებში ჩადის და ამ ქვეყნებიდან მათი გადარიცხვები პროპორციულად იზრდება. საბერძნეთიდან გადარიცხვების წილმა უკვე მთლიანი ოდენობის 10 პროცენტი შეადგინა.

სომხეთიდან მიგრაციული ნაკადებისგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად მუშა მამაკაცებისგან შედგება, ქართველი მიგრანტების დიდ ნაწილს ქალები შეადგენენ. ქალი მიგრანტების ზუსტ რიცხვთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო მაჩვენებლები არსებობს, მაგრამ ათი წლის წინ მათი წილი მიგრანტების მთლიან რაოდენობაში სავარაუდოდ 30-50 პროცენტს შეადგენდა. რუსეთში მიგრაციის შეწყვეტასთან ერთად მათი წილი შესაბამისად გაიზარდებოდა. ბოლო მაჩვენებლების მიხედვით, შრომითი მიგრანტების საერთო რაოდენობა 2012 წელს 350,000-500,000 ადამიანი იყო და აქედან ქალთა წილმა 43 პროცენტი შეადგინა (თუხაშვილი და შელია, 2012 წ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

¹⁶ 2002 წელს მოსახლეობის აღწერის ჩატარება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვერ მოხერხდა, რამაც ასევე გავლენა იქონია მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის აღრიცხვაზე.

მოსახლეობის განყოფილების მიერ დათვლილი ემიგრანტების საერთო რაოდენობა ითვალისწინებს ადამიანებს, რომლებიც საქართველოში არიან დაბადებულნი, მაგრამ საზღვარგარეთ ცხოვრობენ. მთლიანმა რაოდენობამ 2013 წელს 430,000 შეადგინა და აქედან 46 პროცენტი ქალები იყვნენ. მაგრამ ამ მაჩვენებელში გათვალისწინებულია ასევე არაეთნიკურ ქართველთა დიდი რაოდენობა, რომლებმაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დატოვეს ქვეყანა („საქსტატი“, 2013 წ.).

ამას საინტერესო შედეგი გააჩნია ჩვენი ანალიზისთვის. ქალთა მიგრაცია მიუთითებს მზარდ ეკონომიკურ ძალაზე, რომელიც ჩამოშორდა უფრო მკაცრ პატრიარქალურ სტრუქტურებს. იგი ასევე მიუთითებს იმ ტრადიციული ოჯახური სისტემის მოსუსტებაზე, რომელიც მამაკაცი მარჩენალის გარშემო იყო ორგანიზებული, და ქალთა მზარდ წვლილზე ოჯახის რესურსებში, რაც შესაძლებელი გახდა როგორც ადგილობრივ შრომის ბაზარზე მონაწილეობის, ასევე საერთაშორისო მიგრაციის შედეგად. არსებულ კვლევებში უკვე ხაზგასმით არის აღნიშნული ის ფაქტი, რომ საქართველოში ქალთა მიგრაცია ხშირად მოქცეულია “ტრადიციული გენდერული ნორმების” ჩარჩოში (ჰოფმანი და ბაქლი, 2012 წ.) და ამიტომ ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალაუფლების გადანაწილება ეჭვქვეშ არ დადგება. მაგრამ მიგრაციასთან დაკავშირებული გამოცდილება იწვევს ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებას და ერთი კვლევა ამტკიცებს, რომ იგი პოტენციურ გამოწვევას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო სფეროში ქალთა უპირველესი როლისთვის (ზურაბიშვილი და ზურაბიშვილი, 2010 წ.).

3.2.3 აბორტი

საქართველოში აბორტების თემის განხილვა რამდენიმე მიზეზის გამო ცალკე ქვეთავს საჭიროებს. აბორტის, როგორც არასასურველი ბავშვის მოცილების მეთოდის, ხშირი გამოყენება საბჭოური პერიოდის მემკვიდრეობას და საქართველოს დემოგრაფიული რეჟიმის მკაფიო დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. ამასთან, პრენატალური დიაგნოსტიკის შემოღებამ აბორტი წყვილების მიერ სქესის შერჩევის პროცესის განუყოფელ ელემენტად აქცია.¹⁷

აბორტის ლეგალიზაცია საბჭოთა ეპოქის დასაწყისში მოხდა. 1920–დან 1991 წლამდე იგი შობადობის კონტროლის ძირითადი მეთოდი იყო, მათ შორის 1936–1955 წლების პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს აბორტები ოფიციალურად შეიზღუდა

¹⁷ ამ ქვეთავის წყაროებია: დავარგული და ბადაშვილი (2008 წ.), როსი (2012 წ.) და რამოსი (2008 წ.), ვესტფი და სერბანესკუ (2008 წ.).

სპეციალური სამედიცინო ჩვენებებით. დღეს ქალებს შეუძლიათ აბორტის გაკეთება ორსულობის პირველი 12 კვირის განმავლობაში, მაგრამ დაწესებულია აუცილებელი მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს სამდღიანი ლოდინის პერიოდს (რომელიც ცოტა ხნის წინ 5 დღემდე გაზარდეს) და კონსულტაციას ექიმთან. არსებობს ირიბი ჩვენებები იმისა, რომ ექიმების უმეტესობა ამ პერიოდს არ იცავს და დაუყოვნებლივ უკეთებს ქალებს აბორტს, განსაკუთრებით კი იმ ქალებს, რომლებსაც ამ პროცედურის გასაკეთებლად მგზავრობა უწევთ. აბორტისთვის დასაშვები პერიოდი ლეგალურად შეიძლება გაგრძელდეს 22 კვირამდე სამედიცინო და სოციალური ჩვენებების საფუძველზე (მუხლები 133, 136). ეს პროცედურა ასევე მარტივად ხელმისაწვდომია (თუ არ ჩავთვლით იმ ქალებს, რომლებიც შორეულ თემებში ცხოვრობენ) და შედარებით იაფი (100 ლარამდე “მინიაბორტისთვის” ასპირაციით). თეორიულად, სქესის პრენატალური დიაგნოსტიკა შესაძლებელია მხოლოდ ორსულობის მეთერთმეტე ან მეთორმეტე კვირას და კანონის მიხედვით, სქესის შერჩევის მიზნით აბორტების გაკეთება ქალებისთვის ძალიან დიდ სირთულეებთან უნდა იყოს დაკავშირებული. მაგრამ ქალებმა და ექიმებმა მრავალი გზა გამონახეს ამ პრობლემის დასაძლევად: ძირითადად აბორტები კეთდება სამ თვეს ოდნავ გადაცილების შემდეგ.¹⁸

1990–იან წლებში საქართველო დასახელდა ერთ-ერთ ქვეყანად, სადაც ყველაზე ხშირია ხელოვნური აბორტები. რეპროდუქციული ჯანმრთელობის 2002 წლის კვლევის შეფასებით, ერთ ქალზე 3.7 აბორტი მოდიოდა, იმ დროს, როდესაც შობადობის მაჩვენებელი იყო დაახლოებით 1.5 ბავშვი ერთ ქალზე. ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, აბორტების სტატისტიკა ხშირად არ არის სანდო; პროცედურების ოფიციალური რაოდენობა 2012 წელს, დღევანდელი დაანგარიშებით, განისაზღვრება 40,000 აბორტით (57,000 დაბადებულ ბავშვთან შედარებით), მაგრამ, სავარაუდოდ, ეს არასრული მონაცემებია. რამდენიმე წლის წინ ოფიციალური მაჩვენებელი 25,000-ზე დაბალი იყო. რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის ირიბი შეფასებები უფრო თანმიმდევრული უნდა იყოს. დღეს უმთავრესად აბორტებს ასპირაციით აკეთებენ (რაც პროცედურების საერთო რაოდენობის ორ მესამედზე მეტია), მაგრამ ამჟამად იზრდება სამედიცინო აბორტების რაოდენობა. აბორტის გამოწვევი პრეპარატები (მიზოპროსტოლის ბაზაზე) 2014 წლის სექტემბრიდან საქართველოში რეცეპტით გაიცემა. თუმცა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე მათი ზეგავლენა

¹⁸ ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მეორე ტრიმესტრის აბორტების წილი ყველა რეგისტრირებული აბორტის ერთ პროცენტზე ნაკლებს შეადგენს.

არასათანადოდ არის დოკუმენტირებული. შესაძლებელია, რომ გამრდილი იყოს ქალების მიერ ისეთი პრეპარატების მიღების სიხშირე, როგორცაა Cytotecto, რომელსაც სქესის შერჩევის მიზნით მეორე ტრიმესტრის აბორტის გამოსაწვევად იყენებენ.¹⁹ ამისგან განსხვავებით, კონტრაცეფციის თანამედროვე ფორმები, როგორცაა საშვილოსნოს სპირალი და აბები, ნაკლებად არის გავრცელებული; თუ გავითვალისწინებთ მათი ხანგრძლივი დროით გამოყენების საჭიროებას, გამოდის, რომ ეს უფრო ძვირი საშუალებაა. გარდა ამის, ითვლება რომ ისინი მავნებელია ქალის ჯანმრთელობისთვის. ტრადიციული კონტრაცეფციის მეთოდები, როგორცაა სქესობრივი აქტის შეწყვეტა, დიდი ხანია პრევალირებს საქართველოში და მათი გამოყენების შედეგია არასასურველი ორსულობის დიდი რაოდენობა.

რაოდენ გავრცელებულიც უნდა იყოს აბორტი, იგი ხშირად დანაშაულის გრძნობას აჩენს ადამიანებში, რომელსაც კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს მართლმადიდებლური ეკლესიის მზარდი გეგავლენა. 1990-იანი წლების შემდეგ ქვეყანაში აბორტების მიმართ დამოკიდებულება თანდათანობით იცვლებოდა, რასაც ხელი შეუწყო ეკლესიის მზარდმა გეგავლენამ. ეკლესიას ხშირად ყველაზე საიმედო ეროვნულ ინსტიტუტად მიიჩნევენ. 2013 წლის მაისში პატრიარქმა ილია მეორემ დაგმო აბორტი როგორც “საშინელი ცოდვა” და მისი აკრძალვისკენ მოუწოდა. შესაძლებელია, აბორტის დაგმობის უმთავრესი მიზეზები მორალური და რელიგიური ხასიათის იყოს, მაგრამ მათ დემოგრაფიული მოსაზრებებიც ბევრად არ ჩამორჩება. საქართველოში დემოგრაფიული ვარდნის უკუქცევა ასევე წარმოადგენს პატრიარქის ერთ-ერთ ამოცანას. მიუხედავად ამისა, ქართველი ქალების მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები მათი რელიგიურობისა და პატრიოტიზმის შესახებ (რომლებიც ჩაწერილია ინტერვიუებისა და ჯგუფური დისკუსიების დროს) ხშირად შეუსაბამობაში მოდის ქმედებებთან, რომლებიც განპირობებულია სოციალური და ეკონომიკური სირთულეებით და რეპროდუქციული მიზნებით (როგორც ამას სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს).

გასული ოცი წლის მანძილზე აბორტების სიხშირე სწრაფი კლების ტენდენციის ამსახველი იყო. რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის ბოლო მონაცემთა მიხედვით, 2010 წელს ერთ ქალზე 1.6 აბორტი მოდიოდა. მართალია, საერთაშორისო სტანდარტებით ეს კვლავ მაღალი დონეა, მაგრამ აბორტების სიხშირის შემცირება მისასაღებელია,

განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეს გამოწვეულია თანამედროვე კონტრაცეფციული საშუალებებისა და მათ შორის პრეგნერვატივების მზარდი გამოყენებით. აბორტების მაჩვენებლის შეფასება კვლავ პრობლემურია, ვინაიდან კლინიკებში და სხვა სამედიცინო ცენტრებში გაკეთებული აბორტების რეგისტრაცია სერიოზული ნაკლოვანებებით წარმოებს. შესაბამისად, შეფასებები მხოლოდ კვლევის შედეგებს ემყარება და როგორც არასრული აღრიცხვა, ასევე გამოყენებული შერჩევის ნიმუშის ზომა შესაძლებლობას არ გვაძლევს, გამოვიყენოთ ეს მაჩვენებლები საქართველოში აბორტებთან დაკავშირებული მდგომარეობის ზუსტად შეფასებისთვის. როგორც მოსალოდნელია, აბორტი უფრო გავრცელებულია უფრო დიდი ასაკის ქალებში და იმ ქალებში, ვისაც ბევრი შვილი ჰყავს. აბორტს ნაკლები სიხშირით მიმართავენ მაღალშემოსავლიანი ჯგუფები და ის უფრო გავრცელებულია სოფლად, მათ შორის აზერბაიჯანულ თემებში. აბორტებთან დაკავშირებით კლასიფიცირებული მონაცემების მოპოვება, როგორც ცნობილია, ძალიან რთულია.

კერძოდ, საერთოდ არ არსებობს მოცილებული ნაყოფის სქესის შესახებ მონაცემები, რომლებიც პირდაპირ დაადასტურებდა აბორტის გამოყენებას სქესის შერჩევის მეთოდის სახით. სქესის შერჩევის საკითხს არმოიცავს არცერთი წარმომადგენლობითი კვლევა, მაგრამ ორი ახალი წყარო უზრუნველყოფს მთელ რიგ შეფასებებს. რეპროდუქციული ჯანმრთელობის ბოლო, 2010 წლის კვლევა მიუთითებს სქესის შერჩევაზე როგორც აბორტის გაკეთების შესაძლო მიზეზზე, მაგრამ ქალების მხოლოდ 1.4-მა პროცენტმა დაასახელა ეს აბორტის მიზეზად. მარტივი არითმეტიკული სიმულირების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თუ ქვეყანაში ყოველი 3 ბავშვის დაბადებაზე 2 აბორტი მოდის, ეს წილი 3 პროცენტზე მაღალი უნდა იყოს იმისათვის, რომ საშუალო SRB მაჩვენებელმა 110 შეადგინოს. ამისგან განსხვავებით, 2013 წლის კვლევის თანახმად, რომელიც ISSA-ს (სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტი) მიერ განხორციელდა საქართველოს ოთხ რეგიონში და 2,400 ადამიანი მოიცვა, კავშირში მცხოვრები ქალების 9 პროცენტმა განაცხადა, რომ მათ ერთხელ გაკეთებული აქვთ აბორტი სქესის შერჩევის მიზნით. რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მაჩვენებელთან შედარებით, ქვეყანაში სქესის შერჩევის მიზნით აბორტების ასეთი შეფასება შესაძლოა ოდნავ გადაჭარბებული იყოს.²⁰

¹⁹ თინა ცომბაის და თინა ტურძილაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სწრაფად გაიზარდა საქართველოში ამგვარი მედიკამენტების იმპორტი. იხ. აგრეთვე: <http://pharmacy.moh.gov.ge/Default.aspx>

²⁰ ჩემს მიერ გამოყენებული ანგარიშის ინგლისური თარგმანი (ISSA, 2013 წ.), რომელიც მომზადდა გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის დახმარებით. საინტერესოა, რომ მამაკაც რესპონდენტთა მხოლოდ 2-მა პროცენტმა მიუთითა, რომ მის პარტნიორს გაკეთებული აქვს აბორტი სქესის შერჩევის მიზნით.

3.3 ოჯახი, გენდერი და საზოგადოება

3.3.1 ოჯახი როგორც ბუფერული ინსტიტუტი დაუცველობის ჟამს

წარსულში მუშა-მოსამსახურეებისთვის გარანტირებული დასაქმება და ხანდაზმულთათვის განკუთვნილი საპენსიო დახმარებები დაცულობის მთავარ წყაროს წარმოადგენდა ადამიანებისთვის და მათი ოჯახებისთვის. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლამ დრამატული ზეგავლენა მოახდინა სოციალური დაცვის სისტემაზე. ჩვენ უკვე ვახსენეთ ზეგავლენა ჯანდაცვის სექტორზე, რომელიც უკვე მთლიანად პრივატიზებულია. მსხვილი სახელმწიფო საწარმოების თანდათანობით გაქრობამ და უმუშევრობის მკვეთრმა ზრდამ გავლენა მოახდინა საქართველოში ოჯახების დიდ ნაწილზე. ყოფილი საბჭოთა სოციალური უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებული იყო სრულ დასაქმებაზე, მაგრამ ასევე უზრუნველყოფდა სუბსიდირებულ ან უფასო სოციალურ მომსახურებას, როგორცაა საცხოვრისი, განათლება და სახელმწიფო დაზღვევის სისტემა. მრავალი ნაკლოვანების მიუხედავად, იგი მოქალაქეებს სტაბილურობასა და დაცვას სთავაზობდა და ყოველივე ეს 1991 წლის შემდეგ რამდენიმე წელიწადში გაქრა. მამაკაცებსა და ქალებზე ამან სხვადასხვანაირად იმოქმედა. მაგალითად, სამრეწველო დარგების მუშახელის დიდ ნაწილს მამაკაცები წარმოადგენდნენ და ეკონომიკურმა რეფორმებმა ბევრი მათგანი სამუშაოს გარეშე დატოვა. ამან იმოქმედა მამაკაცის, როგორც მარჩინალის, იდენტობაზე, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ქალი მუშა-მოსამსახურეები უკეთ მოერგნენ სწრაფ ცვლილებებს პროფესიულ სტრუქტურებში. 1991-93 წლების მიწის რეფორმა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სწრაფად განხორციელებული პრივატიზაცია კი პირიქით, უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა მამაკაცებისთვის და ქალები მიწაზე უფლებების გარეშე დატოვა.

ახალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ თანდათანობით უნდა მოგვარებულიყო დასაქმების, ჯანდაცვის, საბინაო, კომუნალური, სურსათის ფასებისა და პენსიების საკითხები. სიღარიბეზე მეტად საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდი ხასიათდება დაუცველობისა და უთანაბრობის მაღალი ხარისხით. გარკვეულწილად ამ განსხვავებულმა გარდაქმნებმა გავლენა იქონია მთელ მოსახლეობაზე: ბავშვებზე, დედებზე, მუშა-მოსამსახურეებსა და ხანდაზმულებზე (ბაუშანი, 2012 წ.). მართალია, ყოფილ კომუნისტური ქვეყნებში ბევრი ასეთი ნიშანი გვხვდება, მაგრამ 2003 წლიდან

საქართველომ შესაძლოა ყველაზე რადიკალური ნაბიჯები გადადგა სრულიად ლიბერალიზებული სისტემის მიმართულებით. ქვეყნის გარდაქმნა მკვეთრად მოხდა და გამართლებული იყო გარკვეული ლიბერტარიანული პოლიტიკური იდეოლოგიით ვარდების რევოლუციის შემდეგ.

1991 წლის შემდეგ სახელმწიფო ინტერვენციების წილის შემცირების სრულფასოვნად კომპენსირება საბაზრო ინსტიტუტების რაოდენობის ზრდით ვერ მოხერხდა. ოჯახი კვლავ გადაიქცა დომინანტურ სოციალურ ინსტიტუტად, ვინაიდან სწორედ ოჯახი უზრუნველყოფდა ბავშვების, დედების, უმუშევრებისა და ავადმყოფების და ასევე იმ ხანდაზმულების რჩენას, რომელთაც პენსიები მკვეთრად, სიღარიბის შემწეობების დონემდე შეუმცირდათ. ოჯახები და ნათესაურ კავშირებსა და ახლობლობაზე დაფუძნებული მსხვილი სოციალური სისტემები ასრულებდნენ არა მხოლოდ ბუფერის როლს ჯანმრთელობისა და ეკონომიკური რყევების წინააღმდეგ, არამედ ასევე უზრუნველყოფდნენ ისეთი განსხვავებული სახის მომსახურების ხელმისაწვდომობას, როგორცაა საცხოვრისი, დასაქმება და ფიზიკური დაცვა, რომლის შეთავაზება არც სახელმწიფოს და არც ახლად წარმოქმნილ ბაზრებს შეეძლოთ. სამოქალაქო კოდექსმა გაამყარა ოჯახებზე მზარდი დამოკიდებულება იმით, რომ გააძლიერა ოჯახის წევრების - მშობლების, მეწყვილეების, ბავშვებისა და შვილიშვილების - ორმხრივი მოვალეობები (გბირიშვილი, 2012 წ.).

3.3.2 გენდერული უთანასწორობა

გენდერულ მდგომარეობაში ცვლილებების შეჯამება რთული იყო მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციის გამო, რომელიც იკვეთებოდა საქართველოში, ისევე, როგორც ბევრ სხვა ყოფილ კომუნისტურ ქვეყანაში. საბჭოთა მემკვიდრეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ორმოცდაათი წლის მანძილზე ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებაში. განათლების, დასაქმებისა და ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის კუთხით მრავალი მიღწევა არსებობდა. მიუხედავად ამისა, რეჟიმის დაცემამ 1991 წელს და აქედან გამომდინარე სოციალურმა და პოლიტიკურმა არეულობამ ფართო დიაპაზონის შედეგები იქონია ამ მემკვიდრეობაზე, დაწყებული ქალთა დამორჩილების ტრადიციული ფორმების აღორძინებით და დამთავრებული დამოუკიდებლობისა და უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების ახალი გზების აღმოჩენით (იშხანიანი, 2004 წ.; ქასერი, 2008 წ.). გენდერული მდგომარეობის შეფასების რამდენიმე ანგარიშში დაწვრილებით არის აღწერილი

საქართველოში არსებული მდგომარეობა, განსაკუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში.²¹ მიუხედავად ამისა, საბჭოთა პერიოდის ბოლოს ქალების რეალური მდგომარეობის მიზანმიმართული შეფასებისთვის ხშირად რთულია სამთავრობო დაწესებულებების გაუქმებით და ერთდროულად საბაზრო ინსტიტუტების გამოჩენით გამოწვეული ცვლილებების მასშტაბისა და გენდერულ ურთიერთობებზე მათი ზეგავლენის გაზომვა.

რამდენიმე დარგში ქალები სარგებლობენ მათთვის ხელსაყრელი პოზიციებით და სოციალისტური სისტემის ზეგავლენა კვლავაც იგრძნობა. მაგალითად, სამართლებრივ სისტემას გენდერული დისკრიმინაციის კვალი არ ემჩნევა. საქართველო ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციას (CEDAW) 1994 წელს შეუერთდა და 2010 წლის კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ საგანგებოდ იქნა მიიღებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რომელიც კვლავაც გრძელდებოდა დასაქმებაში, საოჯახო საკითხებსა და სხვა სექტორებში. ის, თუ რამდენად სრულფასოვნად სარგებლობენ ქალები არსებული კანონებით, რა თქმა უნდა, სხვა საკითხია, ვინაიდან ჩვენს მიერ ქვემოთ განხილული საოჯახო მემკვიდრეობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევები დისკრიმინაციის გაგრძელებას ადასტურებს. ქართველი ქალები საკმაოდ წარმატებულნი არიან სკოლებში და მთლიანად საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მიუხედავად იმ არასტანდარტული პირობებისა, რომლებიც არაპრივილეგირებულ რეგიონებში გვხვდება. ქალები ხშირად უმეტესობას წარმოადგენენ უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის და ზოგიერთ პროფესიაში, მაგალითად, სამედიცინო სექტორში. სიკვდილიანობის მიხედვით სხვაობების მოკლედ გამოკვლევისას დავინახეთ, რომ მამაკაცები აშკარად ჩამორჩებიან ქალებს, რაც მათი ცხოვრების არაჯანსაღი წესის ბრალია. მაგრამ ქალები ოჯახზე მთავარ მზრუნველებად მიიჩნევიან, როდესაც ოჯახის წევრი შეუძლოდ ან ავად არის. შედეგად ჯანდაცვის სისტემის სახელმწიფო დაფინანსების შეკვეცამ (მაგალითად, წამლების გაძვირებამ და საავიციოებში საწოლების რაოდენობის შემცირებამ) მათ პირდაპირი დარტყმა მიაყენა. ქალებზე ასევე უშუალო ზეგავლენა მოახდინა ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის არასაკმარისმა მოდერნიზაციამ, განსაკუთრებით თანამედროვე კონტრაცეფციისა და კიბოს დიაგნოსტიკის ხელმიუწვდომლობამ.

21 იხ. USAID (2010 წ.) და სუმბაძე (2008 წ.). საქართველოში გენდერული მდგომარეობის დემოგრაფიული ანალიზისთვის იხ. ბაღურაშვილი (2002 წ.) და ბაღურაშვილი და სხვები (2008 წ., 2011 წ.).

უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულმა ანგარიშებმა გამოავლინა რამდენიმე სფერო, რომლებშიც ქალები საქართველოში აშკარად არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებიან. პოლიტიკის შემუშავების სფეროში, მამაკაცებთან შედარებით, ქალები აშკარად არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი. ეს განსაკუთრებით ეხება ეროვნულ დონეზე სამთავრობო და აღმასრულებელ ორგანოებში მონაწილეობას. რამდენიმე ქალმა გამოიჩინა თავი პოლიტიკაში, მაგრამ ქალები ძალზე არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი ქვეყნის პოლიტიკურ არენაზე. ამასთან, გენდერული თანასწორობის მოძრაობას აკლია ძლიერი მობილიზება ისეთი პლატფორმის ირგვლივ, რომელსაც გაიზიარებდნენ ქალთა და არასამთავრობო ორგანიზაციები. შედეგად არ ხდება მრავალ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით ქალთა მოსაზრებების გათვალისწინება ან ხდება ქალების მარგინალიზება. გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები არ სარგებლობს ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერით და ხშირად ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებად განიხილება, ვიდრე აქტუალური ეკონომიკური ან საერთაშორისო საკითხები. მედიის სექტორიც კი, სადაც ქალები სრულფასოვნად არიან წარმოდგენილნი, ვერ ახერხებს გენდერული სტერეოტიპების დამსხვრევას ან მნიშვნელოვანი გენდერული საკითხების გაშუქებას (საბედაშვილი, 2007 წ.).

საქართველოში დღეს ქალების წილი სამუშაო ძალაში ოდნავ ნაკლებია, ვიდრე მამაკაცებისა. სხვადასხვა ანგარიშში საგანგებოდ არის აღნიშნული მამაკაცებსა და ქალებს შორის ჰორიზონტალური და ვერტიკალური დიფერენციაციის არსებობა, რომლითაც აიხსნება მნიშვნელოვანი სხვაობა მამაკაცებისა და ქალების ანაზღაურებაში. ამგვარად, მომუშავე ქალები თავს იყრიან საქმიანობის რამდენიმე სფეროში, როგორცაა მომსახურება და განათლება, მაშინ, როდესაც გაცილებით ნაკლებია იმ ქალთა რაოდენობა, რომლებიც დასაქმებულნი არიან სამშენებლო, სატრანსპორტო, საწარმოო და უძრავი ქონების სექტორებში. ის სექტორები, რომლებშიც ქალები დომინირებენ, უფრო არაფორმალურ დასაქმებას ეფუძნება და ქალებს უფრო დაბალ ხელფასებს უხდის. ამ ჰორიზონტალური სეგრეგაციის გარდა, ქალები ნაკლებად აღწევენ კარიერულ ზრდას და დაწინაურებას. ამის შედეგად ისინი უფრო დაბალ თანამდებობებს იკავებენ, ვიდრე მამაკაცები და ხშირად არ დაიშვებიან ისეთ თანამდებობებზე, სადაც გადაწყვეტილებების მიღება ხდება, მათი გამოცდილების, ნამუშევარი საათებისა თუ

განათლების მიუხედავად.

სამუშაო ძალაში ცვალებადი გენდერული საკითხების უკეთ გაგების მიზნით აუცილებელია ასევე გარდამავალი კონტექსტის გათვალისწინება. მამაკაცებზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა სწრაფმა ცვლილებებმა ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაში, ვინაიდან მამაკაცების დიდი ნაწილი სამრეწველო სექტორში იყო დასაქმებული, რომელსაც 1991 წლის შემდეგ ყველაზე დიდი დარტყმა მიაღება. ბევრმა დაკარგა სამუშაო და შემდგომში ვეღარ მოახერხა ანალოგიურ სექტორში ხელახლა დასაქმება ან ახალ სექტორთან ადაპტირება. უმუშევრობის გამო ბევრმა მამაკაცმა დაკარგა ოჯახის მთავარი მარჩენალის პრივილეგიებული სტატუსი. იგივე მოხდა საერთაშორისო მიგრაციის შემთხვევაშიც: რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების გაუარესებამ გამოიწვია მიგრაციის შესაძლებლობების მკვეთრად შემცირება მამაკაცებისთვის. შედარებისას აღმოჩნდა, რომ ქალები უფრო მედგრები არიან და უკეთ ახერხებენ ადაპტირებას, თანხმდებიან დაბალანაზღაურებად და უფრო დაუცველ სამუშაოზე მცირე საწარმოებში. მათი უმუშევრობის დონე შესაძლოა უფრო დაბალია სწორედ მათი მოკრძალებული მოლოდინის გამო. მაგრამ ქალების ეკონომიკური წვლილი ასევე მნიშვნელოვანი გახდა ბევრი ოჯახისთვის, იმ დამკვიდრებული სტერეოტიპის მიუხედავად, რომ ოჯახის მთავარი მარჩენალი მამაკაცია. იძულებით გადაადგილებული პირები სპეციალურ ქვეჯგუფს შეადგენენ, რომელზეც ყველაზე მძიმე ზეგავლენა მოახდინა 1990-იანი წლებიდან გაღარიბებამ და უმუშევრობამ და ამ თემებიდან მამაკაცები განსაკუთრებით დაუცველნი არიან სოციალური სტატუსისა და ეკონომიკური რესურსების დაკარგვის წინაშე.

კვლევებმა ასევე გამოაშკარავა სხვა სერიოზული საკითხები, რომლებიც მოქმედებს ქალებზე საქართველოში, და მათ შორის გენდერული ნიშნით ძალადობა და ადმინისტრაციული ვაჭრობა. ოჯახში ძალადობა ფართოდ არის გავრცელებული ქართველ ქალებში და დადასტურებულია რამდენიმე ანგარიშში. იგი ხასიათდება უსიტყვო ტოლერანტობის მაღალი დონით, რასაც შედეგად მოჰყვება ის, რომ მეუღლის ან ოჯახის სხვა წევრების მიერ ჩადენილი ძალადობის შემთხვევათა უმეტესობა შეუტყობინებელი რჩება. ოჯახში ძალადობაზე და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებზე რეაგირება დღესაც არაადეკვატურად ხდება, ამ საკითხების ფართოდ გავრცელებას თუ გავითვალისწინებთ. ტრადიციული ინსტიტუტები, რომლებიც საქართველოში გვხვდება, მოიცავს პატარძლის მოტაცებასა და ნათესავების დაქორწინებას (UN-

FPA, 2013a). იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამგვარი პრაქტიკა კლებულობს, ეს ცხადად მიუთითებს გენდერულ დომინირებაზე, რომელიც უკავშირდება ქალთა სექსუალურობის და რეპროდუქციის კონტროლებას ძალის გამოყენებით. საქართველოში გენდერული ურთიერთობების ეს ასპექტები ისეთი საზოგადოების დემონსტრირებას ახდენს, რომელშიც გენდერული უთანასწორობა გამოიხატება სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში ქალთა წარმომადგენლობის ნაკლებობით, მაგრამ ასევე კერძო სფეროში ძალადობით.

3.3.3 ქალები ოჯახსა და საზოგადოებაში

გენდერული თანასწორობის შეფასებისთვის გამოყენებული ბევრი ინდიკატორი ეფუძნება სტანდარტულ გაზომვებს, რომლებიც საერთაშორისო დონეზე შედარებების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, და ხშირად საქართველო რეიტინგში შუა ადგილს იკავებს, მისი საერთო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გათვალისწინებით (ბენდელიანი, 2012 წ.). მაგრამ ეს ინდიკატორები მიუთითებს სოციალური ღონისძიებების ფორმალურ დონეზე და ვერ ჩაანაცვლებს გენდერული დისკრიმინაციის იმ მრავალი ფორმის უფრო ღრმა ანალიზს, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში გვხვდება. გენდერული თანასწორობა არ მიიჩნევა მთავარ ფასეულობად დღევანდელ საზოგადოებაში, რომელშიც მამაკაცებს ცენტრალური როლი უკავიათ. გენდერული სტრუქტურა ძალზე იერარქიულია და თანასწორობა საკანონმდებლო ფორმალობად რჩება, რომელიც მხოლოდ ზედაპირულად ეხება სოციალურ სფეროს. სხვადასხვა კონტექსტში, წყვილებიდან და დიდი ოჯახიდან თემისა და ეროვნულ დონეებამდე, ქალები უკანა პლანზე დგანან, ხოლო მამაკაცები ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების როლებს ისაკუთრებენ. მამაკაცები სარგებლობენ პრივილეგიებული წვდომით სახელმწიფო და კერძო რესურსებზე და საბოლოო გადაწყვეტილებას ძირითადად ისინი იღებენ, რაც ქართულ კულტურაში გენდერული როლების ტრადიციული გადანაწილების ამსახველია.

გარდა იმისა, რომ ეს სიტუაცია ასახავს ჰპოვებს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ღონისძიებებში, იგი ასევე ღრმად არის დანერგილი ადამიანების ფასეულობათა სისტემაში, რასაც ადასტურებს „ქართული მენტალიტეტი“, როგორც ამას გამოკითხულთაგან ზოგიერთი უწოდებს. მამაკაცებს ძალაუფლების სტრუქტურაში მაღალი პოზიციები უკავიათ, ისინი აკონტროლებენ

რესურსებს და ნორმები მამაკაცებზეა მორგებული. გასაკვირი არ არის, რომ შექმნილი სტერეოტიპის მიხედვით ქალი მორჩილი, მოკრძალებული, ტრადიციების დამცველი, ოჯახის ერთგული, ამტანი და მოსიყვარულე უნდა იყოს (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2013 წ.). ქალის წვლილი ოჯახის ბიუჯეტში ან ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევა, ან სინანულს იწვევს, როგორც უფრო ფართო კრიზისის დასტური, მაგრამ დედობა ეროვნულ მოვალეობად ითვლება (რეხვიაშვილი, 2010 წ.). ამგვარი ძირეული უთანასწორობის დასაბუთებისთვის არგუმენტებს სხვადასხვა სფეროდან იშველიებენ, დაწყებული ბიოლოგიური (მამაკაცური ძალადაბუნებრივინიჭი) და დამთავრებული კულტურული მეშვეობით (მართლმადიდებლური ტრადიციები ან კავკასიის ომების ისტორია). მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ხალხური თეორია გენდერული უთანასწორობის გასამართლებლად, ქცევის ნორმების დანერგვა აქტიურად ხდება ოჯახებში, სკოლებში, მედიისა და ეკლესიის მეშვეობით და გენდერული როლები აღიქმება როგორც ძირითადი გენდერული მახასიათებლების ბუნებრივი გაგრძელება.

წარმოდგენილ ანგარიშში ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კავშირებს გენდერულ უთანასწორობასა და ოჯახის ორგანიზებას შორის, ვინაიდან დემოგრაფიული სტრატეგიები და გადაწყვეტილებები ყალიბდება წყვილებისა და მათი უშუალო ნათესავების ინტიმურ გარემოში. ჩვენი კვლევის ძირეული საკითხია ვაჟიშვილებისთვის უპირატესობის მინიჭება, რაც, დემოგრაფიულ გარემოში ცვლილებებთან ერთად, უზრუნველყოფს საფუძველს სქესის შერჩევისთვის. საინტერესოა, რომ საქართველოში ჩატარებულ სხვადასხვა გენდერულ კვლევაში ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭების შესახებ ბევრი არაფერია ნათქვამი. მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ მამაკაცებს ქალებთან შედარებით დომინანტური პოზიცია უკავიათ ბევრ სოციალურ სფეროში, არსებული ლიტერატურა ვერ განმარტავს, თუ და რატომ გარდაიქმნება ეს უთანასწორობა უპირატესობაში უშუალოდ ბიჭების სასარგებლოდ. აღმოსავლეთი ევროპის ან ცენტრალური აზიის ბევრი ქვეყანა თანაბრად ხასიათდება გენდერული უთანასწორობით, მაგრამ ეს ავტომატურად არ გადადის ვაჟიშვილისთვის უპირატესობის მინიჭებაში. სხვაგვარად რომ ითქვას, საქართველო, ისევე, როგორც მისი მეზობლები კავკასიის რეგიონში, ამ რეგიონში ერთადერთ ერს არ წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია სოციალური და ეკონომიკური გენდერული დისკრიმინაციის ფორმები და არც ყველაზე უარესი მდგომარეობა აქვს გენდერული უთანასწორობის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, იგი სქესის პრენატალური

შერჩევის მკაფიო მაგალითად გადაიქცა. აღნიშნული ფენომენი არ ფიქსირდება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა თურქეთი, ირანი, უკრაინა ან რუსეთი, რომ არაფერი ითქვას უფრო შორეულ ქვეყნებზე აღმოსავლეთ ევროპაში ან ცენტრალურ აზიაში, რომლებთანაც საქართველოს ბევრი საზიარო ისტორიული და კულტურული მახასიათებელი გააჩნია. ამიტომ ვფიქრობთ, რომ გენდერულ შეფასებას, რომლითაც ხდება საქართველოსთვის დამახასიათებელი გარემოებების აღწერა, გარკვეული მონაცემები აკლია.

3.3.4 საოჯახო და სანათესავო სტრუქტურები

საქართველოს გენდერული განტოლების გამოტოვებული ელემენტი ძირითადად ანთროპოლოგიური ბუნებისაა და საოჯახო სისტემის ფუნქციონირებას უკავშირდება. როგორც ვვარაუდობდით, ხშირად გენდერული სტერეოტიპების ცენტრში სანათესავო სისტემა დგას. მკაცრად პატრილინეარული სისტემის არსებობა შეიძლება მოცემულ საზოგადოებაში სქესის შერჩევის პრაქტიკის არსებობის ლაკმუსის ქალაქი გახდეს (დას გუფთა და სხვები, 2003 წ.). მიუხედავად ამისა, ჩვენ თითქმის არ გავგაჩნია ქართული საოჯახო სტრუქტურის დეტალური აღწერილობა. ფაქტობრივად, ოჯახების ფუნქციონირება და როლები საქართველოში ხშირად მოცემულობად მიიჩნევა. ოჯახი, მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ერთად, ასევე ერთ-ერთ ძლიერ სოციალურ ინსტიტუტად ითვლება. იგი წლობით უძლებდა დარტყმებს კომუნისტურ პერიოდში, როდესაც სახელმწიფო ქალებს პირდაპირ დახმარებას სთავაზობდა, როგორცაა ბავშვის მოვლა, დასაქმება, სამართლებრივი უფლებები და ეკონომიკური სარგებელი, რაც ტრადიციული ოჯახის როლის შესუსტებას იწვევდა.

საქართველოში ოჯახის მთავარი ანთროპოლოგიური მახასიათებლები მამრობითი ხაზისა და პატრილინეარული ბუნების ირგვლივ ბრუნავს. პატრილინეარული სისტემა შედგება სანათესავო სისტემისგან, რომელშიც გვარის იდენტობა გამომდინარეობს მამრობითი ხაზიდან. მამრობითი ხაზი არის წარმომავლობის ხაზი, რომელიც მამაკაციდან მამაკაცზე გადადის (ძირითადად მამიდან ვაჟიშვილებზე). ქალები მას უერთდებიან ოჯახის ერთ-ერთ წევრზე დაქორწინებისას. ოჯახის წევრობა ხშირად აისახება მამის სახელის გამოყენებით, მაგრამ ეს სანათესავო სისტემის ბუნების სრულყოფილი დასტური არ

არის.²² პატრილინეარული სისტემები ჩვეულებრივ ეფუძნება პატრილოკალურ კავშირებს, რომლებშიც ქალები ქორწინების შემდეგ თავიანთი მეუღლეების ოჯახებში შედიან. არსებობს ბევრი შემთხვევა, სადაც პატრილოკალური სისტემა ასევე ნეოლოკალური სტრუქტურის შექმნის შესაძლებლობას იძლევა, რომელშიც წყვილები მეუღლეების შემდეგ ახალ შინამეურნეობას ქმნიან. მაგრამ ისინი მაქსიმალურად გაურბიან მატრილოკალური ცხოვრების წესს, როდესაც ახლად დაქორწინებული წყვილი საცხოვრებლად ცოლის ოჯახთან გადადის. პატრილოკალურობა ქართული ოჯახის დამახასიათებელი თვისებაა. ასეთი საოჯახო სისტემები მემობელ აზერბაიჯანსა და სომხეთშიც გვხვდება, ისევე, როგორც ჩრდილოეთი კავკასიის რეგიონის ბევრ საზოგადოებაში. ეს თავად ქართულ ენაშია ჩადებული, ვინაიდან ქალი “მოჰყავთ”, ქალს “ატანენ” ან იგი შედის “ოჯახში” [ქმრის ოჯახში] გათხოვების შემდეგ. დრაგაძემ (1988 წ.) ქართული პატრილინეარული სისტემის ყველაზე დეტალური პროფილი შექმნა მის მიერ 1970-იან წლებში რაჭაში (დღეს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარე) ჩატარებულ საველე სამუშაოზე დაყრდნობით.²³ იგი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სოფლის მცხოვრებთა იდენტობა (გვარი, კლანის წევრობა), საცხოვრებელი (ქორწინების შემდეგ და სიბერეში) და სოლიდარობა (ლოიალობა, სოციალური და ეკონომიკური მხარდაჭერა) განისაზღვრება მამრობითი ხაზით. ცოლის ოჯახის წევრები საკმაოდ მარგინალურ როლს თამაშობენ ნათესაობაში. ქორწინებები ეფუძნება სოფლის ეგზოგამიას, მაგრამ გამორიცხავს მამრობითი ხაზის სხვა წევრებს (საძმოს) და განსაკუთრებით მათ შტოებს (შტოს).

უფრო გვიანი პერიოდისთვის ასეთივე მდიდარი ეთნოგრაფიული კვლევები არ გაგვაჩნია. ასევე არ გაგვაჩნია ლიტერატურა, რომელიც ყურადღებას გაამახვილებდა ადგილებზე განსხვავებული კულტურული იდენტობით, როგორცაა ტერიტორიები ჩრდილოეთ-დასავლეთით, სადაც მეგრულ ენაზე ლაპარაკობენ, ან ტერიტორიები ქვეყნის სამხრეთით, სადაც მუსლიმი მოსახლეობა დომინირებს. არსებობს საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა, რომელიც მიუთითებს ოჯახის შენახვაზე და არაპირდაპირი გზით – პატრილინეარულ ოჯახურ ჩვეულებებზე. მაგრამ არაფერი კეთდება იმისათვის, რომ მოხდეს ამ ასიმეტრიული სანათესავო სისტემის წარმოშობისა და ფუნქციონირების აღწერა. მაგალითად,

რობერტისა და სხვების (2009 წ.) ნაშრომში აღწერილია კავკასიაში ოჯახის ფორმირების პროცესი. წინამდებარე კვლევა ყურადღებას ამახვილებს მშობლის ოჯახის გადაწყვეტ როლზე საცხოვრებლის უზრუნველყოფაში ახლად დაქორწინებული წყვილისთვის და ტრადიციული ოჯახის დამოკიდებულებების შესაძლო აღორძინებაზე. მიუხედავად ამისა, პირდაპირ ნახსენები არ არის პატრილინეარული მოწყობა ახალგაზრდა ოჯახებში. ანალოგიურად, ნანა სუმბაძის მიერ გამოქვეყნებული იქნა გენდერისა და საზოგადოების ფართო კვლევა (2008 წ.), სადაც წარსულში არსებული ქართული ოჯახი აღწერილია როგორცტიპური “პატრიარქალური ოჯახი”²⁴, მაგრამ მოცემული არ არის პატრილოკალურობისთვის უპირატესობის მინიჭების ანალიზი (იხ. შეფასებები ქვემოთ). დიდი ოჯახები ყოველთვის ვაჟიშვილების, რძლებისა და მათი შვილების გარშემო ტრიალებენ.

ფაქტობრივად თითქმის შეუძლებელია ქვეყანაში პატრილინეარული სისტემის გავრცელების ზუსტად გაზომვა. მაგრამ ნათელია, რომ გენდერულად უფრო ნეიტრალური ორმხრივი სისტემები, რომლებიც დასავლეთ ევროპაში გვხვდება, ქართულ მოსახლეობაში დაფიქსირებული არ არის. თუმცა მოსახლეობის 2002 წლის აღწერა გვაძლევს ირიბ მაჩვენებელს, რომელიც მიუთითებს პატრილოკალური ოჯახების სიჭარბეზე. ჩვენ ვხედავთ, რომ 40 წლის ასაკზე უმცროსი ზრდასრული მოსახლეობის 48% ცხოვრობს ერთ-ერთი მეუღლის მშობლებთან.²⁵ მათი წილი ყველაზე დაბალია ქვემო ქართლსა და თბილისში (40 პროცენტამდე) და ყველაზე მაღალი – გურიაში (62 პროცენტი). შესაძლებელია ასევე იმის ჩვენება, რომ თანაცხოვრების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია სომხებში და სოფლად მცხოვრებ ოჯახებში (52 პროცენტი) და გაცილებით უფრო დაბალი აზერბაიჯანლებში და ქალაქში მცხოვრებ ოჯახებში (42 პროცენტი); ეთნიკური ქართველები სადღაც მათ შორის არიან. მაგრამ დაუშუალებელ მონაცემთა გამოყენებით შეგვიძლია ყურადღება მივმართოთ მშობლებთან ერთად მცხოვრებ დაქორწინებულ წყვილებზე და გამოვიკვლიოთ, ცოლის მშობლებთან ცხოვრობენ ისინი თუ ქმრის. ამისათვის უნდა გამოვიანგარიშოთ სიძეებისა და რძლების ფარდობითი განაწილება, ანუ იმ დაქორწინებულ პირთა რაოდენობა, რომლებიც მეუღლის ოჯახში ცხოვრობენ. მთლიანმა წილმა შეადგინა ქალთა 90.4

22 ქართველი ქალები დაქორწინების შემდეგ ხშირად ინარჩუნებენ ქალიშვილობის გვარს.

23 გაგომაველი (2008 წ.) იძლევა სვანეთში პატრილინეარული ოჯახების უფრო ახალ, მაგრამ მსგავს აღწერას. ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში პატრილინეარულობისა და ვაჟიშვილისთვის უპირატესობის მინიჭების შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. გროვანი (2013 წ.).

24 პატრიარქალი, როგორც მამაკაცის დომინირების ცნება, ხშირად ერევათ პატრილოკალურობის ზუსტ ანთროპოლოგიურ განმარტებასთან.

25 ჩვენ განვასხვავებთ ოჯახებს, სადაც ახალგაზრდა ზრდასრული წევრები კლასიფიცირდებიან როგორც ოჯახის “თავი” ან ოჯახის თავის მეუღლე, იმ ოჯახებისგან, სადაც ოჯახის თავის შვილები ან სხვა ნათესავები არიან. დაქორწინების შემდეგ თანაცხოვრება ჩვეულებრივ ეხება ოჯახის თავის დაქორწინებულ “შვილებს”, რომლებიც ოჯახში ცხოვრობენ.

პროცენტი (ანუ რძლები) მამაკაცთა 9.6 პროცენტთან (სიძეები) შედარებით. პატრილოკალური წყობა, სადაც წყვილები ცხოვრობენ ქმრის ოჯახთან ერთად, დომინირებს 10 ერთთან შეფარდებით.

პატრილოკალური თანაცხოვრების წილი 90 პროცენტს აღემატება ყველა მხარეში, გარდა თბილისისა, სადაც იგი 78 პროცენტამდე ეცემა. პატრილოკალურ ოჯახებში რამდენიმე თაობის თანაცხოვრების ყველაზე მაღალი წილი გვხვდება სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, დიდ ტერიტორიებზე, რომლებიც დასახლებულია შესაბამისად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობით.²⁶ ეს ადასტურებს, რომ პატრილინეარული საოჯახო სტრუქტურა ის დამახასიათებელი თვისებაა, რომელიც გვხვდება საქართველოს ყველა რეგიონში და ეთნიკურ ჯგუფში. მოსახლეობის აღწერის მონაცემთა შემდგომი ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ პატრილოკალური ოჯახების სიხშირე ოდნავ იკლებს სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ზრდასთან ერთად. მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი უღარიბეს კვინტილში 95 პროცენტია, ყველაზე მდიდარ კვინტილში 80 პროცენტამდე კლებულობს. იგი ასევე უფრო დაბალია ქალაქად და განათლების უფრო მაღალი დონის მქონე წყვილებში. წარმოდგენილი შედეგები შეიძლება გაუთანაბრდეს თბილისში დაფიქსირებულ შედარებით დაბალ მაჩვენებელს. ნაკლებად მკაცრი ოჯახური წესები, რომლებიც დომინირებს დედაქალაქში, შეიძლება აიხსნას ისეთი ფაქტორების ერთობლიობით, როგორცაა შედარებით უკეთესი მატერიალური შესაძლებლობები, უმაღლესი განათლება და ახალი ურბანული ცხოვრების წესი (იხ. ასევე გაგომაშვილი, 2008 წ.).

3.4 დასკვნა

წინამდებარე თავში აღიარებულია საქართველოში სქესის შერჩევისთვის აუცილებელი სამი წინაპირობის არსებობა. ყველაზე აშკარა ფაქტორია ის როლი, რომელიც დემოგრაფიულმა ცვლილებამ ითამაშა რეპროდუქციულ სტრატეგიაში. 1991 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოში დაფიქსირდა შობადობის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ვარდნა, რამაც ქვეყანაში რამდენიმე წლის განმავლობაში ძალზე დაბალი შობადობა განაპირობა. 2007 წლის შემდეგ შობადობის დონის მატება ხანმოკლე აღმოჩნდა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ შობადობის მაჩვენებელი ახლო მომავალში გაიზარდოს 2 ბავშვი/ქალზე დონემდე.

²⁶ საქართველოსთან დაკავშირებულ ლიტერატურაში პატრილოკალური საოჯახო სისტემის შესახებ იშვიათი ცნობების ნახვა შეიძლება აზერბაიჯანული მოსახლეობის გენდერულ კვლევაში (პეინპოფი, 2014 წ.).

შესაბამისად, საქართველო ტიპური ქვეყანაა, სადაც მშობლების ერთ მესამედზე მეტს ვაჟი არ გაუჩნდება, თუ ისინი მხოლოდ ბიოლოგიურ შემთხვევითობას მიენდობიან.

შედარებისთვის, “მიწოდების ფაქტორის” (სქესის შერჩევის მეორე წინაპირობა, რომელიც დაკავშირებულია სქესის შერჩევის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობასთან) შესახებ არსებული მონაცემები ერთგვაროვანი არ არის. პრენატალურ დიაგნოსტიკას ბევრი კლინიკა სთავაზობს მომხმარებელს გონივრულ ფასად და კანონმდებლობა არ უკრძალავს რადიოლოგებს დედისთვის ნაყოფის სქესის გამხელას. ჩვენთვის უცნობია, როდის დაიწყო თანამედროვე ულტრაბგერითი აღჭურვილობის (როგორცაა 3-D სკანერები) მასობრივად იმპორტირება, თუმცა ირიბი მონაცემები მიუთითებს ცვლილებებზე, რომლებმაც გავლენა მოახდინა ჯანდაცვის სისტემაზე 1990-იან წლებში. ამის კარგი მაგალითია ცნობილი საავადმყოფო, რომელიც თბილისში 1991 წელს გახსნა რადიოლოგმა, რომელიც ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრია. თავდაპირველად ცენტრს ერქვა რადიოლოგიისა და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტი და ამ ცენტრმა დიდი როლი ითამაშა 1990-იან წლებში თანამედროვე დიაგნოსტიკური მეთოდების გავრცელებაში.²⁷

ადგილობრივ გინეკოლოგებთან საუბრის მიხედვით საქართველოში არ დასტურდება უფრო დახვეწილი მეთოდების გამოყენება, როგორცაა წინასაიმპლანტაციო გენეტიკური დიაგნოსტიკის (PGD) მეთოდი ან სისხლის ანალიზი. ჩვენ ასევე მწირ ინფორმაციას ვფლობთ ექიმის მხრიდან კონტროლის გარეშე ჩატარებული აბორტების სიხშირისა და სქესის შერჩევაში მათი როლის შესახებ. თუმცა ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები გვეთანხმებიან, რომ გახშირებულია ისეთი მედიკამენტის გამოყენება, როგორცაა მიზოპროსტოლი, რაც ასევე გახშირებულ აბორტის შემდგომ გართულებებს იწვევს. აშკარაა, რომ აბორტი ძალიან გავრცელებული მეთოდია, რომელსაც ქართველი ქალები მიმართავენ მისი ხელმისაწვდომობისა და ასევე საკმაოდ მაღალი ხარისხის გამო ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე. ერთადერთ პრობლემას აბორტის მეშვეობით სქესის შერჩევაში წარმოადგენს დრო. ვინაიდან სქესის პრენატალური დიაგნოსტიკა შესაძლებელია ორსულობის თორმეტი კვირის შემდეგ და აბორტის გაკეთება დაშვებულია მხოლოდ პირველი 12 კვირის განმავლობაში (ლოდინის პერიოდის შემდეგ), ქალებისთვის სქესის

²⁷ იხ. ინტერვიუ მის დამფუძნებელთან მისამართზე: <http://www.winne.com/ge/interviews/fridon-today>

შერჩევა აბორტის მეშვეობით თეორიულად რთული უნდა იყოს. მაგრამ სხვა ქვეყნების გამოცდილება, სადაც სქესის შერჩევაზე დიდი მოთხოვნაა, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კლინიკის მეპატრონეებისა და მათი პაციენტებისთვის რეგულაციებისთვის გვერდის ავლის მრავალი გზა არსებობს.

დაბადებული ბიჭების წილის მზრდის მთავარ გამოწვევას ფაქტორად კვლავაც გენდერული პრეფერენციების სისტემა რჩება. წინა თავში ყურადღება გავამახვილეთ გენდერული უთანაბრობის ზოგიერთ გავრცელებულ მახასიათებელზე, რომლებიც საქართველოში გვხვდება, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია სანათესავო სისტემა. პატრილინეარულ საოჯახო სისტემებში ვაჟის გაჩენა სასურველია გვარის გასაგრძელებლად. გასაკვირი არ არის, რომ ბიჭები აშკარა უპირატესობით სარგებლობენ მემკვიდრეობის მიღებისას, მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული კანონები დიდი ხანია ნეიტრალურია გენდერული თვალსაზრისით. ამასთან, მშობლების თანაცხოვრება ერთ-ერთ დაქორწინებულ ვაჟიშვილთან წარმოდგენს თაობებს შორის ურთიერთკავშირის ყველაზე ხშირ მოვლენას და მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ოჯახის ამგვარი სტრუქტურა გავრცელებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში.

თუმცა დანამდვილებით შეუძლებელია იმის თქმა, გულისხმობს თუ არა სინამდვილეში პატრილინეარული და პატრილოკალური სისტემა ვაჟიშვილის ყოლის რეალურ მოთხოვნილებას და, შესაბამისად, ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭების აქტიურ პრაქტიკას, რომელიც გამოიხატება სპეციალური რეპროდუქციული სტრატეგიებით. ოჯახების მიერ დასახელებული ბევრი პრეფერენცია მიუთითებს იდეალურ სიტუაციაზე და შესაძლებელია მათ სულაც არ მოჰყვეს კონკრეტული ნაბიჯები გენდერული მიზნების მისაღწევად. მაგალითად, დასავლეთ ევროპაში მშობლებისთვის ნორმალური სურვილია, რომ მათი შთამომავლობა დაბალანსებული იყოს (მაგალითად, ჰყავდეთ ერთი ქალიშვილი და ერთი ვაჟი), მაგრამ არ არსებობს რაიმე შესამჩნევი ნიშანი იმისა, რომ ასეთი პრეფერენცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეპროდუქციულ შედეგებზე ევროპელი წყვილებისთვის. მომდევნო თავი დეტალურად გამოიკვლევს, არსებობს თუ არა საქართველოში ოჯახების მხრიდან ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭების გაზომვადი მაჩვენებელი.

4. ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭების შეფასება

ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭება ხშირად მრავალი ოჯახური სისტემის დამახასიათებელი ნიშანია და შედეგად იწვევს მრავალ სხვადასხვა ტიპის დისკრიმინაციულ პრაქტიკას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ საქართველოში გენდერული უთანასწორობის გარკვეული ასპექტების არსებობის შესახებ; მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ასპექტები ასევე აღინიშნება აღმოსავლეთი ევროპის სხვა ქვეყნებშიც; ამასთან, ამ ქვეყნებში არ ფიქსირდება ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭების ან პრენატალური დისკრიმინაციის ნიშნები. ზემოთ ხსენებულის გამო ჩვენ უნდა დავადგინოთ ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭების გამოკვეთილი მახასიათებლები, რათა შემდეგი ნაბიჯების გადადგმამდე შევძლოთ ამ მოვლენის საქართველოში არსებობის იდენტიფიცირება.

4.1 ტენდენციურობის ფაქტორი სიკვდილიანობაში და გაცხადებული უპირატესობის მინიჭება

რამდენიმე აზიურ ქვეყანაში ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭების გამოვლენა უკავშირდება დაბადების შემდგომ დისკრიმინაციას, რომელიც, მაგალითად, წარსულში გამოიხატებოდა ჩვილ ბავშვთა შერჩევით მკვლელობაში, საკვების განაწილებისას გამოხატულ დისკრიმინაციაში ან გოგონების ჯანმრთელობაზე ზრუნვის თავისებურებებში. საქართველოში არ არის დაფიქსირებული აქტიური დისკრიმინაციის აშკარა ნიშნები. 1991 წლამდე ასაკისა და სქესის განაწილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ბავშვთა მოსახლეობაში არ არის მამრობითი სქესის ბავშვების შესამჩნევად ჭარბი რაოდენობა. 1897 წელს რუსეთის იმპერიის პერიოდში განხორციელებული პირველი აღწერიდან საბჭოთა პერიოდში 1926 წლიდან 1989 წლამდე ჩატარებული აღწერების ჩათვლით, საბავშვო ასაკის მოსახლეობაში სქესის მიხედვით გადანაწილება შეესაბამება როგორც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ნორმას, ისე მამრობითი სქესის ჩვილებისა და ბავშვების სიკვდილიანობის ჩვეულებრივ უფრო მაღალ მაჩვენებლებს.²⁸ ეს მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება ისეთი ქვეყნების მაჩვენებლებისგან, როგორიცაა ჩინეთი ან ინდოეთი, რომელთა დემოგრაფიული სტრუქტურები ხასიათდება მდებრობითი სქესის

²⁸ ჩვენ ამ შემთხვევაში გამოვიყენეთ ისტორიული სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ყოველწლიურ დემოგრაფიულ ჟურნალებში (წულაძე და სხვები, სხვადასხვა წლები).

ჭარბი სიკვდილიანობის ნიშნებით, რაც ასახავს გოგონების მიმართ არსებულ მიკერძოებულ დამოკიდებულებას, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია გააჩნია.

უფრო ახლო პერიოდისთვის ჩვენ შევავსოვეთ საქართველოში ჩვილთა და ბავშვთა სიკვდილიანობის მონაცემები და აღმოვაჩინეთ მდებარეობითი სქესის ბავშვების ჭარბი სიკვდილიანობის მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათის მტკიცებულებები (ცხრილი 5). როგორც მოსალოდნელი იყო, ნეონატალური სიკვდილიანობა მამრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის მნიშვნელოვნად მაღალია. ეს არ არის გასაკვირი, რადგან სიცოცხლის პირველი თვის განმავლობაში სიკვდილიანობა, პირველ რიგში, განპირობებულია თანდაყოლილი ფაქტორებით ან უბედური შემთხვევებით დაბადების პროცესში. ზემოთ ხსენებულზე იშვიათად ახდენს გავლენას სქესობრივი დისკრიმინაცია, გარდა ჩვილთა განზრახ ჩადენილი მკვლევლობებისა.

| კვლევა | ნეონატალური სიკვდილიანობა | | | | პოსტნატალური სიკვდილიანობა | | | | 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა | | | |
|----------|---------------------------|-------|----------|-------|----------------------------|-------|----------|-------|--------------------------------|-------|--------------------------------|-------|
| | 1-ლი თვე | | 2-12 თვე | | 1-ლი წელი | | 2-5 წელი | | 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა | | 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა | |
| | მამრ. | მდედ. | მამრ. | მდედ. | მამრ. | მდედ. | მამრ. | მდედ. | მამრ. | მდედ. | მამრ. | მდედ. |
| 2000 RHS | 29 | 18 | 17 | 13 | 46 | 31 | 7 | 5 | 53 | 36 | | |
| 2005 RHS | 24 | 13 | 9 | 11 | 33 | 24 | 4 | 4 | 37 | 28 | | |
| 2010 RHS | 18 | 16 | 8 | 4 | 27 | 20 | 2 | 3 | 28 | 23 | | |

• სიკვდილიანობის მაჩვენებლები 1000 სულ მოსახლეზე
 • ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი = პირველი თვის განმავლობაში; პოსტნატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი = პირველიდან მეათე თვემდე თვის ჩათვლით; ჩვილთა სიკვდილიანობა = პირველი წელი; ბავშვთა სიკვდილიანობა = ერთიდან ოთხ წლამდე.

ცხრილი 5: ჩვილთა და ბავშვთა სიკვდილიანობა სქესის მიხედვით, კვლევა, საქართველო, 2000 - 2010

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მონაცემები მიუთითებს იმ ცალკეულ შემთხვევებზე, სადაც გოგონებს შორის სიკვდილიანობის მაჩვენებლები მოულოდნელად მაღალია. ამის მაგალითია ნეონატალური სიკვდილიანობის 2005 წლის მონაცემები და ბავშვთა სიკვდილიანობის 2010 წლის მონაცემები. თუმცა ამგვარი რყევების მიზეზი შესაძლოა იყოს შეფასებისას დაშვებული შეცდომები, რადგან ამ ტიპის კვლევებში ჩვილებთან და ბავშვთა სიკვდილის რაოდენობები საკმაოდ შეზღუდულია. ამდენად, ამ ტიპის შეფასებების საფუძველზე სიკვდილიანობაში არსებული ტენდენციურობის ფაქტორის დადგენა საკმაოდ რთულია, თუმცა სომხეთსა და აზერბაიჯანში ჩატარებულ მსგავსი ტიპის კვლევებშიც ფიქსირდება მდებარეობითი სქესის ბავშვების მაღალი სიკვდილიანობის მსგავსი შემთხვევები. სამოქალაქო რეგისტრაციის საფუძველზე მიღებული სტატისტიკური მონაცემები არ მიუთითებს მდებარეობითი სქესის ბავშვებში სიკვდილიანობის ნათლად გამოხატულ სიჭარბეზე, მიუხედავად იმისა, რომ სხვაობა მამრობითი და მდედრობითი ბავშვების სიკვდილიანობას შორის 2004-2009 წლებში მოსალოდნელზე მცირეა. ხუთ წლამდე მდებარეობითი სქესის ბავშვებში სიკვდილიანობის შედარებით მაღალი მაჩვენებელი ასევე ასახულია იმავე პერიოდის სიცოცხლის ხანგრძლივობის ცხრილებში. თუმცა ეს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა განპირობებული იყოს შეფასებაში არსებული პრობლემებით, ამასთან, 2009 წლის შემდეგ ამგვარი გადახრები აღარ ფიქსირდება.

გენდერული თვალსაზრისით მიკერძოებულად უპირატესობის მინიჭების უფრო ნათელ დემონსტრირებას ახდენს „კავკასიის ბარომეტრი“ (Caucasus Barometer), სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში ჩატარებული კვლევა.²⁹ საზოგადოებრივი აზრის ეს კვლევა ჩატარდა შემზღუდული ზომის შერჩევის ნიმუშთან და, შესაბამისად, მიღებულ შედეგებს სიფრთხილით უნდა მოვევიდეთ; თუმცა კვლევა წარმოადგენს მოცემული ქვეყნის ბავშვ მოსახლეობაში სქესთან დაკავშირებული მიკერძოების არსებობის შესამოწმებელ ერთადერთ წყაროს. 2010 წლის კვლევაში ერთბავშვიანი ოჯახებისთვის დამატებული იქნა მარტივი კითხვა იმის შესახებ, თუ რომელი სქესის ბავშვს მინიჭებდნენ ისინი უპირატესობას ერთი ბავშვის ყოლის შემთხვევაში.

სომხეთში გამოკითხულთა უდიდესი პროცენტი

29 აქ წარმოდგენილია შეუწონავი ციფრები. მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ კავკასიის კვლევის რესურსების ცენტრის ვებგვერდზე: <http://www.crrcenters.org/>

უპირატესობას ანიჭებს ბიჭს (54%), გოგოს ყოლის სურვილს გამოხატავს მხოლოდ 11%, ხოლო 35%-ისთვის სქესს არა აქვს მნიშვნელობა. ქართველებს შორის სქესის მიხედვით მიკერძობება ოდნავ ნაკლებად არის გამოხატული: 46% უპირატესობას ბიჭს მიანიჭებდა და მხოლოდ 9% ირჩევდა გოგოს. ქართველ გამოკითხულთა 44%-ისთვის ბავშვის სქესს მნიშვნელობა არ აქვს. თუკი გამოვრიცხავთ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლისთვისაც ბავშვის სქესს არა აქვს მნიშვნელობა, მაშინ ვაჟის ყოლას გოგონასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს ხუთჯერ მეტი რესპონდენტი.

კვლევის შედეგების შესაბამისად, ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭების ეს თანაფარდობა მნიშვნელოვნად მაღალია მამაკაცებში (9:1), ქალებთან შედარებით (3:1). მიდგომა უფრო მეტად გამოხატულია სოფლად, ქალაქებთან შედარებით, ამასთან, არ ფიქსირდება შესამჩნევი სხვაობები ასაკობრივჯგუფებში. არსებობს ასევე აშკარა კავშირი ვაჟისათვის უპირატესობის გაცხადებულ მინიჭებასა და სხვა პატრიარქალური ტიპის განწყობებს შორის. მაგრამ ამ მცირე ჯგუფის (2010 წლის „კავკასიის ბარომეტრში“ -2,089 რესპონდენტი) მონაცემთა ანალიზის შედეგების გამოყენება ფრთხილად უნდა მოხდეს, რადგან იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვინც ამა თუ იმ სქესს უპირატესობას ანიჭებს, 1200-ზე ნაკლებია. 2011, 2012 და 2013 წლებში ჩატარებულ კვლევებში რესპონდენტებისთვის აღარ დაუსვამთ იგივე კითხვა. ამდენად, ჩვენ არ შეგვიძლია უფრო საფუძვლიანად შევისწავლოთ საქართველოში ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭების ტენდენცია ამ მონაცემების გამოყენებით.

სამწუხაროდ, რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა არ მოიცავდა კონკრეტულ კითხვას ოჯახის სასურველ შემადგენლობაზე, რომელიც დემოგრაფიული მახასიათებლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევებშია (DHS) გათვალისწინებული (Bongaarts 2013; Fuse 2010). დემოგრაფიული მახასიათებლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევებისგან განსხვავებით, რომლებშიც დოკუმენტურად არის დაფიქსირებული ზრდასრული ქალების თვალსაზრისით ოჯახში ვაჟებისა და ქალიშვილების იდეალური რაოდენობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების შედეგად არ მომხდარა ამ ტიპის დეტალური სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება.

4.2 ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭება და ფერტილობასთან დაკავშირებული ქცევა

წინამდებარე ქვეთავი ეფუძნება ოჯახის რეკონსტრუირებულ სტრუქტურას, რომელიც 2002 წლის აღწერის მონაცემებს ემყარება. როგორც ეს მეთოდოლოგიის ნაწილშია აღწერილი, ეს ახალი მონაცემთა ბაზა მოიცავს ყველა იმ ჩანაწერს, რომელთათვისაც გაგვანია როგორც შობადობის (ბავშვების) რიცხვისა და ოჯახის გენდერული შემადგენლობის ჩანაწერები, ასევე დამატებითი ინფორმაცია ოჯახის შესახებ (რეგიონი, სოციალურ-ეკონომიური სტატუსი და ა.შ.). შემდგომ ანალიზში გამოყენებულია უფრო სანდო და ამომწურავი წყაროები, ვიდრე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებია, რაც საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ, თუ როგორია გენდერული პრეფერენციები ქართულ ოჯახებში. ეს ასევე თითქმის ამომწურავი კვლევაა თავისი მასშტაბით, ვინაიდან ეფუძნება აღწერის მთელ ჩანაწერებს, 15 წელზე უმცროსი ასაკის მოსახლეობის (4%) გამოკვლივით, რომელთათვისაც ოჯახთან დაკავშირებული პოზიცია ვერ იქნა დადგენილი.

ამ ქვეთავის მიზანია, განისაზღვროს, თუ რა გავლენას ახდენს გენდერული პრეფერენციები საქართველოში ფერტილობასთან დაკავშირებულ ქცევაზე. თეორიულად არსებობს ძალზე განსხვავებული ფორმები ოჯახის შემადგენლობისთვის და შემდგომ ფერტილობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისთვის. პირველი ჯგუფი შედგება იმ მშობლებისგან, რომლებიც არ ანიჭებენ მნიშვნელობას მათი ოჯახის გენდერულ შემადგენლობას და კონცენტრაციას აკეთებენ ბავშვების სასურველ რაოდენობაზე. ასეთი სცენარი საკმაოდ ხშირად გვხვდება მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში. მოცემულ სიტუაციაში მშობლებზე, რომელთაც უკვე ჰყავთ შვილები, გავლენას ახდენს მხოლოდ შვილების არსებული რაოდენობა და გენდერული შემადგენლობა არ თამაშობს არანაირ როლს ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში. მეორე ფორმის ოჯახების შემთხვევაში საქმე გვაქვს „ოჯახის ბალანსის“ მიდგომასთან, სადაც მშობლები უპირატესობას ანიჭებენ სხვადასხვა სქესის შვილების ყოლას. შესაბამისად, მათი ფერტილობა უფრო მაღალი იქნება ორი ბიჭის ან ორი გოგოს ყოლის შემთხვევაში, შერეული ტიპის შვილების ყოლის შემთხვევისგან განსხვავებით. ამგვარი მოდელი ასევე ფიქსირდება ინდუსტრიულ ქვეყნებში, მაგრამ უფრო დაბალი ინტენსივობით.

მესამე შემთხვევაში ამკარაა გენდერული პრეფერენცია, ძირითადად უპირატესობას ანიჭებენ მამრობით სქესს. ფერტილობასთან დაკავშირებული ქცევა განისაზღვრება არამხოლოდ ოჯახის ზომასთან (ბავშვების რაოდენობა) დაკავშირებული მიდგომით, არამედ ასევე კონკრეტული სქესის ბავშვების სასურველი რაოდენობით. ყველაზე უფრო ხშირად გვხვდებიან მშობლები, რომელთაც სურთ, ჰყავდეთ სულ მცირე ერთი ვაჟი და, შესაბამისად, გააჩნიათ ბევრად მაღალი ფერტილობა მხოლოდ გოგონების ყოლის შემთხვევაში. პოპულარული თვალსაზრისის საპირისპიროდ, ეგრეთ წოდებულ „შემჩერებელ ქცევას“ - ბავშვების ყოლის შეწყვეტას ვაჟიშვილის დაბადების შემდეგ - არ გააჩნია არანაირი გემოქმედება მამრობითი სქესის ბავშვების მაღალ შობადობაზე. დაბადებული ბავშვების სქესი წარმოადგენს შემთხვევით ბიოლოგიურ ფაქტორს და დისბალანსის დაფიქსირება შეუძლებელია.


ფერტილობის ინტენსიურობა იზომება იმ ალბათობით, რომლითაც წყვილს შეიძლება ჰყავდეს შემდეგი შვილი, რაც ასევე შეესაბამება დემოგრაფიის მიერ შვილოსნობის პროგრესიად წოდებულ კოეფიციენტს (PPR). კაპლან-მაიერის (Kaplan-Meier) მეთოდის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ გემოთ ხსენებული ალბათობა წინა დაბადებიდან წლების რაოდენობის სახით. ეს PPR-ები ანგარიშდება შვილოსნობის (შვილების რაოდენობის) თითოეულ დონეზე და სწრაფად იკლებს საშუალო ფერტილობის დონის მიღწევის შემდეგ. როდესაც საშუალო ფერტილობა უახლოვდება ორ ბავშვს, PPR-

ებში კლება ძლიერი დახრით (ციცაბოდ) ხდება ერთიდან ორ დაბადებამდე და ორიდან სამი ბავშვის დაბადებამდე პროგრესიის შემთხვევაში. გემოთ განხილული შეესაბამება საქართველოში არსებულ მდგომარეობას. შვილოსნობის შესაბამისი PPR-ების დათვლის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ მათი სიდიდეები შესაბამისად წინარე გენდერულ შემადგენლობას და დავადგინოთ, ზრდის თუ არა ვაჟიშვილის არარსებობა შემდეგი შვილის ყოლის ალბათობას.

4.2.1 ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭება ოჯახის შემადგენლობის მიხედვით

ნახ. 4-ზე ნაჩვენებია პირველი შვილიდან მეორე შვილის დაბადებამდე პროგრესია პირველი ბავშვის დაბადებიდან ათი წლის პერიოდის განმავლობაში. 2002 წლამდე საქართველოში ეს ალბათობა სწრაფად იზრდება პირველი ბავშვის დაბადებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში. მშობლების ნახევარზე მეტს ნამდვილად ჰყავს მეორე შვილი პირველი ბავშვის დაბადებიდან 3 წლის შემდეგ. ათი წლის შემდეგ PPR-ში შეიმჩნევა 70%-იანი გათანაბრება. ეს ნიშნავს, რომ ერთი შვილის მშობლების 70%-ს ეყოლება მეორე შვილი. მოცემული ალბათობა 100%-ზე ნაკლებია, რადგან ფერტილობის დონეები ამ პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა მის ქვედა ზღვარზე და ბევრად ჩამოუვარდებოდა ერთ ქალზე ორი ბავშვის დონეს.

ნახ. 4 ასევე აჩვენებს ვაჟიშვილის მშობლებსა და ქალიშვილის მშობლებს შორის განსხვავებას.³⁰



ნახ.4: მეორე შვილის ყოლის ალბათობა (PPR) პირველი შვილის დაბადების შემდეგ

მრუდები ბოგადად წააგავს ერთმანეთს, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით იმ მშობლების წილი, რომელთაც ჰყავთ მეორე შვილი, სისტემატურად მაღალია იმ მშობლებისათვის, რომელთა პირველი შვილი ქალიშვილია. კუმულაციური ალბათობა ავლენს გათანაბრების ტენდენციას ათი წლის შემდეგ, ფიქსირდება მცირე ინტერვალი და მშობლებს, რომელთაც ჰყავთ პირველი ქალიშვილი, გააჩნიათ


30 მშობლები, რომელთაც მხოლოდ ქალიშვილები ჰყავთ, წარმოდგენილი არიან წითელი მრუდით ამ და სხვა შემდგომ PPR დიაგრამაში.

4%-ით მაღალი შანსი, ჰყავდეთ მეორე შვილი ათი წლის შემდეგ იმ მშობლებთან შედარებით, რომელთაც ჰყავთ პირველი ვაჟიშვილი. შესაბამისად, მეორე ორსულობა უფრო ხშირია (მცირედით) ბიჭის არარსებობის შემთხვევაში. განსხვავება მცირედია, მაგრამ სტატისტიკურად

შორის სხვაობა უკვე აღარ შეადგენს რამდენიმე პროცენტულ ერთეულს, როგორც ეს წინა PPR-ის ანალიზისას იქნა დადგენილი. მესამე შვილი ჰყავს იმ მშობლების 47%-ს, რომელთაც ვაჟიშვილი არ ჰყავთ, განსხვავებით იმ მშობლების მხოლოდ 21%-ისგან, რომელთაც ვაჟიშვილი ჰყავთ.

პროგრესის ეს ალბათობა (PPR) მეორედან მესამე შვილის დაბადებამდე 2.2-ჯერ განსხვავდება ვაჟიშვილიან მშობლებს და იმ მშობლებს შორის, რომელთაც არ ჰყავთ ვაჟიშვილი.

ორ ალბათობას შორის განსხვავება (47% 21%-ის საპირისპიროდ) მშობლების გენდერულ სტრატეგიებს ასახავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსხვავება მშობლებს შორის, რომელთაც ჰყავთ ან არ ჰყავთ ქალიშვილ(ებ) ი აჩვენებს, რომ იმ მშობლების 26% (47%-




ნახ. 5: შვილის ყოლის ალბათობა (PPR) მეორე შვილის დაბადების შემდეგ

მნიშვნელოვანი.

ნახ. 5-ზე უფრო გარკვევით არის წარმოდგენილი საქართველოში ოჯახის მშენებლობის დინამიკა. მრუდები აჩვენებს შემდგომი ბავშვის დაბადების ისტორიას იმ ქალებისათვის, რომელთაც უკვე ორი შვილი ჰყავთ. PPR ორჯერ მცირეა პირველიდან მეორე შვილის დაბადებამდე პროგრესისას. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ აქ ერთმანეთს ვუპირისპირებთ ვაჟიშვილის გარეშე ოჯახების მდგომარეობას იმ ოჯახების მაჩვენებლებს, რომელთაც ერთი ან მეტი ვაჟიშვილი ჰყავთ. როგორც ნახატიდან ჩანს, შემდგომი ფერტილობის ალბათობა ძალიან სწრაფად იზრდება ვაჟიშვილის არყოლის შემთხვევაში. პროგრესია ბევრად უფრო ნელია იმ ოჯახებში, რომელთაც უკვე ჰყავთ სულ მცირე ერთი ვაჟიშვილი. ათი წლის შემდეგ ორ მრუდს

შემდეგი შვილის ყოლას ირჩევდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ ჰყავდათ ვაჟიშვილი.

იმ მშობლების პროპორციებს შორის განსხვავება, რომლებიც იყოლიებენ მესამე შვილს მათი შვილების გენდერული შემადგენლობის შესაბამისად, ამკარაა. ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ გენდერული კონფიგურაციის საუკეთესო ვარიანტის



ნახ. 6: კიდევ ერთი შვილის ყოლის ალბათობა (PPR) მესამე ან რიგით უფრო მეტი შვილის ყოლის შემდეგ

შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც ოჯახს ჰყავს სულ მცირე ერთი ვაჟიშვილი, მშობლების მხოლოდ 21% იყოლიებს შემდეგ შვილს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 1990-იან წლებში მშობლების 79% ცდილობდა, თავიდან აეცილებინა მესამე შვილის ყოლა, მაგრამ ამ 79%-ში 26%-მა (47%-21%) მაინც გადაწყვიტა, ჰყოლოდა კიდევ ერთი შვილი ვაჟიშვილის არყოლის გამო. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ წყვილების 33% (26/79) თავს ვალდებულად თვლიდა, ჰყოლოდა მესამე შვილი ოჯახში არსებული გენდერული საჭიროების გამო. ანუ ვაჟიშვილისათვის გამოკვეთილი უპირატესობის მინიჭება თავს იჩენს საქართველოს მოსახლეობის ერთ მესამედში.

ბიჭების მიმართ ამგვარი გადახრა მეორედ უფრო მაღალი შვილოსნობის შემთხვევაშიც. ნახ. 6-ზე წარმოდგენილია მაჩვენებლები ორზე მეტი შვილოსნობის შემთხვევაში და დაანგარიშებულია შემდეგი ბავშვის გაჩენის ისტორია იმავე გზით. შედეგები მეორედან მესამე ბავშვზე პროგრესისას დაფიქსირებული შედეგების თითქმის იდენტურია. PPR საშუალოდ მცირედით ჩამოუვარდება მეორედან მესამე ბავშვის დაბადებამდე მაჩვენებელს. მშობლებს, რომელთაც ჰყავთ ვაჟიშვილი, ახასიათებთ კიდევ ერთი შვილის ყოლის ყველაზე დაბალი ალბათობა (20% ათი წლის შემდეგ). მშობლებს, რომელთაც არ ჰყავთ ვაჟიშვილი, გააჩნიათ ორმაგი შანსი, იყოლიონ კიდევ ერთი შვილი. ფაქტობრივად თანაფარდობა ამ ორ წყებას შორის 2.1-ია, რაც თითქმის იდენტურია წინარე თანაფარდობისა მეორედან მესამე შვილის ყოლას შორის პროგრესისას. ასევე ფიქსირდება ორ წყებას შორის 23%-იანი სხვაობა PPR-ებში.

2 და 3+ შვილოსნობის შემთხვევაში მიღებული შედეგები, შესაბამისად, თითქმის იდენტურია და ეს შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობის დაახლოებით ერთ მეოთხედს გააჩნია სურვილი, კორექტირება შეიტანოს თავის ფერტილობის მაჩვენებელში ვაჟიშვილის არყოლის შემთხვევაში. ეს მაღალი პროცენტული მაჩვენებელია; თუკი ორი ქალიშვილის მშობლების 25% მიმართავდა სქესის პრენატალურ შერჩევას ორი ქალიშვილის დაბადების შემდეგ, დაბადებისას სქესთა თანაფარდობის საშუალო კოეფიციენტი რეალობაში გაიზარდებოდა 105-დან 110-მდე მამრობითი სქესის ბავშვის გაჩენამდე ყოველი 100 მდედრობითი სქესის ბავშვზე, ხოლო მესამე ბავშვის დაბადებისას სქესთა თანაფარდობის კოეფიციენტი ავარდებოდა 160-იან მაჩვენებელზე.³¹ ეს მაჩვენებლები ზოგადად წააგავს

იმ მაჩვენებლებს, რომლებიც საქართველოში 2000 წლის შემდეგ ფიქსირდება, რასაც ადასტურებს ჩვენს მიერ განხორციელებული მამრობითი სქესის ბავშვთა მაღალი შობადობის ანალიზი.

4.2.2 განსხვავებები ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭებაში

დაბადებისას სქესთა შორის დარღვეული ბალანსის შემდგომი ანალიზის განხორციელებამდე ჩვენ შეგვიძლია იგივე მეთოდი გამოვიყენოთ ქვეყანაში ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭების ინტენსივობაში განსხვავებების დასადგენად. ადრე განხილული დასკვნების გათვალისწინებით ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ფერტილობაზე შვილოსნობის 2-დან და ზემოთ მაჩვენებლებისათვის, ვაჟიშვილის არყოლით განპირობებულ ფერტილობასთან დაკავშირებულ ქვეყნებში განსხვავებების დადგენის მიზნით.

ცხრილი 6: შობადობის პროგრესიაში განსხვავებები გენდერული შემადგენლობის შესაბამისად, კონკრეტული მოსახლეობის ქვეჯგუფებისათვის, 1992–2002

| | კოეფიციენტი | სხვადასხვაობა |
|---|-------------|---------------|
| სოფლად | 2.41 | 34% |
| ქალაქები | 1.96 | 16% |
| შერჩეული მხარე | | |
| თბილისი | 1.71 | 12% |
| სამეგრელო და ზემო სვანეთი | 1.97 | 22% |
| გურია | 2.00 | 24% |
| ქვემო ქართლი | 2.43 | 34% |
| აჭარა | 2.51 | 36% |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 2.53 | 32% |
| სამცხე-ჯავახეთი | 2.54 | 35% |
| ოჯახის წევრი ზრდასრული პირების განათლების დონე | | |
| დაწყებითი | 1.90 | 27% |
| საშუალო | 2.27 | 28% |
| უმაღლესი | 2.20 | 20% |

31 ეს დიაგრამა მომზადებულია არითმეტიკული სიმულაციის საფუძველზე: პირველ რიგში ჩვენ ვუშვებთ, რომ ფერტილობასთან დაკავშირებული ქვევა მსგავსია 2001 წლის აღწერამდე დაფიქსირებული ქვევისა და შემდეგ ვაკეთებთ დაშვებას, რომ დაბადებისას სქესთა გადანაწილება ინარჩუნებს

| | კოეფიციენტი | სხვადასხვაობა |
|--|-------------|---------------|
| შერჩეული უმცირესობები | | |
| სომეხი ქრისტიანები | 2.55 | 32% |
| მუსლიმები | 2.44 | 42% |
| აზერბაიჯანლები | 2.50 | 42% |
| ოჯახური მეურნეობის წევრი სოფლის მეურნეობაში | | |
| არა | 2.03 | 18% |
| დიახ | 2.40 | 34% |
| სოციალურ-ეკონომიკური კვინტილები | | |
| უღარიბესი | 2.42 | 33% |
| ღარიბი | 2.35 | 32% |
| საშუალო | 2.29 | 27% |
| მდიდარი | 2.10 | 19% |
| უმდიდრესი | 1.89 | 14% |
| საქართველო | | |
| | 2.22 | 25% |
| შენიშვნები: | | |
| <ul style="list-style-type: none"> • დათვლილია ორი და უფრო მეტი შვილის შემთხვევაში 1992-2002 პერიოდისთვის • კოეფიციენტი = პროგრესია ოჯახებში, რომელთაც არ ჰყავთ ვაჟიშვილი / პროგრესია ოჯახებში, რომელთაც ჰყავთ სულ მცირე ერთი ვაჟიშვილი • სხვადასხვაობა = განსხვავება იმ ოჯახებს, რომელთაც არ ჰყავთ ვაჟიშვილი, და იმ ოჯახებს შორის, რომელთაც ჰყავთ სულ მცირე ერთი ვაჟიშვილი | | |

ცხრილი 6 აჩვენებს ყველაზე გამოკვეთილ ცვალებადობებს ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭებაში საქართველოში, რაც ფერტილობასთან დაკავშირებულ ქცევაში გამოიხატება. თითოეული ქვეპოპულაციისთვის ჩვენ გამოვთვალეთ შეფარდებითი და აბსოლუტური სხვაობები (შესაბამისად, თანაფარდობა და განსხვავება) შვილოსნობის პროგრესიაში, შესაბამისად, სულ მცირე ორშვილიან ოჯახში უფროსი ძმის არსებობის პირობებში. მაგალითად, სოფლად ვაჟიშვილის არყოფნა შედეგად იძლევა პროგრესიის კოეფიციენტს, რომელიც 2,4-ჯერ აღემატება იმავე კოეფიციენტს ოჯახებისთვის, რომელთაც ვაჟიშვილი ჰყავთ. პროგრესიის კოეფიციენტებს შორის სხვაობა 34%-ს შეადგენს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სოფლად მცხოვრები ოჯახების მესამედზე მეტი მზად არის, იყოლიოს კიდევ ერთი შვილი, რათა უზრუნველყოს ვაჟიშვილის დაბადება. საქართველოს

საშუალო მაჩვენებლებთან შედარება, რომლებიც ცხრილის ბოლო ხაზშია მოცემული, აჩვენებს, რომ ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭება უფრო გამოკვეთილია სოფლად ურბანულ რეგიონებთან შედარებით, სადაც სხვადასხვაობა 16%-ს შეადგენს. ეს შედეგი დასტურდება სასოფლო-სამეურნეო ოჯახური მეურნეობების ანალიზით, რაც ასევე აჩვენებს ვაჟისადმი უფრო მეტად გამოვლენილ უპირატესობას სხვა ტიპის ოჯახებთან შედარებით.

ჩვენ ასევე შეგვიძლია შევადაროთ თბილისი და საქართველოს ორი მხარე (სამეგრელო-ზემო სვანეთი, და გურია), სადაც ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭება მინიმალურია, სხვა რამდენიმე რეგიონთან, სადაც ამგვარი უპირატესობის მინიჭება ბევრად უფრო მეტად არის გამოკვეთილი. ეთნიკურ ჯგუფებს ან რელიგიურ ჯგუფებს შორის შედარება აჩვენებს ვაჟებისადმი უპირატესობის ძლიერ გამოვლენას მუსლიმებში და სომეხ ქრისტიანებში, ასევე ეთნიკურ აზერბაიჯანლებში, სადაც მშობლების 42% სავარაუდოდ კიდევ ერთი შვილის ყოლას ირჩევს იმ შემთხვევაში, თუ მანამდე არ ეყოლა მამრობითი სქესის ბავშვი. მცირე რუსული თემი აბსოლუტურად განსხვავებულია და ფაქტობრივად არ ხასიათდება ვაჟზე მიმართული ფერტილობის სტრატეგიით.

ასევე შესაძლებელია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორიც, რადგან უმაღლესი განათლება და ცხოვრების უფრო მაღალი დონე ასოცირდება ვაჟის ყოლის უფრო დაბალ ფარდობით და აბსოლუტურ სურვილთან. ეს განსაკუთრებით კარგად ვლინდება ეკონომიკურ კვინტილში; ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭების შეფარდებითი და აბსოლუტური მაჩვენებელი მცირდება რეგულარულად პირის ეკონომიკურ მრუდზე უღარიბესიდან უმდიდრესამდე აღმასვლასთან ერთად.

4.2.3 დასკვნა

ჩვენს მიერ ზემოთ განხორციელებული ანალიზი ავლენს, რომ ვაჟიშვილის დაბადება საქართველოს ოჯახების დიდი რაოდენობისთვის ძალზე მნიშვნელოვანი მიზანია. ვაჟიშვილის საჭიროება ზოგადად წარმოადგენს ქართული ოჯახის სტრუქტურის მახასიათებელს; ამასთან, 2002 წლის აღწერამდე ფერტილობასთან დაკავშირებული ქცევის ანალიზი ნათელს ჰფენს მის ზუსტ ინტენსივობას და მისი მოქმედების ფორმას. ფერტილობის საშუალო მაჩვენებელი დიდი ხანია, დაახლოებით ორ შვილს შეადგენდა, თუმცა არსებობდა ცვლილებების შეტანის შემთხვევებიც. მაგალითად, ჩვენ ვხედავთ, რომ

მშობლები, რომელთაც ჰყავთ პირველი ვაჟიშვილი, ნაკლები ალბათობით იყოლიებენ მეორე შვილს იმ მშობლებთან შედარებით, რომელთა პირველი შვილი ქალიშვილია. მეორედან მესამე შვილოსნობაზე გადასვა მიუთითებს უფრო მეტ გენდერულ პრეფერენციაზე. ალბათობა იზრდება 21%-დან 47%-მდე ვაჟიშვილის არყოლის შემთხვევაში. ჩვენ ეს 26%-იანი სხვაობა (47-21) განვმარტეთ როგორც მოსახლეობის ის პროცენტული რაოდენობა, რომელიც დაჟინებით ცდილობს ვაჟიშვილის ყოლას და შესაძლოა, ეს მაჩვენებელი სრულად არ ასახავდეს რეალურ მდგომარეობას.³² ჩვენ მოცემულ რიცხვს განვიხილავთ როგორც ქართველებს შორის ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭების გამოვლენის ინდიკატორს.

ჩვენ ასევე ვხედავთ მნიშვნელოვანი ხასიათის განსხვავებებს ქვეყნის შიგნით. ზოგიერთ თემში მოსახლეობისთვის შვილის სქესს თითქმის არა აქვს მნიშვნელობა და ამ მახასიათებელს რუსული ჯგუფი ავლენს. ისეთ ქალაქებში, როგორცაა თბილისი და ეკონომიკური ელიტის ჯგუფებში ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭება ასევე ნაკლებად ხშირია. ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ თვით პრივილიგიურ ჯგუფებშიც კი ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭებას გააჩნია გავლენა ფერტილობასთან დაკავშირებულ ქცევაზე და ეს გავლენა საკმაოდ დიდი და ადვილად გამოიმჯავდება. ვაჟის არყოლა თითქმის აორმაგებს კიდევ ერთი შვილის ყოლის ალბათობას. თუმცა სოფლის მოსახლეობაში ვაჟიშვილის ყოლის სურვილი უფრო გამოხატულია. ანალოგიურ ფენომენს ვაწყდებით სოფლის მეურნეობით დასაქმებულ ოჯახებშიც. ეთნიკურ და რეგიონულ ჯგუფებად მოსახლეობის დაყოფის შემთხვევაში ჩვენ ასევე დავაფიქსირეთ ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭების უფრო მაღალი მაჩვენებლები აზერბაიჯანელ და სომეხ მოსახლეობაში და ასევე კონკრეტულ მხარეებში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭება აყალიბებს ფერტილობასთან დაკავშირებულ ქცევას საქართველოში ზუსტად გამომვადი გზით. ფერტილობა ყველაზე ადვილად ცვალებადია ვაჟიშვილის არყოლის შემთხვევაში. მაგრამ ბავშვების ყოლის საშუალების შემცირებასთან ერთად, რეპოდუქციულ ტექნოლოგიებში ცვლილებების მეშვეობით, ქართველ წყვილებს მიეცათ შესაძლებლობა, სხვაგვარად შეესატყვისებინათ ფერტილობასთან დაკავშირებული მათი ქცევა და ოჯახის გენდერული

საჭიროებები. სწორედ ამის დემონსტრირებას ახდენს შემდეგი თავი, რომელიც ეძღვნება ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის დარღვეულ ბალანსს.

³² ბევრ მშობელს არ შეეძლო მესამე შვილის ყოლა სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორცაა ქორწინების შეწყვეტა ან დედის ასაკი. უფრო მეტიც, 27%-იანი სხვადასხვაობა გაიზარდებოდა, თუკი ჩვენს ანალიზს 10 წელზე უფრო ხანგრძლივ პერიოდზე ჩავატარებდით.

5. დაბადებისას სქესებს შორის დარღვეული ბალანსი 1980–იანი წლებიდან დღემდე

ნაშრომის წინა ნაწილი ეძღვნება ვაჟიშვილისთვის უპირატესობის მინიჭების გამოშვას ფერტილობასთან დაკავშირებული ქცევის გზით. კონტრაცეფცია და აბორტები დიდი ხანია, მშობლებს აძლევს საშუალებას, თავიდან აიცილონ შობადობა ოჯახის სასურველი გენდერული შემადგენლობის მიღწევის შემდეგ. ამ ეგრეთ წოდებულ შემაჩერებელ ქცევას არ ჰქონია გავლენა დაბადებისას არსებულ სქესთა შორის თანაფარდობაზე; მოცემული თანაფარდობა წმინდა ბიოლოგიურ, შემთხვევით ფაქტორად რჩება. მშობლებს მაინც არ გააჩნდათ საშუალება, თავიდან აეცილებინათ კონკრეტულად მდებარებითი (ან მამრობითი) სქესის ბავშვის დაბადება შესატყვისი ტექნოლოგიების ნაკლებობის გამო.³³ მოცემული ტიპის ტექნოლოგიის ქვეყანაში დანერგვის შემდეგ მშობლებს თეორიულად გაუჩნდათ იმის საშუალება, რომ სქესის შერჩევის შედეგად აეცილებინათ ბავშვის დაბადება და, შესაბამისად, ცვლილებები შეეტანათ მამრობითი სქესის ბავშვთა დაბადების ბუნებრივ დონეში. წინამდებარე თავი შეისწავლის, რამდენად ჰქონდა ადგილი და როდის ამგვარ ქცევას. ბავშვების დაბადების სქესების მიხედვით განაწილების შესახებ ერთი სანდო წყაროს არარსებობის გამო ჩვენი მიმოხილვა დაემყარება წინა თავში წარმოდგენილი სხვადასხვა წყაროს კრიტიკულ შეფასებას. ჩვენ ასევე განვიხილავთ საქართველოში დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობასთან დაკავშირებულ ძირითად სოციალურ და დემოგრაფიულ მახასიათებლებს.

5.1 1991 წლიდან მამრობითი სქესის ბავშვების შობადობის მატება

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგი წლები მრავალი თვალსაზრისით გადამწყვეტი იყო თანამედროვე საქართველოს, მისი დემოგრაფიული ტრანექტორიის ჩათვლით, განვითარებისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება დაბადებისას სქესთა თანაფარდობას. მაგრამ მოცემული საკითხის განხილვა რთულია, რადგან მოცემულ პერიოდში მოხდა ძირითადი რეგისტრაციის სისტემის მნიშვნელოვანი გაუარესება. შესაბამისად, ჩვენ უნდა შევადაროთ სხვადასხვა წყარო, რათა დავადგინოთ 1990–იანი წლების შემდეგ საქართველოში

³³ საქართველოში არსებობს ხალხური თეორიების გარკვეული მაგალითები, თუ როგორ მოვახდინოთ ზემოქმედება ბავშვის სქესზე. მაგალითად, მიიჩნევა, რომ მარილიანი საკვები ხელს უწყობს მამრობითი სქესის ბავშვის დაბადებას, ხოლო რძის პროდუქტები ხელს უწყობს გოგონების დაბადებას (ინფორმაცია მოგვაწოდა ნ. შავლაყაძემ).

დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობა და ასევე დედუქციის გზით დავადგინოთ სქესთა თანაფარდობის ყველაზე მაღალი სავარაუდო დონე ხელმისაწვდომი წყაროების საფუძველზე სტატისტიკური ტრიანგულაციის გზით.

5.1.1 დაბადებისას სქესთა სხვადასხვა თანაფარდობის შეფასება

ჩვენ გამოვყოფთ წყაროების ორ ფართო ჯგუფს. პირველ ჯგუფში შედის კვლევის მონაცემთა ოთხი წყება. ეს მონაცემები მოიცავს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამ კვლევას, რომლებიც ჩატარდა 1999, 2005 და 2010 წლებში, ასევე 2005 წლის მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევებს. სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლები ხელახლა შეფასდა „საქსტატის“ მიერ მოწოდებული საწყისი მიკრომონაცემების მიმოხილვის საფუძველზე. მონაცემები წარმოდგენილია ხუთწლიანი საშუალოების სახით რყევების შეზღუდვის მიზნით. როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ციფრები ეხება ბავშვების დაბადების ძალიან მცირე რიცხვს (ჯგუფს) (ან ბავშვთა პოპულაციას), მონაცემების გამოყენება მოხდება განცალკევებულად და ეჭვს გარეშეა, რომ მოცემული მონაცემები წყაროების მეორე ჯგუფთან შედარებით ნაკლებად სანდოა.

წყაროების მეორე ჯგუფი მოიცავს ხუთ წყაროს, რომლებიც ფარავს მთელ მოსახლეობას სხვადასხვა პერიოდში. მონაცემთა თითოეულ წყებას გააჩნია თავისი ნაკლოვანებები მათი ხარისხისა და სანდოობის თვალსაზრისით; ზოგიერთ მათგანზე შესაძლოა, გემოქმედება მოახდინა რეგისტრაციის დაბალ მაჩვენებლებთან/დონესთან, ასევე შეფასების დაბალ დონესთან დაკავშირებულმა პრობლემებმა. აღნიშნული წყაროები წინა თავში უკვე განვიხილეთ, ამიტომ ქვემოთ მათ მხოლოდ მოკლედ აღვწერთ:

- 1. აღწერის მონაცემები – 2001:** დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელთა წლიური მონაცემები 2002 წლის მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლების სიკვდილიანობის მაჩვენებლებით კორექციის შემდეგ. მონაცემები, რომლებიც ეხება 2002 წელს 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობას, არ არის შეტანილი მიგრაციის ზეგავლენის გამო.
- 2. დაბადების ოფიციალური რეგისტრაციის მონაცემები 1985–2004** წლებისათვის: 1996 წლამდე დაბადების რეგისტრაციის მონაცემებზე დამყარებული დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი,

ასევე 1996-2003 წლებისთვის შეფასებით დადგენილი დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი, რომელიც 111-ის ტოლია, და დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი, რომელიც 2003 წლის შემდგომი პერიოდისთვის ორმაგი ჩანაწერების სისტემის გამოყენებით შეფასდა.

3. **დაბადების რეგისტრაციის ორიგინალი მონაცემები** 1996-2003 წლებისთვის: დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელთა ალტერნატიული წყება, რომელიც შეადგინა ირინა ბადურაშვილმა დაბადების რეგისტრაციის ორიგინალი ჩანაწერების საფუძველზე.
4. **კომპიუტერული მეთოდებით დაანგარიშებული დაბადების რეგისტრაციის მონაცემები:** მონაცემთა წყებები, რომლებიც ეფუძნება 2005-2013 პერიოდისთვის ხელმისაწვდომ დაბადების კომპიუტერიზებულ ჩანაწერებს.
5. **დაწყებითი სკოლების კონტინგენტი:** დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელთა წყებები, რომლებიც მიღებულია 2013-2014 წლებში დაწყებითი სკოლების კონტინგენტის დაანგარიშებით, სიკვდილიანობაში სქესისთვის დამახასიათებელი განსხვავებების გათვალისწინებით კორექტირების შემდეგ.

5.1.2 მამრობითი სქესის ბავშვთა მაღალი შობადობის ტენდენცია გასული ოცდაათი წლის პერიოდში

ზემოთ განხილული ყველა წყარო დატანილია მე-7 ნახატზე. საკითხის შესწავლას ვიწყებთ წყაროების მეორე ჯგუფიდან, რომელიც ემყარება რეგისტრირებული და შეფასებით დადგენილი დაბადებების ყველაზე დიდ რაოდენობას და, ამდენად, უფრო სანდოა. დაბადების ოფიციალური რეგისტრაციის მონაცემები გვაძლევს მონაცემების წყებას, რომელიც იწყება სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელში ტენდენციის გამოხატველი ჰორიზონტალური სწორი ხაზით. ეს მაჩვენებელი 2002 წლამდე ოდნავ მაღალია 105-ზე. აღწერის მონაცემებით, 1991 წლამდე სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი 105-ზე ოდნავ დაბალია. ეს ციფრები მიუთითებს, რომ საბჭოთა პერიოდის განმავლობაში მამრობითი სქესის ბავშვთა მაღალი შობადობის მაჩვენებელი ახლოს იყო მის ბიოლოგიურ დონესთან - 105 მამრობითი სქესის ბავშვის დაბადება ყოველ 100

მდედრობითი სქესის ბავშვზე. 1989 წლის აღწერის მონაცემები (აქ არ არის ჩარმოდგენილი) ასევე ადასტურებს სქესთა თანაფარდობის ბუნებრივი დონიდან რაიმე მნიშვნელოვანი გადახრის არარსებობას.

დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ მამრობითი სქესის ბავშვების მაღალი შობადობის მაჩვენებელი იწყებს ზრდას. ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი აღწევს 110 მამრობითი სქესის ბავშვს ყოველ 100 მდედრობითი სქესის ბავშვზე. ეს გამოკვეთილი ზრდის ტენდენცია დასტურდება როგორც დაბადების რეგისტრაციის მონაცემებით, ასევე აღწერაზე დამყარებული უკუპროექციით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნაკლებად სავარაუდოა, გამოწვეული იყოს დაბადების რეგისტრაციასთან ან რამდენიმე წლის შემდეგ მოსახლეობის დათვლასთან დაკავშირებული პრობლემებით. დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის ზრდა ასევე შეინიშნება მეზობელ ქვეყნებში - აზერბაიჯანსა და სომხეთში - და ტენდენციები სამივე ქვეყანაში თითქმის ანალოგიურია.

აღწერის მონაცემები ასევე იძლევა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ტენდენციების რეკონსტრუქციის საშუალებას თვეების მიხედვით. და მართალია, მონაცემთა ამ წყებაში ასახულია მნიშვნელოვანი ხასიათის რყევები, რომლებიც გამოწვეულია შესაბამისი პოპულაციების მცირე რაოდენობით (დაახლოებით 5,000 თვეში), მაინც არის შესაძლებელი 1991-92 წლებში ცვლილების ტენდენციის დაფიქსირება, რადგან 1991 წლამდე დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ჰორიზონტალური პროფილი იცვლება და ასახავს მამრობითი სქესის ბავშვების მაღალი შობადობის რეგულარულად მზარდ დონეს. პერმუტაციის ტესტის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ თვე, როდესაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობა იწყებს ზრდას, და ამგვარი ზრდა იწყება 1991 წლის დეკემბერში, ანუ 1991 წლის აპრილში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რვა თვის შემდეგ.³⁴ ზემოთ ჩარმოდგენილი სტატისტიკური მოდელირების მიხედვით, იმ დაბადებული ბავშვების პირველი კოჰორტები, რომლებზეც ზემოქმედება მოახდინა სქესთა უფრო მაღალმა თანაფარდობამ, იმ ქალებს გაუჩნდებოდათ, რომლებიც დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტში

34 ვათვლები ემყარება კიმის და სხვა ავტორების ნაშრომს (2000). ჩვენ ამ შემთხვევაში გამოთვლებისათვის ვიყენებთ წერტილების შეერთების რეგრესიის პროგრამას (Jointpoint Regression Program). უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვიური ჩანაწერების მიხედვით, საქართველოში ფერტილობის მაჩვენებლის მკვეთრ ცვლილებას ჰქონდა ადგილი ერთი თვით ადრე - 1991 წლის ნოემბერში, რაც შეესაბამება ბავშვების 1991 წლის თებერვალში ჩასახვას.

ორსულობის პირველ თვეზე იმყოფებოდნენ. ეს მეტყველებს პოლიტიკურ რეჟიმში ცვლილებასა და რეპროდუქციულ სტრატეგიებს შორის არსებულ ძალზე მჭიდრო კავშირზე.

ამ თავდაპირველი ნახტომის შემდეგ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ტენდენცია გარკვევით მიუთითებს მამრობითი სქესის ბავშვების მაღალი შობადობის ზრდაზე რამდენიმე წლის განმავლობაში. მაგრამ ჩვენი წყაროები სრულად არ ეთანხმება ამ ტენდენციას. აღწერის უკუპროექციის მიხედვით, დაბადებისას სქესთა თანაფარდობის უმაღლესი ნიშნული შეადგენს 112-ს უშუალოდ აღწერის დაწყებამდე პერიოდში. მაგრამ ირინა ბადურაშვილის მიერ გამოცემული დაბადების ორიგინალი ჩანაწერების მიხედვით, დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი იზრდება 119-მდე 1997 წელს და შემდეგ ჩერდება ამ დონეზე შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში. შესაბამისად, ჩვენ ვაწყდებით მნიშვნელოვანი ხასიათის სხვადასხვაობას შეფასებებს შორის, რადგან მონაცემები მერყეობს პიკურ მაჩვენებლებს - 112-ს (აღწერა) და 119-ს (დაბადების რეგისტრაციის ორიგინალი მონაცემები) - შორის აღწერის ჩატარებამდე ხუთი წლის განმავლობაში. დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ოფიციალური მაჩვენებელი განხილული პერიოდისთვის შეადგენს 111-ს, მაგრამ რადგან ეს მონაცემი მთლიანად ნავარაუდევია, ჩვენ მას ვერ გამოვიყენებთ.


2003 წელს, დაბადების რეგისტრაციის გაუმჯობესებასთან ერთად, დაბადებისას სქესთა თანაფარდობის შეფასებითი მაჩვენებლების დიაპაზონი მცირდება. მამრობითი სქესის ბავშვების მაღალი შობადობის მაჩვენებელი შეადგენს 113 ვაჟს ყოველ 100 დაბადებულ მდედრობითი სქესის ბავშვზე რეგისტრირებული დაბადებების მიხედვით, ამასთან, დაწყებითი სკოლების პოპულაციის საფუძველზე დადგენილი მაჩვენებელი 115-თან ახლოს დგას.

შემდეგი წლების განმავლობაში დაბადებისას სქესთა თანაფარდობა, როგორც ჩანს, მცირდება 2005 წლის 114-იანი მაჩვენებლიდან 2013 წლის 108-იანი მაჩვენებლამდე. თუმცა ამ მნიშვნელოვანი კლების ინტერპრეტაცია გარკვეულწილად გართულებულია წლიდან წლამდე არსებული რყევებით, როგორცაა 2009 წელს 105-იანი მაჩვენებელზე ქვემოთ დაცემა და ერთი წლით ადრე საქართველოში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ნაკლებად სავარაუდო პიკური მაჩვენებლის - 128-ს (მსოფლიო რეკორდი) - მიღწევა.


ნახ. 7-ზე დავაფიქსირებთ საქართველოში 1985-დან 2014 წლამდე პერიოდში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის ცვლილების თანაბარი (პუნქტირებული) მრუდი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მთელი პერიოდის სინთეზირებული შეფასება. იგი აჩვენებს 1992-დან 1997 წლამდე პერიოდში უწყვეტ ზრდას, რომელსაც მოჰყვება უფრო ნელი ზრდა 2003 წლამდე, როდესაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი აღწევს თავის პიკურ მაჩვენებელს - 114-ს. ამ თარიღის შემდეგ ადგილი აქვს ხანგრძლივ კლებას შემდეგი ათწლეულის განმავლობაში. დაბადებული მამრობითი სქესის ბავშვების შობადობის მაჩვენებელი იკლებს 110-ზე ქვემოთ 2011 წელს და არსებული ტენდენცია გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მომავალ წლებში გაგრძელდება შემდგომი კლება. აშკარად გამორჩეულია ორი თარიღი: დამოუკიდებლობის გამოცხადების წელი - 1991, რის შემდეგაც მამრობითი სქესის ბავშვების შობადობის მაჩვენებელი უცებ იზრდება, და 2004 წლის პერიოდი, როდესაც იწყება დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის კლება. თუმცა ტენდენციის გამომხატველი ეს სტილიზებული მრუდი ნათელს არ ჰფენს ზოგიერთ საკითხს: მაღალ - 119 - მაჩვენებელზე შეჩერების შესაძლებლობას საუკუნის მიწურულს და 2008 წელს დაფიქსირებულ

განსაკუთრებულავარდნას 128-მდე. აღნიშნულ საკითხებს ქვემოთ ცალკე განვიხილავთ.

კვლევაზე დამყარებული მაჩვენებლების შემთხვევაში (ნახ. 8) ჩვენ ვხედავთ კიდევ უფრო დიდ სხვაობებს ადრე განხილულ აღწერისა და დაბადების რეგისტრაციის მონაცემების საფუძველზე მიღებულ ციფრებთან შედარებით. მართალია, დაბადებისას სქესთა



ნახ. 7: საქართველოში დაბადებისას სქესთა თანაფარდობა სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 1985-2013



ნახ. 8: დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობა სხვადასხვა კვლევის მიხედვით, საქართველო, 1986-2007 წლები 1986-2007

თანაფარდობის მაჩვენებლის წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება ხუთწლიან მოძრავ საშუალოს, წყარობს შორის განსხვავებები შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, როგორც ეს ნახ. 8-ზეა ნაჩვენები. წყარობის შედარება ცხადყოფს მნიშვნელოვან შეუსაბამობას სქესთა თანაფარდობის შეფასების საფუძველზე დადგენილ დონეებს შორის. მაგალითად, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ყველაზე ძველი ორი კვლევის მონაცემები გარკვეულწილად შეესაბამება ერთმანეთს მამრობითი სქესის ბავშვების შობადობის მაჩვენებლის სწრაფი ზრდის დაფიქსირებაში, როდესაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი 1997 წელს 118-მდე იზრდება. ეს გამორჩეულად სწრაფი ზრდა ასევე ემთხვევა დაბადების ორიგინალი რეგისტრაციის მონაცემების საფუძველზე დადგენილ სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელს, რომელიც ზემოთ ცხრილებში იქნა წარმოდგენილი. მაგრამ მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემები, რომლებიც მიღებულია რეპროდუქციული ჯანმრთელობის 2005 წლის კვლევის თითქმის იდენტურ პერიოდსა და შერჩევის ნიმუშზე დაყრდნობით, დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელს ბევრად უფრო დაბალ დონეზე განსაზღვრავს. განსხვავება ამ ორ ერთდროულ კვლევას შორის შეადგენს მამრობითი სქესის თითქმის 8 ბავშვს ყოველ 100 დაბადებულ მდედრობითი სქესის ბავშვზე, გარდა 2000-2005 წლების პერიოდისა. რეპროდუქციული ჯანმრთელობის ბოლო კვლევა, რომელიც 2010 წელს ჩატარდა, გვაძლევს მაჩვენებლების ახალ წყებას, რომლებიც მნიშვნელოვნად დაბალია - დაახლოებით 112 ბოლო ათი წლის განმავლობაში, ამდენად, რთულია მათი შესაბამისობაში მოყვანა ხუთი წლით ადრე ჩატარებული ორი კვლევის - მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის - შედეგებთან.

რადგან რთულია მონაცემების ამ წყებების შეჯერება, ჩვენ დავიანგარიშეთ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის წლიური საშუალოები მონაცემთა ამ ოთხი წყებიდან და ავავთ კვადრატული მრუდი, რომელიც პუნქტირებული მრუდით არის გამოხატული ნახ. 8-ზე. შედეგად მიღებული მრუდი წარმოადგენს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის საუკეთესო შეფასებით მაჩვენებელს, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს ამ ოთხი კვლევიდან. ჩვენ გამოვყოფთ 1990 წლის შემდეგ აშკარა ზრდას, რასაც მოჰყვება 114 ნიშნულზე პიკი 2002 წელს. სიმულაცია მთავრდება დაღმავალი ტენდენციით ბოლო წლებში. ჩვენ შევამჩნიეთ, რომ მოცემული მრუდი თითქმის პარალელურია ნახ. 7-ზე წარმოდგენილი სტილიზებული ტრაექტორიისა. აქ ჩანს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის სწრაფი ზრდა, რასაც მოჰყვება გათანაბრება (შეჩერება) 112-სა და 115-ს ვაჟს შორის ყოველ 100 დაბადებულ გოგონაზე საუკუნის დასაწყისში, შემდეგ კი კლება: დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი 110 და 110-ზე ნაკლებ დონეზე ჩამოდის. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობა დაუბრუნდა 109-ს. ეს ალბათ 1990-იანი წლების შუა პერიოდის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

მონაცემების ამ ორი წყების შეფარდებითი შესაბამისობის გათვალისწინებით და 1995-2005 წლების პერიოდისათვის სანდო მონაცემების ნაკლებობის პირობებში მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი მრუდი საუკეთესოდ ასახავს საქართველოში დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობის მაჩვენებლის ევოლუციას განხილული პერიოდის განმავლობაში. საბედნიეროდ, 1995 წლამდე და 2005 წლის შემდეგ დაბადების რეგისტრაციის მონაცემები საკმაოდ კარგი ხარისხისაა და გვაძლევს საშუალებას, დავადგინოთ საქართველოში მამრობითი სქესის ბავშვების შობადობის რეალური მაჩვენებელი.

5.1.3 მაჩვენებლის დაანგარიშებასთან დაკავშირებული ორი საკითხი

დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ტენდენციების განხილვას აფერხებს ორი გადაუჭრელი საკითხი: დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი, დაახლოებით 120, რომელიც ეფუძნება დაბადების რეგისტრაციის არაკორექტირებულ მაჩვენებელს 1997-2002 წლებისათვის, და 2009 წლის პიკი. მათ მოკლედ მიმოვიხილავთ ამ ქვეთავში.

დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ძალიან მაღალი მაჩვენებელი, რომელიც ნავარაუდევია 1997-დან 2003 წლამდე პერიოდისთვის არსებულ დაბადების რეგისტრაციის არაკორექტირებულ მონაცემებში, უცნაურია, მიუხედავად იმისა, რომ ამ მაჩვენებლის ასეთივე მაღალი მნიშვნელობებია მიღებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის 1999 და 2005 წლების კვლევებში. საუკუნეების მიჯნაზე დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ძალიან მაღალი მაჩვენებლის არსებობის დამადასტურებელი წყაროები შეზღუდული აღმოჩნდა სხვადასხვა მიზეზით. მხოლოდ რაოდენობრივი არგუმენტის თანახმად ჩვენ ვერ ვიღებთ რაიმე დადასტურებას, რომელიც დაემყარებოდა რომელიმე ალტერნატიული წყაროს შერჩევის დიდი ნიმუშებით, რადგან მხოლოდ თითქმის ამომწურავ დაბადების კოჰორტებზე დაფუძნებული მონაცემები ვერ ადასტურებს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალი თითქმის 120-ის ტოლი - პლატოს არსებობას. ერთი მხრივ, 2002 წლამდე დაბადებული მოსახლეობის აღწერამ სქესთა გაცილებით დაბალი თანაფარდობა აჩვენა, კერძოდ 111, და, მეორე მხრივ, დაბადებისას სქესთა თანაფარდობა 2002 წლის შემდეგ დაბადებული დაწყებითი სკოლის მოსახლეობაში ოდნავ მაღალია და შეადგენს 114-ს. ეს სიდიდეები შორსაა 119-ისაგან, რომელიც აღებულია დაბადების რეგისტრაციის არაკორექტირებული მონაცემებიდან. ასევე შეიძლება დავამატოთ, რომ დაბადების საშუალო არაკორექტირებული რაოდენობა შეადგენდა 40,500 წელიწადში სამი წლის მანძილზე 2002 წლის აღწერამდე, ხოლო აღწერის 1999-2001 წლების დაბადების კოჰორტებისთვის შეადგენს 47,500-ს. აღწერის ეს მონაცემი, რომლის კორექტირება არ მომხდარა ჩვილთა და ბავშვთა სიკვდილიანობის გათვალისწინებით, გასაოცრად უფრო მაღალია და ამიტომ სინამდვილესთან ახლოსაა, რომ დაბადების რეგისტრაციის მონაცემები არასწორად არის შეფასებული — დაწეულია დაახლოებით 15%-ით, განსაკუთრებით იმ პერიოდისთვის, როდესაც საფასური იყო დაწესებული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციაზე. 2003 წელს ეს საფასური გაუქმდა

და საქართველოში რეგისტრირებული ბავშვების დაბადების მაჩვენებელი უეცრად 21%-ით გაიზარდა. დაბადებისას სქესთა თანაფარდობა ასევე დაეცა 119.5-დან 112.9-მდე, ეს ციფრი უფრო ახლოსაა მაჩვენებელ 114-თან, რომელიც 2003 წლის სასკოლო მონაცემებიდან არის აღებული.

უფრო შედარებით პერსპექტივაში განხილვისას, დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალი დონე, რომელიც დაბადების რეგისტრაციის არაკორექტირებული მონაცემების მიხედვით არის ნავარაუდევია, არასანდოდ გამოიყურება. ჯერ ერთი, დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის ზრდა 105-დან 120-მდე ათ წელზე ნაკლებ პერიოდში ყველაზე სწრაფი ზრდაა მსოფლიოში. 1996 წლიდან 1997 წლამდე ზრდა განსაკუთრებულია. მეორე მხრივ, 118 დაბადებული ვაჟი 100 დაბადებულ გოგონაზე 1997-2002 წლებში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ყველაზე მაღალი რეგისტრირებული მაჩვენებელია, ამათგან სოფლად დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი შეადგენს 122-ს. მესამე, წინა პუნქტში აღწერილი სასტიკი კლება 2003 წლიდან 2004 წლამდე ისევე ანომალიურია, როგორც ზრდა 1996-დან 1997 წლამდე.

უფრო მეტად სავარაუდოა, რომ მმარის ბიუროების ტრადიციული დაბადების რეგისტრაციის სისტემა ნაწილობრივ ჩამოიშალა 1996-2003 წლებში. ამას მოჰყვა დაბადების არაზუსტი რეგისტრაცია, რამაც შესაძლოა გავლენა იქონია უფრო ქალებზე, ვიდრე მამაკაცებზე, რადგან ვაჟიშვილების დაბადებას უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ ოჯახისთვის და ქონების გადასაცემად. დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ფაქტობრივი მაჩვენებელი შესაძლოა ოდნავ ნაკლები იყო, 112-დან (აღწერის უმაღლესი ციფრი) 114-მდე (ადრინდელი სასკოლო შეფასებით). თუმცა ეს ზღვრები ჰიპოთეტურია. მომავალი აღწერის მონაცემები ასაკისა და სქესის მიხედვით განაწილებასთან დაკავშირებით დაგვეხმარება, ბოლო მოვულოთ ამ დებატებს. 12-17 წლის ასაკის (1997-2002 წწ. დაბადებული) მოსახლეობის დაბადებისას სქესთა თანაფარდობა 2014 წლის აღწერაში დადასტურებს ამ დაბადების კოჰორტების დაბადებისას სქესთა თანაფარდობის სავარაუდო დონეს.

დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის დრამატული ზრდა 2008 წელს მეორე გამოწვევას წარმოადგენს საქართველოში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დინამიკის გასაგებად.³⁵ ფაქტობრივად, ეს მონაცემების და ეროვნული სტატისტიკის მნიშვნელობის უარყოფის

35 2008 ბიჭების დაბადების რაოდენობის ზრდა არ დასტურდება რეპროდუქციული ჯანმრთელობის ბოლო კვლევაში. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ეს კვლევა ეფუძნება აღნიშნული წლის 500-ზე ნაკლებ დაბადებას.

საფუძველია. დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი თავდაპირველად ალბათ დაკავშირებული იყო 2008 წელს რუსეთთან არსებულ კონფლიქტთან, რაც მიანიშნებს დიდი ხნის ბიოლოგიურ კავშირზე ერთი მხრივ სტრესსა და კონფლიქტს, მეორე მხრივ კი ბიჭების მაღალ შობადობას შორის (James 2009). მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ომის დროს არა მხოლოდ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის უეცარი ნახტომიანი იშვიათი დანაკლებად ინტენსიური, არამედ თვით ეს კონფლიქტიც 2008 წლის აგვისტოში ერთ კვირაზე ცოტა მეტ ხანს გაგრძელდა და თანაც ეს მოხდა ბიჭების შობადობის მატების დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ. დაბადების რეგისტრაციის კლასიფიცირებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2008 წლის პიკი უეცრად განჩნდა 2008 წლის ივლისში, როდესაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი 117-დან 164-მდე გაიზარდა მის-ივნისიდან ივლისამდე პერიოდში. ბიჭების მაღალი შობადობის მაჩვენებელი აგვისტოში 154-ს შეადგენდა, მომდევნო ოთხ თვეში 133-მდე შემცირდა და 2009 წლის დასაწყისში 100-ს ქვემოთ დაეცა. ფაქტობრივად, 2009 წელს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ყველაზე დაბალი (104.5) დონე დაფიქსირდა ქვეყანაში 1985 წლის შემდეგ და 2010 წელს ასევე აჩვენა უჩვეულოდ ზომიერი დონე (107.9). თუ ამ სამ თანმიმდევრულ წელიწადს გავერთიანებთ, დაბადებისას სქესთა თანაფარდობის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 113.4-ს, რაც გარკვეულწილად დამაჯერებელი მონაცემია დაბადებისას სქესთა თანაფარდობის საერთო ტენდენციის თვალსაზრისით.

დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის ამ მოულოდნელ ზრდას შეიძლება დამაჯერებელი ახსნა მოუძებნოთ. მას 2008 წლის ივლისში ჰქონდა ადგილი, ანუ პატრიარქის ცნობილი განცხადებიდან (2007 წლის 16 დეკემბერი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი) შვიდი თვის შემდეგ.³⁶ ამ სიტყვას, რომელშიც პატრიარქმა განაცხადა, რომ იგი პირადად მონათლავდა ორშვილიან ან მეტშვილიან ოჯახში დაბადებულ ყველა ბავშვს, ხშირად მიაწერენ საქართველოში შობადობის მნიშვნელოვან ზრდას 2008 და 2009 წლებში. მართლაც, 2008 წლის ივლისში შეინიშნება შობადობის საგრძნობი ზრდა, რაც გასული 10 წლის მანძილზე არ დაფიქსირებულა. შობადობის დონის დასტაბილურდა აგვისტოში, შემდეგ ნელა დაეცა და 2009 წლის აგვისტოში ისევ პიკი აღინიშნა. ანალიტიკოსებს გამორჩათ მხედველობიდან, რომ შობადობის მაჩვენებლის ასეთი უეცარი

თვიური ზრდა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის ზრდის პარალელურია. დაბადების რეგისტრაციის მონაცემები ასევე გვიჩვენებს, რომ არ ჰქონდა ადგილი გოგონების შობადობის ზრდას და 2008 წლის შუა პერიოდში რეგისტრირებული შობადობის დონის საერთო ზრდა მხოლოდ ბიჭების ხარჯზე იყო. გარდა ამისა, ქალებს, რომლებმაც 2008 წლის ივლისში იმშობიარეს, უკვე ორი თვის ორსულობა ჰქონდათ პატრიარქის მიერ სამების საკათედრო ტაძარში გაკეთებული განცხადების დროს. ამიტომ ყველაზე დამაჯერებელი სცენარია ის, რომ პატრიარქის დაპირების შემდეგ ქალებმა, რომლებიც მამრობითი სქესის ბავშვს ელოდებოდნენ, იმ დროს გადაწყვიტეს ორსულობის შენარჩუნება ნაცვლად შეწყვეტისა. სწორედ ამით აიხსნება, რატომ გაიზარდა ერთდროულად დაბადებული ბავშვების რაოდენობა და დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი 2007 წლის დეკემბერიდან რამდენიმე თვის შემდეგ. თუმცა ის, რაც მომდევნო წელს მოხდა, როდესაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი მოულოდნელად 105-მდე დაეცა, საკამათო საკითხია.

5.2 განსხვავებები ბიჭების შობადობაში საქართველოში

დაბადებისას სქესთა თანაფარდობის შესახებ კლასიფიცირებული მონაცემები შემოიფარგლება სულ რამდენიმე ცვლადით ხელმისაწვდომი წყაროების სიმცირის მიზეზით. უკვე გამოქვეყნებულია რამდენიმე ცხრილი დაბადებული შვილების რაოდენობის და რეგიონების მიხედვით. 2005-2013 წლების დაბადების რეგისტრირებული კლასიფიცირებული მონაცემები ასევე იძლევა დაბადებისას სქესთა თანაფარდობას დაბადებული შვილების რაოდენობის მიხედვით. გარდა ამისა, 2002 წლის აღწერა იძლევა აღწერამდე პერიოდში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ცვლადების შემოქმედების უფრო დეტალური შემოწმების საშუალებას.

5.2.1 დაბადების რიგითობა და გენდერული შემადგენლობა

დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ზრდის შემოქმედება ძირითადად თვალსაჩინოა მრავალჯერადი შვილოსნობის შემთხვევაში. გარდა ვიეტნამისა, შვილოსნობათა რაოდენობის ზრდასთან ერთად დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მზარდი ტენდენცია შეიმჩნევა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადაიკვეთება საზღვარი, რომელიც შესაბამება საშუალო ჯერადობას. ერთ ქალზე ბავშვების საშუალო რაოდენობისთვის დაბადებისას



³⁶ პატრიარქის განცხადება შეგიძლიათ იხილოთ: <http://www.orthodoxy.ge/patriarqi/qadagebebi/2007/16-12-2007.htm>

სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი ხშირ შემთხვევაში ნორმალური დონიდან ასიმეტრიულ დონემდე იწევს და აჭარბებს 130 ბიჭს ყოველ 100 გოგონაზე. ეს შეესაბამება ფერტილობის სტანდარტულ სტრატეგიას, როდესაც მშობლები ჯერ შვილების სასურველ რაოდენობას იყოლიებენ მათი სქესის მიუხედავად, ხოლო ბიჭის არარსებობისას დამატებითი შვილს სქესის შერჩევით აჩენენ, კიდევ ერთი გოგონა რომ არ გაჩნდეს.

ნახ. 9-ზე (მარცხნივ) შეჯამებულია, თუ რა მოხდა 90-იან წლებში საქართველოში. ეს ციფრი ეფუძნება იმ რეკონსტრუირებული ოჯახების სქესთა თანაფარდობას, რომლებშიც შეგვიძლია თითოეული ბავშვის რიგითობა შევაფასოთ. სქესთა თანაფარდობა შემდეგ კორექტირებულია სიკვდილიანობით, რომელიც მაღალი მაჩვენებლის გამო ამცირებს სქესთა თანაფარდობას (იხ. მეთოდოლოგიის ნაწილი). ეს ბავშვთა რანგები (CR) თითქმის იდენტურია შვილოსნობის რაოდენობისა. ჩვენ გავაერთიანეთ ორზე მეტი ბავშვის შემდეგ ყველა შვილოსნობა უფრო მაღალი წლიური შერჩევის ნიმუშების მისაღებად. ეს ციფრი გვაჩვენებს უფრო დეტალურ სურათს იმისა, თუ რა ხდებოდა 1990-იან წლებში.

1991 წლამდე დაბადებისას სქესთა საერთო თანაფარდობა მიუახლოვდა თავის ბუნებრივ დონეს - 105-ს და აღარ იყო შესამჩნევი სხვაობა ბავშვების რაოდენობაში. 1991 წლის შემდეგ პირველი და მეორე შვილის დაბადებისას სქესთა თანაფარდობა, როგორც ჩანს, თითქმის იგივე დარჩა, ზოგიერთი შემთხვევითი ცვალებადობით და

აღბათ მცირედი ზრდით მეორე შვილის დაბადების შემთხვევებში ამ პერიოდის ბოლოს. მაგრამ შემდეგი შვილების დაბადების მხრივ სიტუაცია დრამატულად შეიცვალა; მესამე და შემდეგი შვილების დაბადებისას სქესთა თანაფარდობა გვიჩვენებს სწრაფ ზრდას 105-დან (1992 წ.) 120-მდე (1996 წ.) და 135-მდე 1999 წელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ზრდა დამოუკიდებლობის შემდეგ თითქმის მთლიანად მესამე და შემდეგი რამდენიმე ბავშვის სქესის ხარჯზე ხდებოდა, ხოლო პირველ და მეორე ბავშვზე არ ჰქონდა გავლენა. თუ გადავხედავთ ამ შობადობის ციფრებს (აქ არ არის



ნახ. 9: დაბადებისას სქესთა პირობითი თანაფარდობა საქართველოში შვილოსნობის და გენდერული შემადგენლობის მიხედვით, 1989-2001

ნაჩვენები), შევამჩნევთ აბსოლუტურ გადახრას არა მარტო უფრო მაღალი რიგითობის შვილოსნობაში, არამედ პირველი და მეორე ბავშვის დაბადებაში. ეს პერიოდი მართლაც შეესაბამება შვილოსნობის დრამატულ შემცირებას.

ბევრმა ადამიანმა გადაწყვიტა ბავშვის გაჩენის გადადება ან ბავშვის არყოლა 1991 წლის შემდეგ. ორშვილიან მშობლებს გოგონას გაჩენა უფრო სურდათ, ვიდრე ბიჭისა. განსხვავება დაბადებისას სქესთა თანაფარდობაში შვილოსნობის რიგითობის მიხედვით ასევე ადასტურებს, რომ ეს არ იყო ბიოლოგიური ფენომენი, რადგან მას არ მოუხდენია გემოქმედება შერჩევითი მეთოდით აღებულ ყველა შვილოსნობაზე. ეს იყო სწრაფად გაუარესებული ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოებებისადმი მიზანმიმართული ადაპტირება.

თუ რაიმე ეჭვი არსებობს 1990-იან წლების ფერტილობის სტრატეგიის ბუნებასთან დაკავშირებით, აღწერის მიკრომონაცემების მიხედვით შესწორებული ოჯახების მონაცემები საშუალებას იძლევა, უფრო ყურადღებით განვიხილოთ დამატებითი ბიჭების დაბადების გენდერული სიტუაცია. ამ მიზნით ბავშვები დავაჯგუფეთ შვილოსნობის რიგითობის და გენდერული შემადგენლობის მიხედვით. ჩვენს ანალიზში შემოვიფარგლეთ მესამე და შემდეგი (CR3+) ბავშვებით, რომელთა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი უეცრად გაიზარდა, და გამოვყავით ისინი, ვისაც უფროსი ძმა ჰყავს და ვისაც არ ჰყავს (ნახ. 9 მარჯვნივ).

ერთი სერია სქესთა თანაფარდობის თითქმის ნორმალური დონეს გვიჩვენებს და უახლოვდება 105 დაბადებულ ბიჭს 100 დაბადებულ გოგონაზე. ეს სერია შეესაბამება მესამე და შემდეგ ბავშვებს, რომლებსაც უკვე ჰყავთ უფროსი ძმა — ისინი წითლად არიან ნაჩვენები ნახ. 9-ის მარჯვნივ მხარეს. დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მათი ტენდენცია თითქმის უცვლელია ათწლეულების განმავლობაში მოსახლეობის აღწერის წინა პერიოდში. მაგრამ როდესაც ვიხილავთ ბავშვებს, რომლებიც უგაჟიშვილო ოჯახებში დაიბადნენ (ლურჯი ფერის), სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი მკვეთრად იზრდება 1991 წლის შემდეგ. მან 150-ს მიაღწია 1995 წელს და 200-ს ორი წლის შემდეგ, ხოლო უშუალოდ მოსახლეობის აღწერის წინა პერიოდში ამ ქვეპოპულაციისთვის 240-თან იყო ახლოს. ეს ბოლო მაჩვენებელი განსაკუთრებულია და ჩვენ მოგვიწია ჩვენი დიაგრამის მასშტაბის შეცვლა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ამგვარი უჩვეულო დონის გამო. ეს მაჩვენებელი აგრეთვე იმას ნიშნავს, რომ ბიჭების წილი მოსახლეობის 2002 წლის აღწერამდე

დაბადებულ ბავშვთა კოჰორტაში 70%-საც კი უდრიდა. სქესთა ბუნებრივი თანაფარდობის (105) მიხედვით, როდესაც 240 ბიჭი იბადება, უნდა ველოდოდ 229 გოგონას დაბადებას ($229 = 240 * 100 / 105$). ამის ნაცვლად კი დაბადებულია 100 გოგონა, რაც ნიშნავს, რომ არ გაჩნდა იმ გოგონების 56%, რომელთა დაბადება მოსალოდნელი იყო ($56\% = (229-100)/229$). ეს ასახავს სქესის შერჩევის მიზნით გაკეთებული აბორტების სავარაუდო სიხშირეს ორი ან მეტი გოგონას დაბადების შემდეგ.

ორ და მეტი შვილიან ოჯახებზე ფოკუსირებით შეგვიძლია ვნახოთ, რომ 1990-იან წლებში ბიჭების დაბადების წლიური რაოდენობა მერყეობდა 2,500-ის (1991 წ.) და 2,000-ის (1994 წ.) ფარგლებში 1993 წლის სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ. მაგრამ გოგონების რაოდენობამ უბიჭო ოჯახებში სტაბილურად დაიკლო 2,500-დან (1991 წ.) 2,000-ზე ქვემოთ (1993 წ.), 1,500-ზე ქვემოთ 1994 წელს და 1,000-ზე ქვემოთ 2000 წელს. ამ ოჯახებში გოგონების დაბადება დაახლოებით 7,500-ით შემცირდა. და „არდაბადებული (გამქრალი) გოგონების“ ამ რაოდენობით აიხსნება 2012 წლის აღწერის დროს გოგონების დეფიციტი. რადგან ჩვენს მაჩვენებლებს შორის მკაცრი შესაბამისობაა და არ არსებობს რაიმე ტიპის მზარდი სიკვდილიანობის კვალი, შეგვიძლია თავისუფლად ვივარაუდოთ, რომ ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა, არამედ შედეგია შეგნებული პრენატალური სტრატეგიისა. თუკი ჩვენს მონაცემებს დავუმატებთ ვაჟებისათვის უბირატესობის მინიჭებას, რაც წინა თავშია წარმოდგენილი, ცხადი ხდება, რომ 1991 წლის შემდეგ საქართველოში ზოგიერთმა მშობელმა გადაწყვიტა არასასურველი გოგონას დაბადების თავიდან აცილება.

2002 წლის შემდეგ უფრო მეტი სტატისტიკური მონაცემია ხელმისაწვდომი დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დონეებში შვილოსნობასთან დაკავშირებულ სხვაობებზე. ისინი ისეთივე მეთოდით შეფასდა, როგორც დაბადების რეგისტრირებული მონაცემები, ამიტომ ჩვენ გამოვტოვებთ ყველაზე პრობლემურ წყაროებს და ყურადღებას გავამახვილებთ შობადობის კომპიუტერიზებული მონაცემების ბაზაზე, რომელიც ხელმისაწვდომია 2005 წლიდან. ცხრილი 7 წარმოგვიდგენს დაბადებისას სქესთა პირობით თანაფარდობას დაბადების რიგითობის მიხედვით 2005-2013 წლების პერიოდში ამიტომ იგი ეფუძნება საქსტატის მიერ რეგისტრირებულ ნახევარ მილიონ დაბადების ფაქტს.

ცხრილი 7: დაბადებისას სქესთა თანაფარდობა შვილოსნობის მიხედვით, 2005-2013

| | 1 | 2 | 3+ | სულ |
|------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 2005 | 108.9 | 109.7 | 145.3 | 112.8 |
| 2006 | 107.3 | 111.8 | 140.2 | 111.9 |
| 2007 | 106.3 | 111.0 | 137.4 | 110.6 |
| 2008 | 125.0 | 123.9 | 151.7 | 127.7 |
| 2009 | 100.3 | 103.3 | 125.9 | 104.5 |
| 2010 | 103.6 | 106.5 | 128.3 | 107.9 |
| 2011 | 109.1 | 105.1 | 125.4 | 109.8 |
| 2012 | 109.3 | 106.5 | 117.5 | 109.5 |
| 2013 | 106.5 | 104.4 | 121.7 | 108.1 |
| სულ | 108.2 | 108.4 | 130.2 | 111.1 |

ორი უჩვეულო - 2008 და 2009 - წლის გამოკვებით, ეს ცხრილი გვიჩვენებს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის საერთო კვების ტენდენციას ბოლო ათწლეულში. ჩვენ ასევე შევნიშნეთ გამოხატული განსხვავება პირველი და მეორე შვილის თითქმის ნორმალურ სქესთა თანაფარდობას (110-ზე ნაკლები) და დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალ დონეს შორის მესამე და შემდეგი შვილის შემთხვევაში (დაახლოებით 130). შვილოსნობის შემდეგი რიგითობისას დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დონე ამ პერიოდის დასაწყისში დაახლოებით შეადგენდა 140 ბიჭს 100 გოგონაზე 2002 წლის აღწერის შესაბამისად (ნახ. 9, მარცხენა დიაგრამა). მაგრამ იგი საგრძობლად დაეცა 2005 წლის შემდეგ და ამჟამად ახლოსაა 120-თან.

უფრო დეტალურმა კვლევამ გამოკვეთა მთავარი ცვლილება. ეს არის პირველი და მეორე ბავშვის დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ზრდა ბიოლოგიურ დონეზე - 105-ზე ზემოთ. აქ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის საშუალო მნიშვნელობაა დაახლოებით 108.3, რაც საგრძობლად აღემატება მოსალოდნელ დონეს და მიუთითებს ბიჭზე გამიზნულ სტრატეგიაზე პირველ და მეორე შვილთან დაკავშირებით. დაბადებისას სქესთა თანაფარდობის სხვა სიდიდეებთან შედარებით ეს დონე შესაძლოა პრაქტიკულად უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოს და ამ დისბალანსს მხოლოდ შობადობის 3% განიცდის. და მაინც, სქესთა შორის დისბალანსის ეს ასპექტი უმნიშვნელოვანესია მრავალი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, იგი გვიჩვენებს, რომ ყველა ბავშვის დაბადებაზე ამჟამად პოტენციურად მოქმედებს დისკრიმინაციული ქცევა. ზოგიერთი ქართველი წყვილი ზომებს იღებს, რომ პირველი შვილი ბიჭი იყოს. მეორე მხრივ, 1990-იანი წლების შემდეგ

საქართველოში შობადობა საგრძობლად შემცირდა და ამის შედეგად დღეისათვის მაღალი რიგითობის შვილოსნობის მაჩვენებელი უმნიშვნელოა. 2005-2013 წლების პერიოდში მესამე და შემდეგი შვილის დაბადება საერთო შობადობის მხოლოდ 13%-ს შეადგენდა. შესაბამისად, დაბადებისას სქესთა შორის დარღვეული ბალანსის გემოქმედება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე წარსულში, როდესაც ქალებს საშუალოდ სამი შვილი ჰყავდათ.

ჩვენ შეგვიძლია გამოვთვალოთ ცალკეული შვილოსნობის დონეების გემოქმედება 2005-2013 წლების პერიოდისათვის დაანგარიშებულ 14,200 გამქრალ გოგონაზე, ანუ იმ გოგონების რაოდენობა, რომლებიც დაიბადებოდნენ, დაბადებისას სქესთა თანაფარდობა 105 რომ ყოფილიყო. მესამე და შემდეგი შვილების გაჩენა ამჟამად „გამქრალი“ გოგონების 54%-ის არდაბადების მიზეზია, პირველი და მეორე შვილოსნობა კი საქართველოში იდენტიფიცირებული „გამქრალი“ გოგონების 46%-ის მიზეზია და სასიცოცხლო როლს ასრულებს ქვეყნის საერთო დისბალანსში. დაბადების რეგისტრაციის სტატისტიკა არ იძლევა უფრო მეტ დეტალებს ოჯახის გენდერულ შემადგენლობაზე და ადრე დაბადებულ ბიჭებთან დაკავშირებულ რეპროდუქციულ არჩევანზე, როგორც ეს 2002 წლის აღწერის მონაცემებით გაკეთდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ პირველი შვილოსნობის დაბადებისას სქესთა თანაფარდობა მნიშვნელოვნად არის დარღვეული, იმაზე მიუთითებს, რომ ახლად დაქორწინებულთა მცირე რაოდენობა მანიპულირებს პირველი შვილის სქესით.

5.2.2 განსხვავებები ბიჭების მაღალ შობადობაში საქართველოში

სქესთა შორის დისბალანსის გაზრდის შესახებ საერთაშორისო ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, ეს მოვლენა იშვიათ შემთხვევაში არის თანაბრად განაწილებული ამ მხრივ დაზარალებულ ქვეყნებში. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ცალკეული სოციალური ჯგუფები იშვიათად მონაწილეობენ სქესის პრენატალურ შერჩევაში, მაშინ, როდესაც სქესთა შორის დისბალანსი უფრო თვალსაჩინოა მოსახლეობის სხვა ჯგუფებში. ჩვენი კვლევა ეფუძნება 2002 წლის აღწერის მონაცემებს და უახლესი დაბადების რეგისტრირებული მონაცემების უფრო შეზღუდულ რაოდენობას.

ინტერესის ძირითადი სფეროა სქესთა შორის დისბალანსის გეოგრაფიული გავრცელება ქვეყნის მასშტაბით. აღწერის მიკრომონაცემების მიხედვით, დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი უდრიდა 114-ს სოფლად, ხოლო ქალაქებში — 108-ს

1999-2002 წლების პერიოდში, როდესაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი მაღალი იყო. ეს სხვაობა — ექვსი ასზე - მაშინ ძალიან საგრძნობი იყო. სოფელსა და ქალაქს შორის ამგვარი სხვაობა ნიშნავს, რომ დაბალი შობადობის და თანამედროვე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის მიუხედავად, საქართველოს პატარა და დიდ ქალაქებში ნაკლებად შეიმჩნევა სქესთა შორის დისბალანსის მაღალი დონე, ვიდრე რეგიონებში. წლიური კლასიფიცირებული მონაცემები (აქ არ არის ნაჩვენები) კი გვიჩვენებს, რომ ბიჭების მაღალი შობადობა პირველ რიგში პატარა და დიდ ქალაქებში გაიზარდა 1991 წლის შემდეგ. მაგრამ 1996 წლისთვის ქალაქებს სოფლებიც წამოეწიენ და მას შემდეგ დაბადებისას სქესთა თანაფარდობა სოფლებში საგრძნობლად უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენ ქვეყანაში.

ბადურაშვილის მიერ ჩატარებული დაბადების რეგისტრაციის მონაცემების შეფასების თანახმად, სოფლები ლიდრობენ მონაცემით 8:100 მე-20 საუკუნის დასასრულს. 2003 წელს ეს მონაცემი შემცირდა და გახდა 3:100. ეს მონაცემი შეესაბამება 2005-2013 წლებში გამოთვლილ მონაცემებს. ცხრილი 8 წარმოგვიდგენს ქალაქებს (113.4) და სოფლებს (109.7) შორის განსხვავებას ბოლო ცხრა წლის მანძილზე. სხვაობა კვლავ საგრძნობია: სოფლად რეგისტრირებული სქესთა თანაფარდობა უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქებში ოთხი ვაჟით 100 დაბადებულ გოგონაზე. ეს სხვაობა მუდმივი რჩება ამ პერიოდის მანძილზე, მიუხედავად დადებითი ტენდენციისა და 2008 წელს დაფიქსირებული აფეთქებისა. ბიჭების მაღალი შობადობის ეს მაჩვენებელი კარგად შეესატყვისება ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭებას სოფლად.

ცხრილი 8: დაბადებისას სქესთა თანაფარდობა სოფლად და ქალაქებში, 2005-2013

| | სოფელი | ქალაქი |
|------------|--------------|--------------|
| 2005 | 115.6 | 111.4 |
| 2006 | 115.1 | 110.5 |
| 2007 | 114.1 | 109.1 |
| 2008 | 131.7 | 125.9 |
| 2009 | 106.2 | 103.7 |
| 2010 | 111.0 | 105.5 |
| 2011 | 113.7 | 107.1 |
| 2012 | 111.6 | 107.9 |
| 2013 | 108.8 | 107.5 |
| სულ | 113.4 | 109.7 |

გეოგრაფიული განსხვავება უკეთესად ჩანს მონაცემთა რეგიონულ სერიაში (ცხრილი 9). აქ ვიყენებთ ტერმინს „მხარე“, როგორც რეგიონულ ერთეულს, მაგრამ სიმარტივისთვის ამოვიღეთ „მხარე“, როდესაც ეს ერთეული არასრულია ან ძალიან მცირეა გამოთვლის მიზნებისთვის.³⁷ ჩვენ ვიყენებთ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელს აღწერამდე სამი წლის მანძილზე, ოჯახების დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელს, სადაც სულ ცოტა ორი გოგოა და არ ჰყავთ ბიჭი (1991-2002 წ.წ.), 1994-2003 წლების პერიოდის დაბადების რეგისტრაციის დაუმუშავებელ მონაცემებს და მონაცემთა უახლეს, 2005-2014 წლების სერიას.

ცხრილი 9: დაბადებისას სქესთა თანაფარდობა მხარეებში სხვადასხვა წყაროს თანახმად, 1991-2013


| | 1999-2002 | 1991-2002 | 1994-2003 | 2005-2013 |
|---|---------------|---------------|--|---------------------------|
| წყარო | აღწერა | აღწერა | არაკორექტირ. დაბადების რეგისტრ. | დაბადების რეგისტრ. |
| შობადობა | ყველა | CR3+ არა ბიჭი | ყველა | ყველა |
| თბილისი | 108.1 | 189.3 | 112.6 | 107.4 |
| აჭარა | 113.1 | 142.6 | 121.9 | 113.7 |
| გურია | 105.1 | 128.1 | 112.4 | 106.3 |
| იმერეთი | 111.2 | 159.9 | 114.1 | 109.9 |
| კახეთი | 112.2 | 182.9 | 119.7 | 114.6 |
| მცხეთა-მთიანეთი | 115.7 | 196.6 | 117.7 | 115.2 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვ. სვანეთი | 109.6 | 148.4 | 110.9 | 104.3 |
| სამეგრელო და ზემო სვანეთი | 106.2 | 116.2 | 111.7 | 111.4 |
| სამცხე-ჯავახეთი | 111.2 | 155.3 | 115.0 | 115.7 |
| ქვემო ქართლი | 117.1 | 205.3 | 120.3 | 116.5 |
| შიდა ქართლი | 113.5 | 192.8 | 115.0 | 109.7 |
| საქართველო | 111.1 | 165.3 | 115.5 | 111.1 |
| • „CR3+არა ბიჭი“ ნიშნავს შობადობას იმ ოჯახებში, სადაც 2 დ მეტი გოგონაა და არ ჰყავთ ბიჭი | | | | |

³⁷ წელიწადში შობადობა 400-ზე ნაკლებია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მთელ მხარეში. აფხაზეთის მონაცემები არ არის.

რეგიონული სხვაობის სურათის ინტერპრეტირება ნაკლებად მარტივია რამდენიმე შეუსაბამობის გამო, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში და მონაცემთა წყაროში აღმოჩნდა. თუმცა რამდენიმე რეგიონში გამოვლინდა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის საშუალოზე საგრძნობლად უფრო მაღალი დონეები. ეს ეხება ქვემო ქართლს, სადაც ეს მაჩვენებელი, როგორც წესი, ყველაზე მაღალია, ეროვნული საშუალო დონისგან განსხვავდება 5—8 ვაჟით 100 გოგონაზე. ჩვენი შეფასებით, აჭარა, კახეთი და მცხეთა-მთიანეთიც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის შედარებით მაღალ დონეებს აჩვენებს. გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ასევე სამეგრელო და ზემო სვანეთი ხშირ შემთხვევაში ჩვენს შეფასებასთან შედარებით დაბადებისას სქესთა თანაფარდობის უფრო დაბალი დონეებით ხასიათდება. ეს მხარეები ქმნიან კომპაქტურ რეგიონულ კლასტერს, სადაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის სავარაუდო დონეები ოდნავ განსხვავდება ბუნებრივი 105 ზღვრისგან.³⁸ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ამ დაბალი მაჩვენებლის მქონე ჯგუფს შეიძლება თბილისიც დაემატოს. თბილისში ბიჭების საშუალოზე დაბალი შობადობა პირდაპირი შედეგია რეგიონის მეტროპოლიური ბუნებისა, როგორც სოფელს და ქალაქებს შორის ადრე შესწავლილმა

მაჩვენებელი, როგორც წესი, იმატებს თითქმის ნორმალური დონიდან შავი ზღვის გასწვრივ, მცირდება გურიაში და საშუალო დონეს აღწევს იმერეთსა და შიდა ქართლში, ქვეყნის ცენტრალური ნაწილისკენ მოძრაობისას. ბოლოს მაღალი მაჩვენებლები შეგვხვდა, როგორც კი მივადწიეთ საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარს რუსეთის ფედერაციასთან (ინგუშეთი, ჩეჩნეთი და დაღესტანი), აზერბაიჯანთან და სომხეთთან. აჭარა და თბილისი განსხვავდება ჩრდილო-დასავლეთის-სამხრეთ-აღმოსავლეთის ძირითადი რუკისგან, სადაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალი და დაბალი დონეები არის შესაბამისად. საინტერესოა, რომ სხვადასხვა შეფასებით დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დონეების მაქსიმალური სხვაობა რჩება იგივე - 12 ყოველ 1000-ზე, სადაც გურია და ქვემო ქართლი წარმოადგენს ორ უკიდურესობას. აქედან გამომდინარე, გურიაში აღინიშნება ქვეპოპულაცია სქესთა თითქმის ბუნებრივი თანაფარდობით დაბადებისას, მაშინ, როცა ქვემო ქართლში ვაფიქსირებთ ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს სამხრეთ კავკასიაში, დაახლოებით ისეთივეს, რაც დაფიქსირდა ჩინეთში. პეტეროგენულობის დონე სქესობრივ დისბალანსში, როგორც ჩანს, საკმაოდ გამოხატულია საქართველოს ვიწრო საზღვრებში. გასაკვირი არ არის, რომ ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭების შეფასებების შედარება, რომელიც მიღებულია მხარის დონეზე დაფიქსირებული ფ ე რ ტ ი ლ ო ბ ა ს თ ა ნ დაკავშირებული ქცევიდან (იხილეთ წინა თავი) ვაფიქსირებინებს მჭიდრო კავშირს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დონეებთან. სქესის პრენატალური შერჩევა, როგორც ჩანს, ვაჟიშვილისთვის უპირატესობის მინიჭების გავრძელებაა.

ჩვენ გვაქვს დამატებითი მონაცემები, რომლებიც ხსნის განსხვავებათა სპექტრს დღევანდელ საქართველოში. დაბადების რეგისტრაციის სტატისტიკა გთავაზობს ცვლადების მცირე რაოდენობას დაბადებისას სქესთა თანაფარდობაში განსხვავებათა არსებობის შესამოწმებლად, სოფლის-ქალაქის და შვილოსნობის რაოდენობის დიფერენციალის გარდა. აქედან გამომდინარე,



ნახ. 10: დაბადებისას სქესთა თანაფარდობა მხარეების მიხედვით. დაბადების რეგისტრირებული მონაცემები, 2005-2013

განსხვავებამ აჩვენა. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ჩრდილო-დასავლეთის-სამხრეთ-აღმოსავლეთის აშკარა დაყოფა საქართველოში, რომლის მიხედვითაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის

38

ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა მივუბრუნდეთ ძველ, 2002 წლის აღწერის შედეგად მიღებულ მონაცემებს. ჩვენ ვიყენებთ შერჩევას ორ ქვენიშნულში: შობადობას 1999-2002 წლებში (როდესაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო) და შობადობას ოჯახებში, რომელთაც მინიმუმ ორი ქალიშვილი ჰყავთ, მაგრამ არ ჰყავთ ვაჟიშვილი - ეს ის ჯგუფია, რომელიც, სავარაუდოდ, მიმართავს სქესის პრენატალურ შერჩევას.

ცხრილი 10 აჩვენებს ჩვენს შედეგებს. ჩვენ ამოვიღეთ რამდენიმე ცვლადი, რომელსაც არ ჰქონდა მნიშვნელოვანი კავშირი მამრობითი სქესის ბავშვების შობადობასთან - როგორცაა ლტოლვილების არსებობა ოჯახში. ბოლო ხაზი მოიცავს საშუალო დონეს მთელი ქვეყნის მასშტაბით და შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც კონკრეტული მაჩვენებლების მინიშნება. ჩვენ ასევე აღვნიშნეთ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დონეები, რომლებიც არსებითად განსხვავდება (5%-იან დონეზე) ეროვნული საშუალოდან, რათა ყურადღება მიექცეს ყველაზე საინტერესო შედეგებს.

ცხრილი 10: დაბადებისას სქესთა თანაფარდობა კონკრეტული სოციალური და კულტურული

| | ყველა შობადობა | | ოჯახები მხოლოდ ქალიშვილებით | |
|--|----------------|----------|-----------------------------|----------|
| | 1999-2002 | შობადობა | 2001-12 | შობადობა |
| | SRB | შობადობა | SRB | შობადობა |
| რელიგია | | | | |
| მართლმადიდებელი | 109.8 | 108552 | 161.3 | 26236 |
| სომხური | 114.2 | 5497 | 175.4 | 1738 |
| მუსლიმური | 117.7 | 18110 | 181.4 | 6335 |
| ეთნიკური წარმომავლობა | | | | |
| აზერბაიჯანელი | 121.2 | 12615 | 222.2 | 4115 |
| სომეხი | 113.5 | 7497 | 166.2 | 2207 |
| ქართველი | 109.8 | 113072 | 158.7 | 28435 |
| სხვა | 118.1 | 2964 | 173.1 | 639 |
| რუსულენოვანი | | | | |
| არა | 111.2 | 136259 | 165.9 | 34757 |
| კი | 90.1 | 635 | 137.6 | 720 |
| ოჯახის სტრუქტურა | | | | |
| ბირთვული | 112.8 | 56425 | 166.9 | 21046 |
| კომპლექსური | 109.9 | 80469 | 163.1 | 14431 |
| ოჯახის წევრი სოფლის მეურნეობაში | | | | |
| არა | 108.9 | 73957 | 172.3 | 15597 |
| კი | 113.8 | 62937 | 160.0 | 19880 |
| სულ | 111.1 | 129317 | 166.5 | 33776 |

მახასიათებლების მიხედვით, 1992-2002 წლებში

დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის შეფასებები ნაჩვენებია მუქ ფერში, როდესაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ეროვნული საშუალო, და დახრილი შრიფტით, როდესაც მნიშვნელოვნად დაბალია.

დავიწყეთ ჩვენი ანალიზი კულტურული ცვლადებით. რელიგიური, ეთნიკური და ლინგვისტური მახასიათებლები დაგვიხმარებათ იმ ხალხის იდენტიფიცირებაში, რომელთაც სქესთა თანაფარდობაში ყველაზე დიდი დარღვევა აქვთ. მუსლიმური ჯგუფები (ქართველებიც და აზერბაიჯანლებიც) ნათლად აჩვენებენ დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის მაღალ მაჩვენებელს. დაბადებისას სქესთა თანაფარდობის როგორც საერთო, ისე პირობითი მაჩვენებლების შეფასებები მნიშვნელოვნად უფრო მაღალია მუსლიმებს შორის. ამ ჯგუფებს შორის ყველაზე მაღალი მონაცემები აზერბაიჯანლებში აღინიშნა 121 აღრიცხვამდე დაბადებულთა შორის და 222 იმ მშობლებს შორის, რომელთაც არ ჰყავთ ვაჟიშვილი. მამრობითი სქესის ბავშვების შობადობა ქართველ სომხებს შორის მხოლოდ ოდნავ უფრო მაღალია, ხოლო

მ არ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ე ლ მ ა მოსახლეობამ, მათ შორის ეთნიკურმა ქართველებმა, აჩვენეს სქესთა თანაფარდობის ოდნავ დაბალი დონე. სქესობრივი დისბალანსის ყველაზე დაბალი დონე შეინიშნებოდა მცირე რუსულენოვან მოსახლეობაში და მაშინაც კი, თუ მოსახლეობის ბომა შეზღუდულია, ეს ჯგუფი სავარაუდოდ წარმოადგენს ერთადერთ თემს ქვეყნაში, რომელშიც არ აღინიშნება დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსი.

ჩვენ ვხედავთ, რომ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დონეები ეთნიკური ჯგუფებისთვის აქაც შეესაბამება ვაჟიშვილისთვის უპირატესობის მინიჭების ინტენსივობას, რაც წინა თავშია შეფასებული. გარდა ამისა, ქართველ აზერბაიჯანლებს შორის დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალი დონე შეიძლება დავეკავშიროთ მეზობელ აზერბაიჯანში დაფიქ-

სირებულ ოდნავ დაბალ მაჩვენებლებს, სადაც ამ მაჩვენებელმა 1999-2002 წლებში 116-ს მიაღწია. დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი სომხებს შორის კი პირიქით, უფრო დაბალია სომხეთში დაფიქსირებულთან (117 1999-2002 წლებში) შედარებით. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს მონაცემები ქართველი მოსახლეობის შესახებ ქვეყნის გარეთ - მაგალითად, რუსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების შესახებ - რათა შევამოწმოთ სქესის შერჩევის არსებობა დიასპორაში. სქესთა შორის თანაფარდობის ეს ეთნიკური განსხვავებები შეესაბამება რამდენიმე მანამდე აღნიშნულ რეგიონულ სხვაობას. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია უკეთ გავიგოთ ქვემო ქართლში არსებული განსაკუთრებული მდგომარეობა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის რეგიონული დონეების თვალსაზრისით, რადგან აზერბაიჯანლები მოიცავენ მხარის მოსახლეობის თითქმის ნახევარს. აზერბაიჯანლები ასევე წარმოადგენენ მნიშვნელოვან უმცირესობას კახეთის³⁹ მხარეში, სადაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ასევე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება. მიუხედავად ამისა, ეთნიკური შემადგენლობა არავითარ შემთხვევაში სრულყოფილად არ განმარტავს მანამდე აღნიშნულ გეოგრაფიულ განსხვავებებს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელში. თუ ჩვენ შევზღუდავთ ჩვენს ანალიზს ეთნიკური ქართველებით, შევამჩნევთ, რომ მათ ასევე აქვთ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალი დონეები აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც უმცირესობას ქვემო ქართლში ან როგორც უმრავლესობის ჯგუფს მცხეთა-მთიანეთში. ასე რომ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დონეები, როგორც წესი, განისაზღვრება რეგიონული მახასიათებლების ტენდენციებისა და ეთნიკური შემადგენლობის კომბინაციით.

ჩვენ ასევე შევისწავლეთ ურთიერთკავშირი მამრობითი სქესის ბავშვების მაღალ შობადობას და ოჯახის სტრუქტურას შორის, იმის გათვალისწინებით, რომ ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭება შეიძლება შედარებით ძლიერი იყოს უფრო ტრადიციულ საზოგადოებებში, სადაც სხვადასხვა თაობის თანაცხოვრება უფრო ხშირია. მაჩვენებელი შეიქმნა კომპლექსური ოჯახების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც ხასიათდება (ოჯახის უფროსის) შვილიშვილის არსებობით. მაგრამ ჩვენი მონაცემებით ვერ მოხერხდა რაიმე ასეთი კავშირის იდენტიფიცირება, რადგან დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება

ეროვნული საშუალო მაჩვენებლებიდან ბირთვულ ან კომპლექსურ ოჯახებში. ფაქტობრივად, საქართველოს ნაწილი, სადაც კომპლექსური ოჯახების უმაღლესი პროპორცია იყო 2002 წელს, იყო გურიის მხარე, რომელშიც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი მაღალია, ბირთვული ოჯახების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა. ჩვენ ასევე ვერ აღმოვაჩინეთ აშკარა კავშირი დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალ მაჩვენებელსა და გლეხების ოჯახებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის საერთო მაჩვენებელი უფრო მაღალია გლეხების ოჯახებს შორის, იგი უფრო დაბალია ორი ქალიშვილის დაბადების შემდეგ. აღმოჩნდა, რომ ოჯახური ღირებულებების მიმართ უფრო ტრადიციული დამოკიდებულების და ვაჟიშვილების მნიშვნელობის დამახასიათებელი ეს ორი ინდიკატორი - ოჯახის სტრუქტურა და გლეხობა - ნეგატიურ კორელაციაში იყო დაბადებისას სქესთა თანაფარდობის გაზრდილ მაჩვენებელთან საქართველოში.

ცხრილი 11 ყურადღებას ამახვილებს სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და აქ ჩვენ ვიყენებთ ორ სხვადასხვა ცვლადს. პირველი ასახავს საგანმანათლებლო სტატუსს, რომელიც გამოვლენილია ოჯახებში მოზრდილებს შორის განათლების უმაღლესი დონის განსაზღვრით. მეორე სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის უფრო სინთეზური მაჩვენებელია და ქართულ ოჯახებს ეკონომიკურ კვინტილებად ყოფს (ამ მაჩვენებლის უფრო დეტალური აღწერისთვის იხილეთ მეთოდოლოგია). სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ეს საზომი ეფუძნება საცხოვრებელ და ყოფით პირობებს და, აქედან გამომდინარე, უფრო პირდაპირ უკავშირდება ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას, ცხოვრების დონეს და შემოსავლის კატეგორიას, ვიდრე სამუშაო ადგილს ან განათლებას.

არ არსებობს შესამჩნევი სხვაობა განათლების დონის სამ ჯგუფს შორის მამრობითი სქესის ბავშვების მაღალი შობადობის თვალსაზრისით 2002 წლის აღწერამდე სამი წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვამჩნევთ, რომ ოჯახებში, სადაც ორი ან მეტი შვილი ჰყავთ, ოღონდ მხოლოდ ქალიშვილები, შემდგომში ვაჟიშვილის დაბადების ალბათობა მნიშვნელოვნად მაღალია უფრო განათლებულ კლასებს შორის, სადაც დაბადებისას სქესთა თანაფარდობის შესაბამისი მაჩვენებელი დაახლოებით 190-ია. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სქესის შერჩევის

³⁹ ადგილობრივი გენდერული სიტუაციების აღწერილობებისთვის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, იხილეთ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2014), სუმბაძე და თარხან-მოლუავე (2005b) და პეინჰოპფი (2014).

განხორციელების უნარი უფრო მეტია იმ ოჯახებს შორის, სადაც განათლების დონეები მაღალია სხვადასხვა მიზეზის გამო.

ცხრილი 11: დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობა განათლების და ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით, 1992-2002 წწ

| | ყველა შობადობა | | ოჯახები მხოლოდ ქალიშვილებით | |
|--|----------------|---------------|-----------------------------|--------------|
| | 1999-2002 | | 1992-2002 | |
| | SRB | შობადობა | SRB | შობადობა |
| <i>ოჯახში მცხოვრებ მოზარდთა განათლების უმაღლესი დონე</i> | | | | |
| უმაღლესი | 110.6 | 59216 | 190.0 | 10618 |
| საშუალო | 111.6 | 72106 | 156.2 | 23232 |
| დაწყებითი | 110.1 | 5473 | 152.9 | 1626 |
| <i>სოციო-ეკონომიკური კვანტილები</i> | | | | |
| ულარიბესი | 112.5 | 28441 | 167.0 | 8769 |
| ღარიბი | 112.6 | 26452 | 152.3 | 8298 |
| საშუალო | 111.4 | 26583 | 162.5 | 7353 |
| მდიდარი | 109.2 | 24304 | 182.0 | 5425 |
| უმდიდრესი | 109.5 | 23537 | 185.9 | 3931 |
| სულ | <i>111.1</i> | <i>129317</i> | <i>166.5</i> | <i>33776</i> |

დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლების შეფასებები ნაჩვენებია მუქ ფერში, როდესაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ეროვნული საშუალო, და დახრილი შრიფტით, როდესაც მნიშვნელოვნად დაბალია.

დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლების შეფასებები ნაჩვენებია მუქ ფერში, როდესაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ეროვნული საშუალო, და დახრილი შრიფტით, როდესაც მნიშვნელოვნად დაბალია.

საინტერესოა, რომ არ არსებობს სტატისტიკურად შესამჩნევი განსხვავება სოციალურ-ეკონომიკური კვანტილების მასშტაბით. ჩვენ ვამჩნევთ, რომ პრივილეგიებულ კატეგორიებს, როგორც წესი, ჰყავთ ვაჟების უფრო ნაკლები რაოდენობა, ვიდრე სხვებს.⁴⁰ როდესაც ყურადღებას ვამახვილებთ მრავალშვილიანი ოჯახების კონკრეტულ სიტუაციაზე, რომელთაც არ ჰყავთ ვაჟიშვილი, შედარებით შეძლებულ ჯგუფებს ჰყავთ ვაჟიშვილების უფრო მაღალი პროპორცია, ვიდრე სოციალურად დაუცველ ჯგუფებს. რა უნდა შევადაროთ ამგვარი წინააღმდეგობრივი დაკვირვებებით? უპირველეს ყოვლისა, უნდა გვესმოდეს, რომ განსხვავება დაკვირვებებს შორის გამოწვეულია ფერტილობასთან დაკავშირებულ ქცევაში განსხვავებებით. შედარებით ღარიბ სოციალურ

ჯგუფებს უფრო მეტი შვილები ჰყავთ და, შესაბამისად, უფრო მეტია სამი და მეტი შვილოსნობა. შედეგად, დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დარღვევა, რომელიც დაფიქსირდა მესამე დაბადებულებს შორის, დომინირებს მათ შორის და სწორედ ამიტომ 1999-2002 წლებში დაბადებული ბავშვების დაბადებისას სქესთა თანაფარდობის საერთო მაჩვენებელი ოდნავ გაიზარდა. და პირიქით, უფრო პრივილეგიებულ ჯგუფებს იშვიათად ჰყავთ მესამე შვილი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხოლოდ ქალიშვილები ჰყავთ, როგორც ეს ნაჩვენებია ვაჟიშვილისთვის უპირატესობის მინიჭების შესწავლით წინა თავში. მაგრამ როდესაც მათ ჰყავთ მესამე შვილი, ისინი უფრო აშკარად იყენებ სქესის შერჩევის უფრო რადიკალურ ფორმას და შედეგად მათ შორის აღინიშნება მამრობითი სქესის ბავშვების შობადობის უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, რაც ასახულია

სქესთა შორის თანაფარდობის 180-ზე მაღალი მაჩვენებლებით ოჯახებში, სადაც მხოლოდ ქალიშვილები ჰყავთ.

5.3 დასკვნა

ახლა შეგვიძლია შევაჯამოთ საქართველოში დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის ტენდენციებისა და განსხვავებების ჩვენეული ანალიზის მთავარი თავისებურებები. ოჯახების გენდერული შემადგენლობა უკვე დიდი ხანია რეპროდუქციული სტრატეგიის განმსაზღვრელი ქვეყანაში და მთავარი მიზანია სულ მცირე ერთი ვაჟიშვილის ყოლა. უფრო შორეულ წარსულში მშობლებს საშუალება ჰქონდათ, მოეგვარებინათ ვაჟიშვილი მემკვიდრის არარსებობის საკითხი, თუ მეტი შვილებს გააჩენდნენ. შობადობის ეს მოქნილობა, როგორც წესი, აძლევდა მათ შესაძლებლობას, მიეღწიათ თავიანთი გენდერული მიზნისთვის დამატებითი ბავშვების საშუალებით, თუმცა მაინც არსებობენ წყვილები, რომელთაც არ ჰყავთ ვაჟი ოთხი ან ხუთი შვილის შემდეგ (შესაბამისად 6% და 3%). გარდა ამისა, კიდევ

40 ეს ნაჩვენებია სხვაობის ტენდენციების კვლევის შემოწმებით კვინტილის მასშტაბით, რომელიც მნიშვნელოვანია 5%-ზე.

ერთი ბავშვის გაჩენის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენებოდა აბორტი და კონტრაცეფცია, როგორც კი სასურველი გენდერული შემადგენლობა იყო მიღწეული („შემჩერებელი ქცევა“).

სიტუაცია შეიცვალა, როდესაც 1990-იანი წლების დასაწყისში გაუარესდა პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ შობადობა ათწლეულების განმავლობაში მცირდებოდა, 1991 წლის შემდეგ იგი აღწარმოების დონეზე ქვემოთ დაეცა და საუკუნის ბოლოს მიაღწია 1.6 ბავშვს ერთ ქალზე. თითქმის ზუსტი თანხვედრა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის ზრდას და დამოუკიდებლობის გამოცხადება შორის აჩვენებს პოლიტიკური გარემოს ცვლილების გადამწყვეტ ზეგავლენას ოჯახის სტრატეგიაზე. ქვეყანაში ახლად გამოჩენილმა სქესის შერჩევის ტექნიკამ მშობლებს შესთავაზა შესაძლებლობა, შეებლუდათ შვილების რაოდენობა და უზრუნველყვით ვაჟიშვილის დაბადება. როგორც აღწერის მონაცემები მიუთითებს, ახალი სტრატეგია თითქმის მთლიანად ფოკუსირებული იყო მესამე ბავშვის გაჩენაზე. მშობლებს შეიძლებოდა ჰყოლოდათ ორი შვილი სქესზე ზემოქმედების გარეშე, მაგრამ მესამე შვილი ძირითადად მაშინ უნდოდათ, როდესაც არ ჰყავდათ ვაჟი, და ხშირად ყველა შესაძლო ღონეს ხმარობდნენ კიდევ ერთი მდედრობითი სქესის ბავშვის დაბადების თავიდან ასაცილებლად.

არსებობს განსხვავებები ქართულ საზოგადოებაში გენდერული სტრატეგიების ინტენსივობის თვალსაზრისით. თუმცა ქვეყნის სანაპირო ნაწილების (გურია) შესაძლო გამოკლებით, ყველა რეგიონს შეეხო დაბადებისას სქესთა მაღალი თანაფარდობა 1990-იან წლების ბოლოს; ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის შედარებით მაღალი დონე აღინიშნებოდა, ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია ეთნიკური შემადგენლობით, რადგან ამერბაიჯანლებს და შედარებით ნაკლებად სომხებს, როგორც წესი, მამრობითი სქესის ბავშვთა შობადობის უფრო მაღალი დონე აქვთ. ჩვენ ასევე აღვნიშნეთ, რომ ქალაქის ტერიტორიები, უმეტესად თბილისის რეგიონი, ხასიათდება დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დაბალი დონეებით. სიტუაცია უფრო არაერთგვაროვანია ქალაქის ტერიტორიებზე, განათლებულ ჯგუფებში და უმდიდრეს კვინტილებში. ერთი მხრივ, წყვილებს მესამე ბავშვის დაბადების კიდევ უფრო ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, ვაჟიშვილის არყოლის შემთხვევაშიც კი, და ამან შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მათი საშუალო დონე. მეორე მხრივ, იმავე ჯგუფებს, როგორც წესი, აქვთ ბიჭების

უფრო მაღალი პროპორცია, როდესაც ისინი კიდევ არჩენენ ბავშვს ორი ქალიშვილის შემდეგ. ეს არ არის მხოლოდ წყვილთა შეუპოვრობით გამოწვეული: ამის მიზეზია სქესის შერჩევის ტექნიკის ადვილი ხელმისაწვდომობა და დაბალი შობადობის შედეგი.

დაბადებისას სქესთა თანაფარდობამ 2000 წლის შემდეგ სტაბილურ დონეს მიაღწია, სხვადასხვა წყაროს თანახმად 115 ვაჟზე ოდნავ დაბალ ან მაღალ მაჩვენებელს 100 გოგონაზე. ეს მაჩვენებელი ოდნავ დაბალი იყო, ვიდრე მეზობელ სომხეთსა და ამერბაიჯანში. ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დონეების საერთო შემცირებას. თუმცა განსაკუთრებული აღმავლობა აღინიშნა 2008 წელს შობადობის გაზრდის თაობაზე პატრიარქის 2007 წლის განცხადებების შემდეგ. ასევე მოულოდნელი აღმოჩნდა მამრობითი სქესის ბავშვთა შობადობაში ნახტომი 2008 წლის შემდეგ. თუმცა ბოლო სამი წლის განმავლობაში მამრობითი სქესის ბავშვთა შობადობა თითქმის დასტაბილურდა 110-ის ოდნავ ქვემოთ და ფაქტობრივად მიაღწია დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ბუნებრივ დონეს. ამ შემცირებას მოულოდნელი კომპონენტი აქვს; იგი გამოწვეული იყო სქესთა თანაფარდობის ძალიან სწრაფი შემცირებით მესამე და მეტი ბავშვის დაბადებისას; ეს მაჩვენებელი 140-დან 120-მდე შემცირდა, მაგრამ გაიზარდა იმ მშობლების რაოდენობა, რომლებიც იყენებენ სქესის შერჩევის მეთოდებს, რათა გავლენა მოახდინონ პირველი და მეორე ბავშვის სქესზე. მონაცემების ნაკლებობა გამორიცხავს უფრო დეტალიზებული ანალიზის შესაძლებლობას და 2008-2009 წლების რყევების არსის დადასტურებას. მაგრამ 2014 წლის აღწერის მონაცემები მალე უზრუნველყოფს ამ თავში განხილული ზოგიერთი ინტერპრეტაციის დადასტურებას.

6. სოციალური ნორმები და პრენატალური გენდერული დისკრიმინაცია

არსებული სტატისტიკური მონაცემების შესავსებად საქართველოსათვის შემუშავებული იქნა ხარის-ხობრივი კვლევა. როგორც უკვე აღინიშნა, ეს კვლევა მოიცავდა სიღრმისეულ ინტერვიუს ცნობილ ქალებთან, ფოკუსჯგუფებში დისკუსიებს და ადგილობრივ და სახელმწიფო ექსპერტებთან გასაუბრებას ოთხ სხვადასხვა რეგიონში. კვლევა მიზნად ისახავდა, გამოეკვლია სქესის პრენატალური შერჩევის შესახებ ცოდნა და მისი გამოყენების დონე, გენდერული დისკრიმინაციის ხელშემწყობი ფაქტორები, განსაკუთრებით კი ოჯახების დამოკიდებულება ვაჟებისა და გოგონების მიმართ, და ასევე დამოკიდებულება პოტენციური დემოგრაფიული პერსპექტივებისა და პოლიტიკის ინიციატივების მიმართ.

დასაბუთებაზე და მის შესაძლო ზეგავლენაზე წყვილების რეპროდუქციულ სტრატეგიებზე.⁴¹ ინდივიდუალური წყაროები დანომრილია და მოხსენიებულია როგორც FGD (დისკუსია ფოკუსჯგუფებში); LS (ცხოვრებისეული ისტორიები); LEI და NEI (ადგილობრივ და სახელმწიფო ექსპერტებთან ინტერვიუები). მაგრამ ამ ანგარიშში წარმოდგენილი ანალიზი კონცენტრირებულია იმ მასალებზე, რომლებიც მოპოვებულია ფოკუსჯგუფებში დისკუსიებიდან და ცხოვრებისეული ისტორიებიდან.

6.1 ცოდნა პრენატალური გენდერული დისკრიმინაციის შესახებ

ამ ქვეთავში ჩვენ განვიხილავთ იმ ექსპერტთა მოსაზრებებს, რომლებთანაც 2014 წლის კვლევის პროცესში ჩატარდა ინტერვიუები ქვეყანაში სქესის შერჩევის მიზნით აბორტების გავრცელების შესახებ.⁴² ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ამ ექსპერტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა არაფერი იცოდა აღნიშნული მოვლენის შესახებ. ამიტომაც საინტერესოა, რა გამოვლინდა ფოკუსჯგუფებში დისკუსიების შედეგად, რადგან ეს ჯგუფები წარმოადგენს სამოგადოების ფართო ნაწილს. საერთო ჯამში, ცოდნის დონე ან მზაობა ამ საკითხის განსახილველად ფოკუსჯგუფებში უფრო ნაკლებიც კი აღმოჩნდა, ვიდრე ექსპერტებს შორის.



ნახ. 11: 2014 წლის თებერვალ-მარტში ჯგუფური განხილვებისა და ინდივიდუალური ინტერვიუების განმავლობაში ნახმარი სიტყვების სიხშირე

აღნიშნული კვლევის შედეგად მიღებული დიდი მოცულობის მასალა წარმოადგენს თითქმის ათას გვერდს, რომლის მიზანმიმართული განხილვა ამ ანგარიშში შეუძლებელია. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე საკითხზე: დაბადებისას სქესთა თანაფარდობის შესახებ ცოდნის დონეზე, ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭებაზე, მის

რესპონდენტებთან საუბარს უფრო არაპირდაპირი სახე ჰქონდა - მათ ძირითადად დავუსვით კითხვები საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნებში მამრობითი სქესის ბავშვების შობადობის

41 სამხრეთი კავკასიის სამ ქვეყანაში ჩატარებული კვლევების შესახებ უფრო ფართო ინფორმაციის მისაღებად იხ. დუდვიკის მიერ მომზადებული დეტალური ანალიზი (2014)

42 კითხვა შემდგენიარად იყო ფორმულირებული: „ამჟამად სომხეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში სხვა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან შედარებით ბევრად მეტი ბიჭი იბადება, ვიდრე გოგონა. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?“

გაზრდის პოტენციური მიზნის და არა სქესის შერჩევის მიზნით აბორტის არსებობის შესახებ. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში ვახსენეთ უშუალოდ სქესის შერჩევის მიზნით გაკეთებული აბორტის პოტენციური როლი. მაგალითად, რამდენიმე ჯგუფური განხილვის განმავლობაში მონაწილეებმა ერთდროულად განაცხადეს, რომ არ გაუგიათ ქვეყანაში არც სქესის შერჩევის მიზნით გაკეთებული აბორტების და არც მამრობითი სქესის ბავშვების ჭარბი შობადობის არსებობის შესახებ [FGD5, FGD15, FGD24, FGD18, FGD17, FGD16]. ბევრმა გამოხატა გაკვირვება (თუ ურწმუნობა არა) ამ ინფორმაციის გაგებისას, ბევრ მონაწილეს ეგონა, რომ ქვეყანაში უფრო მეტი გოგონა იბადება, ვიდრე ბიჭი. ადამიანები შესაძლოა სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი ვაჟების ჭარბი შობადობის მიმართ საკუთარი ან მათი ნათესავების ფერტილობის გათვალისწინებით (როგორ მოხდა, რომ მე მხოლოდ ქალიშვილები მყავს?), თუმცა ზოგ მონაწილეს ამ საკითხის შესახებ ინფორმაცია მედიაში განხილული თემის საშუალებით ჰქონდა გაგებული.⁴³

ანალოგიურად, რამდენიმე ქალმა ინდივიდუალური გასაუბრებისას განაცხადა, რომ არ სმენია ნაყოფის სქესიდან გამომდინარე ორსულობის შეწყვეტის შესახებ [LS16, LS18], რაც განსხვავდება სხვა ინტერვიუების მონაწილეთა პასუხებისაგან, რომ ამ საკითხზე დისკუსია მოსმენილი აქვთ მედიასაშუალებებით, თუმცა პირადად სქესის შერჩევის მიზნით გაკეთებული აბორტის ფაქტი არ იცინ.

შერჩევითი აბორტის ხსენებისას კვლევის მონაწილეები ცალკეულ შემთხვევებზე მიუთითებენ:⁴⁴

ძირითადად ვაჟი უფრო სასურველია. შესაძლებელია, რომ ასეთ შემთხვევებში აბორტს მიმართავდნენ. როდესაც მშობლები იგებენ, რომ გოგონას ელოდებიან, ისინი იშორებენ მას (დაოჯახებული მამაკაცი თბილისიდან)

ასევე გამიგია, რომ როდესაც ოჯახმა გაიგო, რომ დედა გოგონაზე იყო ორსულად, გადაწყდა აბორტის გაკეთება (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი აჭარიდან)

ვერ გამოვრიცხავ შესაძლებლობას, რომ ქალები მიმართავენ აბორტს გოგონას შემთხვევაში (დაოჯახებული ქალი თბილისიდან)

ზოგჯერ ეს აღიქმება როგორც ტენდენცია, რომელიც შეინიშნება ქვეყნის ნაკლებად განვითარებულ ნაწილებში და რომელიც არ ახდენს ფართო ზეგავლენას ქვეყნის დემოგრაფიაზე:

ამას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მოშორებულ სოფლებში [...], სადაც ქმრები ბევრს ახდენენ ცოლებზე ვაჟების გასაჩენად. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა თბილისში ცხოვრობს და ცივილიზაცია ბევრ ტრადიციას ცვლის. ასე რომ არ მგონია, რომ შერჩევით აბორტს ისეთი ხშირი სახე ჰქონდეს, რომ შეძლოს ამგვარი შედეგის მოტანა [...]. მსგავსი ფაქტები შესაძლოა იყოს ყველაზე დიდი 0.1 პროცენტი (დაოჯახებული მამაკაცი თბილისიდან)

ჩემი აზრით, აბორტს მაშინ იკეთებენ, როდესაც იგებენ, რომ ქალი გოგონაზეა ორსულად, რადგან უნდათ, ბიჭი გააჩინონ. იმდენად გაჭირვებულები არიან, რომ ურჩევნიან, ჰყავდეთ ვაჟი (დაოჯახებული მამაკაცი დუშეთიდან)

ზოგჯერ მამრობითი სქესის ნაყოფის მოშორების მაგალითებიც გვხვდება, როდესაც წყვილს უკვე ჰყავს რამდენიმე ვაჟი და სურს გოგონა გაუჩნდეს (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი აჭარიდან)

სქესის შერჩევის მიზნით აბორტის არსებობის აღიარება ინდივიდუალური გასაუბრებებიდან უფრო მარტივად გამოვლინდა, ვიდრე ფოკუსჯგუფებში დისკუსიებიდან. სქესის შერჩევის მიზნით აბორტს შედარებით იშვიათად ახსენებდნენ და როდესაც ახსენებდნენ, ფიქრობდნენ, რომ მსგავსი ფაქტები მხოლოდ იშვიათად ხდება ან სხვა რეგიონებში, სადაც არ ცხოვრობენ თავად ის პირები, ვისთანაც ინტერვიუ ტარდებოდა:

შესაძლოა რაოდენობა ბევრი არ იყოს, თუმცა ასეთი ფაქტები არსებობს (დაოჯახებული მამაკაცი ზუგდიდიდან)

დიახ, გამიგია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ელოდნენ ბიჭს, ხოლო ნაყოფი იყო გოგონა, ამიტომ გაკეთდა აბორტი. ასევე გამიგია, რომ არის სქესის გამომანგარიშების მეთოდი: გარკვეული სახის განრიგი, რომლის თანახმადაც შესაძლებელია სქესის წინასწარ განსაზღვრა (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი აჭარიდან)

დღევანდელ დღეს ოჯახები, რომლებსაც უკვე ჰყავთ ქალიშვილი, თვლიან, რომ აღარ უნდათ მეორე გოგონას გაჩენა და კეთდება აბორტი. საქართველოში ომების განმავლობაში

43 სულექციური აბორტების საკითხი ქართულ პრესაში ფართოდ შექცდებოდა 2014 წლის თებერვალში. სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობდა კვლევა.

44 გამოყენებული ციტატები მოტანილია ქართული ორიგინალის მიხედვით ინგლისურ ენაზე მომზადებული დაურედაქტირებელი ტექსტიდან.

ოჯახებში ძირითადად ჩნდებოდნენ ბიჭები, თუმცა ეს ბუნებრივად ხდებოდა (მოხუცი კაცი აჭარიდან).

ულტრაბგერითი სონოგრაფიის სპეციალისტი უფრო დეტალურად აღწერს პროცედურებს ქართველ და ამერბაიჯანელ ქალებს შორის. ამგვარი სახის მონათხრობი იშვიათია და ჩვენ მას დაწვრილებით გაგაცნობთ:

დიხ, იყო [სქესის პრენატალური შერჩევის] რამდენიმე შემთხვევა და მათ შორის იყვნენ ქართველები. ოჯახებს, რომლებსაც უკვე ჰყავთ 3-4 ქალიშვილი, აღარ სურთ მეტი გოგონას ყოლა და ქალები იკეთებენ აბორტს. [...] ისინი ამას პირდაპირ ამბობენ (რომ მათ სურთ ბავშვის სქესის გამო გაიკეთონ აბორტი). [...] ჩვენს კლინიკაში არ კეთდება აბორტი, თუ ნაყოფს რაიმე პათოლოგია არ აქვს. ამ მიზეზით აბორტის მსურველები მიდიან კერძო ექიმებთან, რომლებიც უკანონოდ სახლში ასრულებენ ამ პროცედურებს. [...] აქ მოდიან ნაყოფის სქესის დასადგენად, შემდეგ კი თავად იღებენ გადაწყვეტილებას, როგორ მოიქცნენ. მათ იციან, რომ ჩვენს კლინიკაში არ ტარდება მსგავსი პროცედურები და მიდიან კერძო ექიმებთან. ყოფილა შემთხვევები, როდესაც შემოუთავაზებიათ იმდენი თანხის გადახდა, რამდენსაც მოვითხოვდით, ოღონდ პაციენტის ისტორიაში ჩაგვეწერა, რომ ნაყოფს ჰქონდა ამა თუ იმ სახის პათოლოგია და იყო მკვდარი.

ამგვარ შემთხვევებში ქალები ძირითადად მოდიან მარტო. არ არის აუცილებელი, რომ მათზე ქმრების მიერ ხდებოდეს ზეწოლა აბორტის გასაკეთებლად, როდესაც ნაყოფი მდებარეობს სქესისა. ასეთ შემთხვევებში ქალები თავადაც იღებენ გადაწყვეტილებას. მათ თავად აქვთ სურვილი, ჰყავდეთ ბიჭი და ამით ჰქონდეთ კარგი ცოლის და რძლის სტატუსი ოჯახში, მეზობლებსა და ნათესავებში [...]. ქალების უმრავლესობა თვლის, რომ თუ ოჯახში რაიმე სახის პრობლემა აქვს და თუ ბიჭს გააჩენს, ასეთ შემთხვევაში თავისით გადაწყდება ეს პრობლემები და ყველაფერი დალაგდება.

სიმართლე რომ ვთქვათ, ჩვენს დროში არც ერთი ქალი არ ეკითხება ქმრის ოჯახის წევრებს, როგორ მოიქცეს. ახალგაზრდა წყვილები თავად იღებენ გადაწყვეტილებებს. ქართულ ოჯახებში [ქალები თავად იღებენ გადაწყვეტილებას], მუსლიმურ ოჯახებში ყველა [მთელი ოჯახი] ერთვება ამ საკითხში (ქალთა ჯანდაცვის ექსპერტი დუშეთში)

ფოკუსგუფების მონაწილეებს ასევე დაუსვეს კითხვა მამრობითი სქესის ბავშვების შობადობის გაზრდის მიზეზის შესახებ. მონაწილეებმა ეს მოვლენა სხვადასხვა ფაქტორს დაუკავშირეს: ბიოლოგიას (ქართული გენი), კლიმატს, მშობლებს, კალენდარულ მეთოდზე დაფუძნებულ „გამოთვლებს“, ღმერთის ნებას, ომებით გამოწვეულ დაძულებას მთელ ქვეყანაში და გადაადგილებებს ან ხელოვნურ განაყოფიერებას. ადამიანებს ქვეყანაში ვაჟთა მოჭარბებული შობადობის ცნება ხშირად იმდენად აბსურდულად მიაჩნიათ, რომ ვეღური ჰიპოტეზების წარმოშობას იწვევს („შეიცვალა კლიმატი და ყველაფერი. ქვეყნიდან ყველა გარბის, რადიაციაც ჩვეულებრივ ამბად იქცა“) (დაოჯახებული მამაკაცი აჭარიდან). ჯგუფური განხილვების დროს მრავალი მიზეზი მოიხსენიება მამრობითი სქესის ბავშვთა შობადობის გაზრდისთვის, თუმცა იშვიათად ვხვდებით კონსენსუსს მონაწილეებს შორის ამ ტენდენციის მთავარი მიზეზის შესახებ.

როდესაც მონაწილეებს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის გაზრდის გამოწვევი სოციალური მიზეზების შესახებ დაუსვეს კითხვა, მონაწილეებმა ეს ფაქტი ვაჟებისთვის ტრადიციულად უპირატესობის მინიჭებას მიაწერეს („ეს კავკასია“) და მხოლოდ რამდენიმე ადამიანს მშობლების მიზანმიმართულ მანიპულაციებს ორსულობისას. თუმცა რამდენიმე გასაუბრებიდან და ჯგუფური განხილვიდან უფრო პირდაპირი პასუხებიც გამოიკვეთა. მართალია, მონაწილეები ზოგჯერ ვერ თანხმდებიან ამ საკითხზე, მაგრამ ისინი გამოხატავენ გარკვეულ მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა შეიცვალა წლების მანძილზე:

სიტუაცია შეიცვალა, აქამდე ადამიანი მაღლობელი იყო, ღმერთი რასაც მისცემდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, გოგო იყო თუ ბიჭი, თუ ადამიანს ჰყავდა სამი ქალიშვილი, ოჯახს სურვილი ჰქონდა, ჰყოლოდა ბიჭიც როგორც ოჯახის მემკვიდრე, დღევანდელ დღეს კი მათ შეუძლიათ მივიდნენ, გაიკეთონ ულტრაბგერითი შემოწმება და დაადგინონ სქესი (მოხუცი კაცი აჭარიდან)

მე მგონია, რომ ოჯახების უმეტესობას უნდა ვაჟი და ეს არის მიზეზი. გოგოს შემთხვევაში კეთდება აბორტი [...] ამ ყველაფრის ძირითადი მიზეზი მედიცინისა და ტექნოლოგიების განვითარებაა. მშობლებს შეუძლიათ ნაყოფის სქესის გაგება და ამიტომაც იყენებენ ტექნოლოგიას (მოხუცი კაცი აჭარიდან)

ზოგ რესპონდენტს გამოკვეთილი აზრი აქვს, თუ რისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული ულტრაბგერითი სონოგრაფია, როდესაც მშობლებს

სურთ, გაუჩნდეთ ბიჭი.

[აბორტი] მარტივია და ამის მიზეზი (ნაყოფის სქესი) ხდება. სქესის წინასწარ დადგენამ გამოიწვია ამ თანაფარდობის დარღვევა (მამრობითი სქესის ჭარბი შობადობა) (ახალგაზრდა უცოლო მამაკაცი ზუგდიდიდან)

წყვილი ვაჟის მოლოდინშია და იცილებენ გოგოს (დაოჯახებული ქალი დუშეთიდან)

ვისაც ვაჟი უნდა, რომ ჰყავდეს, ულტრაბგერითი სონოგრაფიის საშუალებით იგებს სქესს, თუ ნაყოფი გოგოა, ქალი აბორტს იკეთებს (დაოჯახებული ახალგაზრდა ქალი აჭარიდან)

რესპონდენტების რამდენიმე კომენტარი მკაფიოდ ასახავს იმას, რასაც ცხადყოფს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მონაცემთა შვილსონობის რაოდენობის მიხედვით ჩვენეული ანალიზი: ვაჟების შობადობის ნორმალურ დონეს პირველი ბავშვების დაბადების შემთხვევაში და დარღვეულ მანქანებლებს მომდევნო ბავშვების დაბადებისას.

პირველი ორსულობის დროს არავინ ფიქრობს სქესზე, მაგრამ თუ წყვილს ორი ქალიშვილი ჰყავს, უნდათ, რომ ჰყავდეთ მესამე ბიჭი. ამას შესაძლოა ზეგავლენა ჰქონდეს ბიჭების გაზრდილ რაოდენობაზე გოგონებთან შედარებით (გაუთხოვარი ქალი ზუგდიდიდან)

თუ ოჯახში 4-5 გოგოა, შემდეგი ორსულობისას იკეთებენ ულტრაბგერით გამოკვლევას, რომ დარწმუნდნენ, რომ ნაყოფი ბიჭია (მოხუცი ქალი აჭარიდან)

ჩვენი ანალიზისათვის ხარისხობრივი კვლევის მონაწილეთა აღქმებსა და ცოდნას რომ დავყრდნობოდით, მაშინ ჩვენ გვეჩვენებოდა საქართველოში ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის ბალანსის დარღვევის მხოლოდ არაპირდაპირი დასტური. 2014 წელს გამოკითხულმა ბევრმა მონაწილემ არც კი იცის სქესის პრენატალური შერჩევის შესახებ ან ეჭვით უყურებს მსგავსი ტენდენციის ზეგავლენას შობადობაზე. ეს სიმპტომატურია იმ ფაქტისთვის, რომ ადამიანებს უჭირთ დემოგრაფიული ტენდენციების შეფასება, თუმცა ბევრი მათგანი, როგორც აღმოჩნდა, საკუთარი ან ნათესავების გამოცდილების საფუძველზე არ იყო ინფორმირებული პრენატალური გენდერული დისკრიმინაციის შესახებ. ეს ასევე მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად მედიით ამ თემის განხილვისა, თუნდაც ცნობილი პოლიტიკოსების მონაწილეობით, მას საზოგადოებრივ აზრზე მცირე გავლენა ჰქონდა.

6.2 ვაჟების მნიშვნელობა

ისევე, როგორც სქესის შერჩევითი აბორტი შესაძლოა არ მიიჩნეოდეს სქესთა შორის დარღვეული ბალანსის წყაროდ, ხარისხობრივი კვლევის მრავალი მონაწილე მიიჩნევს, რომ ბიჭიც და გოგონაც თანაბრად სასურველები არიან ქართულ ოჯახებში. დისკუსიათა უმეტესობის მონაწილეები აცხადებენ, რომ მნიშვნელობა არ აქვს, დაბადებული ბავშვი გოგოა თუ ბიჭი. ბიჭების მიმართ მიკერძოებულობის შესაძლებლობა თავიდანვე გამოირიცხა ქართულ საზოგადოებაში გოგონას და ქალის როლზე მითითებით, რომლებიც მამაკაცებთან შედარებით ხშირად ფასდებიან ისეთი თვისებებით, როგორცაა პატივისცემა, ბრუნვა, მორჩილება, განათლებისადმი მიდრეკილება, სიყვარული და სიკეთე, ზომიერება და თავშეკავებულობა და ა.შ.⁴⁵ არსებობს თვალსაჩინო განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის სქესის უპირატესობის კუთხით. მამაკაცისგან განსხვავებით, ქალის როლი შვილის ამპლუაში გამოკვეთილია როგორც მზრუნველის და პატრონისა. ზოგმა ქალმა აღნიშნა ქალიშვილთან მეტი სიახლოვეც:

მინდა მყავდეს ქალიშვილი, რადგანაც ვთვლი, რომ ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით უფრო გამოსადეგია ჩემთვის. გოგო მეტად იზრუნებს მოხუც დედაზე (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი აჭარიდან)

ქალიშვილები უფრო ახლოს არიან თავიანთ მშობლებთან. ბიჭები ქმნიან ოჯახებს და მათ მეტი საქმე აქვთ. მართალია, რომ ბიჭებს აკისრიათ მშობლების რჩენის ვალდებულება, მაგრამ ქალიშვილებს მეტი დრო აქვთ მშობლების მოსაველეად. ბიჭებს ნაკლები დრო აქვთ, რომ საათობით ესაუბრონ მშობლებს (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი აჭარიდან).

მართალია, ქალიშვილის ყოლის საჭიროება ხშირად არის გამოხატული, ინტერვიუებში არ იკვეთება ქალიშვილებისაკენ მკაფიო მისწრაფება. გოგონები დაფასებულნი არიან, თუმცა მათი ყოლის სურვილი იშვიათად არის განსაკუთრებული და ოჯახის გენდერული შემადგენლობის მიმართ უპირატესობის მინიჭება ზოგადად დაბალანსებულია:

ორივე ერთნაირად საჭიროა, ვერ ვიტყვი, რომ ბიჭის ყოლა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვთვლი, რომ ორივე სქესის შვილის ყოლა მნიშვნელოვანია. როდესაც ბიჭი გყავს, სურვილი გაქვს, გყავდეს გოგოც და პირიქით (გათხოვილი ქალი დუშეთიდან)

45 გენდერული სტერეოტიპების უფრო დეტალური აღწერისათვის იხ. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ანგარიში (2013).

ოჯახში ორივე სქესის შვილია საჭირო. ისინი ხომ ღმერთის შექმნილები არიან და ამიტომაც მათ თავიანთი ფუნქცია აქვთ (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი ზუგდიდიდან)

მაგრამ შემდგომი გამოკითხვისას ახალგაზრდები თუ მშობლები აუცილებლად აღნიშნავენ იმ განსაკუთრებულობას, რაც ნათლად განასხვავებს გოგოს ბიჭისაგან; გოგოები წავლენ ოჯახებიდან, მაშინ, როდესაც ბიჭები გაუძღვებიან მას. ბიჭის მოსალოდნელი როლის აღნიშვნა მეორდება გასაუბრებების და ჯგუფური დისკუსიების დროს:

ქალიშვილები თხოვდებიან და მიდიან ოჯახიდან, თუ ოჯახში არ არის ვაჟი, მაშინ ოჯახი ქრება (დემოგრაფი თბილისიდან)

ქართული ტრადიციაა, რომ ოჯახის უფროსს ყოველთვის უნდა, ოჯახში ერთი ვაჟი მაინც იყოს, რომელიც გააგრძელებს გვარს, იქნება ოჯახის სიამაყე და სიძლიერე (გათხოვილი ქალი დუშეთიდან)

იბადება ვაჟი და აგრძელებს გვარს, ხოლო როდესაც მშობლები მოხუცდებიან, მათზე ზრუნავს, ქალიშვილს არ აქვს ამდენის საშუალება (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი აჭარიდან)

ბიჭებს აქვთ უდიდესი პასუხისმგებლობები, ისინი ფინანსურად უზრუნველყოფენ ოჯახებს. მე ვაჟზე უფრო მეტად ვარ ორიენტირებული (ზრდასრული გათხოვილი ქალი დუშეთიდან)

მინდოდა ვაჟი მყოლოდა. შემდეგ მოხდა აფხაზეთის ომი, მოგვიხდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, გამოვიარეთ ეკონომიკური გაჭირვება, არ გვექონდა სახლი, ვლოცულობდი, რომ ვაჟი გაგვიჩენოდა, რადგანაც არ ვიცოდი, ვიყოლიებდი თუ არა მეორე შვილს და ძალიან მინდოდა, რომ ვაჟი ყოფილიყო, რომელიც გააგრძელებდა გვარს. თუმცა პირველი შემეძინა ქალიშვილი, ის ძალიან მხიარული და ლამაზია, მეორე შვილი კი ვაჟია [...]. ჩემს გოგოს ხასიათის ის თვისებები აქვს, რაც ჩემს ვაჟს მინდოდა, რომ ჰქონოდა, ის უფრო დამოუკიდებელია. ახლა 19 წლისაა და სტუდენტია. თუმცა ვაჟის ყოლა იმიტომ მინდოდა, რომ ის გვარის გამგრძელებელია, ეს ტრადიციაა, რომ ერთი ვაჟი მაინც გყავდეს (გათხოვილი ქალი თბილისიდან)

წინათგრძნობა მქონდა, რომ ვაჟი მეყოლებოდა. შვილი შვილია, მაგრამ ვაჟი გვარის გამგრძელებელია, ძლიერი, რომელიც ყოველთვის შენს გვერდში იდგება. დიასახლისებს ძლიერი კაცი სჭირდებათ.

როდესაც მოხუცდები, ჩემს გამოცდილებას მას გაუზიარებ და მიწადა, ემსახუროს ქვეყანას. შემდეგ გადავცემ ოჯახის მართვის სადავეებს. ქალიშვილი გათხოვდება და დატოვებს ოჯახს (ახალგაზრდა გათხოვილი ქალი ზუგდიდიდან)

ბოლო რესპონდენტი აჯამებს ვაჟის უპირატესობას:

1) ოჯახის გვარის და ოჯახის ღირებულებების გაგრძელება, 2) მშობლების მხარდაჭერა და სიძლიერე, 3) მისი როლი მთლიანად ქვეყნისთვის. გათხოვების შემდეგ ქალიშვილი მიდის ოჯახიდან. მონაწილეებისგან ჩვენ მეტ-ნაკლებად იდენტური განმარტებები მივიღეთ, განურჩევლად მათი სოციალური კლასისა, რელიგიისა, წარმომავლობისა თუ განათლების დონისა.

ზემოთ მოცემული ნიმუში აჯამებს ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭების კონკრეტული დასაბუთების ვიწრო სპექტრს: ოჯახის შექმნის შემდეგ რჩება ოჯახში, ფინანსურად მხარს უჭერს და ზრუნავს მოხუც მშობლებზე, გენეალოგიური ხის გამგრძელებელი, საზოგადოებრივი სიამაყე და პატრიოტული როლი. აღსანიშნავია, რომ ძველი არგუმენტები, რომლებიც უკავშირდება პირდაპირ ფიზიკურ დაცვას ვაჟების მიერ, არ გამოიკვეთა ამ განხილვებისა და გასაუბრებების დროს.⁴⁶

უფრო ზოგადად, უპირატესობა გამართლებულია ტრადიციებით (კავკასია) ან უნივერსალური ტენდენციებით (ყველას სურს, ჰყავდეს ვაჟი). ამ სახის განმარტებების გამოიწვევა ხშირად რთულია, მაგრამ დამატებით უნდა ითქვას, რომ „ტრადიციები“, რომლებიც ვაჟის საჭიროებას ამართლებს, გადატანილია ნორმებში, ხოლო ეს ნორმები, თავის მხრივ, მშობლებზე ზეწოლის მეშვეობით ტარდება. ხშირად მამაკაცის ღირსება განწირულია, თუ მას არ ჰყავს ვაჟი შემკვიდრე. ქვემოთ ილუსტრირებულია ნორმების განხორციელების ორი გზა იმ მამების ხარჯზე, რომლებსაც ვაჟი არ ჰყავთ:

ჩემს ერთ მეზობელს 4 ქალიშვილი ჰყავს და ყველა დასცილდა. მას ალბათ რცხვენია, მაგრამ ეს ალბათ უფრო საზოგადოების აზრის გამო, ვიდრე ოჯახის წევრების (მოხუცი ქალი თბილისიდან)

მამჩემს ყოველთვის უნდოდა, ჰყოლოდა ვაჟი. სანამ გაუჩინებოდა, ამის გამო რცხვენოდა, იყო შემთხვევები, როდესაც კაცები ეხუმრებოდნენ ამ საკითხზე (მოხუცი კაცი ზუგდიდიდან)

ვაჟი შემკვიდრის საჭიროება იწვევს განმეორებითი

46 ეს არგუმენტი ჩვეულებრივია იმ საზოგადოებებში, სადაც შეინიშნება სამართლდამცველი სისტემის სისუსტე და ქონებრივი უფლებების არასტაბილურობა. იგი შეიძლება აქტუალური ყოფილიყო საქართველოსთვის 1990-იანი წლების შუა ხანებში, როდესაც ადგილობრივი მათია („კანონიერი ქურდები“) განსაკუთრებით ძლიერი იყო ზოგიერთ რეგიონში.

ორსულობების სტრატეგიებს. მშობლებს შვილების ყოლის სურვილი ექნებათ მანამ, სანამ არ გაუჩნდებათ ვაჟი. ამგარი დამოკიდებულება არ არის ნახსენები ქალიშვილის გაჩენასთან დაკავშირებით.

მე გავაგრძელებ მცდელობას, თუნდაც მყავდეს 10 შვილი, ვიფიქრებ მეთერთმეტეზე (ახალგაზრდა უცოლო მამაკაცი აჭარიდან)

სასურველი სქესის შვილის ყოლის სტრატეგიები თაობებს შორის შეიცვალა, იკვეთება განსხვავებები წარსულში განმეორებითი ორსულობების სისტემატურ მცდელობებსა და უფრო ახლანდელი პერიოდის დამოკიდებულებას შორის, რომელიც ეფუძნება სქესის „გამოთვლებს“. როგორც ფოკუსჯგუფში დისკუსიის ერთ-ერთმა მონაწილემ ჩამოაყალიბა:

მამაჩემის გვარში ოჯახებს რვა შვილი ჰყავდათ ხოლმე, თუმცა ისინი მაინც ცდილობდნენ, ჰყოლოდათ ვაჟი. დედაჩემისაში უკვე დაწყებული ჰქონდათ გამოთვლის ხერხები (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი აჭარიდან)

დამოკიდებულების ამგვარი ცვლილება დაკავშირებულია უფრო მალთუმიურ გარემოზე, როდესაც საშუალო სიდიდის ოჯახში ორ შვილზე ნაკლებია. გასათვალისწინებელია ეკონომიკური მდგომარეობაც, რაც ოჯახებს არ აძლევს შესაძლებლობას, იყოლიონ მესამე შვილი.⁴⁷

გამიგია ისეთი შემთხვევების შესახებ, როდესაც გოგოების დედა იყო ორსულად, ნაყოფი იყო კვლავ გოგო და ქმარმა უთხრა, რომ ვეღარ გაუძლებდა ამდენ გოგოს და სთხოვა, გაეკეთებინა აბორტი (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი დუშეთიდან)

დიახ, გავაჩენ სამ შვილს ვაჟის მოლოდინით, ხოლო თუ სამივე გოგო იქნება, მეტს აღარ გავაჩენ და არც ვფიქრობ, რომ ვინმე ძალას დამატანს მეოთხე შვილის გაჩენაზე (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი აჭარიდან)

აუცილებლად გავაჩენ სამ შვილს, მესამე შვილის შემდეგ შვილის გაჩენა უკვე დამოკიდებული იქნება ფინანსურ შესაძლებლობაზე (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი თბილისიდან)

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ სქესის შერჩევითი აბორტი ხშირი გახდეს, თუმცა არის ინდივიდუალური შემთხვევები, როდესაც

არ სურთ მესამე გოგო და ელოდებიან ვაჟის გაჩენას (მოხუცი კაცი აჭარიდან).

მშობლები შესაძლოა არ დათანხმდნენ, რომ საჭიროა კიდევ ერთი ორსულობა ვაჟის არარსებობის შემთხვევაში. მამაკაცებისათვის ვაჟის ყოლა სავარაუდოდ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქალებისათვის, რაც იწვევს ძალდატანებას ცოლებზე, გააჩინონ მეტი შვილები ან მდებარეობითი სქესის ნაყოფის შემთხვევაში გაიკეთონ აბორტი. და მართალია, ფაქტობრივი ძალადობის შემთხვევები, რომელიც უკავშირდება ვაჟის დაბადებას, ძალზე იშვიათია, მრავალ ისტორიას ყვებიან გოგოს დაბადების შედეგად ფსიქოლოგიური ზეწოლის და ცოლ-ქმრის დაცილების შესახებ.

ჩემს პრაქტიკაში იყო ცოლ-ქმარი, რომელთაც ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. მათ ჰყავდათ 3 ქალიშვილი, ქმარი ამით არ იყო კმაყოფილი, მას ვაჟი უნდოდა, ცოლს კი მეტი შვილის გაჩენა აღარ სურდა. კაცმა სხვა ქალისგან გააჩინა ვაჟი და ეს ბავშვი მოიყვანა სახლში, რაც გახდა მათი ოჯახის დანგრევის მიზეზი (დედათა ჯანმრთელობის დაცვის ექსპერტი თბილისიდან)

მე არ ვიცი, პროცენტული თვალსაზრისით რამდენია, მაგრამ მსგავსი მოვლენები ნამდვილად ხდება. მაგალითად, ვიცი ქალი, რომელმაც 5-ნ ორსულობა შეწყვიტა, რადგანაც გოგოზე იყო ორსულად. მისი მეუღლე მოითხოვდა, გაეკეთებინა აბორტი, რადგან ნაყოფი არ იყო მამრობითი სქესის. ქმრები ძალიან ერევინან ასეთ საკითხებში (სტატისტიკოსი თბილისიდან)

ასევე გამიგია, რომ წყვილების გაშორების მიზეზი გამხდარა ის, რომ გოგო არ გაუჩნდათ (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი დუშეთიდან)

მყავს ძალიან ახალგაზრდა მეგობარი, რომელიც უკვე ორი შვილის დედაა. პირველი შვილი გოგო გაუჩნდა და ქმრის ოჯახი ეუბნებოდა, რომ აუცილებლად ვაჟი უნდა გაეჩინა. მეორე შვილიც გოგო გაჩნდა, მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაყოფიც მდებარეობითი სქესის იყო და მოეშალა. სამი თვის წინ ქმარი გაშორდა იმ მიზეზით, რომ ვაჟი არ გაუჩნდა. დედამთილი და მეუღლე აქტიურად ცდილობდნენ, რომ მას ვაჟი გაეჩინა (ახალგაზრდა დაოჯახებული ქალი თბილისიდან)

ჩემმა მეგობარმა ცოლი სცემა იმის გამო, რომ გოგო გააჩინა, რის მერეც მიატოვა (უცოლო მამაკაცი ზუგდიდიდან)

47 რეპროდუქციული ჯანმრთელობის 2010 წლის კვლევის მიხედვით, უმრავლესობა გამოთქვამს სამი შვილის ყოლის სურვილს, თუმცა შობადობის მაჩვენებლები აშკარად ორზე დაბალია. ეს მდგომარეობა შესაძლებელია ნაწილობრივ აიხსნას ეკონომიკური დაუცველობით და მშობლების უუნარობით, არჩინონ ორზე მეტი ბავშვისგან შემდგარი ოჯახი.

ბიძაჩემი ექვსი ქალიშვილის მამაა და იმის გამო, რომ ცოლმა მეექვსეც გოგო გააჩინა, მეუღლეს სახელით აღარ მიმართავს (უცოლო მამაკაცი თბილისიდან)

გვფურთხი დისკუსიებისა და ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ოჯახში დაძაბულობისა თუ ოჯახების დანგრევის მიზეზი ხშირად სწორედ ვაჟის არყოფილა. ქმრების ოჯახებს ხშირ შემთხვევებში ადანაშაულებენ რძლებზე ზეწოლაში, გააჩინონ ვაჟი. ქალები, რომლებსაც არ გაუჩნდათ ვაჟი, ხშირად განიღვინებინ ხოლომე ოჯახიდან ნათესავების მიერ. რამდენიმე ამგვარი შემთხვევისას ქმრებმა შესაძლოა მოითხოვონ გაყრა ან მარტივად გააჩინონ ვაჟი სხვა ქალისგან. ჩვენი დაკვირვებით, ამგვარი ზეწოლა და შანტაჟი ჩვეულებრივი მოვლენაა უშვილობის შემთხვევებშიც, თუმცა ვაჟის არყოფილა ამავე კატეგორიას მიეკუთვნება, თუნდაც ბიოლოგიური მიზეზები არანაირ როლს არ თამაშობდეს.

6.3 ოჯახების მოლოდინი და პატრილოკალური თანაცხოვრება

სამოგადოებაში ვაჟის განსაკუთრებული როლი ასახულია კვლევის მრავალ კითხვაში, რომლებიც შეეხება ოჯახების მოლოდინსა და ცხოვრების წესს. თუმცა ხშირად მოსაზრებებზე ზემოქმედებას ახდენს საგრძობი დაძაბულობა, რომელიც არსებობს გენდერული თანასწორობის მკაფიო მოთხოვნებსა და ქართულ ტრადიციებში ქალისა და მამაკაცის უდავო განსხვავებებს შორის. ორივე გამართლება ეხება ნორმატიულ განცხადებებს, რომლებიც საღ ამრს ემყარება. ისინი თითქმის ერთდროულად შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც გენდერული თანასწორობის ან განსხვავებული მოპყრობის ლოგიკური დასაბუთება.

ერთი მხრივ, მონაწილეები ხშირად აცხადებენ, რომ ქალებს მინიჭებული უნდა ჰქონდეთ ზუსტად ისეთივე უფლებები, როგორც მამაკაცებს. ყველა ბავშვის მიმართ მოპყრობა თანაბარია, როგორც გოგო, ასევე ბიჭი იქნება თავისი მშობლების პატრონი. ეს დამოკიდებულება უფრო ხშირად იკვეთება ახალგაზრდა თაობასა და დაუოჯახებელ მოსახლეობაში.

ადამიანმა ზრუნვა და სიყვარული თანაბრად უნდა გაუნაწილოს შვილებს (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი აჭარიდან)

ჩემი მოლოდინი გოგოსა და ბიჭის მიმართ ერთნაირია, ამ კუთხით ვერ განვასხვავებ მათ. არ მგონია, რომ ბიჭს მეტი ვალდებულება ეკისრება (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი

აჭარიდან)

მშობლებს შვილები ერთნაირად უყვართ. მამებს უფრო გოგოები, მამაჩემიც უფრო მეტად გამოხატავს თავის გრძობებს ჩემს მიმართ. ჩემი ძმა 24 წლისაა, თავისუფლება ორივეს თანაბრად გვაქვს. ჩემი ძმისგან ელიან, რომ იყოს წარმატებული, თუმცა ჩემს მიმართაც იგივე მოლოდინია. მშობლებისათვის ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებ (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი აჭარიდან)

მე მყავს ძმა, მაგრამ არასოდეს მიგრძენია განსხვავებული დამოკიდებულება მშობლებისაგან. მშობლების მოლოდინი ერთნაირია ორივეს მიმართ, ისევე, როგორც ფინანსური მხარდაჭერა (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი თბილისიდან)

ბუნებრივია, რომ ჩვენ უნდა მოუვაროთ მშობლებს. არ არსებობს ისეთი რამ, რომ თითქოს ბიჭებმა უნდა მოუვარონ მშობლებს, ხოლო ქალიშვილები თავიანთ ოჯახებს შექმნიან და არ მიაქცევენ ყურადღებას მშობლებს. ოჯახებში ბიჭები ისეთივე მზრუნველობას იჩენენ მშობლების მიმართ, როგორც გოგოები (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი თბილისიდან)

მეორე მხრივ, დისკუსიების განმავლობაში აღნიშნული ეს სამართლიანი მოპყრობა ხშირად გზას უთმობს სოციალური ნორმების ზეწოლას, რაც იწვევს გარდაუვალ ამრთა სხვადასხვაობას ბავშვების სქესთან დაკავშირებით, განსაკუთრებით დაოჯახების შემდეგ. დომინანტური სცენარი ბავშვების სქესთან დაკავშირებით შემდეგია: რომ კაცი რჩება ოჯახში ან მშობლებთან ახლოს, ხოლო ქალი მიდის ოჯახიდან და ქმნის თავის ოჯახს. ოჯახის შექმნის შემდეგ მშობლების ოჯახში ცხოვრების გაგრძელება ამტკიცებს და ხაზს უსვამს სოლიდარობას დაოჯახებულ მამაკაცსა და მის მშობლებს შორის, მაშინ, როდესაც ქალიშვილის შესვლა ქმრის ოჯახში აღნიშნავს მზარდ დისტანციას უახლოეს ნათესავებთან.

დღევანდელ დროში წყვილებს შორის კამათის ძირითადი მიზეზი ხდება გადაწყვეტილების მიღება საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით, ანუ იმასთან დაკავშირებით, მშობლებთან ერთად იცხოვრონ თუ ცალკე (ნეოლოკალური ცხოვრება).⁴⁸ ცალკე ცხოვრების მოდელი აღიქმება როგორც თანამედროვეობის ნიშანი, რომელიც ნაკარნახევი სოციალური და ეკონომიკური დამოუკიდებლობით,

48 საქართველოს შესახებ იხ. სუმბაძე და თარხან-მოურავი (2005ა). კავკასიაში საოჯახო მუქრნობათა ფორმირების უფრო ფართო პერსპექტივასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე Roberts et al. (2009).

მაშინ, როდესაც ზოგისათვის მიუღებელია ამგვარი ცვლილება და ამას აღიქვამს ოჯახის კავშირების დასუსტებად და რძლის გაუმართლებელ ზეგავლენად მეუღლეზე. მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს სიმეტრიული ცხოვრების მოდელზეც, როდესაც ახალგაზრდა წყვილი ცხოვრობს ქალის ოჯახში. პატრილინეარულ ოჯახებში ეს მამაკაცის ანათემისთვის გადაცემის საფუძველიც შეიძლება გახდეს, რადგან ვარაუდობს ვაჟიშვილის პატრილინეარულ იდენტობაზე უარის თქმას და მატრილინეარულობის დომინანტურობას. იმ ადგილებში, სადაც გავრცელებულია სქესის პრენატალური შერჩევა და ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭება, ქალის ოჯახთან თანაცხოვრება აღიქმება ნორმიდან გადახრად, რომელიც პატრიარქალურ მოდელს უფრო მეტად ეწინააღმდეგება, ვიდრე წყვილის ცალკე ცხოვრება. ეს ხშირად მიიჩნევა ღირსების დაკარგვად, თუ მამაკაცურობის ნაკლებობად არა.

ევროპელების თქმით, უმთავრესი სიყვარულია (როდესაც საქმე ეხება საცხოვრებელს), მაგრამ ეს არის უტოპია (ახალგაზრდა უცოლო მამაკაცი თბილისიდან).

როდესაც წყვილი ცოლის ოჯახში იწყებს ცხოვრებას, ასეთ კაცს ხალხი რძლად მოიხსენიებს (ზრდასრული დაოჯახებული მამაკაცი ზუგდიდიდან)

ზოგს რცხვენია და ბრუნდება თავის ოჯახში, შემთხვევა იყო ჩემს სოფელში, როდესაც ბიჭებმა უთხრეს ცოლის ოჯახში მცხოვრებ კაცს, რომ გატყავებული მელიის ყოლა სჯობია სახლში, ვიდრე კაცის, რომელიც ცოლის ოჯახში იცხოვრებს. მოჰკიდა ხელი თავის ცოლ-შვილს და შინ დაბრუნდა (მოხუცი ქალი ღუშეთიდან)

თუ ჩემი ცოლი იმ მიზეზით მომთხოვს მისი მშობლების ოჯახში გადასვლას, რომ არ მექნება ფული, ეს იქნება უდიდესი ტრაგედია ჩემთვის, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ მეუღლე მეუბნება, იმდენად წარუმატებელი ხარ, რომ იძულებული ვართ, ჩემს მშობლებთან ვიცხოვროთო (ახალგაზრდა უცოლო მამაკაცი თბილისიდან)

არის შემთხვევები, როდესაც გოგო ერთადერთი შვილია მშობლებისათვის და მას ძალას ატანენ მშობლები, რომ მათთან იცხოვროს მეუღლესთან ერთად. საზოგადოების ერთი ნაწილისათვის ეს მისაღებია, მეორისათვის კი არა (მოხუცი კაცი აჭარიდან)

მე მინდა ჩემი ქმრის ოჯახთან ერთად ცხოვრება

და არა ჩემს მშობლებთან, არ არის ლამაზი, მირჩევენია, მეუღლის დედასთან ვიცხოვრო, ვიდრე ქმარი ვაცხოვრო სიდედრთან. ჩემი აზრით, ეს ამცირებს კაცის თავმოყვარეობას (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი ღუშეთიდან)

თუმცა წესებს ხშირად გადაუხვევენ ხოლმე. ცოლის ოჯახში ცხოვრებას ზოგჯერ პრაგმატული დატვირთვა აქვს შეძლებული ოჯახებისათვის, რომელთაც არ ჰყავთ ვაჟი. ხშირია ასევე სიტუაცია, როდესაც ქვრივი ქალიშვილის ოჯახში რჩება. მიზეზი ან დაქორწინებული ვაჟის არარსებობაა, ან ის, რომ ქალიშვილი უფრო მზრუნველად მიიჩნიათ, ვიდრე რძალი. საბოლოოდ ბევრმა რესპონდენტმა ღიად განაცხადა მზარდი გულგრილობა ცოლის ოჯახში ცხოვრების დაუწერელი კანონის მიმართ.

კაცები იშვიათ შემთხვევებში ცხოვრობენ ცოლების ოჯახებში, თუმცა ეს დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე. ჩემი ვაჟი ცოლის ოჯახში ცხოვრობს მთაში, ჩემს რძალს მამა გარდაეცვალა და ოჯახი კაცის გარეშე დარჩა და ადვილად მიიღო ჩემი ვაჟი. მათ აქვთ ფერმა, რომელსაც ჩემი შვილი უძღვება (მოხუცი მამაკაცი ღუშეთიდან)

საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც დედები გათხოვილ შვილთან რჩებიან. როგორ დატოვებს ქალიშვილი დედას მარტო, თუ რძალი მასზე არ ზრუნავს? (მოხუცი ქალი ღუშეთიდან)

წინათ მსგავსი რამ სირცხვილად ითვლებოდა, ახლა კი ეს აღარ წამოადგენს პრობლემას. ჩემს შვილებს სადაც უნდათ, იქ იცხოვრონ - სადაც საუკეთესოდ იგრძნობენ თავს (ზრდასრული გათხოვილი ქალი თბილისიდან)

გემოთ დავინახეთ, თუ რამდენად იშვიათია ქვეყანაში წყვილის ქალის ოჯახში ცხოვრების ფაქტები. 2002 წელს ეს შემთხვევები დაქორწინების შემდეგ წყვილთა ცხოვრების წესში 10%-ზე ნაკლებს შეადგენდა, ხშირად კი, ზოგიერთ რეგიონში, 5%-ზე ნაკლები იყო. ეს მაჩვენებელი მხოლოდ თბილისში აღემატება 20%-ს. თუმცა მეორე ასპექტი ამისა, რომელიც სათანადოდ არ არის აღრიცხული, ის დახმარებაა, რომელსაც მშობლებს, განსაკუთრებით კი ქვრივ დედებს, დაოჯახებული ქალიშვილები უწევენ. ეს არის დახმარების დაფარული, მაგრამ ხშირი ფორმა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა გამოიწვიოს წინააღმდეგობა ქმრების ან ძმების მხრიდან მამაკაცი ვალდებულებების პირველობიდან გამომდინარე.

მე თუ შემიძლება, ასევე დავეხმარები ფინანსურად ჩემს მშობლებს და არაფერს

ვეტყვი ჩემს ძმას. უბრალოდ ვიყიდი, რაც საჭირო იქნება - მედიკამენტები თუ რაც იქნება საჭირო. თუ ვერ შევძლებ, ვეტყვი ჩემს ძმას (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი დუშეთიდან)

ჩემი ქმარი ვერც კი ამჩნევს 20-30 ლარის დანაკლისს თავისი ხელფასიდან (ჩემი მშობლებისათვის), მაგრამ თუ ეს სერიოზული თანხა იქნება, მაშინ აუცილებლად უნდა ვკითხო (ზრდასრული დაოჯახებული ქალი დუშეთიდან)

ამბობენ, რომ ქალიშვილი იზრდება იმისათვის, რომ სხვას ემსახუროს. ქალიშვილებზე დიდ იმედს არ ამყარებენ, სამაგიეროდ, ჰყავთ რძალი. თუმცა ვთვლი, რომ ეს ჩემი მოვალეობაა. მე ვერ უგულებელვყოფ მშობლებს, რომლებმაც გამზარდეს. დავეხმარები ყველაფრით, რაც დასჭირდებათ, ფინანსურად თუ ფიზიკურად (მოხუცი ქალი ბუგდილიდან)

გამიგია, რომ ყველა გათხოვილი ქალიშვილი, რამდენადაც შეუძლია, ეხმარება მშობლებს, ეს დამოკიდებულია შემოსავალზე. 100-80% ქალებისა ეხმარება მშობლებს, შესაძლოა ეს არ იყოს მხოლოდ ფინანსური დახმარების გაწევა (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი თბილისიდან)

6.4 მემკვიდრეობა

პატრილოკალური მოდელის გავრცელება ნიშნავს იმას, რომ ასაკოვან მშობლებს დახმარებას ძირითადად დაოჯახებული ვაჟები უწევენ. მაშინაც კი, თუკი ვაჟები არ ცხოვრობენ მშობლებთან ერთად, მათგან მოელიან მშობლებისათვის საჭირო ეკონომიკური და სოციალური დახმარების უზრუნველყოფას. ხშირად ამ ვერტიკალური დახმარების აუცილებლობას სოციალური დაცვის სუსტი მექანიზმი (ჯანმრთელობის დაზღვევა, პენსია და ა.შ.) ქმნის.

ამავე დროს, გასაგებია, რომ მემკვიდრეობის გადაცემის შესახებ ანდერძი ძირითადად ვაჟებისთვის არის განკუთვნილი. როგორც ქვემოთ მოტანილი პირველი ციტატა აჩვენებს, არსებობს ფორმალური თანასწორობა შვილებს შორის, მაგრამ პრიორიტეტი ვაჟებს ენიჭებათ. ოჯახის საცხოვრებელი სახლი ზოგჯერ გადადის ვაჟზე, რომელიც ზრუნავდა მშობლებზე მათი სიცოცხლის მანძილზე. ხშირ შემთხვევაში ესენი არიან უმცროსი ვაჟები, რომლებიც ოჯახში რჩებიან უფროსი ვაჟის დაოჯახების და საცხოვრებლად ცალკე წასვლის შემდეგ. მზითვენი არ არის უჩვეულო საქართველოში და, როგორც წესი, მშობლები მზითვეს გადასცემენ

თავიანთ ქალიშვილებს გათხოვებისას, მაგრამ ეს მზითვენი ძირითადად შედგება საძინებელი ავეჯისაგან, ლოგინის თეთრეულისაგან, ლეიბის, საბნებისა და ბალიშებისაგან, რისი ღირებულებაც ვაჟებისათვის გამიზნული მიწის, სახლის ან სხვა ქონების ღირებულებასთან შედარებით მცირეა.

მემკვიდრეობა გადაეცემოდა ვაჟს, მიუხედავად იმისა, ის კარგი იყო თუ ცუდი. წარსულში სირცხვილად ითვლებოდა მემკვიდრედ გოგოს დასახელება. ეს იყო როგორც ქალიშვილის სირცხვილი, ასევე ოჯახის (მოხუცი ქალი დუშეთიდან)

ჩემი ბებია-ბაბუის თაობა ძირითადად ფიქრობდა, რომ ქონება ვაჟს უნდა გადასცემოდა. თუ ოჯახში რამდენიმე ვაჟი იყო, მემკვიდრედ ყველაზე უმცროსი ითვლებოდა (ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი დუშეთიდან)

მე მემკვიდრეობას თანაბრად ვაგუყოფ გოგოს და ბიჭს. ორი სახლი მაქვს - აქ და თბილისში. ვკითხავ ჩემს ვაჟს, რომელი უნდა, ხოლო დანარჩენი ჩემს ქალიშვილს დარჩება. არჩევანის პრიორიტეტი ვაჟს ეკუთვნის (ზრდასრული დაოჯახებული ქალი დუშეთიდან)

ყოფილა შემთხვევები, როდესაც მემკვიდრეები ქალიშვილები იყვნენ, მაშინაც კი, როცა ოჯახში ვაჟი არსებობდა. მიზეზი ის იყო, რომ ვაჟები ყურადღებას არ აქცევდნენ მშობლებს (ზრდასრული დაოჯახებული მამაკაცი დუშეთიდან)

ჩემს შემთხვევაში ვაჟი იყო მემკვიდრე. დედაჩემს მთელი ქონების გადმოცემა ჩემთვის უნდოდა, რადგან ხედავდა, რომ კვდებოდა, თუმცა შემდეგ ყველაფერი ავტომატურად ჩემს ძმას გადაეცა (ზრდასრული დაოჯახებული ქალი თბილისიდან)

როგორც წესი, უმცროსი ვაჟი ხდება მემკვიდრე. უფროს ვაჟს გადაეცემა მიწის ნაკვეთი, ხოლო ქალიშვილებს მზითვენი (ზრდასრული გათხოვილი ქალი ბუგდილიდან)

მიუხედავად ყველაფრისა, სურათი შორსაა შავის ან თეთრისგან. რამდენიმე ადვოკატმა, რომლებიც გამოიკითხნენ ექსპერტების და რესპონდენტების სახით ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიისას, აღნიშნა რიგი შემთხვევებისა, როდესაც ქალიშვილებმა შეძლეს მიეღოთ ქონება ან მოითხოვეს ქონების თავიანთი წილი ანდერძის არარსებობისას. ამონარიდი დუშეთში (ეს ის ადგილია, სადაც „მთის“ ტრადიციები აღინიშნება და, ამავე დროს, ის ახლოს არის თბილისთან) გათხოვილ ქალებს შორის ჩატარებული დისკუსიიდან გვაჩვენებს სხვადასხვა

სიტუაციას:

ა. ყოფილა წილის თანაბარი გაყოფის რამდენიმე შემთხვევა ჩემს სოფელში. თანაბრად მოხდა სახლისა და მიწის გაყოფა, მაგრამ ეს გახდა დიდი განხილვების საგანი მეზობლების მხრიდან, რომლებისთვისაც მიუღებელი იყო ამგვარი ქმედება; ისინი თვლიდნენ, რომ სირცხვილი იყო ძმისთვის ქონების წართმევა. ერთმა ძმამ თავისი ნებით გაუყო წილი დას, ხოლო მეორემ არა. ასევე იყო მეორე შემთხვევა, როდესაც დამ იჩივლა სასამართლოში და ხალხში გამოიწვია აგრესია. მთაში წილის გაყოფა ცუდ რეაქციას იწვევს.

ბ. წილი უნდა გაიყოს თანაბრად... მე ამას გავაკეთებ.

გ. იყო შემთხვევა, როდესაც დამ გააყიდინა ძმას სახლი და ძმა დარჩა ყველაფრის გარეშე, ეს მოხდა სამი წლის წინ.

დ. და ითხოვდა თავის წილს და აიძულა ძმა, გაეყიდა სახლი, ძმა უფრო პატარა სახლში გადავიდა, რაც გახდა მეუღლესთან გაყრის მიზეზი.

ე. დედამ ვაჟი სახლიდან გააგდო, რადგან არ მოსწონდა რძალი, და ქალიშვილს გადასცა მემკვიდრეობა.

ვ. ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც დამ სახლის ნახევარზე მეტი წაიღო, თუმცა საზოგადოების საპასუხო რეაქცია ძალზე ცუდი იყო (დუშეთში მცხოვრები გათხოვილი ქალების ციტატები)

ქალაქელი და უფრო ერუდირებული ქალები აშკარად მეტად იცავენ თავიანთ უფლებებს, მაშინ, როცა სოფლად ადგილობრივი წეს-ჩვეულებები და სოციალური ბეწოლა უფრო ძლიერადაა გამოხატული. თუმცა ჩვენ მცირე რაოდენობის მონაცემები გვაქვს საიმისოდ, რომ უფრო ზუსტად აღვწეროთ, როგორ მუშაობს მემკვიდრეობის ინსტიტუტი საქართველოში და სავარაუდოდ რომელ სიტუაციებში განიცდიან ქალები დისკრიმინაციას.

6.5 დასკვნა

ძნელია, ბოლომდე განისაზღვროს ხარისხიანი კვლევის სარგებელი, თუ არ მოხდა გენდერული თანასწორობისადმი მიდგომებთან და მოსაზრებებთან დაკავშირებული სტერეოტიპების განხილვა. რამდენიმე განსახილველ თემაზე შედარებით რთულია ინფორმაციის მოპოვება ჯგუფურ სიტუაციებში. ერთ-ერთი მათგანია აბორტის ტენდენციები. მიუხედავად იმისა, რომ აბორტის

არსებობა ფართოდ არის აღიარებული, მონაწილეები ხშირად აცხადებენ, რომ ეს არის ცოდვა, რომელსაც ცოტა ხალხი ჩადის. ხშირ შემთხვევაში სქესის პრენატალური შერჩევის შედეგად გენდერული დისკრიმინაცია იგნორირებულია. როგორც წესი, არც ერთი მონაწილე არ ყვება საკუთარ, მეგობრის ან დის გამოცდილებას შერჩევითი თუ არაშერჩევითი აბორტის შესახებ. აბორტთან დაკავშირებული ისტორიები ზოგადად ეხება „ადამიანებს“, რომლებსაც მონაწილეები იცნობენ ან უბრალოდ გაუგონიათ მათ შესახებ. ექიმები ასევე დაჟინებით ამტკიცებენ, რომ მათ კლინიკებში არ სრულდება სქესის შერჩევითი „უკანონო“ აბორტი და რომ ეს სხვა დაწესებულებებში ხდება. ეს უარყოფა ხშირად უცოდინრობის შედეგია - უფრო მამაკაცებს შორის - თუმცა ასევე დიდ როლს თამაშობს აბორტთან დაკავშირებული სირცხვილი და სტიგმა. ფაქტების არასრული მოთხრობა ტიპურია მრავალი სიტუაციისათვის, რომლებიც ადამიანებში იწვევს უხერხულობის გრძნობას მოცემული ნორმატიული სისტემის ფარგლებში. ფსიქიკური დაავადება, კრიმინალური ქმედებები, ოჯახში ძალადობა ან სქესისთვის უპირატესობის მინიჭება ტიპური მაგალითებია იმ მახასიათებლებისა, რომლებიც სისტემატურად ვერ ფასდება სათანადოდ კვლევების მიერ. თავად აბორტის შეფასებისასაც ხშირია არასათანადოდ შეფასება სწორედ მის შესახებ მოყოლის შედეგად სტიგმის გამო (Rossier 2004).

კუმარის და სხვების ნაშრომში (2009) აღიარებულია აბორტთან დაკავშირებული სტიგმის ფართოდ გავრცელება და ეს მოვლენა ახსნილია იმპრაქტიკით, რომლის მიხედვითაც აბორტი ეწინააღმდეგება „ქალობასთან“ დაკავშირებით არსებულ იდეალებს და წარმოდგენებს. საზოგადოების მხრიდან სტიგმის გამო ქალები ხშირად მალავენ აბორტის გაკეთების ფაქტს, რაც, თავის მხრივ, აბორტს წარმოაჩენს იშვიათ, არანორმატიულ ქმედებად. ეს აძლიერებს აბორტის წინააღმდეგ მიმართულ სოციალურ ნორმებს. ძალიან ძნელია, დაიჯერო, რომ საქართველოში აბორტების ასეთი მაღალი მაჩვენებელი არსებობს, როდესაც კითხულობ გამოკითხვის დროს მოპოვებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც გამოკითხული პირები და ჯგუფები ხშირად აღნიშნავენ, რომ აბორტი ამორალური და მარგინალური ქმედებაა.

საზოგადოებაში აბორტის მიმართ ასე ღრმად ფესვგადგმული სტიგმა აღინიშნება სხვადასხვა დონეზე, დაწყებული ცალკეული ქალებით, რომლებისთვისაც აბორტი წარმოადგენს ოჯახური ცხოვრების წარუმატებლობას, და დამთავრებული სახელმწიფო დონით, რომელმაც აბორტი განიხილება პატრიოტული და შობადობის

გაზრდის განწყობების მიმართ ინდივიდუალური ოპორტუნის გამომწვევის მტკიცებულებად. ამ კუთხით საქართველოში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებული იდეოლოგიის უარყოფამ, რომლის მიხედვითაც ხდებოდა აბორტის მხარდაჭერა როგორც ოჯახური წინებისგან ქალების განთავისუფლების ერთ-ერთი გზისა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში გაძლიერდა ეკლესიის როლი და ის გარკვეულწილად განსაზღვრავს ერის მორალურ ნორმებს;⁴⁹ ეკლესიის ბოლო წლებში არსებულმა მკაფიო პოზიციამ აბორტების წინააღმდეგ ხელი შეუწყო ქალების დანაშაულის გრძობის გაღვივებას და ეს ხსნის, თუ რატომ უარყოფენ ხშირად საჯაროდ გამოკითხვის მონაწილეები ამ გავრცელებული მოვლენის არსებობას.

კვლევები ცხადყოფს ნორმების როლს გენდერული პრეფერენციის კარნახის თვალსაზრისით. ტრადიციული გენდერული სტერეოტიპების მიხედვით, ქალიშვილები ტოვებენ მშობლების სახლს, გადადიან საცხოვრებლად ქმრის ოჯახში ქორწინების შემდეგ და ამართლებენ თავინთი მშობლების და შვილების მოლოდინს. ეს შეიძლება მეტწილად პირდაპირ არ იწვევდეს ქორწინებამდელ დისკრიმინაციას და არ ახდენდეს გავლენას განათლებაზე, ჯანმრთელობაზე ან მათ მიმართ არსებულ სიყვარულზე, მაგრამ განსაზღვრავს ნორმატიულ გენდერულ ტრადიციებს. ძალზე ასიმეტრიული ოჯახური მდგომარეობა არ აიხსნება ფუნქციონალური უპირატესობებით, როგორცაა შესაძლო მეტოქეობის არიდება ქმარს და სიმამრს შორის იმ სიტუაციებში, როდესაც ქმარი ცოლის ოჯახში ცხოვრობს. ამას გარდა, მას არ გააჩნია არანაირი მხარდაჭერა დამკვიდრებული რელიგიური ტრადიციების კუთხით, როგორც ეს მიღებულია ინდუიზმში ან კონფუციანიზმში. ამასთან, გავრცელებული წესი, რომლის მიხედვითაც შვილის გვარი მამის გვართ განისაზღვრება, ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭების და პატრილოკალური თანაცხოვრების ძირითად კულტურულ მიზეზს წარმოადგენს. გემოაღნიშნული ტრადიცია განიხილება როგორც კულტურული მოვალეობა, ვინაიდან განაპირობებს ქართული იდენტობის შენარჩუნებას, და არ არსებობს არცერთი შემთხვევა, რომ ოჯახის გვარი ქალიშვილის მეშვეობით იქნეს გადაცემული.⁵⁰

პატრილოკალური თანაცხოვრების ტრადიციის უფრო კონკრეტული მაგალითია მემკვიდრეობასთან

დაკავშირებით არსებული მდგომარეობა, რომლის მიხედვითაც უპირატესობა ენიჭებათ ვაჟიშვილებს, მიუხედავად იმ იურიდიული ნორმებისა, რომლებიც ერთნაირ უფლებებს ითვალისწინებს ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის (ეს ნორმა გადმოღებული იქნა ყოფილი საბჭოთა კავშირის ოჯახური კოდექსიდან). გემოაღნიშნული განიხილება როგორც ვაჟიშვილების ლოგიკური დაჯილდოება მშობლებზე ბრუნვისათვის. ასეთი დამოკიდებულება იწვევს ძალზე უთანასწორო მდგომარეობას მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, ვინაიდან ქალიშვილები ხშირ შემთხვევაში ვერაფერს იღებენ მშობლებისგან. ამასთან, რთულია ისეთი შემთხვევების სიხშირის შეფასება, როდესაც ოჯახის საკუთრების განაწილება ქალიშვილებს და ვაჟიშვილებს შორის უფრო სამართლიანად ხდება, რაზეც ბევრი რესპონდენტი მიუთითებს. წერილობითი ფორმის ანდერძები და ტრადიციები უპირატესობას ვაჟიშვილებს ანიჭებენ ქონების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, მაგრამ მიდგომები ნელ-ნელა იცვლება.⁵¹

ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭებას უფრო ახალგაზრდა თაობა აპროტესტებს. ამასთან, ქართული საზოგადოება ტრადიციებიდან მთავარ გადახვევად განიხილავს იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდა წყვილებს ქმრის ოჯახისგან დამოუკიდებლად ცხოვრობა და მუშაობა სურთ. მხოლოდ უფრო დეტალური კვლევა დაადასტურებს, გემოაღნიშნული ტენდენცია ასევე უკავშირდება თუ არა ცოლის ოჯახთან თანაცხოვრების მიმართ მეტ ტოლერანტულობას. თბილისის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური და სოციალური ავტონომია ასუსტებს პატრილოკალურ ოჯახურ ტრადიციებს.

49 მუსლიმი სასულიერო პირების გამოკითხვამ 2014 წელს ასევე გამოავლინა, რომ ისინი მკვეთრად ეწინააღმდეგებიან ამ პრაქტიკას.

50 მიიჩნევა, რომ თბილისში მცხოვრებ უმცირესობათა იმ ოჯახებს, რომლებიც ქართულ გვარებს იღებენ, შევდომში შეჭყავეთ საზოგადოება სწორედ იმ პარტნიორული გავრცელების გამო, რომელიც ამ შემთხვევაში იქმნება.

51 სუმბაძემ (2008) მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ დღეს მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს მემკვიდრეობის თანაბარ განაწილებას ვაჟიშვილებს და ქალიშვილებს შორის. ასევე, იხ. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ანგარიში (2013) მემკვიდრეობასთან დაკავშირებით არსებულ დამოკიდებულებებზე.

7. არსებული ხედვა და მომავლის სცენარი

წინამდებარე თავში შევეხებით ორ სხვადასხვა რეალობას. ერთი მხრივ, გავანალიზებთ, თუ რა ინფორმაციას ფლობს მოსახლეობა ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის დარღვეული ბალანსის შესახებ, ასევე იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს არსებულმა დისბალანსმა ქვეყნის მომავალზე. მეორე მხრივ, გამოვიყენებთ უფრო ტრადიციულ დემოგრაფიულ ხერხებს ქვეყნის პოტენციური დემოგრაფიული ტრაექტორიების განხილვის მიზნით. გარკვეულწილად საქართველოში არსებული მდგომარეობის დახასიათება შეიძლება შემდეგი ორი პარამეტრით: სქესთა შორის დისბალანსის არსებობის და მისი მასშტაბის შესახებ ინფორმაციის მეტ-ნაკლებად უქონლობა და პრენატალური დისკრიმინაციის მეტ-ნაკლებად გარდაუვალი შედეგი ქვეყნის მომავალი დემოგრაფიული სტრუქტურებისთვის.

7.1 ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის დარღვეული ბალანსის შესახებ ცოდნა

წინამდებარე ანგარიშში არაერთხელ აღნიშნულა, რომ მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ყურადღების გამახილვება საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად ცნობილ მიმართულებაზე, ანუ ქვეყანაში სქესობრივი ნიშნით აბორტების რიცხვის სწრაფ ზრდაზე იმ პერიოდიდან, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. იმის მიუხედავად, რომ შეიძლება ეს მოვლენა ადქმული იქნეს როგორც უბრალო დემოგრაფიული გაუგებრობა, მისი სოციალური მნიშვნელობა ბევრი მიზეზის გამო გარდაუვალია; გენდერული პრეფერენციის ფართო სისტემა, რომელიც ვაჟებს ანიჭებს უპირატესობას და რომელიც გავრცელდა სოციალური ცხოვრების ბევრ ასპექტში, გადაიქცა ძირითად დემოგრაფიულ და ტრადიციულ მოვლენად, რამაც რეპროდუქციის თანამედროვე სტრატეგიის ტრასფორმირება მოახდინა. ქვეყანაში სქესის პრენატალური შერჩევის შემთხვევათა სწრაფი ზრდის მიუხედავად, არ ხდება ამ მოვლენის გაშუქება ან ამ საკითხის განხილვა იმ ოჯახებში, რომლებსაც ვაჟიშვილი სურთ. საქართველოში პრაქტიკულად არ ხდება პრესაში ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის დარღვეული ბალანსის შესახებ ინფორმაციის გაშუქება და არ ტარდება სამეცნიერო კვლევები. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშის გამოქვეყნებამდე (2011 წელი), შეიძლება

ითქვას, რომ პრესაში საერთოდ არ გაშუქებულა ინფორმაცია სქესის შერჩევის მიზნით აბორტების შესახებ. ამ საკითხით არ ინტერესდებოდა არც ტელევიზია, რადიო თუ სხვა მედია. თითქმის ოცი წელი სქესის პრენატალური შერჩევის საკითხის საჯაროდ განხილვა საქართველოს საზოგადოებაში არ ხდებოდა და იგი შეუმჩნეველ მოვლენად რჩებოდა.

7.1.1 სქესის შერჩევის სტატისტიკური და სხვა მტკიცებულებები

ჩვეულებრივ, ამ მოვლენაზე საუბრისას ბრალს სდებენ მონაცემების არასარწმუნო ხასიათს და სამეცნიერო ინფორმაციის უქონლობას. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, დაბადების რეგისტრაციის არასათანადო ხარისხმა გარკვეულწილად დაფარა ბავშვების დაბადებისას სქესთათანაფარდობის მაჩვენებლის ზრდის საკითხი. ამ თვალსაზრისით საქართველო არ განსხვავდება სხვა ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისგან, რომლებშიც გარდამავალ წლებში სახელმწიფოს არ გააჩნდა შესაბამისი დონის შესაძლებლობები დემოგრაფიული მონაცემების შეგროვების, გამოქვეყნებისა და გაანალიზებისთვის. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟების შობადობის ზრდა მოულოდნელი იყო და ამ მოვლენას განიხილავენ „მდებრობითი სქესის ბავშვების გაქრობის ამოუხსნელ საიდუმლოდ“, როგორც ეს ერთ-ერთ ბოლო კვლევაში აღინიშნა. მაგრამ აქ ისმის კითხვა: იყო კი ამ საკითხის შესახებ ცოდნა იმდენად დაბალი, რომ ევროპის საბჭოს არატექნიკურმა ანგარიშმა თვალი აუხილა საზოგადოებას არსებულ მდგომარეობაზე?

თუ გავანალიზებთ არსებულ მონაცემებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2001 წელს ჩატარებულმა აღწერამ ნათლად აჩვენა ვაჟების მეტობა, რითაც მთლიანად დაადასტურა 1991 წლიდან განხორციელებული სამოქალაქო რეგისტრაციის აქტების მონაცემები. დემოგრაფებმა კარგა ხანია, აღნიშნეს საქართველოში ვაჟების დაბადების პროპორციის ზრდა და 2001 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში (იგანიანი და სხვები) ხაზი გაესვა საქართველოში და სომხეთში ბავშვების დაბადებისას სქესთა თანაფარდობის საეჭვოდ მაღალ დონეს.⁵² მომდევნო წლებში დემოგრაფების თავდაპირველი ჯგუფის წევრებმა

52 საქართველოში დებატები დაბადებისას სქესთა თანაფარდობაზე დაიწყო 1998 წელს, როდესაც ქართულ ჟურნალში „საქართველო“ (№1) ამის შესახებ გამოქვეყნდა სტატია. ეს დებატები გაგრძელდა 2003 წელს რუსულ ჟურნალში *Население и общество* (№ 131-132) გამოქვეყნებულ სტატიაში და იმ პლაკატის მეშვეობით, რომლის წარდგენა იმავე წელს მოხდა ამერიკის მოსახლეობის ასოციაციასთან და მოსახლეობის კვლევების ევროპულ ასოციაციასთან შეხვედრების დროს.

თავიანთ პრეზენტაციებში ხელახლა განიხილეს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალი დონის საკითხი და შეადარეს სხვა წყაროებს, როგორცაა შერჩევითი კვლევები. ინფორმაცია მამრობითი სქესის ბავშვების დაბადების ძალზე მაღალი მაჩვენებლის შესახებ სამხრეთ კავკასიის რეგიონში გამოქვეყნდა მესლეს და სხვების (2007) ნაშრომში, რომელიც განიხილავდა მსოფლიოში სქესთა შორის დისბალანსის საკითხებს. საერთაშორისო მკვლევართა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იყო ირინა ბადურაშვილიც, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მოუწოდებდა უფრო სისტემური ხასიათის კვლევების ჩატარებისკენ საქართველოში, და, შესაბამისად, ჯგუფისათვის ხელმისაწვდომი იყო ბევრი სხვადასხვა ქართული წყარო. 1990-იანი წლების ბოლოს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალ დონესა და სქესის პრენატალურ შერჩევას შორის კავშირი ნათლად აღინიშნა ამიის ქვეყნებში და უცნაურია, რომ არ მოხდა ამ ჰიპოთეზის გათვალისწინება ისეთ ქვეყანაში, როგორცაა საქართველო, სადაც აბორტები ყოველთვის ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნეოდა.

რამდენიმე ანგარიშში აღწერილი იყო ქალების მდგომარეობა საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში, მაგრამ ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ სქესის შერჩევაზე რაიმე მითითება 2011 წლამდე.⁵³ „გამქრალი ქალები“ არასდროს განიხილებოდა როგორც ქვეყნის გენდერული სისტემების დამახასიათებელი თვისება. საკითხი ყურადღების ცენტრში მხოლოდ იმის შემდეგ მოექცა, რაც ევროპის საბჭომ 2011 წელს მიიღო რეზოლუცია. რეზოლუცია ეფუძნებოდა დორის სტამპის ანგარიშს. ამ ანგარიშში წარმოდგენილი მტკიცებულებები ემყარებოდა დაბადების რეგისტრაციის მონაცემებს და 2007 წლის მესლეს და სხვა ავტორების (Meslé et al.) კვლევას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი ორგანიზაციების უმრავლესობა არ იცნობდა ამ საკითხს. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს ფაქტი სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ცნობილი იყო, მაგრამ ისინი მას პრობლემად არ აღიქვამდნენ. საქართველოს წინა მთავრობის ამრით, სქესის პრენატალური შერჩევის საკითხის (მისი არსებობის შემთხვევაში) დარეგულირება თავისთავად მოხდებოდა წლების განმავლობაში. სამხრეთი კავკასიის შესახებ დუფეს და სხვა ავტორების (2010) კვლევის გარდა, სერიოზული ახალი კვლევა არ განხორციელებულა ამ საკითხზე. გამონაკლისს წარმოადგენს კვლევა, რომელიც ჩატარდა სომხეთში და აზერბაიჯანში არსებული მდგომარეობის შესაფასებლად.⁵⁴

53 ინფორმაცია დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსზე იხილეთ ბენდელიანის კვლევაში, რომელიც 2012 წელს გამოქვეყნდა.

54 მაიკლის და სხვა ავტორების (Michael et al.) (2013) ნაშრომში საქართველო არ განიხილება.

თბილისში გამოქვეყნებული დემოგრაფიული კვლევის ერთ-ერთ თავში განალიზებულია სქესის შერჩევის მიზნით აბორტების გაკეთების საკითხი როგორც საქართველოში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალი მაჩვენებლის წყარო. აღნიშნული კვლევა ასკვნის, რომ ეს უფრო მითია, ვიდრე რეალობა (წიკლაური, 2014).

7.1.2 საზოგადოების ცოდნა სქესის შერჩევის არსებობის შესახებ

2011 წლამდე საზოგადოებისათვის საერთოდ არ იყო ცნობილი დიდი რაოდენობით დაუბადებელი გოგონების შესახებ, ასევე იმის შესახებ, რომ ეს ფაქტი შეიძლება დაკავშირებული იყოს სქესის შერჩევის მიზნით აბორტების გაკეთებასთან. 2014 წელს ეს საკითხი ყურადღების ცენტრში მოექცა ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს და მისი მოადგილის მარიამ ჯაშის მხრიდან დაინტერესების გამო. გაიმართა საჯარო დისკუსიები სქესის შერჩევის მიზნით აბორტების საკითხთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ახალი არსებითი მტკიცებულებები თუ დოკუმენტაცია არ არსებობდა. ექსპერტების და საჯარო მოხელეების უმრავლესობას, რომლებსაც შევხვდი კვლევის განხორციელების დროს, არ გააჩნდა ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით; იმ უმცირესობას კი, რომელიც ინფორმირებული იყო, სქესის პრენატალური სელექციის შერჩევა საეჭვოდ მიაჩნდა შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის გამო.

კვლევა, რომელიც 2014 წელს ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა, წარმოადგენს განსხვავებულ წყაროს საზოგადოების ელიტის ინფორმირებულობის დონის შესამოწმებლად. ეს შესაძლებელი გახდა ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივ და რეგიონულ ექსპერტებთან ჩატარებული 20 ინტერვიუს შედეგად. ზემოაღნიშნული რესპონდენტები უმეტესწილად წარმოადგენდნენ გამოჩენილ მეცნიერებს, იურისტებს, ექიმებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და სასულიერო პირებს. ამ შემთხვევაშიც ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ბევრისათვის სქესის შერჩევის მიზნით აბორტების საკითხი ცნობილი არ იყო. რესპონდენტების უმრავლესობა მამაკაცები იყვნენ. მაგალითად, მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთმა სასულიერო პირმა აღნიშნა, რომ მას საერთოდ არ სმენია ამ საკითხზე ბოლო 20 წლის განმავლობაში და გამოთქვა გაცემა, თუ რატომ უსვამდნენ შეკითხვას სქესის შერჩევის მიზნით აბორტების შესახებ. როდესაც გამოცდილ მამაკაც ექოსკოპისტს წარუდგინეს ბოლო პერიოდის მონაცემები დაბადებისას სქესთა თანაფარდობის შესახებ, მან

გამოთქვა ეჭვი ამ მონაცემების სანდოობასთან დაკავშირებით და გვარწმუნებდა, რომ მის კლინიკაში ნაყოფის სქესის შესახებ ინფორმაცია არ მჟღავნდება ორსულობის 12 კვირამდე. ბევრი რესპონდენტი ეჭვის ქვეშ აყენებდა სტატისტიკური მონაცემების სანდოობას, ხანდახან კი რესპონდენტები საერთოდ უარყოფდნენ სქესის შერჩევის მოვლენის არსებობას ქვეყანაში. ორმა ადგილობრივმა ექსპერტმა, რომლებიც კარგად იყვნენ გათვითცნობიერებულნი სტატისტიკაში და იცნობდნენ არსებულ დემოგრაფიულ სტატისტიკურ მონაცემებს, საერთოდ უარყო ის ფაქტი, რომ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დარღვევა გამოწვეულია აბორტებით. რესპონდენტები ასევე უარყოფდნენ ან მათთვის უცნობი იყო ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭების ფენომენი. ამრიგად, 2014 წელს გამოკითხული ქართველების უმრავლესობას - საზოგადოების განათლებულ ნაწილს - არ გააჩნდა ინფორმაცია სქესის შერჩევის შესახებ ან ისინი აქტიურად უარყოფდნენ ამ ფაქტს.

თუმცა იყვნენ ისეთი რესპონდენტებიც, რომლებსაც გარკვეული ინფორმაცია ჰქონდათ სქესის შერჩევის მიზნით აბორტების შესახებ. უმეტეს შემთხვევაში ისინი მკაფიოდ აფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციას ამ მოვლენასთან დაკავშირებით და აცხადებდნენ, რომ მორალურად ეწინააღმდეგებიან ამ პრაქტიკას, რომელსაც საქართველოში არსებულ ტრადიციებს უკავშირებდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში ამ საკითხისადმი დამოკიდებულება ფატალისტური ან მომნანიებელი იყო („სამწუხაროდ, ეს ხდება“). სასულიერო პირები მაშინვე იწყებდნენ საუბარს იმის შესახებ, რომ აბორტი დიდი ცოდვაა; რაც შეეხება ექიმებს, ისინი სიფრთხილეს იჩენდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ ქალები იშვიათად ასახელებენ აბორტის მიზეზად ვაჟიშვილის ყოლის სურვილს. მეორემ აღნიშნა, რომ ეს მის კლინიკაში არ ხდება, მაგრამ მისთვის ცნობილია, რომ ამ პრაქტიკას ადგილი აქვს სხვა დაწესებულებებში. ქალმა იურისტმა გვიამბო ერთი შემთხვევა, როდესაც მას მოუწია ოფიციალურად ჩარეულიყო ერთი ოჯახის საქმეში, რომელიც აიძულებდა რძალს, გაეკეთებინა აბორტი სქესის შერჩევის მიზნით, და რძალი ამბზე უარს აცხადებდა. მეორე იურისტმა გვიამბო ერთ მამაკაცზე, რომელიც ემუქრებოდა ცოლს სიკვდილით იმის გამო, რომ ვაჟიშვილი ვერ გაუჩინა. სამწუხაროდ, რესპონდენტები ძალიან იშვიათად წარმოადგენდნენ პირდაპირ მტკიცებულებას.

7.1.3 შედეგები

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ინფორმირებულობა სქესთა

პრენატალური შერჩევის შესახებ ქვეყანაში შეზღუდულია. პრესაში ამ თემაზე მწირი ინფორმაციაა და საკითხის ფუნდამენტური კვლევის არარსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად სისუსტეს. პოლიტიკის დონეზე სახელმწიფო სტრუქტურების ჩაურთველობა და რელიგიური და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მეშვეობით საჯარო დებატების არარსებობა ნაწილობრივ ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ არის ცნობილი ამ მოვლენის მასშტაბის და სიხშირის შესახებ მხოლოდ რამდენიმე გამოკითხული ექსპერტისათვის და რატომ ფიქრობს ზოგიერთი, რომ ეს მოვლენა საერთოდ არ არსებობს. რეალობაში, მათი ინფორმაციის წყაროები ეფუძნება პირად და ახლობელთა ოჯახების გამოცდილებას ან პროფესიულ იურიდიულ და სამედიცინო პრაქტიკას. მაგრამ ამგვარად მიღებული ინფორმაცია იშვიათად იძლევა იმის საშუალებას, რომ ნათლად წარმოაჩინოს, თუ რამდენად გავრცელებულია სქესის შერჩევა საქართველოში.

გემოაღნიშნული მდგომარეობა ძირითადად ხსნის, თუ რატომ რჩება ეს მოვლენა, რომელიც კარგად არის ცნობილი საზოგადოებისთვის ან, სულ მცირე, მდებარეობითი სქესის მოსახლეობის ნაწილისთვის, სახელმწიფოს ყურადღების მიღმა ესოდენ დიდი ხნის განმავლობაში. ჩინეთს და ინდოეთს ათი წელი დასჭირდათ, რომ ელიარებიანთ დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის არსებობა, საქართველოში კი ეს მოვლენა უფრო დიდი ხნის განმავლობაში რჩება დამალული საზოგადოებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ფაქტები ამიურ ქვეყნებში ფართოდ შუქდება საერთაშორისო პრესაში. ვიეტნამში კი, სადაც მდგომარეობა დაახლოებით საქართველოს მსგავსია, საპირისპიროდ ხდება და სქესის შერჩევის საკითხი ფართოდ შუქდება 2005 წლიდან, როდესაც მოხდა მისი იდენტიფიცირება. და არა მარტო სახელმწიფო სტრუქტურებმა დაიწყეს სერიოზული კამპანია ამ საკითხის ირგვლივ, არამედ, როგორც მე თავად შევნიშნე, ბევრი ადამიანისათვის არის ცნობილი ინფორმაცია სქესის შერჩევის არსებობის და ქვეყნის მომავალი დემოგრაფიული სტრუქტურისთვის მისი პოტენციური შედეგების შესახებ.

გემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ სხვა ქვეყნების მაგალითების გათვალისწინება არ ხდება საქართველოში. ამ მოკლე ანალიზის ძირითადი რეკომენდაცია გახლავთ, რომ აუცილებელია უახლოეს მომავალში ცვლილების განხორციელება იმისათვის, რომ მოხდეს ამ სახის ანალიზის შედეგების გავრცელება როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეებს, ასევე გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და მეცნიერებს შორის. ეს აუცილებელი წინაპირობაა უფრო ფართომასშტაბიანი მობილიზაციისათვის

პრენატალური დისკრიმინაციის საკითხის და იმ გზების გარშემო, რომლებსაც საქართველო არჩევს ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

7.2 მამრობითი სქესის ბავშვების მაღალი შობადობის და სქესთა შორის დისბალანსის მომავალი მაჩვენებლები

ინფორმირებულობის ამ დაბალი დონის ფონზე ჩვენ გაგვაჩნია დემოგრაფიული რეალობის ნათელი სურათი იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდებოდა წარსულში და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები მომავალში. უკანასკნელის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შეიძლება მოხდეს მოსახლეობის პროგნოზირების ხერხის მეშვეობით, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული მექანიზმია. ჩვეულებრივ, მოსახლეობის პროგნოზირება ხდება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მეშვეობით შესაძლებელი გახდება ახალი მონაცემების მიღება, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს საბაზისო მონაცემებად განახლებული პროგნოზებისათვის. მაგრამ საქართველოში პროგნოზებად ჩვეულებრივ გამოიყენება ბიოლოგიური მაჩვენებელი - მამრობითი სქესის 105 ბავშვი 100 გოგონაზე, მაშინ, როდესაც გაეროს მოსახლეობის პროგნოზების მიხედვით სქესთა თანაფარდობის დღევანდელი 110-იანი მაჩვენებელი 108-მდე მცირდება 21-ე საუკუნის ბოლოს. არც ერთი ზემოაღნიშნული მაჩვენებელი არ გამოხატავს საქართველოში მოსალოდნელ სცენარს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ცვლილებასთან დაკავშირებით. არ არის მოსალოდნელი, რომ დაბადებისას სქესთა თანაფარდობა 108-110 დონეზე დარჩეს მთელი საუკუნის განმავლობაში.

მოსახლეობის პროგნოზირების ჩვენი გამოთვლები მიზნად ისახავს ორი სცენარის განხილვას დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ცვლილებასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ შეფასდეს მისი შედეგების ზეგავლენა მოსახლეობის მომავალ შემადგენლობაზე. დავამატეთ მე-3 სცენარი, რათა გათვალისწინებული იქნეს უცხოეთში მიგრაციის ფაქტორი. ჩვენი გამოთვლები უფრო საქართველოში მოსახლეობის ცვლილების სხვადასხვა ვარიანტის სიმულაციას წარმოადგენს, ვიდრე მოსახლეობის პროგნოზირების რეალურ მაჩვენებლებს.

7.2.1 მეთოდოლოგია და დემოგრაფიული გათვლები

ჩვენს მიერ გაკეთებული მოსახლეობის პროგნოზები იწყება საბაზისო მონაცემებით. ვინაიდან მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გამოვიყენეთ „საქსტატის“ მიერ მოწოდებული საქართველოს მოსახლეობის 2010 წლის მონაცემები. ეს მონაცემები ნათლად ასახავს იმ ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის ჩატარების შემდეგ, როგორც ეს ფიქსირდება სამოქალაქო რეგისტრაციის მონაცემებში. ეს მონაცემები ყველაზე სანდო ინფორმაციას იძლევა მოსახლეობის შესახებ ასაკის და სქესის მიხედვით. ზემოაღნიშნული წყაროს ერთადერთი შეზღუდვაა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ფაქტორივი მაჩვენებლის არასათანადოდ შეფასება საუკუნის დასაწყისში, რომლისათვის „საქსტატმა“ დაახლოებითი მაჩვენებელი დააფიქსირა - მამრობითი სქესის 111 ბავშვი 100 გოგონაზე. ეს თანაფარდობა სავარაუდოდ უფრო დაბალია იმ პერიოდში არსებულ რეალურ მაჩვენებელზე (იხილეთ ჩვენი ინფორმაცია დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ტენდენციების შესახებ). ალტერნატიულ წყაროდ შეგვეძლო გამოგვეყენებინა გაეროს მოსახლეობის სამმართველოს 2013 წლის მონაცემები, მაგრამ ისინი დიდად არ განსხვავდებოდა „საქსტატის“ მონაცემებისგან.

შემდეგ მოსახლეობის ცვლილებების ჩვენი სიმულაციები დავამყარეთ სამ პარამეტრს, კერძოდ, სიკვდილიანობას, შობადობას და მიგრაციას. ამ შემთხვევაში გამოყენებული მეთოდი წარმოადგენს კოჰორტის კვლევის მეთოდს, რომლის გამოყენების დროს ხდება სიკვდილიანობის, შობადობის და მიგრაციის მაჩვენებლების გამოთვლა დროის თითოეული პერიოდისათვის პროგნოზირებისათვის შერჩეული პარამეტრების საფუძველზე. მოსახლეობის პროგნოზირება განხორციელდა 2010-2050 პერიოდისათვის. საკმაოდ რთული აღმოჩნდა 40 წლის ქვემოთ ასაკის მოსახლეობის პროგნოზირება იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი ჰიპოთეზა არსებობს დემოგრაფიული პარამეტრების მომავალ ტენდენციებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით არასტაბილურია შობადობისა და მიგრაციის დონეები.

შობადობისა და სიკვდილიანობის პარამეტრებისათვის ჩვენ გამოვიყენეთ გაეროს მონაცემები (საშუალო ვარიანტი). სიკვდილიანობის სტაბილური პროგნოზი 2050 წლამდე ლოგიკურ დაშვებას წარმოადგენს და სრულად შეესაბამება იმ

ტენდენციებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ბოლო 15 წლის განმავლობაში. შობადობის პარამეტრთან დაკავშირებით გაკეთდა დაშვება, რომ ის შედარებით დასტაბილურდება 1.77 მაჩვენებელზე 2050 წელს. შობადობის მაჩვენებლის ამჟამინდელი ზრდა, რომელიც 2008 წელს დაფიქსირდა, არ გახლავთ გრძელვადიანი და ამის გათვალისწინებით არ არსებობს იმის წინაპირობა, რომ ვივარაუდოთ, რომ მომავალში ადგილი ექნება მკვეთრ ზრდას. ანალოგიურად, საქართველომ უკვე განიცადა შობადობის მაჩვენებლის ყველაზე დაბალი დონე 2000 წლის შემდგომ პერიოდში, რომელსაც ამჟამინდელი ზრდა მოჰყვა. შესაბამისად, ჩვენი მიზნებისათვის სტაბილური შობადობის ჰიპოთეზა ყველაზე სანდო ვარიანტს წარმოადგენს.

დაბადებისას სქესთა თანაფარდობასთან დაკავშირებით გამოვიყენეთ მონაცემთა ორი განსხვავებული წყება. პირველი ეფუძნება დაბადებისას სქესთა ნორმალურ თანაფარდობას (მამრობითი სქესის 105 ბავშვი 100 გოგონაზე) და მას ვუწოდებთ „დაბადებისას სქესთა ნორმალურ თანაფარდობას“. ჩვენ გავაკეთეთ დაშვება, რომ მამრობითი სქესის ბავშვების შობადობა იქნება „ნორმალური“ 1990 წლიდან 2050 წლამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოვიყენეთ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ნორმალური მაჩვენებელი - 105 - 2010 წლის შემდგომი პერიოდისათვის, მოვახდინეთ 2010 წლის მონაცემების კორექტირება და გავაკეთეთ დაშვება, რომლის მიხედვითაც მამრობითი სქესის 104 ბავშვზე 100 გოგონა მოდის 15 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვების შემთხვევაში, როგორც ეს სხვა ქვეყნების მოსახლეობაში ხდებოდა. მონაცემების მეორე წყება ეფუძნება ბოლო პერიოდში გაკეთებულ დაბადებისას სქესთა თანაფარდობის შეფასებას (მამრობითი სქესის 111 ბავშვი 100 გოგონაზე) და მას ვუწოდებთ „დაბადებისას სქესთა მაღალ თანაფარდობას“. ამ შემთხვევაში მონაცემები ეფუძნება 2005-2013 წლების დაბადების რეგისტრაციის მონაცემებს. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სიმულაცია წარმოგვიდგენს მოსახლეობის ორ განსხვავებულ მონაცემთა წყებას: მოსახლეობა დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის არარსებობის შემთხვევაში და მოსახლეობა, თუ დაბადებისას სქესთა შორის მაღალი თანაფარდობა (111 ვაჟი 100 გოგონაზე) შენარჩუნდება 2010 წლიდან 2050 წლამდე. ზემოაღნიშნული ორი ვარიანტი განსაზღვრავს ორ განსხვავებულ ასაკობრივ და სქესობრივ სტრუქტურას, რომლებისთვისაც შეგვიძლია გამოვითვალოთ სქესთა თანაფარდობები როგორც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის, ასევე მთლიანი მოსახლეობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ არ გავიანალიზებია ჩვენი პროგნოზების სხვა

პარამეტრები - დაბადებული ბავშვების რაოდენობა და მოსახლეობის ზრდა - რადგანაც ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის ზეგავლენა.

დაშვებები მიგრაციასთან მიმართებაში ნაკლებად პირდაპირია. მიგრაცია ხასიათდება წლიური ცვალებადობის მაღალი მაჩვენებლით მასშტაბის, შემადგენლობის და მიმართულების თვალსაზრისით. ამრიგად, ჩვენ გავაკეთებთ დაშვებას, რომ არანაირი წმინდა მიგრაცია არ განხორციელდება ჩვენს პირველ ორ ვარიანტში. ამასთან, რომ შევაფასოთ, შეამცირებს თუ არა მიგრაცია დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსს, შევიმუშავეთ მესამე ვარიანტი - „დაბადებისას სქესთა მაღალი თანაფარდობა მიგრაციის პარამეტრის გათვალისწინებით“. გავაკეთეთ შემდეგი დაშვება: წმინდა მიგრაციის 10,000 შემთხვევა წელიწადში 2050 წლამდე. ეს ციფრი ნაკლებია ზოგიერთი წლის, მაგ., 2012 წლის, მაჩვენებლებზე. გავაკეთეთ დაშვება, რომ მიგრანტების ნახევარი ქალები არიან. ქალები მიგრირებენ ცხოვრების შედარებით გვიანდელ ეტაპზე - ხშირად ქორწინების და შვილის გაჩენის შემდეგ, ხოლო წმინდა მიგრანტების ასაკი აღებულია საერთაშორისო მიგრაციის შესახებ 2012 სტატისტიკური მონაცემებიდან („საქსტატი“, 2013).

7.2.2 დემოგრაფიული პროგნოზები და შედეგები

გავაკეთეთ დაშვება, რომ ქვეყნის მოსახლეობა მცირდება აღწარმოებაზე დაბალი შობადობის დონის გამო. ყველა ზემოაღნიშნულ ვარიანტში ბავშვების დაბადების წლიური რიცხვი მცირდება ამჟამინდელი 65,000-დან 45,000-მდე პროგნოზირების პერიოდის ბოლომდე. ძირითადად, ეს ხდება შობადობის პროგნოზირებული დონეების გამო და კოჰორტის მოცულობის თანდათანობითი შემცირების შედეგად. დაბადებისას სქესთა მაღალი თანაფარდობის ვარიანტის შემთხვევაში დაბადების ყოველწლიური რიცხვის შემცირება უფრო მაღალია რეპროდუქციული ასაკის ქალების რაოდენობის შემცირების გათვალისწინებით. 2050 წლისთვის ეს შემცირება გამოიწვევს 2,000 ბავშვის დაბადების დეფიციტს წელიწადში.


დაბადებისას სქესთა მაღალი თანაფარდობის სცენარის სხვა ზეგავლენას წარმოადგენს ქალთა მზარდი დეფიციტი, რომელიც გამოწვეულია მდებარეობითი სქესის ბავშვების დაბადების დეფიციტით, რასაც ადგილი ჰქონდა 1990 წლიდან მოყოლებული. ამ თანაფარდობის შემთხვევაში დეფიციტი შეადგენს მდებარეობითი სქესის 850 ბავშვს წელიწადში 2010 წლის შემდგომ

პერიოდში. ზემოაღნიშნული წლიური დეფიციტის კუმულაციური ზეგავლენა სწრაფად იზრდება. ის შეიძლება გადავიყვანოთ „გამქრალი ქალების“ და „გამქრალი გოგონების“ რიცხვში იმ ქალთა მოსახლეობისთვის, რომელთა ასაკი 20 წლის ქვემოთ არის. ამ „გამქრალი ქალების“ დათვლა მოხდა სხვადასხვა პერიოდისთვის სქესთა იმ გადანაწილების გათვალისწინებით, რომელსაც ადგილი აქვს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ნორმალურ ვარიანტში: თითოეული პერიოდისთვის და ასაკობრივი ჯგუფისთვის დავითვალეთ ქალთა მოსალოდნელი რიცხვი სქესთა თანაფარდობის შესაბამისად, რომლითაც ხასიათდება დაბადებისას სქესთა ნორმალური თანაფარდობის მოსახლეობა მამაკაცთა რიცხვთან მიმართებაში; გამქრალი ქალები წარმოადგენენ სხვაობას ქალთა მოსალოდნელ და პროგნოზირებულ რაოდენობებს შორის.⁵⁵

წლების განმავლობაში იმის გათვალისწინებით, რომ უფრო მეტმა ასაკობრივმა ჯგუფმა შეიძლება განიცადოს დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის ზეგავლენა. როგორც ნახ. 12 გვიჩვენებს, გამქრალი ქალების მთლიანი რიცხვი შეიძლება გაიზარდოს 40,000-მდე 2020 წლისთვის, 60,000-მდე 2035 წლისთვის და შეიძლება მიაღწიოს 80,000-ს 2050 წელს. ამ დროისთვის გამქრალ ქალთა რიცხვმა შეიძლება შეადგინოს ქვეყნის ქალთა მოსახლეობის 4%.

დაბადებისას სქესთა მაღალი თანაფარდობა მექანიკურად ზრდის მამრობითი სქესის მოსახლეობის პროპორციას მთლიან მოსახლეობაში და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის სქესთა თანაფარდობა მომავალში გაიზრდება. ამასთან, უნდა ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობა დიდი ხნის პერიოდში უმეტესწილად ქალებისგან შედგებოდა წარსულში კაცების

უცხოეთში მიგრაციის და ქალთა სიცოცხლის უფრო მაღალი ხანგრძლივობის გამო. მოსახლეობის სქესთა ამჟამინდელი თანაფარდობაა 91-ზე ოდნავ მეტი კაცი 100 ქალზე. როგორც ნახ. 14 გვიჩვენებს, ეს თანაფარდობა მომავალში გაიზრდება სქესის პრენატალური შერჩევის არარსებობის შემთხვევაშიც. დაბადებისას სქესთა ნორმალური თანაფარდობის შემთხვევაში ის მიაღწევს 94 კაცს 100 ქალზე 2050 წლამდე, ანუ მაჩვენებელს, რომე-




ნახ.12: საქართველოში გამქრალი ქალების და გოგონების (20 წლის ასაკის ქვემოთ) პროგნოზირებული რიცხვი, დაბადებისას სქესთა მაღალი თანაფარდობის სცენარი, 2010-2050

დანგარიშებულია, რომ 2010 წელს დაახლოებით 25,000 გოგონა (ასაკი 0-19 წელი) გამქრალი ქვეყნის მოსახლეობიდან და ეს მოხდა 1990 წლიდან ქვეყანაში დაბადებისას არსებული სქესთა შორის დისბალანსის შედეგად. დაბადებისას სქესთა მაღალი თანაფარდობის შემთხვევაში (111 ვაჟი 100 გოგონაზე) ეს რიცხვი ნელ-ნელა კლებულობს წლების განმავლობაში, რადგან დაბადების კოჭორტის მოცულობა იკლებს შობადობის დაბალი დონის გამო. ამასთან, გამქრალ ქალთა კუმულაციური რიცხვი თანდათანობით დაიკლებს


ლიც გავრცელებულია დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში. ამასთან, ეს ზრდა შეიძლება უფრო სწრაფად მოხდეს მაღალი თანაფარდობის სცენარის შემთხვევაში და რამდენიმე წელში ის გახდება 92 კაცი 100 ქალზე, 94 2035 წლამდე და 97 2050 წლისთვის. კვლევის პერიოდის ბოლოს სქესის პრენატალური შერჩევის ზეგავლენა გავრცელდება ყველა კოჭორტაზე, რომელიც 1990-იანი წლების შემდეგ დაიბადა, ანუ მთელ მოსახლეობაზე, რომლის ასაკი 60 წელზე ნაკლებია.

ნახ. 14 ასახავს სქესთა თანაფარდობას ბავშვთა მოსახლეობაში. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ის ემთხვევა ჩვენს დაშვებებს დაბადებისას სქესთა თანაფარდობასთან დაკავშირებით. ნორმალური სცენარის შემთხვევაში ის რჩება დაახლოებით

⁵⁵ მაგ., თუ 104 არის ნორმალური თანაფარდობა 5 წლის ასაკის ქვემოთ მოსახლეობისთვის, ჩვენი დავითვალეთ ამ ასაკობრივი ჯგუფის გამქრალი გოგონების რიცხვი როგორც წმინდა სხვაობა მოსალოდნელ ქალთა მოსახლეობას (დაკვირვების ქვეშ მყოფი მამრობითი სქესის მოსახლეობა/1.04) და დაკვირვების ქვეშ მყოფ ქალთა მოსახლეობას შორის.



ნახ. 13: საქართველოს მოსახლეობის სქესთა თანაფარდობა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ორი სცენარის მიხედვით, 2010-2050



ნახ. 14: 15 წლამდე ასაკის საქართველოს მოსახლეობის სქესთა თანაფარდობის პროგნოზირებული მაჩვენებელი ორი სცენარის მიხედვით, 2010-2050

104-ის მაჩვენებელზე, ანუ ოდნავ უფრო დაბალია დაბადებისას მამრობითი სქესის ბავშვების სიკვდილიანობის უფრო მაღალი დონის გამო. დაბადებისას სქესთა მალალი თანაფარდობის სცენარის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი მერყეობს 112-ს და 109-ს შორის 2010 წლიდან 2050 წლამდე.

სხვა ასაკობრივ ჯგუფებზე ზეგავლენა უფრო კომპლექსურია. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ 20-39 წლის ასაკის ახალგაზრდებზე იმის გათვალისწინებით, რომ ისინი წარმოადგენენ პირველ ასაკობრივ კატეგორიას, გარდა ბავშვებისა, რომლებიც ზეგავლენას განიცდიან დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსისგან, რომელსაც წარსულში ჰქონდა ადგილი. ჩვენი ორი სცენარის მიხედვით (იხილეთ ნახ. 15), სქესთა თანაფარდობის მრუდები იზრდება ანალოგიური

ტემპით და არ აღინიშნება დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსი, რომელსაც წარსულში ჰქონდა ადგილი. სქესთა თანაფარდობა დაახლოებით 100-ს უდრის, რაც გულისხმობს კაცების და ქალების თითქმის თანაბარ განაწილებას ახალგაზრდა მოსახლეობაში. მაგრამ 2015 წლის შემდეგ ნათლად ჩანს სხვაობა. დაბადებისას სქესთა ნორმალური თანაფარდობის სცენარის შემთხვევაში ახალგაზრდა კაცების მაჩვენებელი 102-ზე ზემოთ გაჩერდება. კაცების შედარებითი ზედმეტობა შეესაბამება დაბადებისას სქესთა თანაფარდობის 105-იან მაჩვენებელს, რომელიც ოდნავ შემცირებულია კაცების სიკვდილიანობის უფრო მაღალი მაჩვენებლის გამო. ის რჩება სტაბილური 2050 წლამდე. დაბადებისას სქესთა მალალი თანაფარდობის სცენარის შემთხვევაში მდგომარეობა განსხვავებულია. დაბადების იმ კოჰორტების რეგულარული დამატება, რომლებიც განიცდიან სქესის პრენატალური შერჩევის გავლენას, მიაღწევს ზრდასრულ ასაკს და გაზრდის ამ კატეგორიის სქესთა თანაფარდობას. ახალგაზრდა ზრდასრული მოსახლეობის სქესთა თანაფარდობა მიაღწევს 105-ს 2025 წელს და 110-ს ათი წლის შემდეგ. ის თითქმის შეინარჩუნებს 110-იან მაჩვენებელს საუკუნის შუა ხანებამდე. სქესთა თანაფარდობის ორივე მრუდის შედარებამ აჩვენა მზარდი სხვაობა კაცებს და ქალებს შორის იმ შემთხვევაში, თუ დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსი მომავალშიც გაგრძელდება. ის, რასაკვირველია, 2050 წლის შემდეგაც გაგრძელდება, თუ არ მოხდა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მკვეთრი შემცირება 2030 წლისთვის.

ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა კაცები დაახლოებით 10%-ით მეტი იქნებიან ქალებთან შედარებით,


არ ჩაივლის უშედეგოდ. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანების უმრავლესობა ოჯახდება 20-40 ასაკში, ნახ. 15-ზე ასახული სხვაობა სქესთა თანაფარდობაში, სავარაუდოდ, გავლენას იქონიებს დაქორწინების პერიოდზე. იმ შემთხვევაში, თუ სქესთა თანაფარდობა ნაკლებად ხელსაყრელი იქნება კაცებისთვის, დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ ისინი გადადებენ ქორწინებას და ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ დაქორწინდება. ასეთ მოვლენას ამჟამად ადგილი აქვს ჩინეთში და ინდოეთში, სადაც ათწლეულობით ხდებოდა სქესის შერჩევა. დემოგრაფიული სიმულაციების მიხედვით, საქართველოშიც მოსალოდნელია ასეთი სცენარის განვითარება, თუ დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობა მაღალი დარჩება მომავალ ათწლეულებში, რადგანაც პოტენციური სასიძოვების რიცხვი გადაარჭარბებს პატარძლების რაოდენობას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დისბალანსს თითქმის არ ექნება ადგილი ახალგაზრდებში, თუ დაბადებისას სქესთა თანაფარდობა მიუახლოვდება მის ბიოლოგიურ დონეს.

ნახ. 15-ზე დავამატეთ მე-3 სცენარი - დაბადებისას სქესთა შორის მაღალი თანაფარდობა მიგრაციის ელემენტით. ჩვენი ვარაუდით, საქართველო მომავალშიც გააგრძელებს მოსახლეობის ნაწილის დაკარგვას მიგრაციის შედეგად. ჩვენ გამოვიყენეთ მიგრაციის სცენარი, რომლის მიხედვითაც კაცები უფრო ადრე მიგრირებენ, ვიდრე ქალები, და ეს მნიშვნელოვნად ანელებს ზრდასრულ ახალგაზრდებს შორის სქესთა თანაფარდობის ზრდას. ფაქტობრივად, 2035 წლისთვის საქართველოდან წმინდა ემიგრაციამ შესაძლოა გააბათილოს დაბადებისას სქესთა მაღალი თანაფარდობის ეფექტი და ახალგაზრდა მოსახლეობაში სქესთა თანაფარდობა მიგრაციის

გარეშე ნორმალური სცენარის ანალოგიური იქნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მამრობითი სქესის ახალგაზრდა მიგრანტების ქვეყნიდან ადრეულ ეტაპზე წასვლა საკმარისია დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის გასაწონასწორებლად.

ეს არის რეალური სცენარი, რადგანაც საქართველო დიდი ხანია განიცდის კაცების ემიგრაციის ზეგავლენას, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ქალთა რიცხვი შრომითი მიგრაციის მაჩვენებელში იზრდება. თუმცა მიგრაცია შეიძლება განხილული იქნეს როგორც კლასიკური პასუხი დაქორწინებასთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ პრობლემებზე; პირველ რიგში უცოლო მამაკაცები ახდენენ მიგრაციას უკეთესი სამუშაო ადგილის ძებნის მიზნით, მაგრამ მათ შეიძლება გადაწყვიტონ უცხოეთში დაქორწინება იმ შემთხვევაში, როდესაც სამშობლოში არსებული სქესთა შორის დისბალანსი ნეგატიურ გავლენას ახდენს დაოჯახების პერსპექტივაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კაცებმა, რომლებიც ზემოაღნიშნულ პრობლემებს განიცდიან, შეიძლება მიიღონ გადაწყვეტილება მიგრაციასთან დაკავშირებით როგორც დემოგრაფიული, ასევე ეკონომიკური მიზეზების გამო.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ადგილი აქვს მამრობითი სქესის ბავშვების შობადობის მაჩვენებლის ზრდას, მაშინ, როდესაც მიგრაციის შედეგად კაცების მთლიანი მოსახლეობა შემცირდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. შედეგად საბაზისო სქესთა თანაფარდობა შედარებით დაბალია სხვა ქვეყნებთან მიმართებაში და ეს თანაფარდობა უფრო ნელა გაიზრდება. აღნიშნული მდგომარეობა ტიპურია აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისათვის, რომლებიც განიცდიან სქესის პრენატალური შერჩევის ზეგავლენას: მსგავსი მდგომარეობაა, მაგალითად, ალბანეთში: ბევრმა კაცმა მოახდინა მიგრაცია იტალიაში და საბერძნეთში, და სომხეთში, რომელიც კვლავ უშვებს კაცებს სამუშაოდ რუსეთში და სხვა ქვეყნებში. ამასთან, მამრობითი სქესის ბავშვების შობადობის მაღალი მაჩვენებლის გავლენას მალე იგრძნობენ საქართველოს გარკვეული ასაკობრივი ჯგუფები და ამ კუთხით



ნახ.15: საქართველოს 20-39 წლის ასაკის მოსახლეობის სქესთა თანაფარდობა სამი სცენარის მიხედვით

გვინდა გამოვყოთ ახალგაზრდა ზრდასრული მოსახლეობა. მომავალში გამქრალმა ქალებმა შესაძლოა ოდნავ შეამცირონ დაბადებების რიცხვი შემდგომი 30 წლის განმავლობაში, მაგრამ ეს ასევე გამოიწვევს მნიშვნელოვან დისბალანსს ზრდასრულ მოსახლეობაში.

გარკვეულწილად მიგრაცია შეიძლება აღმოჩნდეს დამცავი საშუალება იმ შემთხვევაში, თუ დისბალანსი ახალგაზრდა ზრდასრულებს შორის მომავალში გაიზრდება. მიგრაციის პოტენციური რადიკალურად შეიცვალა ბოლო ათი წლის განმავლობაში. რუსეთი აღარ სთავაზობს იმავე შესაძლებლობებს ახალგაზრდა ქართველ მამაკაცებს, როგორც ეს წარსულში ხდებოდა, და არ არის ნათელი, შეძლებენ თუ არა ეს პოტენციური მიგრანტები მიგრაციისთვის ახალი ადგილების იდენტიფიცირებას. ამას გარდა, ბოლო პერიოდში საქართველომ განიცადა ქალთა მიგრაციის ზრდა; ეს არის ფენომენი, რომელიც არ არის გავრცელებული რეგიონის სხვა ქვეყნებში, როგორცაა აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი, სადაც საერთაშორისო მიგრაცია მამაკაცების ხარჯზე ხდება. ამჟამად ქალთა მიგრაცია ხშირად არის დაკავშირებული უფრო ასაკოვან და დაქორწინებულ ქალებთან, მაგრამ თუ შედარებით ახალგაზრდა ქართველმა ქალებმა გადაწყვიტეს მიგრაცია, განსაკუთრებით დაქორწინებამდე, ეს ძალიან ნეგატიურ გავლენას მოახდენს ზრდასრული მოსახლეობის სქესთა თანაფარდობაზე; გაიზრდება არა მხოლოდ კაცების პროპორცია დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბოლო წლებში, არამედ მოსახლეობაში ქალთა წილი ასევე შემცირდება ქალთა მიგრაციის შედეგად. შესაბამისად, დემოგრაფიული ბალანსი ზრდასრულ მოსახლეობაში ძალზე არასტაბილურია და ცვლილებებმა მიგრაციის სისტემებში - დაბადებისას სქესთა შორის მუდმივ დისბალანსთან ერთად - შეიძლება გაზარდონ კაცების პოტენციური ჭარბი რაოდენობა 20-39 წლის ასაკის მოსახლეობაში მომავალ ათწლეულებში.

8. დასკვნები და რეკომენდაციები

8.1 დასკვნები

წინამდებარე ანგარიში საქართველოში სექსის პრენატალურ შერჩევაზე წარმოადგენს ასეთი სახის პირველ დოკუმენტს. ის მიზნად ისახავს, გაავრცელოს ინფორმაცია საზოგადოებაში, რომელიც თითქმის არ იცნობს ამ პრობლემას. ეს ეხება როგორც ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭების მასშტაბს და ბავშვების დაბადებისას არსებულ სქესთა შორის დისბალანსს, ასევე იმ შედეგს, რომელიც შეიძლება მომავალში მოჰყვეს ქვეყნისთვის ამგვარ დემოგრაფიულ მახასიათებლებს. ანგარიშში დეტალურად არის მიმოხილული საქართველოში ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის პოტენციურ დისბალანსთან დაკავშირებით არსებული მონაცემები, რომლებიც მოპოვებულია რამდენიმე წყაროდან, როგორცაა ჩატარებული კვლევები და ბოლო პერიოდში შეგროვებული სტატისტიკური და ხარისხობრივი მონაცემები.

ამ საკითხის გლობალურ დონეზე მოკლე მიმოხილვის შემდეგ ანგარიშში გაანალიზებულია დოკუმენტური სახის მტკიცებულებები იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოში არსებული მდგომარეობა იმ ქვეყნების სიტუაციას, რომლებშიც სქესის პრენატალური შერჩევის მოვლენაა გავრცელებული. აზიის და აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ სქესის შერჩევის მოვლენის არსებობას ქვეყანაში რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს. ამ მოვლენის წინაპირობაა ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭების მაღალი მაჩვენებელი, სქესის შერჩევის ტექნოლოგიების არსებობა და შობადობის დაბალი მოთხოვნა.

გემოაღნიშნული პირობები საქართველოში 1990-იანი წლებიდან არსებობდა. პირველ რიგში, საქართველოს საზოგადოებაში ვაჟებს ყოველთვის ფარულად ანიჭებდნენ უპირატესობას, რაც გამომდინარეობს ბევრი ქართული ოჯახის ძლიერი მოთხოვნილებიდან, ჰყავდეს ვაჟი. ასეთი დამოკიდებულება მამრობითი სქესის მემკვიდრისადმი მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებაში გავრცელებულ პატრილინეარულ სისტემასთან და იმ ცენტრალურ როლთან, რომელსაც ვაჟებს ანიჭებენ მშობლების დახმარების და გვარის გაგრძელების თვალსაზრისით. ჩვენს მიერ ჩატარებულმა დეტალურმა ანალიზმა ცხადყო, რომ პატრილოკალური თანაცხოვრების მოდელი დაქორწინების შემდეგ ტიპურია ქვეყნის ოჯახური

სისტემისთვის. უფრო მეტიც, ანგარიშში ნათლად გამოვხატეთ, რომ გენდერული უპირატესობა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს რეპროდუქციულ არჩევანზე, ვინაიდან ოჯახში ვაჟის არყოლა ზრდის შემდგომ შობადობას. ვაჟის ყოლის გემოაღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილება დიდი ხნის მანძილზე ხდებოდა შობადობის უფრო მოქნილი სისტემის მეშვეობით, მაგრამ შობადობამ მკვეთრად იკლო 1990-იან წლებში, როდესაც საქართველო ძლიერ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა, რამაც ქართული ოჯახები აიძულა, შეემცირებინათ ოჯახის ზომა. ამასობაში მოხდა ნაყოფის სქესის დადგენის დიაგნოსტიკური აპარატურის მოდერნიზება საავადმყოფოებში და კლინიკებში და სქესის დადგენა ჩვეულებრივ პრაქტიკად გადაიქცა. ექოსკოპიური შემოწმების და აბორტის ხელმისაწვდომობის კომბინაციამ შესაძლებელი გახადა სქესის პრენატალური შერჩევა და წყვილებს მისცა საშუალება, შეემცირებინათ ოჯახის ზომა და შეერჩიათ მისი გენდერული შემადგენლობა.

ანგარიშის ერთ-ერთ თავში განვიხილეთ სქესთა შორის დისბალანსთან დაკავშირებული დემოგრაფიული მონაცემები სტატისტიკური წყაროების ხარისხის დეტალურად შეფასების შემდეგ. ამგვარი ტექნიკური შემოწმება საჭირო იყო იმის გამო, რომ სანდო წყაროები შეზღუდული რაოდენობით გვქონდა. საქართველოში ბოლო 12 წლის მანძილზე არ ჩატარებულა მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვა და დაბადების რეგისტრაციის სისტემა მკვეთრად გაუარესდა 1990-იანი წლების შუა პერიოდში. იმის გათვალისწინებით, რომ შერჩევითი კვლევები არ წარმოადგენს სანდო წყაროს მამრობითი სქესის ბავშვების დაბადების დონის შესამოწმებლად, განსაკუთრებით შეფასებების გასაკეთებლად, ჩვენ დაგვჭირდა ჰეტეროგენული სახის დემოგრაფიული მონაცემების რამდენიმე წყების დაჯგუფება. 1991 წლის შემდეგ დაბადებისას სქესთა გაზრდილი თანაფარდობა ნათლად არის გამოხატული და ზუსტად ემთხვევა ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას. ჩვენი აზრით, გაზრდილმა ეკონომიკურმა ზეწოლამ და ნაყოფის სქესის დიაგნოსტიკის თანამედროვე აპარატურის არსებობამ გარკვეულწილად გამოიწვიეს შობადობის გენდერული ნიშნით შემცირება და მდებარეობითი სქესის ბავშვების დაბადების პრიორიტეტულობის დაქვეითება.

დაბადებისას სქესთა თანაფარდობა ნელ-ნელა გაიზარდა ნორმალური ბიოლოგიური დონიდან 1990 წელს 21-ე საუკუნის დასაწყისის მაჩვენებლამდე, რომელიც ტოლი იყო 112-114 ვაჟისა 100 გოგონაზე. აღნიშნული პერიოდის შემდეგ დაბადებისას

სქესთა თანაფარდობა რამდენიმე წელი ამ დონეზე რჩებოდა, ხოლო შემდეგ დაიწყო შემცირება. ამ შემცირებამ ზემოაღნიშნული თანაფარდობა 110-ზე ქვემოთ დონეზე ჩამოიყვანა, რაც აშკარად უფრო დაბალია, ვიდრე მეზობელ აზერბაიჯანში და სომხეთში. გარდა ამისა, შეინიშნება, რომ ზედიზედ ორი ქალიშვილის დაბადების შემდეგ მშობლები კიდევ ერთი ქალიშვილის დაბადებისგან თავის არიდების მიზნით მიმართავენ სქესის შერჩევას, რასაც მოჰყვება დაბადებისას სქესთა მაღალი თანაფარდობა ორზე მეტი შვილოსნობისას, ამას ცხადყოფს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები. მაგრამ ბოლო პერიოდის მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ პირველი და მეორე ბავშვის დაბადებამ ასევე დიდი ზეგავლენა მოახდინა დაბადებისას სქესთა მთლიან თანაფარდობაზე. ამას გარდა, ჩვენმა ანალიზმა აჩვენა, რომ მამრობითი სქესის ბავშვების მაღალი შობადობის შემთხვევები განსხვავდება სოციალური კლასების, რეგიონების, ეთნიკური ჯგუფების, ურბანული და სასოფლო დასახლებების მიხედვით. თბილისი და საზოგადოების ყველაზე განათლებული ნაწილი ბევრად ნაკლებად განიცდის ამ მოვლენის გავლენას, ვიდრე სოფლები და ტრადიციული რეგიონები, რომლებშიც ვაჟის ყოლა ოჯახის სტრუქტურის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. თუმცა ქვეყანაში არ არსებობს სოციალური ჯგუფი, რომელიც რაიმე სახით არ განიცდიდეს პრენატალურ გენდერულ დისკრიმინაციას.

მსოფლიო ბანკის მიერ სამხრეთი კავკასიის ქვეყნებში ინიცირებული მასშტაბური ხარისხობრივი კვლევები გახდა პირველი საფუძვლიანი წყარო ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭებასთან და პრენატალურ გენდერულ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, ამ კვლევებმა მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ მოსახლეობას მწირი ინფორმაცია გააჩნია ქვეყანაში ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის არსებულ დისბალანსზე. ზემოაღნიშნული კვლევების დიდი ნაწილი ადასტურებს, რომ საზოგადოების დიდ სემგმენტში არსებობს ვაჟის ყოლის სურვილი. ამ კვლევების რესპონდენტებმა აღწერეს, თუ რას აკეთებენ ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად ოჯახის ზომის მნიშვნელოვნად გაზრდის გარეშე. აბორტები სქესის შერჩევის მიზნით ქალიშვილების დაბადების შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ გზას წარმოადგენს, მაგრამ აბორტი ამ შემთხვევაში რეპროდუქციული ამოცანის მიღწევის ინსტრუმენტია და მომავალში ის შეიძლება ახალი ტექნოლოგიებით შეიცვალოს. ზოგადად, ასეთი მიდგომა აიხსნება ქართული მენტალიტეტით,

მაგრამ გარდა იმ ტრადიციების და ჩვეულებებისა, რომლებიც გამომდინარეობს პატრილინეარული ოჯახური სისტემიდან, ვაჟის ყოლის სურვილს აძლიერებს ოჯახისთვის მინიჭებული ცენტრალური მნიშვნელობა: ოჯახი განიხილება ძლიერ ბუფერულ ინსტიტუტად ეკონომიკური და პოლიტიკური ძვრების დასაძლევად. სოციალური დაცვის არასათანადო სისტემის არსებობის ფონზე ვაჟის არყოლა ბევრ ქართულ ოჯახში აჩენს დამატებითი დაუცველობის გრძობას იმ ეკონომიკური შოკური სიტუაციების მიმართ, რომლებსაც ქვეყანა ხშირად განიცდიდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში.

გარდა რადიკალურად გამოხატული გენდერული დისკრიმინაციისა, სქესის პრენატალური შერჩევა მომავალში გამოიწვევს მოსახლეობის დისბალანსს. შესაძლებელია ბოლო ათი წლის ტენდენციის ასახვა მომავალზე, რათა კარგად წარმოვიდგინოთ დაბადებისას სქესთა შორის ამჟამინდელი დისბალანსის გრძელვადიანი ზეგავლენა. ჩვენ შევადარეთ სხვადასხვა დემოგრაფიული ვარიანტი და მათი შედეგები 2050 წლამდე. დემოგრაფიული სიმულაციების გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია გავზომოთ დაბადებისას სქესთა ასიმეტრიული თანაფარდობის მზარდი ეფექტი. ეს განსაკუთრებით ეხება მომავალში „გამქრალი გოგონების“ და ქალების მზარდი რიცხვის გამოთვლას. დაბადებისას სქესთა ასიმეტრიული თანაფარდობის კუმულაციურმა ეფექტმა შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებული ვარიანტები ქვეყნის ახალგაზრდა მოსახლეობის სქესობრივ შემადგენლობასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ სქესთა შორის დისბალანსი გაიზრდება, მიგრაცია შეიძლება აღმოჩნდეს ერთ-ერთი გამოსავალი იმ კაცებისათვის, რომლებსთვისაც რთული იქნება ქალის პოვნა ოჯახის შესაქმნელად.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საფუძველს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში უფრო ფართომასშტაბიანი დებატების გასამართად სქესის შერჩევის საკითხებზე. პირველ რიგში, ანგარიში საზოგადოებას და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს წარუდგენს ყველაზე სარწმუნო მტკიცებულებებს საქართველოში სქესის შერჩევის მოვლენის არსებობასთან დაკავშირებით, რომელზეც დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა აზრი გამოითქმება. ამას გარდა, ანგარიშში შეგიძლიათ იხილოთ ამ მოვლენის მასშტაბის ყველაზე ზუსტი შეფასება. ყურადღება გამახვილებულია ყველაზე სუსტ სისტემებზე და დაუცველ სოციალურ ჯგუფებზე. ანგარიშში მოყვანილი ახსნა-განმარტების მიხედვით, შობადობის დონის ცვლილება ან ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა სავარაუდოდ ვერ შეცვლის მდგომარეობას საქართველოში.

ეს შეიძლება მოხდეს საზოგადოების მიდგომების ცვლილების და არა ჯანდაცვის ან დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლის შედეგად. სქესის შერჩევის მოვლენა სავარაუდოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოიფხვრება, თუ შემცირდება ვაჟების ყოლის აუცილებლობა და ნორმები, რომლებიც მხარს უჭერს ამ სისტემას. საზოგადოებაში და თანამედროვე ეკონომიკაში ქალთა მზარდი როლი შეამცირებს გენდერულ უთანასწორობას, მაგრამ არსებული ტრადიციები მაინც იქონიებს გარკვეულ გავლენას დემოგრაფიულ ქცევაზე და ოჯახისადმი დამოკიდებულებაზე. რაც უფრო სწრაფად მოხდება ეს ტრანსფორმაცია, მით უფრო ნაკლებად სერიოზული იქნება დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის შედეგები საქართველოს მომავალი დემოგრაფიული შემადგენლობისთვის. ამრიგად, მნიშვნელოვანია, რომ სწრაფად მოხდეს ყველა სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციის მობილიზება ამ საკითხის მოგვარების მექანიზმების უკეთ გასაგებად და ახალი ინიციატივების დასაგეგმად, რომლებიც მიზნად დაისახავს საქართველოში გენდერული მიკერძოებისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

8.2 რეკომენდაციები

ამ ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები პოტენციური პოლიტიკის დღის წესრიგთან დაკავშირებით წინამდებარე ანგარიშის მონაცემების გათვალისწინებით, რომელთა ვალიდაცია მოხდა 2015 წლის 4 მაისს თბილისში, კონფერენციაზე - გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში: კონტექსტი, მტკიცებულება, შედეგები და პრობლემის გადაჭრის გზები. ანგარიშში იდენტიფიცირებულ ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მცირე ოდენობის სტატისტიკური ინფორმაცია დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის გავრცელებული მოვლენის შესახებ. მეორე პრობლემა დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ჩვენ ბოლომდე ვერ დავადგინეთ, თუ როგორ ხდება ძველი ტრადიციებისა და ახალი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების კომბინირების შედეგად სქესის პრენატალური შერჩევის მოტივირება. მესამე კი ეხება საზოგადოების ძალზე დაბალ ინფორმირებულობას სქესთა შორის დისბალანსის შესახებ ბოლო 20 წლის განმავლობაში და, შესაბამისად, მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მობილიზების დაბალ დონეს პრენატალური გენდერული დისკრიმინაციის საკითხის მოსაგვარებლად.

სქესთა შორის დარღვეული ბალანსის მონიტორინგი

წინამდებარე ანგარიში გვიჩვენებს, რომ ჩვენთვის ბოლომდე და სრულად არ არის ცნობილი საქართველოში არსებული ძირითადი დემოგრაფიული ტენდენციები. თუმცა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა და სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემის ბოლო პერიოდში განხორციელებული მოდერნიზება ამ მდგომარეობის გამოსწორების რეალურ შესაძლებლობას იძლევა, რადგან უახლოეს მომავალში შეეძლებოდა შევადაროთ დაბადების რეგისტრაციის მონაცემები ასაკის და სქესის მიხედვით აღწერის შედეგად მიღებულ ასაკობრივ და სქესობრივ სტრუქტურებს. ეს იქნება ორი მნიშვნელოვანი წყარო დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ტენდენციების და ცვალებადობის მონიტორინგისთვის.

- დაბადების რეგისტრაციის მონაცემების რეგულარულად გამოქვეყნება, სქესის, შვილოსნობის რაოდენობისა და რეგიონის მითითებით;
- ღონისძიებების განხორციელება სამოქალაქო რეგისტრაციის მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების და კვლევებში მათი გამოყენების მიზნით; სტატისტიკური წყაროების საფუძვლიანი ანალიზის ჩატარების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების გამოყენება მონოგრაფიებისათვის, რომლებშიც განხილული იქნება ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის და სხვა გენდერული საკითხები, როგორცაა ოჯახის სტრუქტურები და გენდერული მიკერძოება ფერტილობასთან დაკავშირებულ ქცევაში;
- სახელმწიფო სტრუქტურებსა და კვლევით ორგანიზაციებში პოტენციალის განვითარების მხარდაჭერა ქვეყანაში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ანალიზის საკითხში კომპეტენციის გაძლიერების მიზნით.

დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის მიზეზების და მექანიზმების შესახებ ცოდნის გაღრმავება

სქესის შერჩევის მექანიზმები საქართველოში არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული ან გათვითცნობიერებული. აბორტებთან დაკავშირებული კვლევები ძალიან ცოტაა და საერთოდ არ არსებობს კვლევები, რომლებიც დაადგენდა კავშირს გენდერულ პრაქტიკებსა და პრენატალურ

დისკრიმინაციას შორის. ჩვენ არ გავგაჩნია სიღრმისეული ინფორმაცია ქართულ ოჯახებში ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭების მასშტაბის ან ქვეყანაში ბოლო დროს მისი ზრდის შესახებ. ანალოგიურად, არ გავგაჩნია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობენ სამედიცინო დაწესებულებები ქალებისათვის სქესის შერჩევის ტექნოლოგიების მიწოდებაში.

- გენდერულ უთანასწორობაზე და გენდერული ნიშნით პრენატალურ დისკრიმინაციაზე ახალი ხარისხობრივი და ანთროპოლოგიური კვლევების ჩატარების ხელშეწყობა. პატრილინეარული ოჯახური მოდელები, მამაკაცური ღირებულებები, ქორწინების სისტემა და გენდერული უთანასწორობა მემკვიდრეობის საკითხებში ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭებასთან დაკავშირებული ის ასპექტებია, რომლებიც ყველაზე ნაკლებად არის დოკუმენტირებული;
- მიზნობრივი კვლევების ჩატარების მხარდაჭერა იმ რესურსებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელს უწყობს სქესთა შერჩევას. ეს კვლევები უნდა მოიცავდეს არსებულ რეპროდუქციულ ტექნოლოგიებს, სამედიცინო დაწესებულებებს, მეორე ტრიმესტრში გაკეთებულ აბორტებს და ორსულობის შესაწყვეტი მედიკამენტების გამოყენებას;
- არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა ინსტიტუტების ინიციატივების მხარდაჭერა სქესის პრენატალური შერჩევის და ამ დამოკიდებულების მოტივაციის შესწავლის საკითხებში.

ინფორმაციის გავრცელება, საქართველოს მოსახლეობაში ამ საკითხის შესახებ ცოდნის გაზრდა და მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა

ინფორმაცია და მისი გავრცელება საქართველოში სქესის შერჩევის შესახებ საჯარო განხილვების დაწყების საფუძველია. ამ განხილვებში მონაწილეობა უნდა მიიღონ მოსახლეობამ, სამოქალაქო ორგანიზაციებმა, სამედიცინო მუშაკებმა და სამთავრობო უწყებებმა. სქესის შერჩევა შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ადამიანის უფლებების პოტენციური დარღვევა, არამედ მან შეიძლება სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს დემოგრაფიულ სტრუქტურებზე გრძელვადიან პერსპექტივაში. ინფორმაციის გავრცელების და ადვოკატირების კამპანიები ხელს შეუწყობს დისკრიმინაციის ციკლის დარღვევას, ქალთა

დისკრიმინაციისა, რომელიც გამომდინარეობს ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭებიდან და პატრილინეარული ჩვეულებებიდან. ეს კამპანიები უნდა გახდეს პოლიტიკის შემუშავების უფრო ფართო პროცესის პირველი ფაზა, რომლის დროსაც მთავრობამ რეაგირება უნდა მოახდინოს ამ საკითხზე და, ამავე დროს, არ ხელყოს უსაფრთხო რეპროდუქციული ჯანმრთელობის მისაწვდომობა.

- კამპანიის დაწყება წინამდებარე კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, რათა გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობა ამ საკითხზე და მის ძირითად შედეგებზე გენდერული თანასწორობისა და მოსახლეობის მგრადი დინამიკის თვალსაზრისით;
- კონკრეტული სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება საკითხის განმარტების და ინფორმირებულობის გაზრდის კამპანიებისათვის. ასეთ ჯგუფებს შორის უნდა იყვნენ მოზარდები და ახალგაზრდები, განათლების სფეროს მუშაკები, მედია, მშობლები, ქალები, სოციალური და რელიგიური ლიდერები და საჯარო მოხელეები;
- სამედიცინო სფეროს მუშაკებისთვის ტრენინგის ჩატარება ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის მზარდ დისბალანსთან დაკავშირებით მათ მოვალეობებზე და მათი ჩართვა პრენატალური გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ქცევის კოდექსის და ეთიკის ნორმების შემუშავების გზით;
- ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის განხილვის დროს თავის არიდება აბორტების ან იმ ქალების სტიგმატიზაციისგან, რომლებსაც ამ მიზნით გაუკეთებიათ აბორტები. ყურადღების გამახვილება ქართულ ოჯახებში არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე;
- ისეთი ქართული ტრადიციების ფორმირება, რომლებიც გააძლიერებს გენდერულ თანასწორობას და ქალების სტატუსს ოჯახში და უზრუნველყოფს ისეთ კომუნიკაციას რეპროდუქციულ არჩევანზე, რომელიც არ მინიჭებს უპირატესობას ვაჟებს და არ იქნება ტენდენციური იმ მშობლების მიმართ, რომლებსაც არ ჰყავთ შვილები ან ვაჟიშვილები;
- გენდერული თანასწორობის პროპაგანდირების პროცესში უფრო მეტი ყურადღების

მიქცევა ქალების უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებისთვის და ოჯახზე მზრუნველებისა და მარჩინალების მათი როლისთვის;

- გენდერული თანასწორობის შესახებ არსებული სტრატეგიისა და კანონმდებლობის გადახედვა და მის აღსრულებაზე მონიტორინგის განხორციელება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი ასაკის ქალების პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაცია ისეთ სფეროებში, როგორცაა განათლება და დასაქმება, ჯანმრთელობის და სოციალური დაზღვევა, პენსია, პოლიტიკური უფლებები, საკუთრების უფლებები და მემკვიდრეობა;
- დაგეგმილ ღონისძიებებში სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების სრული და გააზრებული ჩართვის უზრუნველყოფა;
- თანამშრომლობის დამყარება საერთაშორისო ორგანიზაციებთან და შესაბამის სამინისტროებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და კომისიებთან;
- მიზნობრივი ღონისძიებების ჩატარება იმ მოსახლეობისთვის, რომელიც ამ კუთხით ყველაზე მეტად განიცდის ნეგატიურ გავლენას;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება რეგიონის სხვა ქვეყნებში განხორციელებული პოლიტიკასთან დაკავშირებული ინიციატივების უკეთ გასაცნობად.

ამ ეტაპზე შეიძლება ნაადრევი იყოს პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა ვარიანტების განხილვა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში თითქმის არ არსებობს კონსენსუსი სქესის პრენატალურ შერჩევასთან დაკავშირებით. ამას გარდა, სხვა ქვეყნების (მაგ., ჩინეთისა და ინდოეთის) გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არ არსებობს ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭების საკითხის დაძლევის სწრაფი მექანიზმი.⁵⁶ ამასთან, აბორტების აკრძალვის - რაც განიხილება ყველაზე ადვილ გზად ამ პრობლემის მოსაგვარებლად - მოწოდება, რომელიც ხშირად ისმის, ამკარად საშიშია, რადგან შეიძლება გამოიწვიოს მასობრივი არალეგალური აბორტები. ქართულ საზოგადოებაში ვაჟების ყოლის აუცილებლობის ძირეული მიზეზია ასიმეტრიული ნათესაური სისტემა მამრობითი სქესის ხაზის სასარგებლოდ, რომელიც ისე ღრმად არის ცნობიერებაში ჩაბეჭდილი, რომ

თითქმის ვერავინ აცნობიერებს მას. დაუცველობის ახალმა ფორმებმა, რომლებიც გაჩნდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას, უდავოდ გააძლიერა ეს პატრიარქალური მიკერძოება ბოლო 25 წლის განმავლობაში. ღონისძიებები, რომელთა განხორციელება აუცილებელი იქნება ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭების საკითხის მოსაგვარებლად, უპირველეს ყოვლისა უკავშირდება გენდერულ თანასწორობას ეკონომიკის, იურიდიულ და სოციალურ სფეროებში. ეს ღონისძიებები მიზნად უნდა ისახავდეს იმ ნორმებისა და ჩვევების შეცვლას, რომლებიც დღემდე უგულუბელყოფენ ქართველი ქალების თანასწორობას ოჯახში და მის გარეთ.

⁵⁶ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის სომხეთში არსებული პოლიტიკის შესახებ იხილეთ რაჰმი (2012).

გამოყენებული ლიტერატურა

- Attané I., and C.Z. Guilmoto, eds. 2007. *Watering the Neighbour's Garden. The Growing Demographic Female Deficit in Asia*. Paris: The Committee for International Cooperation in National Research in Demography.
- Badurashvili, I., 2014, Birth registration system in Georgia and sex ratio at birth, report prepared for UNFPA, Tbilisi.
- Badurashvili, I., E. Kapanadze, and S. Tsiklauri, 2011, *Generation and Gender Survey in Georgia II Wave*, Tbilisi, UNFPA GCPR.
- Badurashvili, I., et al., 2008, Gender relations in modern Georgian society. Georgian centre of population research.
- Badurashvili, Irina 2011. Son preference in Caucasus. Communication to the workshop Sex Selection from Asia to Europe., Paris: Centre Population et Développement 2 December.
- Badurashvili, Irina, 2002, "Reproductive and sexual health status of Georgian population", Presented at the Interregional Seminar on Reproductive Health Unmet Needs and Poverty: Issues of Access and Quality of Service, Bangkok, November.
- Baumann, E., 2012, Post-Soviet Georgia: It's a Long, Long Way to "Modern" Social Protection, *Economies et Sociétés.*, 46, 259-285.
- Bendeliani, Nani, 2012, Gender Equality in Georgia on the Bases of International Indices and Ratings, CCS-UNFPA, Tbilisi.
- Bongaarts, J., 2013, The Implementation of Preferences for Male Offspring. *Population and Development Review*, 39(2), 185-208.
- Brainerd, Elizabeth 2010. The demographic transformation of post-socialist countries causes, consequences, and questions. Working Paper No. 2010/15. Wider, Helsinki.
- Chahnazarian, Anouch 1988. Determinants of the sex ratio at birth: Review of recent literature. *Social Biology*, vol. 35, No. 3-4, pp. 214-35.
- Civil Registry Agency (CRA), (n.d.): Registration of birth/death facts, PPT presentation "Everything in one space".
- Coale, A. J. 1973. The demographic transition reconsidered in Proceedings of the International Population Conference. International Union for the Scientific Study of Populations. Liège, Eds. Ordina, 53-73.
- Council of Europe 2011 Prenatal sex selection – Report, Committee on Equal Opportunities for Women and Men Rapporteur: Ms Doris Stump, Switzerland.
- Croll, Elisabeth 2000. *Endangered daughters: Discrimination and Development in Asia*. New York: Routledge.
- Dagargulia, T., and Badashvili, M., 2008, Maternal health in post-Soviet Georgia. *Marriage and Family Review*, 44 (2-3), 301-317.
- Das Gupta, Monica, et al., 2003, Why is son preference so persistent in East and South Asia? A cross-country study of China, India and the Republic of Korea. *Journal of Development Studies*, vol. 40, No. 2, pp. 153-187.
- Dragadze, T., 2003, *Rural families in Soviet Georgia: a case study in Ratcha Province*. Routledge, London.
- Dudwick, N., Gomart, E., and Marc, A., eds, 2003. *When things fall apart: Qualitative studies of poverty in the former Soviet Union*. World Bank Publications, Washington.
- Dudwick, N., 2014, "Missing Women" in the South Caucasus: Local perceptions and proposed solutions, unpublished draft, World Bank.
- Duthé, Géraldine, et al. 2012, "High level of Sex Ratios at birth in the Caucasus. Modern Technology to satisfy Old Desires", *Population and Development Review*. 38, 3, 497-501.
- Fuse, Kana 2010. Variations in attitudinal gender preferences for children across 50 less-developed countries. *Demographic Research*, vol. 23, Article 36, pp. 1031-1048.
- Gagoshashvili, M., 2008, Shaping women's reproductive decisions: the case of Georgia. *Gender and Development*, 16 (2), 273-285.
- Gamkrelide, A., Atun, R., Gotsadze, G., MacLehose, L., McKee, M., and World Health Organization., 2002, *Health care systems in transition: Georgia*.
- Geostat, 2013, *Women and Men in Georgia*. Statistical publication, Tbilisi, Geostat.

- Gjonça, A., et al. 2005, Sex differences in mortality, a comparison of the United Kingdom and other developed countries. *Health Stat Q*, 26, 6-16.
- Grogan, L., 2013, Household formation rules, fertility and female labour supply: Evidence from post-communist countries. *Journal of Comparative Economics*, 41(4), 1167-1183.
- Guilmoto, C. Z. 2009, "The sex ratio transition in Asia". *Population and Development Review* 35, 3, pp. 519-549.
- Guilmoto, C. Z., 2010. High sex ratio at birth in Southeast Europe, Research Note, CEPED, Paris.
- Guilmoto, C. Z., and Duthé, G., 2013, Masculinization of birth in Eastern Europe, *Population and Societies*, 506.
- Gzirishvili, D., 2012, Independent Georgia-health and social protection systems. OSGF, Tbilisi.
- Hofmann, E. T., and Buckley, C. J., 2012, Cultural Responses to Changing Gender Patterns of Migration in Georgia. *International Migration*, 50 (5), 77-94.
- Hohman, S., and Lefèvre, C., 2014, "Post-Soviet Transformations of Health Systems in the South Caucasus, Armenia, Azerbaijan, Georgia", *Central Asian Affairs*, 1, 1, 48-70.
- Ishkanian, Armine 2004, Gendered transitions: the impact of the post-Soviet transition on women in central Asia and the Caucasus, in Amineh, Mehdi P. and Houweling, Henk, eds., *Central Eurasia In global politics: conflict, security and development*. Brill Academic Publishers, Leiden, pp. 161-184.
- ISSA, 2013, Men and Gender relations in Georgia, Tbilisi, ISSA.
- James, W. H., 2009, The variations of human sex ratio at birth during and after wars, and their potential explanations. *Journal of Theoretical Biology*, 257, 1, 116-123.
- Kaser, Karl 2008. *Patriarchy after Patriarchy. Gender Relations in Turkey and in the South Caucasus 1500 - 2000*, Vienna: LIT Verlag.
- Kim, H. J., et al., 2000, Permutation tests for joinpoint regression with applications to cancer rates. *Statistics in medicine*, 19(3), 335-351.
- Kumar, A., Hessini, L., and Mitchell, E. M., 2009, Conceptualising abortion stigma. *Culture, Health and Sexuality*, 11(6), 625-639.
- Meslé France, Vallin Jacques, Badurashvili Irina, 2007. A sharp increase in sex ratio at birth in the Caucasus. Why? How?, in : Isabelle Attané and Christophe Guilmoto eds., *Watering the neighbour's garden: the growing demographic female deficit in Asia*, p. 73-88. – Paris, CICRED Brainerd
- Michael, M., et al., 2013, The mystery of missing female children in the Caucasus: an analysis of sex ratios by birth order. *International perspectives on sexual and reproductive health*, 97-102.
- Miller, Barbara 2001. Female-selective abortion in Asia: patterns, policies, and debates. *American Anthropologist*, vol. 103, No. 4, pp. 1083-1095.
- OHCHR, UNFPA, UNICEF, UN Women and WHO, 2011. Preventing gender-biased sex selection - An interagency statement.
- Peinhopf, A., 2014, Ethnic minority women in Georgia—facing a double burden? ECMI Working paper.
- Rahm, Laura 2012, *International Best Practices for the Prevention of Prenatal Sex Selection. Recommendations for action for Armenia*, report to UNFPA Armenia.
- RAMOS, 2008, *Reproductive Age Mortality Study. Part II: Maternal mortality*, CDC, Atlanta.
- Rekhviashvili, A., 2010, *Nationalism and Motherhood in Contemporary Georgia*, M.A. dissertation, Central European University, Budapest.
- Roberts, K., Pollock, G., Rustamova, S., Mammadova, Z., and Tholend, J., 2009, Young adults' family and housing life-stage transitions during post-communist transition in the South Caucasus. *Journal of youth studies*, 12(2), 151-166.
- Ross, John, 2012, *Changes in women's reproductive health in Georgia*, Tbilisi, UNFPA.
- Rossier, C., 2003, Estimating induced abortion rates: a review. *Studies in Family Planning*, 34(2), 87-102.
- Sabedashvili, T., 2007, *Gender and Democ-*

- ratization: The Case of Georgia 1991–2006. Tbilisi, Heinrich Böll Foundation, South Caucasus Regional Office .
- Schechter, K., 2011, The privatization of the Georgian healthcare system. *Anthropology of East Europe Review*, 29 (1), 16-22.
- SDSG, 2003b, Methodology of new changed population statistics on Georgia for 1990-2002. Unpublished materials provided by SDSG by our request on 19.12.2003
- Sen, Amartya 1990. "More than 100 million women are missing.", *New York Review of Books*, December, No. 20, pp. 61-66.
- Smith, Owen, 2011, *Georgia Demographic Change: Implications for Social Programs and Poverty*, World Bank.
- State Department for Statistics of Georgia (SDSG), 2003a. – *Population of Georgia*. Statistical abstract, SDSG, Tbilisi.
- Sumbadze, N., 2008, *Gender and Society: Georgia*. Tbilisi, UNDP.
- Sumbadze, N., and Tarkhan-Mouravi, G., 2005a, *Transition to adulthood in Georgia: Dynamics of generational and gender roles in post-totalitarian society. A New Youth? Young People, Generations and Family Life*, 224-52.
- Sumbadze, N., and Tarkhan-Mouravi, G., 2005b, *Gender and society in Samtskhe-Javakheti*, ISS, Tbilisi.
- Tsiklauri, S. 2014 (წიკლაური, შორენა, 2014, "სელექციური აბორტები საქართველოში – მითი თუ რეალობა?!" [Selective abortion in Georgia. Is it a reality?!], დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტ, თბილისი, 62-75.)
- Tsuladze G., et al., 2002, *Demographic overview of Georgia 1960-2000.*, UNFPA, Georgian Academy of Sciences, Institute of Demographic and Sociological research, Centre for Social Studies, Tbilisi
- Tsuladze, G., et al., various years, *Demographic Yearbook of Georgia*, Tbilisi: UNFPA.
- Tukhashvili, M., and Shelia, M., 2012, *The impact of labor emigration on the demographic and economic development of Georgia in the post-Soviet period*. CARIM report, Florence.
- UN Women, 2014, *Study on the Needs and Priorities of Ethnic Minority Women in the Kvemo Kartli Region*, Tbilisi.
- UNDP, 2013, *Public Perceptions on Gender Equality in Politics and Business*, Tbilisi.
- UNFPA 2012, *Sex Imbalances at Birth. Current Trends, Consequences and Policy Implications*, UNFPA, Bangkok.
- UNFPA, 2012a. *Sex Imbalances at Birth. Current trends, consequences and policy implications. Current Trends, Consequences and Policy Implications*, UNFPA, Bangkok.
- UNFPA, 2012b. *Sex Imbalances at Birth in Albania*. UNFPA, Tiranë.
- UNFPA 2013a *Georgia Child Marriage*, UNFPA, Tbilisi.
- UNFPA, 2013b. *Sex Imbalances at Birth in Armenia. Demographic Evidence and Analysis*, UNFPA, Yerevan.
- UNICEF 2007. *Women and Children*. Tbilisi, Georgia: UNICEF Georgia
- United Nations 1998. *Too Young to Die: Genes or Gender*. New York.
- United Nations 2011. *Sex Differentials in Childhood Mortality*. New York: United Nations Department of Economic and Social Affairs and Population Division.
- United Nations Population Division 2013, *World Population Prospects: The 2012 Revision*. New York.
- USAID, 2010, *Georgia Gender Assessment*, Tbilisi, USAID.
- Waldron, Ingrid 1998. *Factors determining the sex ratio at birth*. In *Too Young to Die: Genes or Gender?* New York: United Nations Population Division, Department of Economic and Social Affairs.
- Westoff, C. F., and Serbanescu, F., 2008, *The Relationship Between Contraception and Abortion in the Republic of Georgia: Further Analysis of the Republic of Georgia Reproductive Health Surveys, 1999 and 2005*. Calverton, MD, USA: Macro International.
- WHO, CMSI and SDSG, 2003, *Comparison of completeness of data collected by two sys-*

tems. Evaluating cause of death certification by physician and ICD-10 coding of underlying causes of death by SDS coding staff. World Health Organisation, Centre for Medical Statistics and Information, and Department for State Statistics, Tbilisi.

Yeganyan, Rube, et al. 2001. "Life expectancies in two Caucasian Countries", Demographic Research, 5, 217-244.

Zurabishvili, T., and Zurabishvili, T., 2010, The Feminization of Labor Migration from Georgia: The Case of Tianeti. Laboratorium: Russian Review of Social Research, 2, 1, 73-83.

